

1
2011

ISSN 0235-8417

par al el i

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი

parallel



1

2011

მთავარი რედაქტორი: r evaz mi Svel aZe

სარედაქციო კოლეგია: მერაბ ახოზაძე

ჯემალ გახოვიძე

ვახტანგ დავითაია

ივანე თვალავაძე

იგორ კვესელავა

ილია კილაძე

შალვა ნაჭყებია

ვაჟა პაპასვირი

სოსო სიგუა

რედაქტორის მოადგილე

გიორგი სალუქვაძე

არჩილ ფრანგიშვილი

ქეთევან ქოქრაშვილი

რუსუდან ქუთათელაძე

ბადრი ცხადაძე

პასუხისმგებელი მდივანი

თემურ ჯაგოდნიშვილი

ყდის დიზაინის ავტორი: ვახტანგ დავითაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნონა ცაბაძე

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603^ა

ტელ.: 877 42 54 72; 897 09 21 48

ISSN 0235-8417

გთავაზობთ:

di al o gi

ინტერვიუ რექტორთან, ბ-ნ არჩილ ფრანგიშვილთან	2
იგორ კვესელავა - მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?	6
ვახტანგ დავითაია - დიდ არქიტექტურას გონიერი და შორსმჭვრეტელი დამკვეთები ქმნიან	14

proza

რევაზ მიშველამე - ნოველები	23
ანი ტარყაშვილი - მინიატურები	36
გეგა აბულაძე - მოთხრობა	37

maqsi mebi

ზურაბ ხასაია	47
--------------	----

poezi a

ავთო ონიაშვილი	53
დიანა კაპანაძე	55
რუსუდან კილასონია	57
თეონა გიგაური	58
ბელა კოკაია	61
ოთარ მაღლაფერიძე	62
ნინო მორჩილაძე	63

weri l ebi

სოსო სიგუა	65
გიორგი სალუქვაძე, მამუკა სალუქვაძე	70
ჯემალ გახოკიძე	76
ზადრი ცხადაძე	81
ავთანდილ ნიკოლეიშვილი	87
ჰენრი კუპრაშვილი	96
ეკა ყუფუნია-ცხადაძე	98
მაია ყიფიანი	103
გიორგი სალუქვაძე, მანანა თავხელიძე	109
ქეთევან კვესელავა	116
ნოდარ ხორბალაძე	120
მერაბ გველესიანი	125
თამაზ ნუცუბიძე	142
საბა გვეტაძე	145
ცოტნე სივსივაძე	148
გვანცა გრიგალაშვილი	153
ანა ყულოშვილი	158

Targmani

კ. ლეონტიევი - თარგმნა გიორგი ხეოშვილმა	160
---	-----

qarTul i gvarebi	169
------------------	-----

ramdeni me Seki Txva teqniki universitetis reqtors, baton arci I frangi Svili s

- ბატონო არჩილ, თქვენი თანამონაწილეობითა და თანადგომით სტუ-ში განახლდა სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალ „პარალელის“ გამოცემა, რომლის მთავარი რედაქტორობა ცნობილ მეცნიერსა და კრიტიკოსს, მწერალ რევაზ მიშველაძეს მივანდეთ. როგორ წარმოგიდგენიათ მისი მომავალი, იქნება თუ არა იგი წინამორბედი ჟურნალის „პარალელის“ იდეურ-შემოქმედებითი მემკვიდრე?

- ნაწილობრივ, ცხადია, იქნება, ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში ტალანტებსაც ვიპოვით (სტუდენტებს ვგულისხმობ); ჩვენ ახალი ხედვა, რაკურსი, თვალსაწიერი გამოგვარჩევს წინამორბედი ჟურნალისაგან, მე ამის მჯერა და მხარიც იმიტომ დავუჭირე მის გამოცემას. „პარალელის“ ჯანსაღი აზრი უთუოდ გაიმარჯვებს. მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ „პარალელში“ გვერდიგვერდ დაიბეჭდებიან სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

- თქვენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორთაგან ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურეთ პრეზიდენტის მოწოდებას სტუდენტებისთვის „კულტუროლოგიის“ სწავლების აუცილებლობის შესახებ. თქვენი ინიციატივით ავტორთა ჯგუფის მიერ სარეკორდოდ მოკლე დროში შეიქმნა „კულტუროლოგიის“ სახელმძღვანელო (ერთ-ერთი ავტორი თქვენც ბრძანდებით). აპირებთ თუ არა ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე თანამედროვე ინტელიგენტისთვის ამ ფრიად საჭირო კურსის ჩართვას სასწავლო პროგრამაში?

- მსოფლიო კულტურის მიღწევების თუნდაც ელემენტარული ცოდნის გარეშე თანამედროვე ინტელიგენტი ვერ წარმოიდგინება. რა დიპლომატია ის დიპლომატი, ან რა ინჟინერია ის ინჟინერი, რომელმაც არ იცის, რას წარმოადგენს ეგვიპტის პირამიდები, ვინ იყო ჰომეროსი და, რაც მთავარია, არაფერი იცის მსოფლიო ცივილიზაციაში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილის შესახებ. ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ და ვარძიის შემქმნელი ერი ვართ და უნდა შევვძლოს თავისუფლად ვიმსჯელოთ ეროვნულ ფენომენზე, ქართულ და მსოფლიო კულტურაზე. „კულტუროლოგია“ სწორედ რომ ყველა დარგის წარმომადგენლის კულტურულ პიროვნებად მოქცევას ემსახურება და პირადად ყველაფერს გავაკეთებ, რათა იგი ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე ისწავლებოდეს.

- ჩვენი ქვეყანა, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ევროამერიკულ სტანდარტებთან ზიარება რაიმე ეროვნულს ხომ არ შელახავს, რაიმე ეროვნულს ხომ არ დაგვათმობინებს?

მაგალითად, მე-19 საუკუნეში ჩვენ თავად ვთქვით უარი ქართული ეროვნული სამოსის საყოველთაო ტარებაზე - ევროპულზე გადავდით. მე, როგორც ქართველურ ენათა მკვლევარს, ქართველოლოგს, ერთი რამ მაღელვებს - თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ხომ არ დავკარგავთ სახელმწიფო და სალიტერატურო ენას, რომლის დეკულტურიზაციის ნიშნები უკვე ჩანს?

- მესმის თქვენი. ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ. მაგრამ არა მგონია. თუ თავად ერს არ უნდა, თუ ერს გონება არ დაუჩლუნგდა, მშობლიურ ენას ვერ დაივიწყებს, ვერც ვერავინ დაავიწყებს. თუ დედას საკუთარი შვილი არ უყვარს, სხვას როგორ შეიყვარებს? რაც შეეხება საზოგადოების დეკულტურიზაციას, ამაში გეთანხმებით, მაგრამ ვფიქრობთ, ეს დროებითი მოვლენაა.

- გარდაქმნა საგანმანათლებლო სისტემაში 2014 წელს დამთავრდება თუ იგი უწყვეტი და ხანგრძლივი პროცესია?

- რატომ მაინცდამაინც 2014 წელს? კაცობრიობის ისტორია, პალეოლითიდან დღემდე, მუდამ განვითარების პროცესშია. ეს უწყვეტია, პერმანენტული, შეუქცევადი... ისე როგორც ადამიანი დაბადებიდან გარდაქმნისა და ზრდის და აღზრდა-განსწავლის პროცესშია, სწავლაც, მეცნიერებაც, სასწავლო პროცესიც განვითარებადია, ცვალებადი. ჩვენი უნივერსიტეტიც და, საერთოდ, ქართული საგანმანათლებლო სივრცე გამოწვევის ვერ იქნება. მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ნაკლებად ვიცოდით „ფეისბუქის“, „სკაიპის“, „ტვიტერის“ შესახებ. ახლა იგი ჩვენში მობილური ტელეფონით მკვიდრდება. მაგალითად, თუ 2005 წელს „სკაიპის“ მომხმარებელთა რიცხვი მსოფლიოში დაახლოებით 75 მილიონი იყო, 2010 წელს ამ ნიშნულმა 600 მილიონს მიაღწია; „ფეისბუქის“ მომხმარებელთა რიცხვმა საქართველოში 416 560 ადამიანი შეადგინა, რომელთა 45 პროცენტი მამაკაცია, 55 პროცენტი - ქალი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სოციალური ქსელის მომხმარებელი ქვეყნების სტატისტიკაში ჩვენ 86-ე ადგილს ვიკავებთ. კაცობრიობამ, რაღაც შვიდიოდე წლის განმავლობაში, კომუნიკაციის სფეროში, უზარმაზარი ნახტომი გააკეთა, ჩვენც ხომ მისი ნაწილი ვართ. ანბანური ჭეშმარიტებაა: კომუნიკაციის გარეშე სწავლა, სწავლება და ცხოვრება არ არსებობს - დღევანდელი კომუნიკაცია ერთგვარი „მეტაკომუნიკაციაა“, ისე როგორც სემიოტიკა - „მეტამეცნიერება“.

- როგორი პირი უჩანს ამ მხრივ სტუ-ს, როგორია მისი ნიშა და ადგილი ქვეყნის შენებაში?

- ცხადია, კარგი. მთავარია, როგორ მოვირგებთ ახალ ტექნოლოგიებს, მერე წარმატება, როგორც იტყვიან, თავისით მოვა. ინჟინერიის გარეშე ქვეყანა ხომ ვერ აშენდება?

- მე-20 საუკუნე ახალი ტექნოლოგიების საუკუნეა. როგორია სტუ-ს მეცნიერებათა წვლილი და პერსპექტივა მსოფლიო ცივილიზაციურ პროცესებში?

- თქვენ წარმოიდგინეთ, შესანიშნავი. ჩვენი მეცნიერები, ინჟინერიის სპეციალისტების ერთი ნაწილი (ფიზიკოსები და სხვ.) წარმატებით მოღვაწეობენ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო ცენტრებში, ექსპერიმენტულ გამოკვლევებში. ამის პოტენციალი ყოველთვის გვქონდა და ახლაც გვაქვს. ჩვენი მეცნიერების წვლილიც კოსმოსური სივრცის ათვისება-გამოკვლევაშიც დიდია.

- *ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტს, მოგეხსენებათ, სახელი შეეცვალა და ბიზნესის ინჟინერინგის ფაკულტეტი დაერქვა. ასე რომ 2012 წლიდან ფაკულტეტს „ფერიცვალება“ ელის. რა სიკეთეს მოუტანს ეს ჩვენს უნივერსიტეტს, ზოგ სპეციალობასთან გამომშვიდობება ხომ არ მოგვიწევს, ანუ ზოგი ჩვენგანი ხომ არ დაზარალდება?*

- ჩვენი უნივერსიტეტი, მოგეხსენებათ, ტრადიციულად საინჟინრო უნივერსიტეტი და ტექნიკური უნივერსიტეტი ამიტომ ჰქვია. აგრეთვე ტექნიკური ინტელიგენციის აღზრდა წარმოუდგენელია ზოგიერთი ე.წ. ჰუმანიტარული დისციპლინის სწავლების გარეშე. რა დასამალია და უნივერსიტეტის პროფილის გამოდევნებამ „უნივერსალიზაციის“ საფრთხის წინაშე დაგვაყენა. ახლა ამოცანა ისაა, რომ ფეხი ავუწყოთ დროის მოთხოვნებს, მოვახდინოთ სასწავლო გეგმის მოდერნიზაცია ისე, რომ აუცილებელი და საჭირო საგნები შევინარჩუნოთ. მოდერნიზაცია ანუ განახლება (და არა გაუქმება) იმ სპეციალობებსაც შეეხება, რომლებიც კარგახანია უკვე მკვიდრად, თვისობრივად ჩაწერნენ ჩვენი უნივერსიტეტის პროფილში. ჩემთვის უნივერსიტეტის ყოველი თანამშრომელი ძვირფასია, ასე რომ ე.წ. „პროფესიონალურ წმენდას“ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ. ერთად ვიართო პროფესიონალიზაციის, მაღალი სპეციალიზაციის ეპოქის მოთხოვნების გზით და, თუ გონივრულად გავირჯებით, არავინ დაზარალდება.

- *2010 წლის მიწურულს სტუ-ში ნორმატიულ-ტექნიკური ჯგუფი შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელად ცნობილი მეცნიერი ბატონი ანზორ შავგულიძე ავირჩიეთ. როგორ გესახებათ უახლოეს მომავალში ამ ჯგუფის მუშაობა?*

- ასეთი ჯგუფის შექმნა ჩვენში მიმდინარე პროცესებმა გამოიწვია. კარგად მოგეხსენებათ, ზოგი მეცნიერი ნაშრომს კი წერს და გამოსცემს, მაგრამ არავის აკითხებს, დაუხვეწავი სტილით ნაწერი და მით უფრო ლინგვისტური და ორთოგრაფიული შეცდომები ნაწერს მიმზიდველს ვერ გახდის. ვნახოთ... ამ ჯგუფის შექმნამ სასურველი შედეგი უნდა მოგვიტანოს, ვიმედოვნებ, დაიხვეწება ჩვენი ინდივიდუალური სტილიც და ნაშრომის ხარისხიც.

- *ტექნიკური დარგები სპეციფიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონების გარეშე წარმოუდგენელია. მოძველდა და თანამედროვე მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი), საჭიროა ახლის შექმნა. დღევანდელ ვითარებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ლექსიკონთა ელექტრონული ვერსიები. ჩვენ რა შედეგები და პერსპექტივები გვაქვს ამ მხრივ? ცხადია, ვგულისხმობთ სპეციალისტთა საუნივერსიტეტო შიდა გრანტში მონაწილეობასაც.*

- თქვენი კითხვიდან ყველაზე მთავარს გამოვყოფ - ტექნიკური სპეციფიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის შექმნას. მასზე ბევრი მეცნიერი ფიქრობს, ვფიქრობთ, სულ მალე ამ საკითხს დადებითად გადავწყვეტთ, მონდომება და ერთ მუშტად შეკვრა გვჭირდება, ფინანსებიც გამოჩნდება... რაც შეეხება ელექტრონული ლექსიკონების მომზადებას, ეს საქმე დაწყებული გვაქვს, მას კარგი პირი უჩანს. უამისოდ, ჩვენი სასწავლო პროცესის წარმართვა და წინსვლა, წარმოუდგენელია. დღეს ახალი ტექნოლოგიები წყვეტენ ყველაფერს.

- ამ მხრივ განსაკუთრებით ჩვენი უნივერსიტეტელი მეტალურგი მეცნიერები აქტიურობენ ბატონ გურამ ქაშაკაშვილის თავკაცობით. რა ხდება სხვა დარგებში?

- სხვა დარგებშიც დაახლოებით ასეთი ვითარებაა. მეტ-ნაკლები, რა თქმა უნდა, მზადდება და ქვეყნდება ლექსიკონები ელექტრონიკის, ეკონომიკის და სხვა დისციპლინებში. სტუ-ში ჩვენი 2010 წლის შიდა გრანტის შემოღებაც ამის დასტურია.

- რა პერსპექტივა აქვს ამ და ასეთ ფონდებს, როცა ფინანსური მხარდაჭერა ჭირს, მხოლოდ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით დაკვამა-ყოფილდეთ თუ...

- სამწუხაროდ, ახლა მსოფლიო კრიზისია, მანამდეც ჩვენში ფინანსების მოძიება ჭირდა. აი, „ფულიანებს“ გულიც რომ ჩვენისთანა ჰქონდეთ, ნამდვილ მეცნიერებს რომ აქვს, მერწმუნეთ, დიდი წინსვლა იქნებოდა. ეს კი არ ჩანს ისე, როგორც ჩვენ გვინდა. გაიხსენეთ ნიკო ცხვედაძე, დიდი ქართველი, კაპიკ-კაპიკ როგორ აგროვებდა ფულს ქართველებში, უნივერსიტეტი რომ აეშენებინა, ახლაც იმ დღეში ვართ. ჩვენში ერთი-ორი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, მით უფრო ადრე, სამწუხაროდ, ასეთია ჩვენი რეალობა.

- როგორც სახელოვანი მეცნიერისა და დიდებული მამის, ბატონი ივერი ფრანგიშვილის შვილს, როგორ გესახებათ საქართველოსა და ჩვენი მეცნიერების მომავალი?

- ახლა ჩვენი თავი, როგორც ქვეყანას, ჩვენ „გვეყუნის“, ჩვენი მომავალი და მეცნიერებაც ჩვენს ხელთაა, როგორც გავირჯებით, ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, რისი იმედიც მაქვს... „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს“, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, ახალი საქართველო ყველასთვის სამაგალითო და სასურველი უნდა იყოს.

- თქვენი ყველაზე დიდი სიხარული და უსიამო გაცნა?

- საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება, ეროვნულობისა და პირადულობის შელახვის მცდელობა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით გამოწვეული დაუყურებელი ტკივილი, ქართველობის გათითოკაცება, „უჩემოდ ვინიმღერეთობა“.

- რას უსურვებთ ჩვენს სტუდენტებს?

- ახალი ტექნოლოგიების, მშობლიური და უცხოური ენების ზედმიწევნით ცოდნას, სპეციალობასთან ერთად... ცოდნა მსხვერპლს მოითხოვს, მსხვერპლი კი ზევრი რამის დათმობაა. სხვაგვარად, რასაც გავცემთ, იმას მივიღებთ. თუ ჩვენ ჩვენი სტუდენტობის დროს თავს წიგნის კითხვით ვიწონებდით, თანამედროვე სტუდენტმა კომპიუტერი და წიგნი, ერთდროულად, მხარილივ უნდა ატაროს, ცხადია, კომპიუტერი წიგნს ვერ შეცვლის, ორივე ერთნაირად საჭიროა.

- რას უსურვებდით ჩვენს განახლებულ ჟურნალსა და კოლეგებს?

- ხანგრძლივ შემოქმედებით და ნაყოფიერ, წარმატებულ სიცოცხლეს.

ესაუბრა პროფ. ბადრი ცხადაძე



mkvl el oba Tu Tvi Tmkvl el oba?

გვესაუბრება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზების გამოკვლევის კომისიის წევრი - ექსპერტი, პროფესორი იგორ კვესელავა

- ბატონო იგორ, თქვენ თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი ავტორიტეტული მემატიანე ბრძანდებით, ცნობილია თქვენი ნაშრომები ჩვენი უახლესი ისტორიის კარდინალურ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებზე, რამ განაპირობა თქვენი ინტერესი ამ კომისიისადმი?

- 2009 წლის 6 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში შეიქმნა პირველი პრეზიდენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი დროებითი კომისია, რომლის ძირითადი მიზანია, დაადგინოს საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზები და გარემოებები.

კომისიამ სამუშაოდ მოიწვია სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ამ საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის, ბატონი კონსტანტინე გამსახურდიას, ინიციატივით მეც მათ შორის აღმოვჩნდი, როგორც უახლესი პოლიტიკური ისტორიის მკვლევარი და ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-პატრიოტულ მოღვაწეობაზე შექმნილი ერთ-ერთი წიგნის ავტორი. ექსპერტად მოწვეული იყო უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე, გენერალი მიხეილ ოსაძე და პროფესორი ალექსანდრე ბარამიძე.

- რა პრინციპით მუშაობდა კომისია?

- საპარლამენტო კომისიის ძირითად მიზანზე უკვე მოგახსენეთ. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად კომისიამ ჩაატარა მნიშვნელოვანი სამუშაო. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოითხოვა და შეისწავლა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალები, გამოითხოვა რუსეთის ფედერაციის (ქ. როსტოვში) 2007 წლის მარტში ჩატარებული ზვიად გამსახურდიას ნეშტის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნა. რუსეთში მიავლინა თავისი წარმომადგენლობა ისეთ პირებთან გასაუბრების მიზნით, რომლებსაც 1993 წელს და შემდგომშიც ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობები ეკავათ და შეეძლოთ კომისიისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციები მიეწოდებინათ პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების გარემოებებისა და მიზეზების შესახებ.

საპარლამენტო კომისიას საინტერესო ინფორმაციები მოაწოდეს თენგიზ სიგუამ, თენგიზ კიტოვანმა, იგორ გიორგაძემ და სხვებმა. დაიკითხა ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრები: რობინზონ მარგველანი, შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე. შესწავლილ იქნა ბესარიონ გუგუშვილის გამოხმაურება ფინეთიდან.

ერთი სიტყვით, კომისიამ შეძლო გასაუბრებოდა და დაეკითხა ათეულობით ადამიანი, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შედიოდნენ პირველი პრეზიდენტის გარემოცვაში. ბევრი მათგანი ზ. გამსახურდიას ბოლო პერიოდის საქმიანობის უშუალო თვითმხილველი იყო და კომისიას ღირებული ინფორმაცია გადასცა.

კომისიამ საფუძვლიანად შეისწავლა სხვადასხვა ჟურნალისტური გამოძიების (გიგლა გობეჩია, ვახტანგ ხარჩილავა, დიტო ჩუბინიძე, გიორგი მამაცაშვილი, ლეილა კვირიკაშვილი და სხვ.) მასალები.

- თუ გქონდათ საშუალება დაგეგოთხათ ედუარდ შევარდნაძე?

- შევარდნაძე არ დაკითხულა. ის ცდილობდა და დღესაც ცდილობს თავი აარიდოს კომისიის კითხვებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ თემაზე მის მიერ ინტერვიუებში გაჟღერებულ არაობიექტურ ინფორმაციებს.

- კომისიას თუ ჰქონდა მცდელობა, ოფიციალურად, ამ თემაზე სასაუბროდ მოეწვია ე. შევარდნაძე?

- დიახ. კომისიის თავმჯდომარის კ. გამსახურდიას ხელმოწერით მას ასეთი შინაარსის ტექსტი გაეგზავნა:

„საქართველოს ექსპრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

ბატონო ედუარდ,

შემოსული მასალების ანალიზის საფუძველზე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მოისმინოს პასუხი რამდენიმე შეკითხვაზე. თუ თქვენ გადაწყვეტთ ითანამშრომლოთ კომისიასთან, თქვენთვის მოსახერხებელ დროს, გთავაზობთ შეხვედრას პარლამენტში - ან ერთ-ერთი სატელევიზიო არხის პირდაპირ ეთერში, რომელშიც ჩაერთვებით ბინიდან.

კომისიის მუშაობის საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე, საზოგადოებას მიეცემა შესაძლებლობა თვალი მიადევნოს ამ პროცესს და შეაფასოს თქვენი პოზიცია დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით.“

როგორც გითხარით, ე. შევარდნაძემ ამ შეტყობინებას დუმილით უპასუხა.

- რა სიახლე შეჰმატეს ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზებზე აქამდე არსებულ ცოდნას სიკვდილის თვითმხილველებმა ბესარიონ გუგუშვილმა და პრეზიდენტის დაცვის წევრებმა?

- ბ. გუგუშვილი და პრეზიდენტის დაცვის წევრები კვლავ დაბეჯითებით ცდილობენ ამტკიცონ, რომ ზ. გამსახურდიამ თავი მოიკლა. ასე რომ, ამ მხრივ რაიმე სიახლესთან არა გვაქვს საქმე, თუმცა მათი ბევრი გამონათქვამი ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

1. ბ. გუგუშვილის მტკიცებით, მოხდა გარკვეული შეთანხმება ზ. გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეებსა და ზ. გამსახურდიას ოჯახს შორის, იმის შესახებ, რომ „ზვიად გამსახურდიას ოჯახი, მისი ქვრივის სახით, არასოდეს არ წამოაყენებს რაიმე სხვა ვერსიას, გარდა ზ. გამსახურდიას თვითმკვლელობისა“.

ასეთი დოკუმენტის არსებობას დღეს კატეგორიულად უარყოფს მანანა არჩვაძე-გამსახურდია.

2. ბ. გუგუშვილი ფიქრობს, რომ „პრეზიდენტის სიკვდილამდე მის გვერდით მყოფმა ადამიანებმა მასთან ერთად შექმნეს ის იდუმალი ლეგენდა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იარსებებს.“

ცხადია, აქ ისმება კითხვა, რას გულისხმობს ამ ლეგენდაში ბ. გუგუშვილი? რატომ იქცა წინასწარგანზრახულ თავსატეხად ზ. გამსახურდიას

სიკვდილი? მაინცდამაინც ასეთ სიკვდილს უნდა ექცია პირველი პრეზიდენტი ლეგენდად?

3. ზ. გამსახურდიას თვითმკვლელობის მთავარი მოწმე ბ. გუგუშვილია, რ. მარგველანთან, ბ. გვანცელამესთან და ცოლ-ქმარ ღურწკაიებთან ერთად. თუმცა არცერთს არ დაუნახავს, როგორ აიღო პირველმა პრეზიდენტმა იარაღი და მოიკლა თავი. ამ თვითმკვლელობის მომენტს არც თვითმხილველი ჰყავს და არც მოწმე, იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ იმ ღამეს მათ ღრმად ეძინათ, უფრო ზუსტად საგანგებოდ დააძინეს.

4. 2004 წელს გუგუშვილის მონაწილეობამ სატელევიზიო გადაცემაში, რომელსაც ერთი შეხედვით სიცხადე უნდა შეეტანა ზ. გამსახურდიას მკვლელობის ისტორიაში, ახალ-ახალი კითხვები დაბადა და, შეიძლება, კიდევ უფრო გაამუქა ისედაც იდუმალებით მოცული საქმე. ბ. გუგუშვილი ცდილობდა ემტკიცებინა, რომ ის ბრაგვანის ხმამ გამოაღვიძა, თუმცა რატომ გაიგონა მან ბრაგვანის და არა გასროლის ხმა? რამ გაიღო ბრაგვანი? ძირს დავარდნილმა იარაღმა? თუმცა ის არ დავარდნილა და ხელში ეჭირა პრეზიდენტს მკერდის სიახლოვეს.

5. უცნაურად ჟღერს ბ. გუგუშვილის განცხადება იმის შესახებაც, რომ იარაღი „სტეკვინი“, რომლითაც პრეზიდენტმა თავი მოიკლა, საგულდაგულოდ გაწმინდეს, გაპოხეს და შეინახეს’.

ცხადია, გასროლილი იარაღი იყო ის სამხილი, რომელსაც ექნებოდა შერჩენილი თითის ანაბეჭდები და გამოდგებოდა, რომ დაცვას თავი გაემართლებინა.

სხვა მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს.

ამრიგად, პრეზიდენტის თანმხლები პირების განცხადებები ზ. გამსახურდიას სიკვდილის პროცესისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ ურთიერთგამომრიცხავია. ისინი უშვებენ, რომ მათი „დაძინება“ შესაძლებელი იყო და ქილერს შეეძლო განეხორციელებინა მიღებული „დავალება“. თუმცა, ფიქრობენ, რომ თუ ზ. გამსახურდია მოკლეს, რატომ არ მოხდა მათი „ლიკვიდაცია“? საქმე ისაა, რომ დაცვა და ოჯახის წევრები ცოცხლად უნდა დაეტოვებინათ და ამით გაემართლებინათ თვითმკვლელობის ვერსია. თუმცა, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, მათი ფიზიკური ლიკვიდაციაც მოხდებოდა.

- თქვენ ფიქრობთ, რომ ბ. გუგუშვილმა და დაცვის წევრებმა შეგნებულად უღალატეს პირველ პრეზიდენტს?

- არა. პრეზიდენტის დაცვის წევრები აღიარებენ, რომ ისინი არ იყვნენ პროფესიონალები, მაგრამ იყვნენ ერთგულები და არ უღალატიათ ზ. გამსახურდიასათვის.

ცხადია, ღალატს მათ არავინ აბრალებს. ამ ეტაპზე არც დგას მათი პასუხისმგებლობის საკითხიც. შეიძლება ვირწმუნოთ, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ, ხოლო მეტის გაკეთება აღემატებოდა დაცვის წევრების ცოდნას, ენერგიას და პროფესიონალიზმს.

სწორედ პროფესიონალიზმი აკლდა მათ მოქმედებას და ვერ წარმოედგინათ მოსალოდნელი საშიშროების უმძიმესი შედეგი. მით უმეტეს, რ. მარგვე-

ლანი შეკითხვაზე – „გამორიცხავთ, რომ თქვენ დაგადინეს, გაგთიშეს და პრეზიდენტი ვილადამ მოკლა?“ ასე პასუხობს: „სხვა ადამიანი, მკვლელი, იქ როგორ უნდა შემოსულიყო, არ ვიცი. არც ისაა გამორიცხული, რომ შესაძლოა, მოგვწამლეს კიდეც“.

- თუ თანამშრომლობდა კომისიასთან პრეზიდენტის ქვრივი მანანა არჩვაძე?

- რამდენადაც ინფორმირებული ვარ, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას საპარლამენტო კომისიასთან არ უთანამშრომლია.

- თქვენ პირადად საით იხრებით: მკვლელობა იყო ეს, თუ თვით-მკვლელობა?

- ჩემ მიერ მოძიებული უამრავი წყარო, დოკუმენტი, ინტერვიუ თუ სხვა ინფორმაცია, მაძლევს შესაძლებლობას, ვამტკიცო, რომ ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა.

- ჩანს თუ არა ზვიად გამსახურდიას სიკვდილში მაშინდელი ძალოვნების (კვირია, გულუა) ან პრეზიდენტ შვეარდნაძის კვალი?

- ეს და წინ დასმული შეკითხვა უნდა გავაერთიანო. საპარლამენტო კომისიას მე უკვე მივაწოდე საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა, რომელიც 238 გვერდს შეადგენს. ნაშრომი შვიდი თავისაგან შედგება, ერთვის დასკვნა და რეკომენდაციები, წყაროები, დოკუმენტები, ფაქტები, გამონათქვამები განსჯისათვის და გამოყენებული ლიტერატურა.

ამ საჭურნალო ინტერვიუში უბრალოდ შეუძლებელია ვრცლად შევხვით საკითხებს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-პატრიოტულ მოღვაწეობასთან. ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდთან, ემიგრაციაში ყოფნასთან, კვლავ საქართველოში ჩამოსვლასთან და მის ტრაგიკულ აღსასრულთან.

თუმცა, ერთი ცალსახად უნდა განვავრცო, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის მთელი საქმიანობა და მისი სიკვდილიც ე. შვეარდნაძის სახელთან არის გადაჯაჭვული.

- ამით რა გინდათ კონკრეტულად თქვით?

- რა გინდ პარადოქსულად ჩანდეს, ეს ორი პოლიტიკური მოღვაწე განგებამ მუდმივად ურთიერთშერკინებისათვის გააჩინა.

1973 წლიდან, როდესაც ე. შვეარდნაძე გახდა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მეთაური, მკვეთრად დაიწყო მისი დაპირისპირება ზვიად გამსახურდიასთან, რომლის ეროვნულ-დისიდენტური საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა შვეარდნაძის პარტიულ კარიერას, რის გამოც მისი უშუალო ჩარევით განხორციელდა ზ. გამსახურდიას სამსახურებრივი და მეცნიერულ-ლიტერატურული დევნა, რაც დასრულდა ზ. გამსახურდიას სამსახურიდან (ლიტერატურის ინსტიტუტიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან განთავისუფლებით, მწერალთა კავშირიდან გარიცხვით და საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლებით.

დისიდენტ ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ შვეარდნაძის ბრძოლა შემდგომში ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ ხელისუფლებაში გაგრძელდა,

რაც სახელმწიფო გადატრიალებით დამთავრდა და დიდი უბედურება მოუტანა საქართველოს, რომლის უმძიმეს შედეგებს დღესაც ვიმკით.

ე. შევარდნაძეს ემიგრაციაში მყოფი პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგაც არ შეუწყვეტია ბრძოლა. ის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოგვარების ზვიად გამსახურდიასეული გეგმის წინააღმდეგაც გამოვიდა, ხოლო შემდგომ, ნებსით თუ უნებლიეთ გახდა ზ. გამსახურდიას ფიზიკური განადგურების ორგანიზატორი.

- **ბატონო იგორ, თქვენ ე. შევარდნაძეს უმძიმეს ბრალდებებს უყენებთ.**

- იმ დროისათვის ე. შევარდნაძის კარიერას ორი პოლიტიკური მოღვაწე შეიძლება დამუქრებოდა – ზვიად გამსახურდია და ჟიული შარტავა. შევარდნაძემ ჟ. შარტავა ცეცხლმოკიდებულ ქალაქში შეატოვა მტერს; ზ. გამსახურდია სრული ლეგიტიმაციის მქონე პრეზიდენტი იყო და მისი სიცოცხლის პირობებში შევარდნაძე ვერ იქნებოდა ლეგიტიმური ხელისუფალი. მით უმეტეს, ის შემოფოთებული იყო ბ. ელცინის შემოთავაზებული წინადადებით. დასავლეთ საქართველოში ძალაუფლებას ზ. გამსახურდია უნდა დაუფლებოდა, აღმოსავლეთში – შევარდნაძე.

- **როდის დაიწყო კონკრეტული ღონისძიებები ზ. გამსახურდიას გასანადგურებლად?**

- 1993 წლის 25 ოქტომბერს შევარდნაძემ უკვე კონკრეტული მითითება მისცა ძალოვან უწყებებს, გაენადგურებინათ ზ. გამსახურდია და ლ. ქობალია. გენერალური პროკურორის მიერ გაიცა ორდერი მათი დაპატიმრების შესახებ.

ქვეყნის ხელისუფლების მიერ წარმართული სადამსჯელო ღონისძიებები ზ. გამსახურდიას და მისი თანამოაზრეების მიმართ 1993 წლის 25 ოქტომბრიდან 1993 წლის 31 დეკემბრამდე ტყუპის ცალივით ჰგვანან ერთმანეთს. ამ თვალსაზრისით, ერთიანი იდეოლოგიის შემცველია შევარდნაძის გამოსვლები, სიტყვები, დადგენილებები თუ რადიო ინტერვიუები.

ეს იყო პუტჩისტური სისხლიანი იდეოლოგიის გაგრძელება და მთლიანად იმეორებდა იმ აზრებით კამპანიას, რომელიც ზ. გამსახურდიას დახობიდან და განსაკუთრებით შევარდნაძის ჩამოსვლიდან დაიწყო საქართველოში. ზ. გამსახურდიასთვის საქართველო სამშობლო იყო, შევარდნაძისათვის – ტერიტორიული ერთეული.

ვფიქრობ, შევარდნაძის ხელმძღვანელობით შემუშავდა ერთადერთი ყველაზე ოპტიმალური, ყველაზე მომგებიანი და უმტკივნეულო ვარიანტი – თვითმკვლელობა.

დღეისათვის ყველა მონაცემი არსებობს, ვამტკიცოთ, რომ შევარდნაძე იყო ზ. გამსახურდიას დევნის და მკვლელობის ორგანიზატორი, რომელიც განახორციელეს შ. კვირიაამ, ა. იოსელიანმა და გ. გულუამ.

- **საერთოდ, როგორია ხელისუფლების მეთაურების დანაშაულთან დაკავშირებით მსოფლიო სამართლებრივი კულტურა?**

ბევრ ქვეყანაში ყოფილი პრეზიდენტები თუ მთავრობის მეთაურები სამართლებრივ ჩადენილი დანაშაულისათვის. მაგ.: გაასამართლეს ჩილეს ყოფილი პრეზიდენტი პინოჩეტი, სამხრეთ კორეის ორი ექსპრეზიდენტი, ინ-

დონეზის ექსპრეზიდენტი სუხარტო, გერმანიაში იმეზნებოდა ჰონეკერი, ბულგარეთში დაიწყო ჟივკოვის, უკრაინაში კი კუჩმას საქმის გამოძიება და სხვ.

მსოფლიო ითხოვს, რომ პრეზიდენტებმაც აგონ პასუხი დანაშაულისათვის. არ შეიძლება პრეზიდენტის დანაშაული განვიხილოთ, საზოგადოებისა და ხალხისაგან მოწყვეტით. ამ თვალსაზრისით, საქართველოს სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის საქმიანობა უთუოდ გამოსაძიებელია და სასამართლოს განსჯის საგანი უნდა გახდეს.

რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, ის გამარჯვებისათვის მებრძოლი და პატრიოტი იყო. მას ეკუთვნის ხუთიათასწლოვანი მრავალტანჯული და ტკივილგამოვლილი ქართველი ერის სიცოცხლის ფორმულა. ეს არის მისი ფრაზა: „ყოველთვის წინ წასვლა სჯობს... ყოველ თაობას სჭირდება მაგალითი უთანასწორო ომში დაცემული სიცოცხლისა, რათა მომავალმა ბრძოლაზე არ აიღოს ხელი“.

- რა იურიდიული გაგრძელება ექნება თქვენი კომისიის დასკვნას? ხომ არ შემოიღება იგი, სხვა საქმეების მსგავსად, ჩვენი სამართალდამცავების მაღალ თაროზე?

- დღეს საზოგადოებისათვის ბევრი რამ ნათელია, რაც ისტორიულ, პოლიტიკურ და სამართლებრივ აუცილებლობად ხდის საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის ფაქტზე დაიწყოს ახალი პროფესიონალური გამოძიება. უნდა დაიკითხონ ე. შევარდნაძე, თ. სიგუა, თ. კიტოვანი, ი. გიორგაძე, ა. მარგანი, ა. ბალუაშვილი, გ. ლომინაძე, ჯ. ბაბილაშვილი, ა. გოგელია, ი. ბათიაშვილი, თ. ხაჩიშვილი, ზუგდიდის, წალენჯიხის, გალის, ხობის, ჩხოროწყუს, მარტვილის, სენაკის და ქალაქ ფოთის გამგეობის, უშიშროების სამსახურის და პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელები.

ზ. გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებათა შემსწავლელი საპარლამენტო კომისია უნდა ჩამოყალიბდეს საგამოძიებო კომისიად, რომელმაც უნდა შეისწავლოს 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალების და 1992-1995 წლებში მიმდინარე სხვა სამხედრო მოქმედებები კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ და შეაფასოს ის, როგორც ანტიკონსტიტუციური, ანტიეროვნული და ანტიდემოკრატიული კამპანია ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

საგამოძიებო კომისიამ უნდა წარმოადგინოს მასალები ქვეყნის პირველი პრეზიდენტის სიკვდილის მიზეზების, ასევე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ წამებისა და სხვა უკანონო ზემოქმედების გამოყენებისა და გამოძიების შედეგების შეგნებულად გაყალბების შესახებ.

საგამოძიებო კომისიამ უნდა იმსჯელოს 1992-1995 წლებში მშვიდობიანი მიტინგებისა და დემონსტრაციების დარბევის საქმეებზე, რასაც თან სდევდა ადამიანების სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება; ასევე მსჯელობის და შეფასების საგანი უნდა გახდეს 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალებისა და 1992-1993 წლებში დასავლეთ საქართველოში წარმოებული სამხედრო მოქმედებები, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე წარმოებული სამხედრო მოქმედებების დროს ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულებები, რამაც გამოიწვია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

საგამომიებო კომისიის არეალში უნდა მოხდეს შევარდნადის რეჟიმის დროს დევნილი პოლიტიკური მოღვაწეების რეაბილიტაციის პრობლემა. სრული ნონსენსია ის, რომ ადამიანები, ვინც კანონიერი ხელისუფლების დასაცავად იბრძოდნენ შევარდნადის დიქტატურის წინააღმდეგ, დღემდე ითვლებიან მოღალატეებად და იხდიან სასჯელს.

საგამომიებო კომისიამ უნდა წარმოადგინოს მასალები ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული იმ უმძიმესი დანაშაულების შესახებ, რომლებიც ახლაც კვლავ თაროებზეა შემოდებული, ასევე პოლიტპატიმრების წამებისა და მათი საქმეების შეგნებულად გაყალბების საქმეები. ამავე კონტექსტში გამოსაძიებელია ყოფილი პრეზიდენტის ე. შევარდნადის თანამონაწილეობა ამ დანაშაულებში.

კიდევ ერთხელ გიდასტურებთ, რომ დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნა გვაძლევს სრულ საფუძველს ვილაპარაკოთ ე. შევარდნადის აშკარა მონაწილეობაზე პირველი პრეზიდენტის ფიზიკურ განადგურებაში. სწორედ, იმ პერიოდში ქვეყნის დეფაქტო მმართველის მითითებით, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, დევნილ პრეზიდენტს რამდენჯერმე წაუყენეს საქართველოს დატოვების ულტიმატუმი. მას ქვეყნის ტერიტორია ვერტმფრენით ან წითელი ხიდის გავლით უნდა დაეტოვებინა. თუმცა მანამდე, დაახლოებით 16-17 ნოემბერს, სოფელ ოჩვინარეში შედგა ზ. გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის გეგმა. აქ შეკრებილ ადამიანთა შორის იყვნენ ბადრი ზარანდია, ზურაბ შონია, ძმები გია და გოჩა სარიები, გოჩა ხარებავა, ბეჟან წურწუმია და სხვები.

მოღალატეთა ეს ჯგუფი ცდილობდა ბოლომდე მიეყვანა მიღებული დავალება, და როდესაც ვერ შეძლეს მიეღოთ ზუსტი ინფორმაცია პრეზიდენტის გადაადგილების შესახებ, სასტიკად გაუსწორდნენ მასპინძელი ოჯახის უფროსს, უსინათლო მოხუც კაცს და მისი 13 წლის შვილიშვილს.

ცხადია, 1994-2003 წლებში აღნიშნული საქმის გამომიების პოლიტიკური ნება არ არსებობდა, ამიტომ საგამომიებო, კრიმინალისტური და სხვა თვალსაზრისით ბევრი საჭირო მასალა განადგურებულია. მომხდარი დანაშაულის უშუალო შემსრულებლების და თანამონაწილეების უმრავლესობა ლიკვიდირებულია ან გარდაცვლილი.

- როგორც ცნობილია, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საკითხთა შემსწავლელ საპარლამენტო კომისიას ე. შევარდნადის დასაკითხად მომზადებული ჰქონდა კითხვები, რატომ არ მოჰყვა მას შემდგომი რეაქცია?

- გეთანხმებით. კითხვები არსებობდა, მაგრამ ე. შევარდნადემ არ ინება პარლამენტში მობრძანება და პასუხის გაცემა, თუმცა მოგვიანებით მან პასუხი გასცა კითხვებს. ე.წ. „დაკითხვის ოქმი“ გახდა პუბლიცისტ გიორგი მამაცაშვილის საავტორო რუბრიკა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს არ იყო გულწრფელი პასუხები და ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ბურუსი, რომლის კვალს შევარდნამდე მივყავართ სრულებით არ გაფანტულა. მოხდა პირიქით, შევარდნამდე თავისთვის ჩვეული ცინიზმით, მიკიბზ-მოკიბვით, ისტორიული ექსკურსებით, ირონიით და სიცრუით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სამეგრელოს ტყეებში გახიზნულ პირველ პრეზიდენტს ეძებდნენ, დევნიდნენ შოთა კვირიაას, ავთანდილ იოსელიანის და გია გულიას შეიარაღებული რაზმები.

სხვათა შორის, მის ორპირობას საზღვარი არა აქვს, ჯერ თავისუფლად შეუძლია ზ. გამსახურდიას „სამშობლოს მოღალატე და მტერი“ უწოდოს, შემდეგ კი ქება-დიდება არ დააკლოს „საქართველოსთვის თავდადებულ წმინდანად“ და „ერის გამორჩეულ შვილად“ გამოაცხადოს. უთვალავჯერ დაიბეჭდა ქართულ თუ უცხოურ პრესაში მითი მისი და დიდი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას განუყრელი მეგობრობის შესახებ, ე. შევარდნაძე მუდმივად გვახსენებს, რომ კ. გამსახურდია მას გიორგი ბრწყინვალეს ადარებდა და აღფრთოვანებული იყო მისი მამაცობით და სხვ.

გაორებულობა იქცა შევარდნაძის პიროვნული და პოლიტიკური საქმიანობის მახასიათებელ თვისებად. მას სურს ერთდროულად იყოს ბნელი და ნათელი, ღამე და დღე, კეთილი და ბოროტი, მისთვის მიჯნის ცნება არ არსებობს.

- ბატონო იგორ, ბოლოსდაბოლოს რა მოელის ე. შევარდნაძეს? მოხდება თუ არა რეალურად მისი საგამოძიებო დაკითხვა და გასამართლება?

- თუ ვიფიქრებთ, რომ ე. შევარდნაძე, როგორც თვითონ აცხადებს, მართალი კაცია და სუფთა აქვს სინდისი სამშობლოს, ქართველი ერისა და ზვიად გამსახურდიას წინაშე, რა უნდა ვუყოთ ფაქტებს, – კანონიერი პრეზიდენტის ქვეყნიდან განდევნას, მასზე, როგორც სამშობლოს მოღალატეზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, მხედრიონელების მიერ მისი თანამოაზრეების ოჯახების აწიოკებას და დაყაჩაღებას, უდანაშაულო ადამიანების დახვრეტას, პატრიოტი პრეზიდენტის სამშობლოს მტრად გამოცხადებას, მის წინააღმდეგ არაადამიანური პირობების და ფსიქოლოგიური ფონის შექმნას და ა.შ.

თუ დავუშვებთ, რომ პირველმა პრეზიდენტმა მართლაც თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე, განა მაშინდელი ხელისუფლების და მისი მეთაურის ე. შევარდნაძის მხრიდან მორალური და ფსიქოლოგიური ტერორის შედეგად, ზ. გამსახურდიას თვითმკვლელობამდე მიყვანა დანაშაული არ არის და რატომ უნდა დარჩეს ის სასამართლო რეაგირების გარეშე?

- კონკრეტულად რას ითხოვთ?

- ბევრ არაფერს. 85 წლის მოხუცის ციხის საკანში მოთავსების მომხრე არა ვარ, მაგრამ შევარდნაძე, როგორც XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი „სირცხვილი“, უნდა დაისაჯოს სამოქალაქო განაჩენით - თავისი ცრუ მემუარების, გამოსვლების, ინტერვიუებისა თუ სხვა დოკუმენტების თავზე გადახვევით.

ე. შევარდნაძის „სხვანაირი დასჯა“ გამორიცხებულია. მას მიღებული აქვს ხელშეუხებლობის გარანტია დასავლეთისაგან თვითონ აცხადებს, რომ მას ვერ დაკითხავენ და ჩვენმა ხელისუფლებამ ეს უნდა შეასრულოს. საინტერესოა, ეს „ხელშეუხებლობის გარანტია“ ვის მიერ არის გაცემული, ასეთი რამ მსოფლიო საერთაშორისო სამართალში არ არსებობს.

ესაუბრა პროფ. ედიშერ გვენეტაძე



did arqitekturas gonieri da SorsmWretel i dankveTebi qmian

(ინტერვიუ სტუ-ს არქიტექტურული გეგმარების მიმართულების
ხელმძღვანელთან, რუსთაველის პრემიის ლაურეატთან,
სრ. პროფ. ვახტანგ დავითაიასთან)

- ბატონო ვახტანგ, ინერვიუს ჩამორთმევა ისეთ დიდებულ პიროვნებასთან და პროფესიონალთან, როგორც თქვენ ზრძანდებით, მერწმუნეთ, დიდი სიამოვნებაა. დედაქალაქში არსებული არქიტექტურული პრობლემები დიდი ხანია გასცდა არქიტექტორთა თვალსაწიერსა და არქიტექტურულ სივრცეს. თქვენ, როგორც ამ საქმის დიდოსტატი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, როგორ შეაფასებდით ჩვენს ქალაქში მიმდინარე აღმშენებლობით პროცესებს? მხედველობაში მაქვს თუნდაც გმირთა მოედანი ხსოვნის ობელისკით, ტრასა "შზიურზე", საერთოდ, "შზიურის" ბედი, "მშვიდობის ხიდი"... სხვაა ჟურნალისტის თუ მოქალაქის ხედვა, სხვა - პროფესიონალის...

- როგორც ობივატელს, მოქალაქეს, მე ტრასაც მომწონს და "გმირთა მოედანიც" („მოედანი“ უკვე პირობითი სიტყვაა), რა ჯობია იმას, შინ 10-15 წუთით ადრე მიხვალ, ხოლო გმირთა მოედანს მშვიდობით გააღწევ. მაგრამ პროფესიონალმა უნდა დაინახოს არა მხოლოდ ფაქტი, არამედ მოვლენა მთლიანობაში... დავიწყებ იმით, თუ რამ გამოიწვია ეს მასშტაბური, ძვირადღირებული ღონისძიებები, იქნებ შეიძლებოდა ისინი არ ყოფილიყო? ბოლო ოცი წლის მანძილზე, ფაქტობრივად გენერალური გეგმის გარეშე, ქალაქში სტიქიური იმპულსურ-მერკანტილურ საფუძველზე მშენებლობის პირობებში მოხდა ქალაქის არსებული ქსოვილის არნახული გადატვირთვა. ჩინოვნიკებმა და მენაშენებმა დიდი მოგება ნახეს, რაც ახლა ხალხს, ქალაქის ბიუჯეტს დააწვა ტვირთად. ქალაქმშენებლობა ზუსტი მეცნიერებაა, ქალაქმშენებლობა ზუსტ გათვლებს ექვემდებარება, ის, რაც ამ გადატვირთვის შედეგებმა გამოიწვიეს, სავსებით პროგნოზირებადი იყო, ამაზე არა ერთხელ დამიწერია და მითქვამს, მეც და ჩემს კოლეგებს, მაგრამ, როგორც წესი... "ქარავანი მიდის"... დღეს რუსეთის ხსენება დადებით კონტექსტში არამოდურია, მაგრამ ერთ მაგალითს მაინც მოვიყვან: მოსკოვის, ამ გიგანტი ქალაქის, მთავარი არქიტექტორის სამსახურში მხოლოდ 50-მდე თანამშრომელია, სამაგიეროდ, მათ უკან დგას 850 სხვადასხვა დარგის სპეციალისტისაგან შემდგარი გენგეგმის ინსტიტუტი, რომელიც ფლობს ყველა მასალას ქალაქზე - გეოლოგიურს, ტოპოგრაფიულს, დემოგრაფიულს, ეკოლოგიურს, ეკონომიკურს, საინჟინრო ქსელებს და სხვა. მსგავსი ინსტიტუტები თუ დეპარტამენტები მთელს მსოფლიოში სახელმწიფოს ბიუჯეტზეა. ქალაქის გენგეგმაზე მუშაობა უწყვეტად მიმდინარეობს, რათა ქალაქს პასუხი ყველა გამოწვევაზე ჰქონდეს.

“თბილქალაქპროექტში” არსებობდა გენგეგმის განყოფილება, რომელიც ფლობდა დიდ მასალას ქალაქზე, ლაპარაკი იყო ამ განყოფილების ინსტიტუტად გარდაქმნაზე, მაგრამ მოხდა პირიქით, რაც იყო, ისიც გააუქმეს, ახლა ყველაფერი თავიდანაა დასაწყები.

- როგორ გგონიათ, თბილისის გენგეგმა რომ ჰქონოდა, ეს სირთულეები არ იქნებოდა, რაიონები არ გადაიტვირთებოდა და ასეთი ძვირადღირებული სატრანსპორტო კვანძის და ტრასის აუცილებლობა არ იქნებოდა?

- თუ მხედველობაში მივიღებთ თავად ხელისუფალთა ხაზგასმულ არაკანონმორჩილებას, იქნებოდა თუ არა გენგეგმა, ამით ბევრი რამ არ შეიცვლებოდა. უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებამ უნდა სცეს პატივი კანონს, მხოლოდ ამის შემდეგ ექნება მას მორალური უფლება მოსთხოვოს კანონმორჩილება ხალხს. ყველა ნებართვა ამ ობიექტების მშენებლობაზე გაცემულია თბილისის მერიის მიერ სხვადასხვა პერიოდში. უსამართლობა იქნება შექმნილი მდგომარეობა მხოლოდ დღევანდელ მერიას მივაწეროთ. ეს კრიზისი ეტაპობრივად ყალიბდებოდა, ახლა დადგა პიკის პერიოდი.

- რაში ხედავთ გამოსავალს?

- კაპიტალი, ფული, იმდენად ძლევამოსილია და იმდენად ბევრია თანამედროვე მსოფლიოში, მის ნებას ვერავინ ვერ აღუდგა წინ. ერთადერთი ძალაა სწორი ალტერნატივა. ქალაქმშენებლობაში ეს ალტერნატივა ქალაქიდან გასვლაა, ახალი საცხოვრებელი თუ საქმიანი უბნების მშენებლობაა, როგორც ეს გააკეთა პარიზმა, პრალამ, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, ევროპის რიგმა ქვეყანამ. თუ არ მოხდება თვისობრივი ცვლილება ქალაქმშენებლობისადმი დამოკიდებულებაში, სირთულეები კიდევ უფრო საგრძნობი გახდება. ხვალ, ზეგ, გმირთა მოედნის მსგავსი სატრანსპორტო კვანძების აუცილებლობა დადგება კიდევ რამდენიმე ადგილას, პრობლემა საბოლოოდ მაინც ვერ გადაწყდება.

ყველა დიდი თუ მცირე ქალაქმშენებლობითი პრობლემა უნდა გადაწყდეს გენგეგმის ინსტიტუტში, სპეციალისტებმა, ალტერნატიული ვარიანტებით და არა ჩინოვნიკების კაბინეტებში. ახლა იმაზე, თუ რამდენად პროფესიულადაა გადაწყვეტილი თავად პრობლემა? მიმაჩნია, ტრასა „მზიურზე“ უნდა ყოფილიყო გაყვანილი ესტაკადის პრინციპით, კონსოლებზე, ამ პრინციპით მივიღებდით საინტერესო საინჟინრო ნაგებობას (სხვათა შორის, ამის კარგი მაგალითია გმირთა მოედნის ესტაკადები), რაც იმავდროულად მდინარე ვერეს ორივე მხარის მთელი ფრონტით ურთიერთშედევას უზრუნველყოფდა. დღეს ქალაქის ორი სამკილომეტრიანი ნაწილი ფაქტობრივად მოწყვეტილია ერთმანეთს. დიახ, ესტაკადა უფრო ძვირია, მაგრამ ურბანულად, ეკოლოგიურად, ესთეტიკურად მნიშვნელოვნად ღირებული ქალაქისათვის.

მეორე: მსოფლიო პრაქტიკაში ვერ ნახავთ ისეთი ბარბაროსული დამოკიდებულების მაგალითს, როგორც ეს მოხდა მდ. ვერასთან მიმართებაში, მისი დიდი ნაწილის გადახურვით. ვერე, ფაქტობრივ, დასამარებულია. მართალია, გლობალური ეკოლოგიური პრობლემების კონტექსტში, რომელიც თანდათანობით გადის რეგულირების სფეროდან, ვერეს დასამარება ზღვაში წვეთია, მაგრამ ამ წვეთში ნათლად ჩანს საქართველოს ეკოლოგიური

სამსახურის უსუსურობა და ერის ეკოუკულტურობა – ვერესადმი თბილისელთა არცთუ დიდი სიმპათიები, მდინარის, წყლის ბრალი ნამდვილად არ არის, არამედ ჩვენი დაბალი ყოფითი კულტურის, მაგრამ ასე ხომ არ გაგრძელდებოდა მუდამ. ვერე შეიძლება გამხდარიყო სარეკრეაციო სივრცის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, ასეთად მოიაზრებოდა ის „მზიურის“ გენერალური გეგმით, სანამ თბილისის საკრებულო მის მნიშვნელოვან ნაწილს სარეკრეაციო ზონის სტატუსს არ ჩამოართმევდა (7 ოქტომბერი, 2005 წ.). ვერეს ასეთი მასშტაბური გადახურვა არათუ არაპროფესიონალიზმია, არამედ დანაშაული. თურმე, ეკოლოგიური სამსახური აპირებს მისდიოს კვალში მანქანებს და იქიდან გადმოგდებული სიგარეტის ნამწვისათვის მძლოლი უმკაცრესად დასაჯოს, მაგრამ ბუნებისადმი, ლანდშაფტისადმი ასეთი ბარბაროსული დამოკიდებულება შეუმჩნეველი დარჩა, მათ ასევე ვერ შეამჩნიეს ქალაქის ცენტრში, ცირკის უკანა მხარეს 300 მეტრის სიგრძეზე კლდის მასივის ჩამოთლა, რათა ლანდშაფტი პროექტისთვის მოერგოთ. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „მზიურის“ ტრასის პროექტი, რომელიც ფართოდ იყო რეკლამირებული და რომელიც დღესაც შემორჩა ბილბორდებზე, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რაც რეალურად მივიღეთ. პირვანდელი პროექტით ვერე შედიოდა გვირაბში, მხოლოდ ტრასის თავში და ბოლოში, გმირთა მოედანთან და თამარაშვილის ქუჩასთან, მათ შორის ერთი სატრანსპორტო ხიდი (ჩიქოვანის ქუჩის ბოლოს) და ხუთი საცალფეხო ხიდი თუ მიწისქვეშა გადასასვლელი იყო დაგეგმილი, ვერე კი თავის კალაპოტში, ღიად მიედინებოდა. როგორც ჩანს, პროექტმა მუშა სტადიაში ცვლილება განიცადა და მოხდა მდინარე ვერეს დიდი ნაწილის გაუჩინარება – დღეს მისი ორი ნაპირი მხოლოდ ერთი სატრანსპორტო ხიდით და ერთი ვიწრო, ბნელი გასაძრომი გვირაბით უკავშირდება ერთმანეთს. – „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია“. თამაზ შილაკამე ჩემი მეგობარია, არც მის პროფესიონალიზმში შეიძლება ეჭვის შეტანა. კარგი იქნებოდა, მას არ დაავიწყებოდა ყველა დროის ჭეშმარიტება, ისტორიის სამსჯავროს პირისპირ რჩება მხოლოდ ავტორი, დანარჩენი, ვინც მას კომპრომისები (არ მინდა ვთქვა დანაშაული) ჩაადენინა, ისტორიას არ აინტერესებს.

სადღაც წავიკითხე, მზიურში მოუწვევიათ ამერიკელი „ლანდშაფტური არქიტექტორი“. ეს ცინიზმია, ბედის ირონიაა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ვაკიდან „მზიურის“ ჩამოსასვლელის მონაკვეთი, ასევე მთლიანად დაგეგმარების კონცეფცია, ტრასირება, ლანდშაფტური არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშია, პროფესიონალიზმის, დახვეწილი გემოვნების, რელიეფის შეგრძნების, მისადმი მოწიწების ნიმუში. აქ ყველაფერი ზუსტია, მოქანდაკე **გია ჯაფარიძის** არლექინოც, „ჭიშკარიც“ და, რა თქმა უნდა, **მერაბ ბერძენიშვილის** ბრწყინვალე, მრავალფეროვანი კომპოზიცია – „ბებია, ილიკო და ილარიონი“, მარტო ბროწეულის „სვეტი“ წყაროთი, რად ღირს! ასევე კონტექსტშია პოსტ-მოდერნისტული საბავშვო კაფე და სხვა „მცირე არქიტექტურა“. კიდევ ერთი რამ, რომელსაც პირდაპირი ახსნა არა აქვს, ის გრძნობისმიერია, მთელი „მზიურის“ ზედა ნაწილის გეოპლასტიკა, გრაფიკა, საოცრად ქართულია, ქართული ცეკვითა და სიმღერით, ქართული ხასიათით ნასაზრდოები. გაიგებს ახ-

ლა ამას კორეელი ან ნაუროელი არქიტექტორი? გრძნობის ხუთივე ორგანო ამოჭრილი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ვერ შეიგრძნოს ეს მშვენიერება. მისი შემქნელები, ღვთის წყალობით, ცოცხლები არიან და ამ ქალაქში ცხოვრობენ. ამაზეა ნათქვამი „თურაშაულის პატრონიო...“

გმირთა მოედანზე „ხსოვნის მემორიალის“, საზოგადოებისათვის ამ სახელწოდებით „შეთავაზება“ შეურაცხყოფელია. მას არ გააჩნია არც „ხსოვნის“ და არც „მემორიალის“ არც ერთი ნიშანი. სჯობდა პირდაპირ ეთქვათ, ღამის ორიენტირიაო, ან უბრალოდ, ავტორის ამბიციასო. ქართველების უკიდევანო სტუმართმოყვარეობის ამბავი რომ ვიცი, ამასაც გაგებით მოვეკიდებოდით, შევუნდობდით.

მენაშენე მაინც მენაშენეა და მას მაქსიმალური მოგება აინტერესებს. მაგრამ სწორი პოლიტიკის შემთხვევაში შეიძლება შეთავსდეს ორივე მხარის საზოგადოების (ქალაქის) და ინვესტორის ინტერესები. ჩვენი ხელისუფლებისგან ჯერჯერობით კაპიტალისადმი მხოლოდ მორჩილებას ვხედავთ. ოღონდ ინვესტორი შემოვიდეს და რაც უნდა, ის გააკეთოს. ამის მაგალითად სანაპიროზე „პარკ ჰაიატის“ მშენებლობა გამოდგება. იქ მთელი მთა მოჭრეს, მაშინ როდესაც ქართველ არქიტექტორებს ერთი ალვის ხის მოჭრას არ გვპატიობენ. ეს წარმოუდგენელი ბარბაროსობაა, არაპროფესიონალიზმი, ქალაქის და ქვეყნის უპატივცემლობა. სახეზეა ორმაგი დამოკიდებულება: ერთი ადგილობრივი არქიტექტორის მიმართ, რომელსაც არაფერს პატიობენ და მეორე – უცხოელის მიმართ, რომელსაც ყველაფრის უფლება აქვს. პროექტის დამტკიცების პროცედურაც განსხვავებულია. მთავარია, პრეზიდენტის კეთილგანწყობილება და მწვანე შუქი ანთებულობა.

არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი კანონია პროექტის რელიეფისადმი მისადაგება და არა რელიეფის პროექტისადმი. ის, რაც „პარკი ჰაიატის“ შემთხვევაში მოხდა, ეს ან პროფესიონალიზმის დეფიციტია, ან იმისა, რომ პროექტი შექმნილი იყო სხვა ლანდშაფტური სიტუაციისათვის და მოხდა მისი გადმოტანა სხვა გარემოში, ამაზე მეტყველებს თავად პროექტის არქიტექტურული უმისამართობა.

სახეზეა სრული ურბანული კრიზისი. ის შედეგია ბოლო ოცი წლის მანძილზე სასიცოცხლოდ აუცილებელი ქალაქმშენებლობითი წესების უგულვებელყოფის, წუთიერი მოგების, მერკანტილიზმის, ელემენტარული პროგნოზირების უუნარობის, ორგანიზაციული კუსტარულობის, ჩინოვნიკთა ყველაფრისმცოდნეობის, პიარის ნაცვლად ზუსტ გათვლებზე და მეცნიერულ კვლევებზე დამყარებული, ქალაქის, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის, პოზიციიდან გააზრებული გადაწყვეტილებისა.

ქალაქები უნდა გადაარჩინონ ურბანისტებმა, არქიტექტორებმა, სხვადასხვა დარგის ინჟინრებმა, ეკოლოგებმა, მეცნიერებმა – პროფესიონალებმა. ყველა ძალა უნდა გაერთიანდეს გენგემის გარშემო და გენგემისათვის და, რაც მთავარია, **დაუბრუნდეს არქიტექტურა არქიტექტორებს!**

- **რას იტყვით „მშვიდობის ხიდზე“, რომელმაც საზოგადოების არაერთგვაროვნად შეფასება გამოიწვია?**

- ხიდი ძვირადღირებული სიამოვნებაა და მას აგებენ აუცილებლობის შემთხვევაში და აუცილებელ ადგილას. ამ ადგილას საცალფეხო ხიდის არავითარი აუცილებლობა არ არსებობს, გარდა ზოგიერთების "თვალის სიამოვნებისა". აქ არ არის და არც იქნება ფეხით მოსიარულეთა ნაკადები. ხიდმა გადაფარა ისტორიულ ქალაქზე ულამაზესი ხედები, ხედი მეტეხზე, რომელიც გარემოს, ტაძრის და ქანდაკების ჰარმონიის მაგალითია. ხელისუფლება ვალდებულია გასცეს პასუხი კითხვას: რომელ კონკურსში გაიმარჯვა ამ პროექტმა, არსებობდა თუ არა დავალება პროექტირებისათვის, აქვს თუ არა ვინმეს გასცეს პირდაპირი დაკვეთა ასეთ ძვირადღირებულ ობიექტზე, ვინ იყვნენ ექსპერტები, რა წერია ექსპერტიზაში, რომელმა საბჭომ დაამტკიცა პროექტი, არსებობს თუ არა ისტორიული ნაწილის საბჭოს დასკვნა და სხვა.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვა, ეს ხიდი გაგრძელებაა იმ ალოგიკური დაუსაბუთებელი მშენებლობებისა, რაც არცთუ იშვიათობაა ჩვენს რეალობაში – აეროპორტამდე რკინიგზის ხაზის მიყვანა, რკინიგზის სადგურის შენობა, სამზერი კომპი რიყეზე, შადრევანი გმირთა მოედანზე, ლითონის გადასასვლელი ხიდები პროსპექტებზე, რომლითაც თითქმის არავინ სარგებლობს და სხვა და სხვა.

პროფესია "არქიტექტორი" გულისხმობს დაკვეთის არა ბრმად შესრულებას, არამედ არქიტექტორი ვალდებულია, მისცეს დამკვეთს პროფესიული რჩევა ობიექტის ფუნქციურ, ურბანულ მიზანშეწონილებაზე – არქიტექტორი, რომელიც ამას არ აკეთებს უბრალოდ უნამუსოა.

მაქვს შეკითხვა ხიდის ავტორთან, მისცემდა თუ არა ამას პროფესიული სინდისი უფლებას, თუკი ეს მხოლოდ მასზე იქნებოდა დამოკიდებული, ანალოგიური ხიდი გაეკეთებინა საკუთარ ქვეყანაში, ვთქვათ, რომში, მდინარე ტიბროსზე, ფლორენციაში მდინარე არნოზე ან ვენეციაში", კანაღე გრანდეზე"?

- **რა აზრისა ბრძანდებით დედაქალაქში მომრავლებულ მინის არქიტექტურაზე, რამდენად შეესაბამება ის თბილისის კლიმატურ პირობებს, ურბანულ გარემოს?**

- ბოლო წლებში თბილისის არქიტექტურაში მინის მოძალემა იგრძნობა. მსოფლიომ იცის არაკონტექსტური, უინტერესო შენობათა ფასადების რეკონსტრუქციის მაგალითები, მაგრამ საკითხავია, რატომ მაინცდამაინც მინით და არა სხვა მხატვრული ხერხებით, მით უმეტეს, რომ შენობის მინით შემოსვა, საერთოდ, "მინის არქიტექტურა" ძვირადღირებულია, რომ არაფერი ვთქვათ მუდმივ საექსპლუატაციო ხარჯებსა და ტექნიკურ სირთულეებზე, რასაც შენობის ხელოვნური მიკროკლიმატით უზრუნველყოფა ითხოვს.

ხელისუფლება მინას დემოკრატიის, გამჭვირვალობის, თანამედროვეობისა და პროგრესის სიმბოლოდ მიიჩნევს, რომელიც თავისთავად, პირდაპირ განაპირობებს, ერთი მხრივ, "სილამაზეს" და, მეორე მხრივ, ქვეყნის დემოკრატიულ იმიჯს. ყველაფერი ეს მცდარი და მოჩვენებითია. იმაზე არადემოკრატიული, იმაზე უკარება, იმაზე უხასიათო შენობა არ არსებობს, ვიდრე "ივერია" და "აჭარაა". შენობა შეიძლება იყოს დემოკრატიული და არც არადემოკრატიული, მაგრამ მინა, სამშენებლო მასალა, არ შეიძლება იყოს დემოკრა-

ტიული ან არადემოკრატიული, ისევე როგორც აგური და ბეტონი არ შეიძლება დემოკრატიული ან არადემოკრატიული იყოს. როგორ არის ესა თუ ის მასალა გამოყენებული, რა დოზითა და ხერხებით, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არქიტექტურას შეუძლია აქციოს შენობა დემოკრატიულად ან არადემოკრატიულად. ეს არქიტექტურის თვისებაა და არა მასალის.

- *თქვენ 50 წელია "წვრთნით" მომავალ არქიტექტორებს, ბუნებრივია გვინტერესებს თქვენი აზრი განათლების სისტემის რეფორმაზე, რამდენად ეფექტურია ის; 3-4 წელი საკმარისი უნდა იყოს დასკვნებისათვის.*

- სასკოლო განათლების ნიუანსებს ღრმად არ ვიცნობ, შვილიშვილები, ერთის გარდა, უკვე გავიდნენ სკოლის ასაკიდან, ნაბოლარა რომ ფორიაქშია ვხედავ. სასკოლო რეფორმას წარმატებულად ჩავთვლიდი, თუკი სკოლის პირდაპირი გაგრძელება იქნება უმაღლესი სკოლა რეპეტიტორის ინსტიტუტის გარეშე. რაც შეეხება დისციპლინას სკოლაში, ადმინისტრირებით მისი გაუმჯობესება არ მესახება ეფექტურად. როდესაც მასწავლებლები, მშობლები მოზარდს ერთს შთააგონებენ, ხოლო ტელევიზია, ინტერნეტი, ფეისბუქები საწინააღმდეგოს, დადებით შედეგზე საუბარზე კი ზედმეტია. დააკვირდით ჩვენს ტელეეკრანებს, პირველი 15 წუთი იმას უჩვენებენ, ვინ გააპატიურეს, ვინ მოკლეს, როგორ მოკლეს, დეტალურად აღწერენ სისასტიკეს, ყაჩაღობა, პროსტიტუცია, სასკოლო გარჩევები... რას გვამღვეს ამ ანონალიების ჩვენება, გარდა სასოწარკვეთილებისა? იქნებ ეს დრო გამოვიყენოთ სიკეთის, კეთილშობილების, დადებითის ჩვენებისათვის. ტელევიზია, ინტერნეტი გაცილებით დიდი ძალაა, ვინემ მშობლებისა და სკოლის შეგონება. დღევანდელი მოზარდი საბალახოდ მიშვებულ ძროხასა ჰგავს, ის თვითონ მოიპოვებს საკვებს. მასზე კონტროლის დაწესება ძნელია. მოზარდის აგრესიას, ასევე, ხელს უწყობს გარემო, მხედველობაში მაქვს სკოლის არქიტექტურა, ესთეტიკა. არქიტექტურისა და ადამიანის ქცევის ურთიერთმიმართების საკითხი მე ყოველთვის მაინტერესებდა, ვსწავლობდი ამ პრობლემას. სოფელ გავაზის სკოლამ მოსწავლის ქცევა-მოქცევაზე კიდევ ერთხელ დამარწმუნა, თუ რა დიდი გავლენა აქვს არქიტექტურულ სივრცეს – „ჩვენი სკოლა საოცრად ამაღლებულ განწყობას მიქმნის, ჩვენ ამაყები ვართ“, – ამბობს X კლასელი გოგონა. „მინდა უკეთესად ვისწავლო“, – ამბობს მეორე. „ჩვენი სკოლა გვირგვინად ადგას სოფელს“ – ამბობს მესამე. – განა ეს ცოტას ნიშნავს. დარწმუნებული ვარ, ამას არ იტყვის, ვერ იტყვის სოფელ ფუთის მოსწავლე, რომელიც სოფლის გაუქმებულ მაღაზიაშია შეყუჟული, არც სოფლების – ნოქალაქევის, არალის, ბიწმენდის, სამღერეთის, გუნდაეთის და სხვა მრავალი სკოლის მოსწავლეები, რომლებიც არა თუ არაჰიგიენურ, არამედ სიცოცხლისათვის საშიშ, კონსტრუქციულად არამდგრად სკოლებში სწავლობენ.

რაც შეეხება უმაღლეს სკოლას, საოცრად გაიზარდა ბიუროკრატია, წერა, მონაცემების კომპიუტერში შეყვანა და სხვა. ახალგაზრდა ზუსტად გრძნობს ტენდენციას - ამიტომ პირველივე კურსიდან ზრუნავს თავის CV-ზე, იცის, რომ რეალურ პროფესიონალიზმზე მეტად CV ფასობს. სასწავლო პროცესს დიდად უშლის ხელს მოტივაციის უქონლობა. ხელისუფლების ორიენტაცია „თერგდა-

ლელულობაზე” – თუ საზღვარგარეთ 1-2 წელი არ გისწავლია ან რაღაც კურსები მაინც არ გაგივლია, „სპეციალისტი“ არა ხარ. იცის ეს ახალგაზრდამ და თვალი გაქცევაზე აქვს, მაგრამ ეს ყველა მშობელს არ შეუძლია. დღეს რეალურ შედეგზე მეტად ასოკირკიტი ფასობს.

არ ვიცი, როგორაა სხვა პროფესიებში, არქიტექტურაში, იქნება ეს ამერიკა, ინგლისი, იაპონია თუ საქართველო, უმაღლეს განათლებამიღებულთა მხოლოდ 7-10 პროცენტი შემოქმედებითად აღიარებული, ცნობადი არქიტექტორი, დანარჩენები მინით მოსავენ კარკასს, ფონურ არქიტექტურას „ქმნიან“ ან არქიტექტურულ ბიუროკრატის წარმოდგენენ. ალბათ, ასევეა ყველა სახელოვნებო დარგში.

„ბოლონიის პროცესში“ იმდენი უსაგნო მოთხოვნაა, ხანდახან იფიქრებ, მის შემქნელებს უმაღლეს სკოლაში ერთი დღეც არ უმუშავიათ. მე ეს დოკუმენტი ორიგინალში არ წამიკითხავს, იქნებ სულაც ქართული ინტერპრეტაციაა ასეთი: ერთი კი ცხადზე ცხადია, არის მცდელობა გადავეჩვიოთ ტვინით ცხოვრებას, აზროვნებას და ვიცხოვროთ მხოლოდ დირექტივებით. შეიძლება დროს ჩამოვრჩი, ხანდახან ვფიქრობ, საერთოდ რა საჭირო იყო ეს პერმანენტული რეფორმა, რომლის დადებითი შედეგი ჯერჯერობით არა ჩანს. რაც დრო გადის, ვრწმუნდები „ბოლონიის პროცესს“, რასაც ეყრდნება დღევანდელი უმაღლესი განათლების რეფორმა, არ აინტერესებს შედეგი, მისთვის მთავარია პროცესის წარმართვის სიზუსტე.

როდესაც ვაანალიზებ და ვაფასებ განათლების სისტემის რეფორმის შედეგს, უპირველესად ყოვლისა, გამოვდივარ არქიტექტურული სწავლების სპეციფიკიდან.

განსხვავებით ტექნიკურ-ტექნოლოგიური სასწავლებლებისგან, სახელოვნებო სასწავლებლებში „სწავლის“ მეთოდი, პრინციპები საკმაოდ კონსერვატიულია. არა მგონია, რომ დიდი განსხვავება იყოს კონსერვატორებში მოცარტის პერიოდის „სწავლების“ (წვრთნის) მეთოდებსა და დღევანდელს შორის. ლაპარაკია პრინციპებზე, მეთოდებზე და არა ტექნიკურ და ორგანიზაციულ მხარეზე. არის ოსტატი, არის შეგირდი – ესაა წარმატების ფორმულა.

არა მგონია, დიდი განსხვავება იყოს ფერწერა-ქანდაკების სწავლებაში ფიდიასის, მიქელანჯელოს, როდენის პერიოდის და დღევანდელ სამხატვრო აკადემიებში. ლაპარაკია მეთოდზე და არა ინფორმაციისა და გამოცდილების სიჭარბეზე. კვლავ ვიმეორებ: არის ოსტატი, არის შეგირდი.

ასევე არა მგონია, პრინციპული განსხვავება იყოს არქიტექტურის სწავლების მეთოდებში, პრინციპებში რენესანსის, „ვხუტამასის“, „ბაუჰაუსის“ დღევანდელ არქიტექტურულ სკოლებს შორის. ისევ ლაპარაკია პრინციპებზე და არა პროექტირების ტექნოლოგიასა და საშუალებაზე.

„ბოლონიის პროცესის“ ერთ შედეგს მე ნათლად ვხედავ, სკოლა არ ცხოვრობს შემოქმედებითი ცხოვრებით, ჩვენ ვცხოვრობთ სტატისტიკის ცხოვრებით.

სასწავლო ხარისხისათვის უმნიშვნელოვანესია მოტივაცია, როგორც პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე სტუდენტებისათვის, რაც, სამწუხაროდ, დღეს არ არის.

უნდა იყოს თუ არა არქიტექტურის, ფერწერის, ქანდაკების, ბალეტის, მუსიკის, ფეხბურთის და ა.შ. "მასწავლებელი" იმავდროულად მკვლევარი, მეცნიერი? მასწავლებლობა და კვლევა ადამიანის მოღვაწეობის, მართალია, მახლობელი, მაგრამ განსხვავებული საქმიანობაა, განსხვავებულ ნიჭთან და უნართან დაკავშირებული.

რატომ ვაყენებ ამ საკითხს ასე მწვავედ? 2009 წელს, როდესაც ჩატარდა აკადემიურ თანამდებობაზე არჩევნები, ეს პრაქტიკოსი არქიტექტორები არც კი დაუშვეს კონკურსზე, რამაც შელახა მათი ღირსება და მატერიალურ მხარეზეც იმოქმედა. ნუთუ ვინმეს ჰგონია, ერთი საშუალო სიდიდის და სირთულის მოცულობითი ან ქალაქგეგმარებითი პროექტის შექმნა ნაკლებ კვლევას, ცოდნას და ინტელექტს ითხოვს, ვინემ აკადემიური დოქტორის ნაშრომი? ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორი, მრავალი პრემიის ლაურეატი შოთა ბოსტანაშვილი, რომელმაც შარშანწინ დაიცვა დოქტორის ხარისხი, ამით უკეთესი პედაგოგი გახდა, ან გივი შავდია, ნოდარ ბუზალაძე და პავლე ძინძიბაძე, სხვები და სხვები უკეთესი პედაგოგები იქნებიან დაცვის შემდეგ?... რამდენადაც ვიცი, გიორგი ჩუბინაშვილს, შალვა ამირანაშვილს, ვახტანგ ბერიძეს, ირაკლი ციციშვილს... არასდროს გამოუთქვამთ სურვილი არქიტექტურული პროექტირების, ხატვის, ქანდაკების სწავლებაზე, ისევე როგორც მიხაკო შავიშვილს, არჩილ ქურდიანს, გიორგი ლეჟავას, ლადო მესხიშვილს, შოთა ყავლაშვილს და სხვებს ხელოვნების ისტორიის კურსის წაკითხვაზე. პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, ხოლო წადი მეწაღემ უნდა კეროს. საჭიროა გონივრული მიდგომა, აქ დოგმატიზმი სარგებელს ვერ მოიტანს.

ხომ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რატომაა ბოლო 2-3 წელიწადი ასე მასიურად მისწრაფება კვლევისკენ, მეცნიერებისკენ, თანაც ადამიანებისა, რომლებსაც ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციებზე 10-20 წლის მანძილზე არა თუ სამეცნიერო მოხსენება, არამედ უბრალო ინფორმატიული გამოსვლა არ ჰქონიათ? ასეთი იძულებითი გამეცნიერება უდიდეს ზიანს აყენებს თავად მეცნიერებას, რომელსაც ისეთივე სპეციფიკური ნიჭი და თავდადება სჭირდება, როგორც არქიტექტურულ პროექტირებას. ნურავის ნუ ექნება ილუზია იმისა, რომ ამ სტიქიას შეაჩერებს სადისერტაციო საბჭო.

"ლირიკული" გადახვევა:

ნოდარ ბუზალაძე, მრავალი ლაურეატის აღმზრდელი, ორიგინალური ხედვის პედაგოგი, რომელიც ყოველი საკურსო პროექტირებისათვის სპეციალურად ემზადებოდა, ქმნიდა კომპოზიციის ესკიზებს, მაკეტებს, "კროკებს" სტუდენტებთან დიალოგისათვის, ამით ამძაფრებდა სტუდენტის ინტერესს, ორი წელია ამას არ აკეთებს, ზის და "წერას აუტანია" _ მუშაობს "სადოქტორო

შრომაზე“ იქნებ ვინმემ ამიხსნას, რა მოიგო ამით ქვეყანამ, სკოლამ, არქიტექტურამ?

სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში “მეცნიერი” გაიგივებულია საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვასთან, მოთხოვნები ამ ნაშრომებისადმი მნიშვნელოვნად განსხვავებულია დროსა და სივრცეში, განსხვავებულია საბჭოთა პერიოდის და დღევანდელი, ასევე განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნის მიდგომები “მეცნიერის” სტატუსისადმი. შეიძლება ვუწოდოთ ადამიანს მეცნიერი, რომლის მეცნიერება დაიწყო და დამთავრდა 30-40 წლის წინათ შესრულებული საკანდიდატო ნაშრომით? ასეთებიც ხომ მრავლად არიან.

გამომდინარე არქიტექტურული პროექტირების სპეციფიკიდან, მე ვერ ჩავნაცვლებ პრაქტიკოს არქიტექტორებს გ. გეგელიას, თ. გოგოლაშვილს, გ. მეტრეველს, ვ. გელაშვილს, ნ. ზუზალაძეს, ნ. ქვათელაძეს, ვ. ქობულიას, გ. შავდიას, პ. მინძიბაძეს, თ. ბოჭორიშვილს და სხვებს ვერცერთ “მეცნიერში” და პირიქით, ყველას თავისი ადგილი აქვს...

ისევე, როგორც დიდი პოეტი ვერ გახდები სხვა პოეტის ლექსების კვლევით, კარგი პრაქტიკოსი არქიტექტორი ვერ გახდები მეცნიერებით... ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პრაქტიკოს არქიტექტორს არ უნდა ჰქონდეს ფართო ტექნიკური და ზოგადი ჰუმანიტარული განათლება, გაუნათლებელი არც მსახიობი ვარგა, არც მხატვარი და არც არქიტექტორი. ხომ უაზრობა იქნებოდა აკაკი ხორავასათვის, დიმიტრი ალექსიძისათვის, ლადო გუდიაშვილისათვის, მიხეილ თუმანიშვილისათვის, დავით ანდღულაძისათვის პედაგოგიური მოღვაწეობის პირობად აკადემიური ხარისხის დაცვა მოგვეთხოვა?

აუცილებელია “ბოლონიის პროცესის” მისადაგება დარგების სპეციფიკაზე, როგორც ეს გააკეთეს სახელოვნებო სკოლებმა. ეს არქიტექტურის ფაკულტეტის და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მოვალეობაა, მით უფრო, რომ ერთსაც და მეორესაც არქიტექტორები ხელმძღვანელობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლეს მომავალში, ჩვენს არქიტექტურულ სკოლას მნიშვნელოვანი საკადრო პრობლემები შეექმნება. ის არაკონკურენტუნარიანი გახდება.

- ბატონო ვახტანგ, იმედს ვიტოვებ, ჩვენი საუბარი უკვალოდ არ ჩაივლის, თუ ახლა მას ვინმე ყურად არ იღებს, დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში თქვენი პროფესიონალური და პროფესიული ხედვა სასურველ მიზანს მიაღწევს.

- მეც ამის იმედი მაქვს. გმადლობთ.

ესაუბრა პროფ. ბადრი ცხადაძე



gaognebul i gagniZe

ჟურნალისტმა იუზა გაგნიძემ იმ დღეს გვიან გაიღვიძა.

„ჭკუა ვერ ვისწავლე. რას ვნერვიულობ და რისთვის ვტეხავ ღამეს. ჩემი გაჭირვება არ მეყოფა? ურუგვაი მეიგებს თუ პარაგვაი, რა ჩემი ჭკუის საქმეა. კისერი ერთს უტეხია და კინჩხი მეორეს“.

ტელევიზორი ჩართო და „მოამბეს“ მიუგულისყურდა, წესად ჰქონდა, პირველ რიგში „მოამბე“ უნდა ენახა. სწორედ რომ „მოამბე“ აძლევდა უხვ მასალას თავისი ცეცხლოვანი ინტერვიუებისა თუ ფელეტონებისათვის,

მსოფლიოში ხანძრების გარდა საინტერესო არაფერი ხდებოდა.

ჟურნალისტს გული დაწყდა.

„როგორც ჩანს, დღესაც სამტრედიის დატბორილ სოფლებზე უნდა დაწვერო. ნუთუ ერთი მიტინგი მაინც არ ჩატარდება სადმე. სად გაქრა ეს ხალხი“.

იუზა ოპოზიციონერი ჟურნალისტი იყო და, კაცმა რომ თქვას, ოპოზიციის გამარჯვება უნდა გახარებოდა, მაგრამ მთლად ასეც არ იყო საქმე. შარშან შიშით შესცქეროდა ოპოზიციის ლიდერების გაქცევ-გამოქცევას თბილისსა და ქუთაისს შორის.

„ვთქვით და გეიმარჯვეს ამგენმა, მერე რა ვქნა, რაზე ვწერო, ვინ ვლანძლო მეო. არადა მაქებარი ჟურნალისტი ვის რა ჭირად უნდა. დღეს, როცა ხელისუფლებას ტყავს ვაძრობ, ძლივს კითხულობენ ჩემს ნაწერს და მერე ვინდა წაიკითხავსო“.

არ სურდა, არა, იუზა გაგნიძეს, ხელისუფლების დამხობა, თუმცა მან არ იცოდა, რომ ხელისუფლებაზე გამარჯვება არც ოპოზიციის ბელადებს უნდოდათ.

ეს უკანასკნელნიც შეგუებულნი იყვნენ პწკენია ოპოზიციონერის უდიდპრეტენზიო როლს.

წვერი გაიპარსა, ფეხზე ისაუზმა. ერთ დროს გრძელკოზიროკიანი, აწ უკვე ბერეტად გადაკეთებული ბუკლეს ქუდი შუბლზე ჩამოიმხო, მინიჩანთა მაჯაზე ჩამოიკიდა და კარი გამოიტკაპუნა.

ცხელოდა, მაგრამ ხვამლიდან საწვიმარი ღრუბელი იშლებოდა და დაბლა იწევდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ნაშუადღევს გაწვიმდებოდა.

- ჭამე რამე? _ სასტუმროს წინ ფეხებწაჭრილ ტაბურეტზე მოკალათებული გერმონია ურია ყოველ დილით ერთსა და იმავეს ეკითხებოდა.

- ვითომ... წვევიჭამე რაცხა.

- მიწა ჭამა, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო.

- შენი მიკვირს, გერმონია. ქვეყანა გარბის. შენ რატო არ წახვედი ისრაელში?

- რა მინდა ისრაელში, დაგენაცვლე. ომი და უბედურობა მინდა ამ ხნის კაცს, მეე?

- რავა, ომი აქანა გაკლია? ხო ნახე შარშანწინ რო გადაგვიარა რუსმა.

- აქანა სხვა ომია, დაგენაცვლე. აქოური ომი დღენახევარში მთავრდება და ისრაელში ორმოცდაათი წელია ჭამენ ერთმანეთს. აქანა ჭოლია ებგვერადე თავისი თბილისელი სტუმრებით რესტორანში რო შევიდა საქეიფოდ, სანამ წამსვლელ-დამრჩომის სადღეგრძელოს დალევდნენ, ომი უკვე წაგებული გვქონდა.

იუზას გერმონია ურიასთან კამათი არ დაუწყია. ფეხსაცმლის მწმენდავს ყველაფერზე თავისი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული აზრი ჰქონდა.

თეთრ ხიდს რომ მიუახლოვდა, რიონს ჩახედა. ტალახისფრად მოშლი-გინებდა რიონი. წყალს კალაპოტი ამოევესო და სოლომონის სასახლის მოაჯირს ლოკავდა.

„რიონის ამნაირი გადარევა ოქტომბრის ბოლოსთვის არ მახსოვს. აპრილის წყალდიდობას ჰგავს. ბუნებაც ეირია ამ ბოლო დროს. როგორც ჩანს ზევით, შოვის მთებში, დიდი წვიმებია“.

ხიდის მოაჯირს თაფლისფერპლაშიანი ქალი დაყრდნობოდა და წყალს ჩასცქეროდა.

იუზას ერთი გამოხედა, რკინის ბადეში მარჯვენა ფეხი გაუყარა, აიწია და ...

- არ გადახტე! - დაიღრიალა იუზამ. ვეფხვის ნახტომით ქალთან გაჩნდა, ხელი სტაცა და მოაჯირს გამოარიდა.

- გამიშვი! გეხვეწები გამიშვი! მაინც გადავხტები! რა გინდა, რა ჩემდა ჭირად გამემეცხადე! _ სლუკუნებდა ქალი და დასხლტომას ლამობდა.

ოცდაათის არც იქნებოდა. გავემება და გაბრაზება საოცრად უხდებოდა. გაფართოებულ გუგებში მწყერისფერი თვალეები ხტოდნენ. საწვიმარზე ხორბლისფერი ხუჭუჭა თმა ჩამოშლოდა. ხან ერთ მაჯას ითავისუფლებდა, ხან მეორეს, უფრო ღონიერი ჩანდა, ვიდრე იუზას ეგონა.

- გამიშვი რა, გამიშვი, ნუ დამაწყვიტე მკლავები... მაინც გადავხტები... ვინ გკითხავს შენ... რას ერევი ჩემს საქმეში!

წულუკიძის ბაღში ძელსკამზე ძალით დასვა. ყოველი შემთხვევისთვის მარცხენა მაჯაზე ხელს არ უშვებდა.

- ქალო, სრულ ჭკუაზე ხარ შენ?!

ქალი აგურისფხვნილის ბილიკს ჩასცქეროდა.

იუზამ კითხვა რომ გაუმეორა, მწყრალად ამოხედა.

- მაინც გადავხტები...

- შენი ნებაა, მარა რისთვის იკლავ თავს, გამაგებზე და კი ბატონო, გადახტი.

- ასე გეკუთვნით თქვენ, ყველას.

- ვინ ყველას?

- მთელ ქვეყანას... გამიშვი, გეხვეწები... მე ჩემსაც მაინც არ დავიშლი... რას ერევი ჩემ საქმეში.... წაი შენს გზაზე.

- ყველას ჩვენ ჩვენი გასაჭირი გვაქვს. შენი სახელი?

- ტასიკო.

- ყველას ჩვენ ჩვენი გასაჭირი გვაქვს, ტასიკო, წავალ, აბა, რას ვიზამ, მარა, ასე ვერ დაგტოვებ... მერე მთელი ცხოვრება უნდა ვინანო.

- ა, ხომ ხედავ, ჩემი დახრჩობა იმდენად არ გაწუხებს, რამდენადაც შენს თავზე ფიქრობ, სინდისი შეგაწუხებდა, რომ არ გადაგერჩინე. ჩემნაირები ვეხებზე გკიდიათ, ამიტომ ყველას ჯინაზე უნდა გადავხტე, ყველა უნდა დაგსაჯოთ ამითი.

- მიზეზი მითხარი და კი ბატონო, გადახტი.

იუზამ ჩათვალა, რომ აფექტის მდგომარეობა გადავლილი იყო და მაჯაზე ხელი გაუშვა.

- მეტი მიზეზი რაღა იქნება. ამ ხნის გოგოს არა დედა, არა მამა, არა ქმარი, მესამე ქმარმა გუშინ გამომაგდო, ექვიანობის ნიადაგზე. ქუჩაში დავრჩი. ა, ნახე (პლამის ჯიბეებში ხელი ჩაიყო და ორივე ამოიბრუნა) ჯიბეში ერთლარიანი არ მიჭყავის. სამსახურის დაწყება მინდოდა, არი, რავა არ არი, საჩემო სამსახურები, მარა ვინც მპირდება, ყველა ლოგინისკენ მიმართევს. არ უნდა იყოს წესიერი გოგოს ადგილი ამ ქვეყანაზე?!

ამ დროს წულუკიძის ბაღში ორი ახალგაზრდა პოლიციელი შემოვიდა. მიიხედ-მოიხედეს და პირდაპირ მათკენ წამოვიდნენ.

ტასიკო მთელი ტანით შემოტრიალდა და იუზას ჩაეფსკვნა.

- გეხვეწები... არ გაატანო ამგენს ჩემი თავი... უთხარი ჩემი საცოლეთქვა, ჩემთან ცხოვრობს სახლშითქვა... გეხვეწები... გადამარჩინე!

პოლიციელები რომ ორივეს თავზე წაადგნენ, ტასიკო წამოხტა და ხიდისკენ გაიქცა.

პოლიციელები დაეწინენ, იქეთ-აქეთ ამოუდგნენ და ძალად გაახელ-
კავეს.

- რას ჩადიხართ... ეს ქალი ჩემთანაა.. თქვენ უფლება არა გაქვთ... მე
ჟურნალისტი ვარ!

იუზამ პირადობის მოწმობა ამოიღო.

-წამობრძანდით ბატონო და იქ გეტყვიან ყველაფერს, ჩვენ პატარა ხალხი
ვართ...

პოლიციაში ასეთი რამ გაირკვა:

თაღლითობის გამო ორჯერ ნასამართლელი მარინა ჭანუყვაძე (და არა
„ტასიკო“), თვეზე მეტია, რაც თბილისიდან ქუთაისში ჩამოვიდა. იგი ხშირად
ჩნდება ქუთაისის ოთხი ხიდიდან (თეთრი ხიდი, ახალი ხიდი, ჯაჭვის ხიდი,
წითელი ხიდი) რომელიმეზე. დგას და წყალს ჩასცქერის. ცოტა არ იყოს
ინტელიგენტური გარეგნობის, ნორმალურად ჩაცმულ მსხვერპლს რომ შეამ-
ჩნევს, ხიდიდან გადახტომას ცდილობს. ასე, თვითმკვლელობაგადაწყვეტილი
ქალის წუწუნ-აღსარებით ამყარებს ურთიერთობას თავის გადამრჩენთან. მახე-
ში გაბმული მოქალაქე თავს ვალდებულად თვლის, რითაც შეუძლია დაეხმა-
როს უმწეო ქალს. ზოგს სახლშიც მიჰყავს (მარინა თავის გადამრჩენთან არც
სარეკლის გაზიარებაზე ამბობს უარს), გულუბრყვილო მოქალაქე ყურადღებას
რომ მოადუნებს, მარინა ჩანთაში ჩაიცურებს მასპინძლის რამე ღირებულ
ნივთს, კარგად დასაჩუქრებული, დილით ცრემლიანი თვალებით ეთხოვება
გადამრჩენელს და პირობას აძლევს, რომ თავს აღარ მოიკლავს.

ორი კვირაა ვეძებთ და ძლივს მოვიხელთეთო, პოლიციის რაიონული
განყოფილების უფროსმა კაკაურიძემ.

იუზას ახსნა-განმარტება დააწერინეს და სასამართლოზე მოწმედ დაგი-
მახებთო, დაუბარეს.

მიდიოდა რედაქციისკენ ჟურნალისტი იუზა გაგნიძე და გაოგნებული
იყო.

არა და რა მშვენიერი გოგო იყო, რა დამაჯერებლად იქცეოდაო, ფიქ-
რობდა.

მან უკვე იცოდა გაზეთის ხვალინდელ ნომერში რა უნდა დაეწერა.
მოსაფიქრებელი იყო მხოლოდ მასალის სათაური და ისიც, თუ როგორ
დაეკავშირებინა ეს ყველაფერი ხელისუფლებასთან.

იუზა ხომ, როგორც თავში გითხარით, ოპოზიციონერი ჟურნალისტი
იყო.



mxol od ori weril i

2002 წლის 7 ივნისს, პროფესორმა პარმენ სალდაძემ წერილი მიიღო.

კონვერტზე გამომგზავნის მისამართი არ ეწერა.

კითხვა კარებშივე დაიწყო.

ჯერ ბოლო გვერდს დახედა.

„შენი ეთერ გვინჩიძე“ რომ ამოიკითხა, მაშინვე გაახსენდა ყოფილი სტუდენტი; მაღალ-მაღალი, ლურჯთვალეზა, ქერათმიანი გოგო. პარმენს სტუდენტი სხვაც ბევრი ჰყოლია, მაგრამ ეთერის იმ წუთშივე გაახსენებას თავისი მიზეზი ჰქონდა.

ეთერი წერდა:

„ბატონო პარმენ,

ვიცი ეს წერილი აგაფორიაქებთ, მაგრამ ვერ შევძელი არ მომეწერა.

თვრამეტი წელი ვმალე ეს საიდუმლო და ახლა მივხვდი, რომ დანაშაული იქნებოდა ბოლოსდაბოლოს არ გამემხილა შენთვის და მხოლოდ შენთვის.

რაც უნივერსიტეტი დავამთავრე, თბილისში რამდენჯერმე ვიყავი, მაგრამ შენი ნახვა ვერ გავხედე, უფრო სწორად ჩემი თავის იმედი არ მქონდა.

ვიცი, რომ ისევ ძველებურად მარტო ცხოვრობ და ისევ ისეთი მომხიბვლელი კაცი ხარ.

ჩვენი კურსის გოგოები ჭკუას ვკარგავდით შენზე, მაგრამ ამას არ იმჩნევდი, ვითომ შენთვის ყველა სტუდენტი იყო და სხვა არავინ.

გუშინდელივით მახსოვს, 12 მაისი იყო, სადიპლომო ნაშრომი შინ მოგიტანე.

კარი ისე გამიღე, თითქოსდა არ მელოდი, მაგრამ მაინც შენებური განუმეორებელი ღიმილი გეხატა სახეზე.

რატომ შეწუხდი ეთერ ქალო, დაცვამდე ჯერ დრო გვაქვს, კათედრაზე დაგეტოვებინა და გადმომცემდნენო.

სადიპლომო გამომართვი.

ბოდიში, შინ ვერ შეგიპატიჟებ, ხომ იცი, მარტოხელა კაცი ვარ, შეგემინდება, ისეა არეულ-დარეული ჩემი ბინაო, მაგრამობინე, რომ აშკარად არ გინდოდა ჩემი შეშვება.

- არა უშავს, არა უშავს, თუ არ შეგაწუხებთ, ცოტა ხნით შემოვალ მეთქი - მე თვითონ გამიკვირდა ჩემი სითამამე.

შემოვედი, მივიხედ-მოვიხედე და სავარძელში შინაურივით ჩავეშვი.

ყოველთვის მაინტერესებდა, სად და როგორ ცხოვრობდი მეთქი.

იღიმებოდი, ჩემს სადიპლომო ნამუშევარს ფურცლავდი, ხანდახან შემომხედავდი და თავს დააქნევდი.

მე კი, მე სულელი გოგო, წავლას რა ვაპირებდი.

ბოლოს ძლივს ამოვიღულულე, თუ შეიძლება ბინის დალაგებაში მოგეხმარებით მეთქი.

სასტიკად იუარე. შენ მაგისტვის როგორ შეგაწუხებო.

წამოვხტი და ფანჯარასთან მივედი, რა ლამაზი ხედია მეთქი, თან, რა დაგიმალო და ჩემს კოხტა უკანალს და ლამაზ ფეხებს გიჩვენებდი.

ვიცოდი, ეს ხერხი აუცილებლად გაჭრიდა.

მართლაც გაჭრა.

უკნიდან მომიახლოვდი. წელზე ხელები შემომხვიე და მარჯვენა მხარზე მაკოცე.

გავიტრუნე. ხელები გამიშვი და საწოლთან მიხვედი.

ეთერო, დღეს ძალიან დავიღალე, თუ არ გეწყინება წამოვწვები, შენ ლოგინზე ჩამომიჯექი და შენი ნაშრომი ერთად წავიკითხოთო.

ვგრძნობდი, ყველაფერზე თანახმა ვიყავი.

მუხლები მიცახცახებდა.

მხოლოდ ორი გვერდი წავიკითხეთ. მეტი ვერა.

არც გამიგია, როგორც აღმოვჩნდი შენს მკლავებში.

„რა ადვილი ყოფილა მეთქი კაცთან დაწოლა“ ჩემი თავის მიკვირდა, მერე ვერაფრით გავიხსენე, ტანსაცმელი შენ გამხადე, თუ მე თვითონ გავიხადე. უბედნიერესი ვიყავი იმ დღეს.

ჩემს თავს საჩუქარი გავუკეთე. შენთან დავწექი.

ამას მთელი კურსი ნატრობდა.

შენ ჩემთვის უბრალოდ მამაკაცი კი არა, ჩემი ოცნების მამაკაცი იყავი.

იმ დღიდან ფეხმძიმე დავრჩი.

სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების მეორე დღესვე ჩამოვედი ოზურგეთში და გავყევი ჩემს თანაკლასელ რამაზ ქურიძეს, რომელსაც სკოლიდანვე ვუყვარდი, მაგრამ მე არ მიყვარდა.

შვიდ თვეში ბიჭი გვეყოლა – შენი შვილი. ჩემი მამამთილის სახელი ზაზა დავარქვით.

ვერ წარმოიდგენ, რა სიამოვნება იყო ჩემთვის; მე, ერთი უბრალო ფილოლოგი ქალი, სოფელ ჩინარეთის საშუალო სკოლის მეცხრე-მეთორმეტე კლასების მასწავლებელი შენს შვილს ვზრდიდი.

თითქოსდა შენ გივლიდი, შენ გბანდი, საჭმელს გიმზადებდი, გამეცადინებდი...

ჩემი ქმრის ხელში შვილი არ მომცემია. კარგი ქმარი მყავდა, ცოდოს ვერ დავიდე, შარშან (წლისთავი ახლა, აპრილში შესრულდა) უეცრად გულის შეტევით გარდაიცვალა, საღ-სალამათი კაცი.

დავრჩით მარტო მე და ზაზა.

ამ არეულ დროში, ყაჩაღ-თულების პარპაშის დროს თავი ძლივს გაგვაქვს. მშობლები კარგახანია დამეხოცნენ. რამაზს, მე რომ შემირთო, მარტო დედა ჰყავდა და ისიც, ზაზა შვიდი წლის იყო, ფილტვების ანთებამ რომ გადაიყოლა.

აი, ყველაფერი, რაც უნდა მეთქვა შენთვის.

ამ თვის ბოლოს ზაზა თბილისში ჩამოვა. უნივერსიტეტში იურიდიულზე უნდა ჩააბაროს.

შენს ტელეფონს მივცემ.

ჩემი ლექტორი იყო მეთქი, მეტს, რა თქმა უნდა, არაფერს ვეტყვი.

დანარჩენი შენ იცი.

თბილისში, საბურთალოზე ჩემს დეიდაშვილთან იცხოვრებს. იმათაც ერთი ბიჭი ჰყავთ და არ დამამადლიან. თვითონ მითხრეს, ჩვენთან იყოსო.

მე ვერაფერს გირჩევ.

შენ ჭკვიანი კაცი ხარ, როგორც გადაწყვეტ, ისე მოიქეცი.

მე რომ ამ ჭკუაზე ვარ, დიდი ტრამვა იქნება მისთვის ამ ასაკში, იმის გამხელა, რომ მამამისის შვილი არ არი!

ესეც არ იყოს, ჩემზეც სამუდამოდ გაუფუჭდება წარმოდგენა და იქნებ არც შენ შეგხედოს კარგი თვალით, როგორც „სტუდენტის შემცდენელს“.

იქნებ სჯობდეს, დარჩეს იგი სამუდამოდ რამაზ ქურიძის ბიჭად – ზაზა ქურიძედ, ხოლო ჩვენ, მე და შენ ეს საიდუმლო საფლავში თან ჩავიყოლოთ.

შენი ჭირიმე, ეს წერილი მიღებისთანავე დაწვი.

შენი ეთერ გვინჩიძე“.

პროფესორმა პარმენ სალდაძემ რვა წლის შემდეგ, 2010 წლის 11 ივნისს, ეთერ გვინჩიძისაგან მეორე წერილი მიიღო.

„ბატონო პარმენ

უკვე იმდენი დრო გავიდა, მეჩოთირება „ბატონის“ დამახება შენთვის.

იმ პირველი წერილის მერე, წერილის გამოგზავნას ვერ გიბედავდი, მობილურით თუ შეგეხმინებოდი ზოგჯერ და ისიც მადლობის სათქმელად.

ჰო, ზაზა ჩადგა ჩვენს შორის და ამიერად ჩემი და შენი საზრუნავი მხოლოდ ზაზა იყო.

რა კეთილშობილი კაცი ხარ, ბატონო პარმენ.

მე არ ვიცი შენი განცდები, ჩემი პირველი წერილის მიღების მერე, მაგრამ წარმოდგენით შემიძლია ბევრი რამ წარმოვიდგინო.

შენ აწრიალდი, შენი დღეების ჩვეულებრივი მდინარება დაირღვა, ეს როგორ; შენ შენს მეცნიერულ საქმეებში ჩართულს და დაჯერებულ „ხალასტი-აკს“ თურმე თვრამეტი წლის შვილი გყოლია.

თავიდან მეშინოდა, ვაი თუ ვერ გაგეძლო ცდუნებისთვის, და გაგემხილა ზაზასთვის, რომ შენი შვილია. ამით შეიძლება ყველაფერი დანგრეულიყო. შეიძლება ზაზას წინაშე გამოუსწორებელი დანაშაული ჩაგედინა და ბავშვისთვის სიცოცხლე დაგემსხვრია.

მალე დავრწმუნდი, რომ შენთვის შენი მართოხელობა უფრო ძვირფასი იყო, მაგრამ არც ღვთის მიერ ნაჩუქარი თვრამეტი წლის შვილზე იტყოდი უარს.

რა დიდებულად ითამაშე ინკოგნიტო მამის როლი ამ რვა წლის განმავლობაში.

დაწვრილებით მიაშობდა ზაზა, რა დიდებული კაცი ხარ, რა ყურადღებიანი, რომ თან ყვებოდი შენი ერთი სტუდენტის შვილს, მზრუნველობა და პატივისცემა არ დაგიკლია, უნივერსიტეტი და მაგისტრატურა დაამთავრებინე, სამუშაოდაც ოზურგეთში გამოანაწილებინე და ამ ხნის განმავლობაში დედიკოსთვის მოკითხვის დაბარება არ დაგვიწყნია.

ერთი რამე მიკვირდაო. ზაზა მეუბნებოდა, ჩემი დანახვისას ზედმეტად შეწუხებული სახე ჰქონდაო, ხშირად ფილოსოფიურ აზრებს მიზიარებდაო,

იცოდე, ზაზა, ის რაც ზედაპირზე დევს, მხოლოდ ნაწილია ცხოვრებისა, სინამდვილეში ცხოვრება გაცილებით უფრო ღრმაა. ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობის საიდუმლოს ზოგჯერ არავის უმხელენ. საკუთარი თავისაც კი ეშინიათ. ძილსაც უფრთხიან, ძილში რომ არ წამოცდეთ ის, რისგანაც წლების განმავლობაში ზღუდე შემოივლესო!

მადლობელი ვარ შენი, რომ გაჩნდი ჩემს ცხოვრებაში და უფლება მომეცი შენით მეცხოვრა. იმ ერთი სტუდენტური დროის (რომელიც შენ შეიძლება სისულელე გეგონა, ან ისეთი „ეპიზოდები“ არაერთი გქონია), ერთგული დავრჩენილიყავი.

ახლა, როცა ზაზა თავის მამაპაპეულ სახლშია და ხვალ თუ ზეგ ცოლს შეირთავს, მინდა გაგათავისუფლო სინანულის თითების კვანტისგან.

მე შენგან ზუსტად ისეთ საქციელს ველოდი, როგორც მოიქეცი, ჩემი პირველი წერილის შემდეგ არც მეტს, არც ნაკლებს.

საქმე ისაა, რომ ქმარი რომ მომიკვდა და ზაზამ სკოლა დაამთავრა, უსახსროდ და უილაჯოდ დავრჩი.

ზიჰს თბილისში უნდა ესწავლა და ვინმე ხომ უნდა ჰყოლოდა მაგალითის მიმცემი, მზრუნველი, მიმხედავი.

ავდექი და მოვიფიქრე – მოდი, ბატონ პარმენს მივწერ, თითქოსდა მაშინ ფეხმძიმე დავრჩი და ზაზა მისი შვილია მეთქი.

ასეც მოვიქეცი.

სინამდვილეში იმ ჩემთვის ყველაზე უცნაურ და ლამაზ დღეს ფეხმძიმე არ დავრჩენილვარ და ზაზა ნამდვილად მამამისის - რამაზ ქურბიძის შვილია.

თუ შეგიძლია, მაპატიე ეს დანაშაული.

შენ იმდენად საყვარელი კაცი ხარ ჩემთვის, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე შენი ღულუნა ხმა ჩამესმოდა და შენს თითებს ვხედავდი.

ხშირად მესიზმრებოდი და ახლაც მესიზმრები.

ასე მგონია, ეს წლები სხვისი ცხოვრებით ვიცხოვრე, ფაქტიურად, მე შენთან დავრჩი სამუდამოდ, შენს დაულაგებელ ბინაში 1984 წლის 12 მაისს.

და რაც მერე ჩავიდინე, თითქოსდა ჩემი სურვილის ხორცშესხმა, ან ჩემს მიერ შეთხზული ლამაზი ზღაპარი იყო, შენ რომ გვიყვებოდი ხოლმე ლექციებზე რომანტიკულ ექსცესებს.

არ ვიცი რამ მაიძულა იმ დღეს სიცრუე მომეწერა – გაჭირვებამ, შვილის სიყვარულმა თუ შენმა სიყვარულმა.

მე მგონია უფრო შენმა სიყვარულმა.

ასე მეგონა საქმე გაგიჩინე მეთქი, შენს მარტოსული კაცის ცხოვრებას სხვა აზრი თუ სხვა მდინარება მივეცი მეთქი.

მერე და მერე, თანდათან ვრწმუნდებოდი, რმ გამოუსწორებელი დანაშაული ჩავიდინე.

დავიღალე ფიქრით, დამსაჯა ამ ჩემმა უნებლიე დანაშაულმა და აჰა ჩემი წერილი - აღსარებაც.

თუ შეგიძლია მაპატიე. შენი ეთერ გვინჩიძე“.

ufasod~

2010 წლის მაისში ქუთაისსა და მის შემოგარენში კვირაში დაახლოებით კი არა _ ზუსტად ხუთი დღე წვიმდა, ხოლო დარჩენილ ორ დღეს საწვიმრად ემზადებოდა.

დაღალა წვიმამ ქალაქი.

შავნაცრისფრად აღრიალებული რიონი სოლომონის სასახლის მოაჯირს ლოკავდა.

აკაკის ბაღი ყვავებს დარჩენოდათ.

ათასში ერთხელ ბაღს ირიბად გადაკვეთდა შავქოლგიანი მოქალაქე. იგი ფეხსაცმელ-შარვლიანად უიმედოდ შესველებული, გულდაგულ მიტყვამპალებდა მერიისკენ, შუაგზაზე შეჩერდებოდა და, თითქოს რაღაც გაახსენდაო (თუ დაავიწყდაო, სულერთია რა), უკან იზამდა პირს.

უკან წამოსვლისას რატომღაც გუბეებს აღარ ახტებოდა. პირდაპირ წყალში მიტოპავდა და მუხრუჭმოშლილ ქოლგას, თავზე რომ არ ჩამომხობოდა, სახელურთან მუჭით იჭერდა.

ქოლგიანს იქითაც და აქეთაც სამი უქოლგო ქუთაისელი მიაცილებდა. შარვლები მუხლსზემით, განაუთავებ ზოლთან, სამ-სამი თითით პიწკად ეჭირათ და ჭადრიდან ჭადრისკენ გულმოდგინედ გარბოდნენ. თანაც ისე კი, რომ ქოლგიანი მხედველობიდან არ გაქცეოდათ.

ბაზრიდან თეატრამდე ტროტუარზე გადმოშვერილ ბრეზენტის ფარდებშეფარებული ბაღისკიდელები ნერვული სახეებით ასცქეროდნენ ტყვიისფერ ზეცას.

ბაღისკიდელები წუხდნენ იმ არც თუ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქალაქის მერის არჩევნები ახლოვდებოდა და მერობის 147 კანდიდატიდან ერთის მეტი ვერ ახერხებდა საშუალოდ დღეში ცხრაჯერ მაინც ამომრჩევლებთან შეხვედრას.

ამჟამად იყო: აბეზარი წვიმების გამო საარჩევნო კომპანია კრახს განიცდიდა.

მერობის კანდიდატებმა თავიდან შედარებით მორცხვად და თავშეკავებულად დაიწყეს თავიანთი უტოპიური პროგრამების გამოცხადება.

მერედამერე ისე გაერთვნენ ერთმანეთთან შეჯიბრში, რომ გაზის, ელექტრონის და წყლის გადასახადი კაპიკებზე დაიყვანეს, ბოლოს ის კაპიკებიც ხელში ისე შემოადნათ, რომ ღობესმომდგარ, თავზეტომარაჩამომხობილ და კალოშებში ფეხჩაკრულ ამომრჩევლებს ომახიანად დასძახოდნენ _ ყველაფერი უფასო იქნებაო.

დაეჭვებული ამომრჩევლები, რომლებსაც უფრო ადრე და უფრო მდელვარედ, არაერთგზის მოესმინათ არანაკლებ გიჟური დაპირებანი, თავიანთ ხმას ამჯერად ოქროს ფასს სდებდნენ.

მეთასევე მოტყუებულებს გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ ამჯერად მაინც ჩაატარებდა „მეგობარი“ ამერიკა საქართველოში დემოკრატიულ არჩევნებს.

ერთადერთი კაცი ქუთაისში, ვისაც ქალაქის მერის მოახლოებული არჩევნები სულ ფეხებზე ეკიდა (ფეხებს მეც და სხვებიც ფრაზისთვის მეტი დელიკატურობის მისანიჭებლად, ზრდილობის გულისთვის ვხმარობთ) იყო საშუალო მწერალი კირილე კაკაურიძე.

კირილე თავის ოთახნახევრიანი, შვიდაგურიან სვეტებზე შემდგარი სახლის შუშაბანდში ტაბურეტ სკამზე იჯდა, საწერ მაგიდაზე კი ნოველების ახალგამოცემული კრებული „რიონის სიოს ნაამბობი“ ედო და ღრმა ფიქრებს მისცემოდა.

სამოცდაათს მიტანებული გახლდათ.

შესახედავად ჰგავდა კინომსახიობ ჯიგარხანიანს.

ისეთივე ჯაგარივით ურჩი, სავარცხელარდამყოლი, ჭაღარა თმა ჰქონდა და ჯიგარხანიანივით ნაღვლიანი თვალები.

სიარულის დროს ნაბიჯს ჯერ ფეხისწვერიდან იწყებდა და მერე ისე ფრთხილად გადაჰქონდა ტანის სიმძიმე ქუსლზე, გეგონებოდათ ფეხსაცმელში ქუსლის მხარეს ლურსმნის წვერი აქვსო ამოჩრილი.

მკითხველს, ალბათ, აინტერესებს, რა იყო კირილე კაკაურიძის ღრმად დაფიქრების მიზეზი.

ახალი ქართველის გასაგებ ენაზე რომ ვთქვა, კაკაურიძეს პრობლემა ჰქონდა.

დავწერე სიტყვა „პრობლემა“ და ტანში გამაჟრჟოლა.

გვქონდა, როგორ არ გვქონდა (და, ენათმეცნიერისთვის ახლაც გვაქვს) კაცის მდგომარეობის გასარკვევად მშვენიერი მიმართვები („როგორა ხარ?“, „რა დაგემართა?“, „რა გაგჭირვებია?“, „რამ შეგაწუხა?“, „რასა იქმ?“ და ა.შ.) მაგრამ შეცვალა გაურკვეველი წარმოშობის „პრობლემა“.

„პრობლემა გაქვს?“, „რა პრობლემაა“, „პრობლემა არ არის!“ და ა.შ. ისე დაუმშვენდა ცხვირი, ვინც თავისი ლექსიკური თუ ენობრივი სიღარიბის გამო „პრობლემას“ რომ წამდაუწუმ ხმარობს, ეს გამოთქმა მშვენიერი იყოს.

გორში სტალინის კოპწია სახლ-მუზეუმი ხომ გინახავთ, თუ აივნის ადგილას შუშაბანდს დავუმატებთ, ზუსტად ისეთი გახლდათ საშუალო მწერალ კირილე კაკაურიძის სახლი.

მაპატიოს კირილემ, რომ მისი საშუალობა გავამხილე. თავად კირილემ არ იცოდა, რომ იგი საშუალო მწერალი იყო. საერთოდ, არცერთმა საშუალო მწერალმა არ იცის, რომ იგი საშუალო მწერალია.

სამოცდაათს რომ მიუახლოვდა და არცერთი პრემიის ლაურეატი რომ არ იყო, შეხვედრებს რომ არ უწყობდნენ და ტელეკორესპონდენტები მის დანახვაზე კამერას ცას რომ მიუშვერდნენ, ნელ-ნელა შეეპარა ეჭვის სუსტზე სუსტი ჭია მისი საშუალობის შესახებ, თუმცა არც ეს იყო ამჯერად კაკურიძის ურვის მიზეზი.

მოგეხსენებათ, გამომცემლობები კარგახანია ჰონორარს აღარ იძლევიან.

ჰონორარის ანგარიშზე კირილე კაკურიძეს ორმოცდაათი ცალი „რიონის სიოს ნაამბობი“ მისცეს, თან დააყოლეს:

თქვენი ხათრი და პატივისცემა, რომ გადაგახდევინებდით, ხომ იცით, საერთოდ მხატვრული ნაწარმოების გამოცემა ჩვენთვის წამგებიანი საქმეა. უფრო სარფიანი საარჩევნო ბიულეტენების და ბუკლეტების (ფულს ხელზე გვიხდიან) ბეჭდვაა, მაგრამ, როგორც ჩვენს ძველ ავტორს, უარი ვეღარ გითხარითო.

ამაზეც მადლობელი ვარო, ჩაილაპარაკა კირილემ ცელოფნის აბა მხარზე მოიგდო და „რიონის სიოს ნაამბობი“ შინ მოიტანა.

ზის ახლა შუშბანდში. წინ ნაცნობი მწერლების სია უდევს და თავისი „შემოქმედებითი საქმიანობის“ ახალი ეტაპის დასაწყისისთვის ემზადება.

რა არის ეს „ახალი ეტაპი?“

კირილეს წესად აქვს თავისი ახალი წიგნი თბილი და გულისამაჩუყებელი წარწერებით ჩამოურიგოს თანამოკალმეებს. ასე დაარიგა წინა ოცდარვა წიგნი. ახლა კი, ოცდამეცხრე წიგნის დარიგების წინ, ავი ფიქრები მოსჯარვია და ხელ-ფეხს უბორკავს.

რა დაემართა კირილეს, რა ხდება მის თავს, ან, მოდურად რომ ვთქვათ, სულაც რა პრობლემა აქვს პატივცემულ მწერალს?

„ავალიანს წიგნს აღარ მივცემ. სულერთია, მაინც არაფერს კითხულობს. ამასწინათ კაბინეტი რომ გამოიცვალა, დამლაგებელმა კატუმამ დამირეკა, მოდი შენი წიგნები წაილე, თორემ უნდა გადავყაროო. მივედი, თურმე ავალიანს, რაც ამ ოცი წლის განმავლობაში გულისამაჩუყებელი წარწერებით წიგნები ვაძლიე, არცერთი სახლში არ წაუღია და შესაბამისად არც გადაუშლია. ჩუმად მოვავროვე ჩემი წიგნები, წამოვილე და გულდაგულ ამოვხიე ის ფურცლები, სადაც ავალიანს მივმართავდი - ჩემს უსაყვარლეს მეგობარს და ერისკაცს მეთქი...

ქარაბაძეს არ ვაჩუქებ, რად უნდა, შეიძლება სახლში მიიტანით მიიტანოს, მაგრამ გადაშლით არ გადაშლის, დარწმუნებული ვარ. ნამეტანი ბრაზუნა

კაცია, რომ იტყვიან, ცხვირზე ბუზს არ ისვამს. არ ტოვებს წიგნის წამკითხველი კაცის შთაბეჭდილებას.

კაკალაძეს რა წიგნებიც აქამდე ვაძლიე, იმასაც ვნანობ, შე კაი კაცო, კაცმა წიგნი მოგართვა თავისი სულის ნაწილი. დაკარგე ერთი საღამო. ჩახედე, წაიკითხე, იქნებ ვინ არის, იქნებ რას წერს.

არც ვაწამეს მივუტან ამ წიგნს. ძალიან გათამამდა და გაყოყოდა ამ ბოლო დროს, იფიქრებს, ალბათ, იმიტომ მაჩუქა ახალი წიგნი, რომ უნდა წერილი დავუწერო. არა და რაში მჭირდება მაგის უნიჭო რეცენზია. ჩემთვის ყველაზე უკეთესი შეფასება ისაა, ტროლეიბუსში რომ კაცი შეგხვდება და შენს ნოველას ისე დაწვრილებით მოგიყვება, თითქოს მისი დაწერილი იყოს.

ჭაჭუას ვაჩუქებდი, როგორ არ ვაჩუქებდი, ცოცხალი რომ იყოს.

კერძაძე ახალგაზრდა მწერალია და წესით წიგნს არ უნდა ვაძაღლოდე, მაგრამ ტუტუცი ბავშვია. მე ავადმევიწე ფეხი ლიტერატურაში, მწერალ მამას მეძახდა, ამასწინათ მაგათ გაზეთში მოვკარი თვალი, კერძაძემ ამა და ამ ნოველაში წლიური პრემია მიიღო. ერთიც ვნახოთ, ჩემი ნოველა! თითქმის გადაუწერია. სიუჟეტი ჩემი, ხასიათები ჩემი. ეს რა გიქნია, ბიჭო მეტეი, დავურეკე. ლულული დაიწყო: ჩემდაუნებრუად მომივიდა, მაპატიე, ბატონო კირილეო. რას ვიზამდი, ვაპატიე.

გულორდავა კაი მწერალია. ეკუთვნის კიდევ ჩემგან წიგნის ჩუქება, მაგრამ ნამეტანი ყავარზე აქვს კული გადებული, ამ ბოლო დროს თავის თავზე მესამე პირში ლაპარაკობს. რომ შემხვდება, ისე მელაპარაკება, თითქოს სოლომონ ბრძენი მყავდეს და მე კიდევ მისი ნაფიცი მოწაფე ვიყო. რავა იყო გასაიდუმლოებულ დაწესებულებაში დოლ-გარმონით რომ შეხვედიო, მეუბნება ყოველ შეხვედრაზე და ხითხითებს. მე მგონია, ჩემი ეს ერთადერთი მოთხრობა აქვს წაკითხული და სხვა არაფერი. რატომ უნდა შევაწუხო ამ ჩემი წიგნით. მოხუცი კაცია, ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს, მაგრამ მოფამფალდა ამ ბოლო დროს და თავისი ტომეულების შედგენის ფუსფუსშია გართული. მიდი ახლა და დაუდე ჯარიმასავით შენი წიგნი წასაკითხად, როგორი საქმეა.

არც კაპუცაძეს ჩავუგდებ ჩემს წიგნს ხელში. არ გვესმის არა, ჩვენ ერთმანეთის ამ პოსტმოდერნისტმა ლაწირაკებმა ძალიან გაიოლოეს წერა. ყოველსამ თვეში თითო რომანს წერენ.

რაც შეეხება ანაშვილს, მიყვარდა მისი მოთხრობები, როცა ნორმალური მწერალი იყო. ამ ბოლო დროს ალკოჰოლმა გადაუარა ტვინზე, წერის ფაღარათი აქვს ატეხილი და წერს გაუთავებლად სისულელებს. არავინ ჰყავს რომ ამ კაცს ქაღალდი დაუმალონო? ყური მოვკარი ამასწინათ. ანაშვილი მიყვარს იმ ძველი სიყვარულით და მეცოდება...”

უნივერსიტეტის მეორე კორპუსთან ტაქსი გაჩერდა.

თერთმეტს აღარაფერი უკლდა.

წვიმა მიერეკებოდა ახალდაგებულ შავ ასფალტზე ჯინსიან გოგო-ბიჭებს და მათი ასაკისთვის შეუფერხებლად ფეხაჩქარებულ ასოცირებულ პროფესორებს.

- გამარჯობათ!

კაკაურიძე უშველებელი აბგით წიგნის კიოსკთან მიბათქუნდა.

- გისმენთ, ბატონო, _ ჯიხურიდან თავი გამოყო ბერეტიანმა წაბლისფერთმება ქალმა, რომელსაც თმა და ბერეტი ერთი ფერისად მოუჩანდა.

- წიგნები მოვიტანე, _ კირილემ ნაწვიმარი შუბლზე ჩამოიწურა _ დავსველდი, ეს ოხერი.

- რა წიგნია? - ცოტა არ იყოს ცხვირაბზუებით გახედა აბგას გამყიდველმა.

- ჩემი წიგნია, ნოველები.

- სასიამოვნოა, ბატონო, მარა ჩვენ უფრო სახელმძღვანელოებს ვყიდით. მოთხრობები ძნელად სალდება.

- არ უყვართ ახალგაზრდებს ნოველები?

- რავა არ უყვართ ბატონო, მარა, მოგეხსენებათ, სტუდენტებს ფული არა აქვთ.

- მე თქვენ ვერ გამიგეთ, ქალბატონო. ეს წიგნი მე გასაყიდად არ მომიტანია. ორმოცი ცალია. ასეთი რამ მინდა შემოგთავაზოთ, თუ შეიძლება, რასაკვირველია. დავაწყობ აგერ სკამზე და დავაწეროთ „უფასოდ“. მაინტერესებს _ აბა, რა მოხდება. თუ მთლად არ ვყავართ წყალს წაღებული, უნდა წაიღონ სტუდენტებმა. მეცით პატივი, ძალიან გთხოვთ.

სასწაული არ მომხდარა.

ათიოდე წუთის შემდეგ „უფასო წიგნის“ გასწვრივ სტუდენტთა რიგი დადგა.

არ გეგონოს, მკითხველო, თითქოსდა ანგარიშმიუცემლად ეცნენ უფასო წიგნს მკითხველები.

გადაშლიდნენ, ჩახედავდნენ, ამოიღლიავებდნენ, მეჯიხურეს მადლობას ეტყოდნენ და ლიფტისკენ გარბოდნენ.

ზოგს ორი წიგნი მიჰქონდა.

სულ რაღაც ნახევარ საათში კირილე კაკაურიძის წიგნი სკამზე აღარ იდო.

კირილე კი, გულში სითბოჩადვრილი კირილე თავაწეული მიაბიჯებდა ტროლეიბუსის გაჩერებისკენ.

წვიმა გადაღებას ამ ცოტა ხანში მაინც არ აპირებდა.

ani taryaSvil i

მინიატურები

* * *

წვიმიან საღამოს ინგლისურის გაკვეთილზე ფანჯრიდან ვიხედებოდი, გარეთ ბავშვები მელოდებოდნენ. ფანჯრის რაფაზე ნამცეცები ეყარა და პატარა ბელურების ფეხების წკაპუნი ისმოდა. ისინი ვერ გაფრინდნენ, მათ გააცილეს. ბელურები ჩვენთან რჩებიან და ჩვენც ფიქრებით მათთან ვართ. ისინი ჩვენწაირები არიან, არ გვტოვებენ. ბელურები სახლში, სამშობლოში ეძებენ ბედნიერებას და სიხარულს. ჩვენ ვეხმარებით, ვუღებთ სარკმელს. ისინი გაზაფხულის სიხარულს ზამთარში გვახსენებენ, გვაფერადებენ. როდესმე ჩვენც ვიქნებით ბელურები, პატარები და თბილები.

g a d a f r e n a

სამკუთხედად დაწყობილი, გაქცეულები, შეშინებულები, მიტოვებული სამშობლოსაკენ.

ჩვენ გვიყვარს და არ დავტოვებთ, მათაც ვუყვარვართ. ის არც ჩვენი და არც მათი, მას ადამიანი არ ირჩევს, ის თვითონ ირჩევს მცხოვრებს. ჩვენ არ ვართ მისი და არც ის არის ჩვენი. ჩვენ უბრალოდ დიდი ხანია ერთმანეთი გვიყვარს. ჩვენ თქვენც დაგეხმარებით, გაგათბობთ და აღარ გაფრინდებით სამკუთხედად დაწყობილი, შეშინებული, გაყინული ფრინველები.

w v i m a

გუბეში ჩავდექი, ფეხები დამისველდა. ზემოთ ავიხედე და წვეთებს ვიჭერდი. წვიმა თბილი იყო, მეფერებოდა მოხუცი წვიმა.

z a f x u l i

მიყვარს სოფელი და სოფელში ზაფხული. მიყვარს ჩანგრეული სარწყავი მილი, მაგას რომ გასცდებით, ჩემს სოფელში შემოხვალთ. მიყვარს სოფლის, იქაური ბავშვების ხმაური, ღობეზე ჩამოხეული ტანსაცმელი. მინდა მთებში ხეებთან ვხედავდე ბუდე, მინდა ვიცოდე ვისია, მაშინ ვთხოვდი:

- მაცხოვრებ?

არ ვიცი, რას მიპასუხებდა. მეც მაქ ბუდე სოფელში, ხის წვერზე სულ თავში.

- თუ გინდა წაგიყვან, ოღონდ ცოტა დანგრეულია.

სოფელში ზაფხულია უკვე 8 წელია.

სოფელში ბუდეა, ბუდეში ცხოვრობენ წითელლოყება პატარა ბარტყები.

Cven kavkasi el ebi varT

- თომა, თომა! ჩამოდი დაბლა! ეზოდან ყვიროდა შავებში ჩაცმული, ოდნავ მოხრილი, ხელფეხდაკუნთული და საჩხუბრად მომზადებული ახალგაზრდა.

- მოვდივარ ჯოხარ, მოვდივარ. ოღონდაც ნუ ყვირი, ძალიან გთხოვ. მამაჩემი გამთენიისას მოვიდა სამსახურიდან და სძინავს. ფანჯრიდან გადას-ძახა დაბლა მდგომს თომამ.

- კაი ძმაო, ბოდიში. უბრალოდ თავი ვეღარ შევიკავე. ისეთი ამბავი მაქვს, შეიძლება მეოთხე სართულიდან გადმოხტე.

- ვა, მოიცა არ მითხრა ძმობას გაფიცებ, არ მინდა ჯერ სიკვდილი. მაისურს გადავიცვამ ტანზე და ახლავე ჩამოვალ.

თომა ოცდამეორე წლის იყო. ჯოხარის მსგავსად ჩასხმული და დაკუნთული არა, მაგრამ დიდადაც არ ჩამოუვარდებოდა. ბავშვობიდან წიგნის კითხვა უყვარდა. ავტოფარების თავზე ისხდნენ ხოლმე ის და მარიამი. ბავშვური თვალეზით შესცივინებდნენ ერთმანეთს და წიგნებზე საუბრობდნენ. სწორედ მარიამმა ურჩია მიხეილ ჯავახიშვილი წაეკითხა. პირველად „ჯაყოს ხიზნებს“ გაუსინჯა გემო, მერე მას „თეთრი საყელო“ მოჰყვა და ისე ჩაითრია, რომ მალე ჯავახიშვილი მის უსაყვარლეს მწერლად გადაიქცა. მერე ვაჟა აღმოაჩინა, ფშაველა. მისმა „სტუმარ-მასპინძელმა“ ხომ მთლად გადარია. ზედიზედ შვიდეჯერ წაიკითხა. თავიდანვე იგრძნობოდა მასში ქართულ-კავკასიური სისხლი. მისი ბავშვობის ძმაცაი, აი, ის წედან ეზოდან რომ ემახდა და ახლა მოუთმენლად ელოდა თომას ჩასვლას, ჩეჩენი იყო. საბავშვო ბაღშიც ერთად დადიოდნენ. პირველადაც ერთად იჩხუბეს გასიებულ რუს მუტრუკთან, რომელიც მათზე ოთხი წლით უფროსი იყო და პატარა თომას და ჯოხარის დაჩაგვრა მოინდომა. მას მერე თომას მარცხენა საფეთქელზე პატარა ნაიარევი აქვს, ჯოხარს კი კბილი აქვს მოტეხილი. ეს სამახსოვროდ დარჩათ იმ სამთა-ბრძოლიდან, რომელმაც კიდევ უფრო განამტკიცა მათი ძმობა და მეგობრობა. თომამ სწრაფად ჩაირბინა კიბეები და ეზოში გავიდა.

- გედირსა როგორც იქნა ჩამოსვლა. როგორ ხარ, ბიჭო?!

გამარჯობის თქმა არ აცადა ჯოხარმა თომას და გადაეხვია. ყოველთვის ასე გულიანად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ზოგს უკვირდა მათი ასეთი მეგობრობა. ზოგი მხრებსაც აიჩეჩავდა ხოლმე მათი დანახვისას. ავი ენები ცუდ რამეებსაც ამბობდნენ, მაგრამ, აბა, ვინ რა იცოდა, რამდენის გაკეთება შეეძლო ერთად ორ კავკასიელს, თომას და ჯოხარს, ჩეჩენს და ქართველს.

- რა იყო ბიჭო, რა ქვეყანა შეყარე, ომი ხომ არ დაიწყო? _ ხუმრობა სცადა თომამ.

- არა. ჯერ არა!

- მოიცა ბიჭო, რას ნიშნავს ჯერ არა?!

- იმას თომა, რომ ჯერ არა, მაგრამ მალე დაიწყება.

- კაი რა, თუ ძმა ხარ, ხუმრობისთვის გცხელა?! ისედაც იწვება ამ სიცხეში ქვეყანა. - ისევ ხუმრობა სცადა თომამ.

- ჯერ სად ხარ. აი, რუსული ბომბები რომ ჩამოცვივა, მაშინ ნახე შენ სიცხე, თორემ ეს რა სიცხეა! _ დიალოგი დაძაბა ჯოხარმა.

- ბიჭოს, შენ აღარ ხუმრობ უკვე, ხომ იცი?! თქვი მალე, რაც უნდა გეთქვა. ცოტა არ იყოს აღელდა თომა. აღარ უხუმრია.

- წელან ტელევიზორს ვუყურებდი...

- ჰო, მერე?!

- მერე ის, რომ „ქრონიკაში“ თქვეს, რომ რუსეთში არეულობაა. რუსი ნაციონალისტები კავკასიელებს დაუპირისპირდნენ, ვითომდა ფეხბურთის ფანებს შორის მომხდარი ჩხუბის გამო, რის შედეგადაც ერთი რუსი დაღუპულა. ახლა კი ქუჩებში გამოსულან და ნებისმიერ კავკასიელს, სქესისა და ასაკის მიუხედავად, სასტიკად უსწორდებიან.

- ვა, მე მაგათი, ბიჭო! ეგენი ვინ არიან „ტო“?! შეგვეშვან რა, ძმაო! თუ არ მოვწონვართ, ნუ მოვწონვართ! თითქოს ჩვენ ვეხვეწებოდეთ თქვენთან ცხოვრება გვინდაო. უკან გაიკეთონ ეგ კრემლი თავის წითელ მოედნიანად! ვა, ესენი ვინ არიან რა!

თომა იგინებოდა და ჰაერში ხელებს იქნევდა. ჯოხარმა ერთხანს უყურა-უყურა და რომ აღარ გაჩერდა, დაუყვირა.

- ეეე, ძმაო! აზრზე მოდი რა! რა დედაკაცივით ისტერიკებში ჩამივარდი?! არ გეკადრება თომა! რუსი ხარ თუ ქართველი ჰაა?!

- რუსიც ხარ და ამერიკელიც! არა, არა, არ ხარ! ჩემი ძმა ხარ შენ! - ცოტა დაწყენარდა თომა.

- მისმინე! - დაიწყო ჯოხარმა, _ სანამ შენთან მოვიდოდი, გზაში ბევრი ვიფიქრე... აქ პატარა პაუზა გააკეთა _ უნდა წავიდეთ!

- სად უნდა წავიდეთ?! _ დაიბნა თომა.

- სად და მოსკოვში. ტელევიზორში თქვეს, რომ სამ დღეში კავკასიელები მართავენ საპასუხო აქციას კიევის ვაგზალზე და რუსი ნაციონალისტებიც მოუწოდებენ თავისიანებს, რომ ყველა იქ მივიდეს და ჭკუა ასწავლონ კავკასიელებს. მეტროში და ქუჩებში პლაკატებს აკრავენ, რომ დანები და სხვა იარაღი ატარონ ყველამ...

- წავიდეთ. აუცილებლად უნდა წავიდეთ, ოღონდ, მარტო მე და შენ არა. დანარჩენებსაც ვუთხრათ, დარწმუნებული ვარ ყველა წამოვა, ოღონდ გზის ფულზე უნდა „დავჩალიჩდეთ“ სასწრაფოდ. მე ახლა ერთი თეთრიც არა მაქვს, მაგრამ რამეს მოვახერხებ.

- ჰო, მეც ეგრე ვარ, მაგრამ ხვალ ხელფასი დამერიცხება და მექნება.

- რამდენი გაქვს შენ ხელფასი? _ ჰკითხა თომამ ჯოხარს.

- მერამდენედ მეკითხები შე სკლეროზიანო შენა?! რვაასი დოლარი. ნუ ნერვიულობ შენ, ერთად „შევკრავთ“ რამენაირად სამყოფ თანხას.

- კი, აბა რას ვიზამთ, თუმცა ახლა მთავარია, მოსკოვში ჩავიდეთ, თორემ მერე იქიდან ჩვენები გამოგვიშვებენ.

- კაი, თომა, წავედი მე ახლა, დედაჩემი ექიმთან უნდა წავიყვანო. ისევ აწუხებს თავის ტკივილები. შენ სადამოს გნახავ.

- მიდი, მიდი ძმაო. მეც მარიამი უნდა ვნახო. დედაშენს უთხარი, თომამ მოგიკითხა და მალე გამოჯანმრთელდიო.

- აბა, დროებით, ალაჰი გფარავდეს!

- ღმერთი იყოს შენი შემწე! _ მიაძახა თომამ და სადარბაზოში შევიდა.

ჯოხარი ფეხით გაუყვა თავის სახლამდე მიმავალ გზას. ხალხი ქუჩაში იყო გამოსული. უსაქმურები ჭადრის ჩრდილში დომინოსა და კარტს თამაშობდნენ. ვისაც ფული ჰქონდა, უკვე მოესწრო თევზისა და ცივი ლუდის ყიდვა, მანქანის „კაპოტზე“ სახელდახელოდ სუფრაც გაეშალათ და თევზიანი ხელეებით ლუდის კათხები ჩაებლუჯათ. ცოტა მოშორებით ხელოვნურსაფარიან სტადიონზე პატარები ფეხბურთს თამაშობდნენ. აი, დაარტყა მწვანე მაისურიანმა და მოწინააღმდეგის კარში გოლი გაიტანა. ბავშვებმა ჟრიალული ატეხეს. პატარა გოგონები გატანილი ბურთის ავტორის სახელს ყვიროდნენ და ცდილობდნენ მისი ყურადღება მიექციათ. ბავშვები იყვნენ...

ჯოხარი კი თავდახრილი და დაღვრემილი მიდიოდა. მამა რუსებმა მოუკლეს, პატარა დაიკო გაუუპატიურეს, რომელიც დღემდე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობს და ექიმებს თუ დავუჯერებთ, მისი გამოჯანმრთელების შანსი ძალიან მცირეა. ოთხი წლის იყო, როცა რუსეთ-ჩეჩნეთის ომი დაიწყო. გუმინდელი დღესავით ახსოვს ყველაფერი. როგორ ინგრეოდა გროზნო, როგორ ბომბავდნენ მის სამშობლოს, ახსოვს კავკასიონზე გადმომავალი ლტოლვილების თვალუწვდენელი მწკრივი. ყველაზე უკეთ ქართველები ახსოვს, რომლებმაც შეიფარეს, დააპურეს, ჩააცვეს და გულში ჩაიკრეს, ისევე როგორც დანარჩენი მისი თანამომემნი. ახსოვს, პირველად რომ ნახა თომა საბავშვო ბაღში. ყველასგან ცალკე მდგომთან რო მივიდა და „დავმკაცდეთო“ უთხრა. ახსოვს როგორ ასწავლიდა თომა ფეხსაცმლის თასმის განასკვას, ყველაფერი ახსოვს, ყველაფერი. კარგიც და ცუდიც, ცუდიც და კარგიც. არასოდეს დაავიწყდება თავისი წარსული და მუდმივად იბრძოლებს უკეთესი მომავლისთვის. მისთვის კი უკეთესი მომავალი თავისუფალი, დამოუკიდებელი კავკასიის ხილვას გულისხმობდა. სახლში შევიდა...

თორმეტი ივლისის დღის თორმეტი საათი სრულდებოდა. თომა გაწუწული გამოვიდა აბაზანიდან, გაბურძნული თმები პირსახოცით შეიმშრალა, ტანზე კავკასიის ღერბგამოსახული თეთრი მაისური გადაიცვა და ფეხზე შავი კედები მოირგო. საფულე შეამოწმა. ორ ლარამდე თუ ექნებოდა ფული. მამა გააღვიძა და ათი ლარი სთხოვა, მერე მარიამს დაურეკა და პირველის ნახევრისთვის შეთანხმდნენ შეხვედრაზე. გასვლისას მამამისმა გასძახა:

- თომა, შვილო, როცა გახვალ, ნაგვის პარკიც გააყოლე რა, მანდვე დევს კარებთან.

- კაი მამა, წავიღებ, დაიძინე შენ, მე გვიან დავბრუნდები.

- ჭკვიანად იყავი იცოდე. - დარიგება დაადევნა კარებში გასულ თომას მამამისმა. თომამ ნაგვის პარკი აიღო და კიბეებს დაუყვა. ეზოში მდგარ ურნაში ნაგავი ჩაყარა და მარიამისკენ გაემართა. იქვე ქუჩის კუთხეში ელოდებოდა...

მარიამს გვირილებიანი სარაფანი ეცვა, გრძელი შავი თმა აბრეშუმით დაჰფენოდა პატარა მკერდზე. თეთრი იყო და ძალიან, ძალიან შავი თვალები ჰქონდა. თომამ მისვლისთანავე ხელში აიტაცა და წრეზე დაატრიალა. სუსტი და თხელი გოგო იყო მარიამი. ზუსტად ისეთი, თომას აბეზარ გემოვნებას რომ შეეფერებოდა. შემდეგ ისევ ნაცრისფერ ასფალტზე დასვა. მარიამმა თომას გაუღიმა და ლოყაზე აკოცა. თომამაც აკოცა ლოყაზე. გაღიმება სცადა...

- რა გჭირს ტომ, რა სახე ჩამოგტირის?! (მარიამი პატარაობიდანვე პომს ემახდა, ტომ სოიერივით ონავარი ბავშვი იყო თომაც და აქედან გამოჰყვა ეს სახელი. მართალია, თომა გაიზარდა, მაგრამ მარიამისთვის ისევ ის ტომი იყო).

- არაფერი, გამივილის. ნამალადევიად გაიღიმა თომამ და ცას ახედა. ილ-რუბლებოდა...

უცნაური და ერთობ სანატრელი იყო ივლისის პაპანაქება სიცხეში ცაზე საავდრო ღრუბლების გამოჩენა. ვეება ჭადრები აშრიალდნენ. ფოთლები ამაყად გაიჯგიმნენ და მხედრული წესრიგით ელოდნენ წვიმის წვეთების თავდასხმას. წვიმის სუნი იგრძნეს მწერებმაც. პირველი წვეთი თომას დაეცა ნაიარევ საფეთქელზე, სახეზე ჩამოუგორდა და ცრემლის მსგავსი ნაკვალევი დატოვა.

- ტომ, წავიდეთ რა, რას დაყუდებულხარ ქანდაკებასავით, ვერ ხედავ, წვიმა იწყება?!

- აა, ჰო, წავიდეთ, წავიდეთ... _ ძლივს ამოილულლულა თომამ.

მარიამმა ხელი ჩაჰკიდა თომას და ნაცნობი ავტოფარებისაკენ წავიდნენ, იქ, სადაც პატარაობისას გადატყავებულ მუხლებზე საყვარელი წიგნები ედოთ და ერთად კითხულობდნენ. მას მერე ათ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ თომას და მარიამს ისევ ისე ძლიერ და ბავშვური სიყვარულით უყვარდათ ერთ-მანეთი, როგორც მაშინ. მართალია, მერე მარიამს მკერდი გაეზარდა, ახლა ასე ლამაზად რომ ევინა გიშრისფერი თმა, თომას კი წვერი ამოუვიდა, შავი და ვაჟკაცური წვერი. თუმცა თომას და მარიამს ისევ ძველებურად, ბავშვურად უყვარდათ ერთმანეთი. მომავალ წელს დაქორწინებას აპირებდნენ...

ავტოფარების თავზე ჩამოსხდნენ და ფეხები დაბლა გადმოკიდეს, სწორედ ისე, ბავშვობისას რომ ისხდნენ ხოლმე. აქ წვიმა აღარ აწუხებდათ. ბავშვობაში თომამ გადახურა ეს ადგილი ჯოხართან ერთად. ეს მაშინ მოიფიქრა, როცა მარიამთან ერთად წიგნს კითხულობდა და უეცრად ძალიან გაწვიმდა. მარიამი კი სახლში გაიქცა. ამის მერე თომას და მარიამს წვიმა ვედარაფერს აკლებდა.

- ტომ, მითხარი რა გჭირს? საუბრის დაწყება სცადა მარიამმა.

- ტელევიზორს არც შენ არ უყურებ?!

- არა, რავი. რა იყო, მოხდა რამე?!

- ჰო, წელან ჯოხარი იყო ჩემთან... რუსი ნეონაცისტები კავკასიელების წინააღმდეგ გამოსულან ქუჩებში და საშინლად ამცირებენ...

- უი, ცუდია ძალიან, ჯოხარი ხომ კავკასიელია, წარმომიდგენია რა ცუდ დღეშია იქ რომ არ არის და თავისიანებს ვერ ეხმარება. თანაგრძნობის გამო-ხატვა სცადა მარიამმა, მაგრამ აშკარად ცუდად გამოუვიდა.

თომა ფეხზე წამოხტა.

- რაა?! ჯოხარის გარდა აქ კავკასიელს სხვას ვერავის ამჩნევ?! მე ვინ ვარ, იქნებ მითხრა?! ან შენ, ან ისინი ქუჩის მეორე მხარეს კარტს რომ თამაშობენ?! ისინი ვინ არიან ამ უზარმაზარ რკინა-ბეტონის კორპუსებში რომ შეყუყულან და გამოდარებას ელოდებიან?!

მარიამი გაფითრდა. თვალები დაბლა დახარა... ჯერ არასოდეს ენახა თომა ასეთი გაცოფებული, მაგრამ მაინც სცადა შეწინააღმდეგებოდა.

- კი მაგრამ, ტომ, ჩვენ ხომ ევროპელები ვართ?! თან პირველი ევროპელები. განა ამას არ გაიძახიან ყოველდღე ტელევიზორში?!

- ევროპელები არა, ჩემი ფეხები, მალე, ალბათ, ამერიკელობასაც შემოგვტენიან, კავკასიელები ვართ ჩვენ, კავკასიელები! მეც, შენც და ჯოხარიც. სამივე კავკასიელები ვართ. არანაირი ევროპა, არანაირი ევროინტეგრაცია, ეს ყველაფერი ჩვენს დასალუპად არის მოგონილი, უნდათ, რომ კავკასია ორ ნაწილად გაყონ. ერთი რუსეთს, მეორე - ევრო-ამერიკას, მაგრამ არ გამოუვათ, იმიტომ რომ, სინამდვილეში მხოლოდ ერთი კავკასია არსებობს და ეს კავკასია ჩვენ ვართ! ქართველები, ჩეჩნები, ინგუშები, დაღესტნელები, ჩერქეზები და კიდევ სხვადასხვა პატარა ერები. აი, ესაა ნამდვილი კავკასია! თუმცა, სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკოსები აზერებს, სომხებს და თურქებსაც კავკასიელებად მოიხსენიებენ, თუმცა ამას ჯერ ვერ გაიგებ, ეს ყველაფერი გეოპოლიტიკური საკითხებია. მოკლედ, ერთი რამ იცოდე, მარიამ, კავკასია არის ერთი და ჩვენ ვართ ეს კავკასია! თომა გაჩერდა, მარიამი გაოცებული შეჰყურებდა მრისხანესახიან თომას, რომელიც ტომს ნამდვილად აღარ ჰგავდა. ამ რამდენე წამში ერთნაირად გაიზარდა მის თვალში, უეცრად დაკაცდა, მიხვდა, რომ იმ პატარა, ონავარ ტომს, რომელსაც ადრე იცნობდა, ახლა გაცილებით დიდი და სერიოზული გეგმები ჰქონია ცხოვრებაში. ამაყი იყო მარიამი. ძალიან ამაყი, რომ ის იყო თომას რჩეული და არა სხვა ვინმე. ფრთხილად წამოდგა, სარაფანი დაიფერთხა და გაცეცხლებულ თომას გადაეხვია.

- მიყვარხარ ტომ, ძალიან მიყვარხარ. ჩემი სიამაყე ხარ, გენაცვალე შენ!

თომა გაოცებული იყო, ჯერ არასოდეს ენახა მარიამი ასეთი გულახდილი თავის გრძნობებში. თან, მითუმეტეს, ასეთი საუბრის მერე.

- გიჟი ხარ შენ, გიჟი. მეც მიყვარხარ ჩემო შტერუკა. _ თომამ ახლოს მიიზიდა მარიამის სხეული და... მარიამს თალები დაეხუჭა. რამდენიმე წამს ასე იდგნენ, უძრავად ერთმანეთზე შესისხლხორცებული. სიჩუმე ისევ მარიამმა დაარღვია.

- მერე შენ და ჯოხარი რას აპირებთ, აქედან უნდა უყუროთ, რაც მოსკოვში ხდება?

- ერთი ამას დამიხედეთ რა. რა გინდა, იარაღი ავიღო და რუსებს ვეომო?!

- დიახაც, რატომაც არა?! შენზე ნაკლები ბიჭები იყვნენ, რუსებს რომ ებრძოდნენ თუ რა?!

- ეე, დებილო, შენ ომი თამაში ხომ არ გგონია?! შეიძლება მომკლან და საერთოდ ვეღარ მნახო ცოცხალი, ეგ კი არა, შეიძლება ჩემი გვამის დატირებაც ვეღარ შეძლო. აი, ასეთი სასტიკია ომი...

- ვიცი, ტომ, ვიცი. რა პატარა ბავშვივით მელაპარაკები?! ვიცი, რომ შეიძლება მოგკლან და ცოცხალი ვეღარ გნახო. ვიცი, რომ ჩვენი ოჯახი შეიძლება

სამუდამო ოცნებად დარჩეს, ვიცი, რომ შეიძლება ჩვენი პატარები ვერასოდეს წავიყვანოთ ბაღში ხელჩაკიდებულეზმა, ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიცი, მაგრამ მე შენ ისე ძლიერ მიყვარხარ, რომ სიკვდილისთვისაც მემეტები.

მარიამი იმ პატარა გოგოს აღარ ჰგავდა, რამდენიმე წუთის წინ გვირილე-ბიანი სარაფნით რომ თავს იწონებდა. მასში, როგორც ჩანს, ნამდვილმა ქართველმა ქალმა გაიღვიძა, საქმროს ომში გაშვება რომ არ ენანება. თომას ძალიან გაუხარდა მარიამის სიტყვების მოსმენა. თვითონ ვერ გაეხედა ეთქვა, რომ ჯოხართან და კიდევ რამდენიმე სხვა ძმაკაცთან ერთად მოსკოვში აპირებდა წასვლას.

- ძალიან გამახარე, მარიამ, ძალიან... ვერ ვბედავდი, რომ მეთქვა, რაც გადავწყვიტეთ მე და ჯოხარმა, მაგრამ ახლა დიდი სიამოვნებით გეტყვი ყველაფერს.

- მიდი, მიდი, მითხარი _ მარიამი თვალეზში შესცივინებდა და თან წვერზე ეფერებოდა თომას.

- ორ დღეში მოსკოვში მივდივართ. მე და ჯოხარი უკვე შევთანხმდით ყველაფერზე. დანარჩენებსაც ვეტყვით და დარწმუნებული ვარ, ისინიც წამოვლენ.

- გენაცვალე, ტომ, ძალიან გამახარე, მაგრამ იცოდე, მალე დაბრუნდით, არ მანერვიულოთ!

- დავბრუნდებით, აბა, რას ვიზამთ, რუს „ნაშებთან“ კი არ მივდივართ „საგულაოდ“, _ ენა გამოუყო თომამ და თან მკერდზე მიიხუტა მარიამი.

- მიდი ახლა, ბევრს ნუ ლაპარაკობ. წადი, შენი ძმაკაცები ნახე და შეთანხმდით ყველაფერზე, თორემ ორი დღე უცბად გავა.

- მოკლედ შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა რა. კაი წავედი და დაგირეკავ, როგორც კი შევძლებ. მიყვარხარ, მარიამ!

თომა ავტოფარების სახურავიდან ჩამოხტა და გზას ზევით გაუყვა. უკნიდან მარიამის ხმა მოესმა.

- ტომი!..

თომამ უკან მიიხედა. მარიამი ისევ ავტოფარების თავზე იდგა.

- ტომი! იცი რაა?!

- რაა? - შორიდანვე გასძახა თომამ.

- მე კავკასიელი ვარ!

თომამ თავი დაბლა დახარა და თვალეზზე ცრემლმომდგარმა გააგრძელა გზა.

დადამდა... თომა, ჯოხარი და კიდევ მათი ხუთი ძმაკაცი სკოლის უკან ეზოში შეკრებილიყვნენ და რაღაცაზე გამალებით ბჭობდნენ.

- კარგით, ეგ გასაგებია, მაგრამ საზღვარზე როგორ ვაპირებთ გადასვლას?

- ჯოხარი მართალია, _ დაეთანხმა თომა _ ფულით მესაზღვრეებს ვერ მოვისყიდით, რამე სხვა გზა უნდა გამოვნახოთ.

- მე ვიცი, როგორ უნდა გადავიდეთ. _ თქვა თავგადაპარსულმა ახალგაზრდამ.

- როგორ?! - ერთხმად შეეკითხნენ დანარჩენები და პასუხის მოლოდინში სუნთქვა შეეკრათ.

- როგორ და, ჩემი დის ქმარი გადამზიდავია. დიდი სატვირთო აქვს და გაყინული პროდუქტი გადააქვს ჩრდილოეთ კავკასიაში. ვიცი, რომ ადრეც გადაუყვანია სხვები და არც ჩვენ გვეტყვის უარს. თან როგორც ვიცი, ხვალ საღამოს გადის რეისში და ჩვენ ყველაფერს მოვასწრებთ. ოღონდ თბილი ტანსაცმელი წამოიღეთ აუცილებლად, თორემ გაიყინებით.

- ძმა ხარ, ალექს, ძმა ხარ! - ერთხმად აყაყანდნენ ბიჭები.

- ე, მოიცა რა, მაგის გარეშე არ ვართ ძმები?! - წამოენთო ალექსი.

- კაი ალექს, არ გრცხვენია?! მაგას როგორ ამბობ, ვისაც ჩვენს ძმობაში ეჭვი ეპარება, მოსკოვში გველოდებიან და აი, იმათ ვაჩვენოთ, როგორი ძმობა ვიცით კავკასიელებმა. - შეეცადა თომა გაბრაზებული ალექსის დაწყნარებას.

- ჰო, ჰო, მართალი ხარ! ჩავიდეთ მოსკოვში, ნახეთ, რა დღეში ჩავაგდოთ გასიებული, რუსი ნაცისტი ღორები.

- აბა, რა ალექს, აბა რა! დედას ვუტირებთ ყველას, ოღონდ ახლა ჩემთან ავიდეთ, ჩემები სახლში არ არიან და... თითო ჭიქა დავლიოთ და დავილოცოთ წასვლის წინ. თან სასიამორო იმისთანა რქაწითელი მაჩუქა, რომ დასალევად დაგენანებათ.

- ეე, ძმაო თომა, თუ დაგვენანება, არ დავლევთ და რაღაზე გვეპატიუები? - იხუმრა ჯოხარმა.

- კაი მორჩი ახლა ლაზღანდარობას, ყველანი ერთად მივდივართ, სამსამი ჭიქა დავლიოთ და მორჩა. არც ღვინოა ბევრი და არც დათრობაა საჭირო. - გააფრთხილა თომამ ძმაკაცები.

- ჯოხარ, ხომ დალევ შენც? - იკითხა ალექსმა. ჯოხარს გაელიმა და...

- თქვენი გულისთვის ჯვარს დავიკიდებ ყელზე და ღვინოს არ დავლევ, ბიჭო?!
სახლში ავიდნენ... თომა სწრაფად დატრიალდა. გაზზე წყალი დაადგა და

სოსისი ჩაყარა მოსახარშად. მერე მაცივრიდან ლორი და წითელი ტყემალი გამოიღო და მაგიდის გაშლას შეუდგა. ჯოხარი წიგნის თაროსთან მივიდა და თვალიერება დაიწყო. დანარჩენები ტელევიზორს მიუსხდნენ საყურებლად. „რეალი“ - „ბარსელონა“-ს თამაშს აჩვენებდა „რუსთავი-2“. ერთ-ერთი წიგნიდან ფურცელი ჩამოვარდა. ჯოხარმა დაბლა დაგდებული ფურცელი აიღო, ჯერ დახედა, წაიკითხა რა ეწერა, მერე პატარა სკამზე შედგა, გაიჯგინა, ხელი მაღლა ასწია და დამსწრეთა ყურადღება მოითხოვა.

- პატივცემულო საზოგადოებავ, ნება მომეცით რამოდენიმე წუთი წაგართვათ და გაგაცნოთ ჯერჯერობით უცნობი, მაგრამ მომავალში ცნობილი მწერალ-პოეტის და საზოგადო მოღვაწის, კავკასიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის და თვალსაჩინო წრმომადგენლის, ბატონ თომა - თორნიკე თავგადადებულის ლექსი.

- ჩამოეთრე დროზე მაგ სკამიდან, თორემ თუ დაგინახა თომამ, სულ პანდურის რტყმით ჩამოგიღებს მაქედან, - თავის თავზე აიღო ჯოხარის გაფრთხილება გაბურძნულთმიანმა, ლამის ორმეტრიანმა რაგბისტმა. ჯოხარმა არც კი შეიმჩნია ახმახის გაფრთხილება. უფრო მეტად გაიჯგინა და დაიწყო.

**„ვინ თქვა, რომ კავკასიაში
არ ვიცით სისხლის აღება,**

ვინ თქვა, რომ მტერს ვაპატიოთ

ჩვენი მიწა-წყლის წართმევა?!”

- ნახეთ რა მაგრად უგრძვნია ბიჭს?! _ წამოხტა თავგადაპარსული ალექსი და ბავშვივით მოჰყვა ხტუნაობას. ამასობაში თომაც შემოვიდა ოთახში და ცხელ-ცხელი სოსისი შემოიტანა.

- აბა, დროზე ახლა, ყველანი მაგიდასთან.

იმ ღამეს ბიჭებმა ზომიერად მოილხინეს, გზა დაულოცეს ერთმანეთს და ხვალინდელი შეხვედრის დროსა და ადგილზე შეთანხმდნენ, სამგზავრო ფული უკვე შეეგროვებინათ და წასასვლელად მზად იყვნენ. ხვალ საღამოს ექვსი საათისთვის კახეთის გზატკეცილზე სამგორის მეტროსთან უნდა შეკრებილიყვნენ და იქიდან გაჰყოლოდნენ ალექსის დის ქმარს. ღამე ზომიერად ცხელი და მშვიდი იყო. მხოლოდ ათასში ერთხელ თუ დაარღვევდა ღამის სიჩუმეს რომელიმე მაწანწალა ძაღლის წკმუტუნი და გზააზნეული, გადაგვარების გზაზე დამდგარი მთვრალი ქართველის გინება.

სატვირთოში ძალიან ციოდა. ბიჭებს უამრავი რამ ჩაეცვათ, რომ არ გათოშლილიყვნენ. რა ექნათ ბიჭებს, სხვა გზა არ ჰქონდათ. ის კი იცოდნენ, რომ ნამდვილად უღირდათ ამ ყინვის ატანა იმ საქმისთვის, რა საქმესაც ემსახურებოდა მათი ეს „მოგზაურობა“. არ იქნებოდა სწორი, ესენი სახლში მჯდარიყვნენ მაშინ, როცა ათასობით რუსი ნაცისტი უმოწყალოდ არბევდა კავკასიელებს.

საზღვარზე უსაფრთხოდ გადავიდნენ. თხუთმეტი ივლისი თენდებოდა. ბიჭებმა თბილი ტანსაცმელი გაიხადეს და მახლობელ ვაგზალს მიაშურეს. შვიდი ბილეთი იყიდეს მოსკოვამდე და მატარებლით გაეშურნენ რუსეთის დედაქალაქისაკენ. კუპეში მარტონი იყვნენ. ჯოხარი რაღაც სასაცილო ამბებს ყვებოდა. თავს იმხნეებდა და დანარჩენებსაც ამხნეებდა. თომა სულ იმაზე დარდობდა, მარიამს რომ ვერ დაემშვიდობა.

- კარგი ძმაო, რა თავპირი ჩამოგტირის?! არავინ არ ვაპირებთ მოსკოვში სიკვდილს, ნუ გეშინია, ნახავ მაგ შენს მარიამს, ვერავინ წაგართმევს, ხო იცი?! თომას გამხნეება სცადა გაბურძნულთმიანმა ახმახმა რაგბისტმა.

- აუ, მაგარი დებილი ვარ რა. ეს როგორ დამემართა, სულ აღარ გამხსენებია ამ ამბებში გართულს მარიამის არსებობა. _ მოთქვამდა თომა და თან მარიამის სურათს ჩამტერებოდა მობილურში.

დაეძინათ... დაღლილები იყვნენ. რამდენიმე საათის შემდეგ გამცილებელმა ამცნო, რომ მოსკოვის ცენტრალურ ვაგზალზე შევიდნენ.

- აბა ბიჭებო! _ წამოყარა ყველა თომამ. მოსკოვში ჩავედით. ახლა იწყება ყველაფერი. არ უნდა გავიფანტოთ, ვეცადოთ სულ ერთად ვიყოთ და თუ მაინც დავიშალეთ, იმავე ადგილას შევხვდეთ ერთმანეთს. ეს იცოდეთ, ერთად ჩამოვედით და ერთადვე დავბრუნდებით სახლებში!

მთიდან ჩამოსული მგლებივით შეერივნენ ბიჭები მოსკოვს _ მეცხვარეთა ქალაქს. ქალაქში დაძაბული სიტუაცია იყო. ყველა ნაბიჯში „ომონი“ პატრულირებდა. ყველგან შავნიღბიანი რუსი ნაცისტები იყვნენ და ბოლო ხმაზე ღრიალებდნენ.

- „სიკვდილი კავკასიელ მონებს!“

- „სიკვდილი შავებს!“

- „მოსკოვი რუსული ქალაქია!“

ქუჩები აჭრელბული იყო ფაშისტური სიმბოლიკებით. ოცდამეერთე საუკუნის რუსეთში მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების ფაშისტური გერმანიის მსგავსი მოვლენები ვითარდებოდა. ეს იყო რუსეთი პრემიერის წინასწარგანზრახული და თანამიმდევრული პოლიტიკის შედეგი. შედეგი, რომელმაც მრავალეროვანი რუსეთი ქსენოფობიით მოიცვა და ერთა შორის დაპირისპირება გააღვივა. ეს იყო რუსეთის დაშლის საწყისი, რომელსაც საბოლოო წერტილი სულ მალე დაესმებოდა. რუსების ქსენოფობიით და ფაშიზმით შემინებული დიდოელები კი საქართველოს შემადგენლობაში შესვლას მოითხოვდნენ. დგებოდა დრო, როცა კავკასია სულ მალე გათავისუფლდებოდა რუსული თვითმყოფლობისაგან და ამ ომში მოწინავე მხედრობის როლი, რა თქმა უნდა, საქართველოს უნდა ეტვირთა.

თომა და ჯოხარი გვერდიგვერდ მიდიოდნენ და დანარჩენებიც უკან მიჰყვებოდნენ. უეცრად მათ წინ ჩოჩქოლი ატყდა. რუსი ნაცისტების ხელკეტებითა და დანებით შეიარაღებული ოცკაციანი ჯგუფი პოლიციელთა კორდონის გარღვევას ცდილობდა.

- „კავკასიელი მონები! მოკალით, არ დაინდოთ!“ – ყვიროდნენ რუსი ნაცისტები და ხელებს შვიდი კავკასიელისაკენ იშვერდნენ. თანდათან რუსმა პოლიციელებმა პოზიციები დათმეს და ნაცისტებს გზა გაუხსნეს. გაბურძნულთმიანი ახმახი რაგბისტი თომას და ჯოხარს შუა ჩამდგარიყო. დანარჩენი ოთხი უკანა ფლანგზე განთავსდა და საბრძოლველად მოემზადნენ. რუსები უფრო და უფრო ახლოვდებოდნენ და თან რუსული ენის მთელი სიბილწე მოჰქონდათ. თომამ პირჯვარი გადაიწერა. უკანმდგომ ძმაკაცებს გახედა და უსიტყვოდ გაამხნევა. შავი თვალები აღმასივით უელავდა, გული საგულეში აღარ უჩერდებოდა, დაკუნთული და მარღვებდაბერილი ხელები საჩხუბრად ემზადებოდნენ. თომამ და ჯოხარმა ერთმანეთს გადახედეს და გაბურძნულთმიანს აქეთ-იქიდან უფრო ახლოს ამოუდგნენ. ჯოხარის მუშტები გამალებით ელოდნენ პირველ მსხვერპლს. ახმახი რაგბისტი მარტოხელა მგელივით ყმუოდა და ყბებს ატკაცუნებდა. უეცრად თომას საზარელი და გამყინავი ხმა აღმოხდა.

- „წინ კავკასიისთვის!“

- „წინ თავისუფლებისათვის!“ – დაიღმუვლა ახმახმა რაგბისტმა.

- „წინ გადარჩენისთვის!“ – ჩეჩურად დასჭექა ჯოხარმა.

- „ჩვენ კავკასიელები ვართ!“ – ერთნაირად აღმოხდა შვიდივეს ბაგეს ეს სიტყვები და წინ გაიჭრნენ. რუსებს ჭექა-ქუხილივით დაატყდა მათი კავკასიური ამომახილი და მთიდან წამოსული ზვავივით შეასკდა შვიდივე კავკასიელი ოცზე მეტ რუს ნაცისტს.

და აირივნენ... თმაგაბურძნული ახმახი რაგბისტი ნამდვილი მგელივით იბრძოდა. ვინც კი მასთან მიახლოება სცადა, იმდენი დაბლა დაეცა მისი რკინისებური მუშტის წყალობით. რუსები ბევრნი იყვნენ. ბიჭები თავდაუზოგავად იბრძოდნენ. პოლიცია კი არაფერს აკეთებდა მათ გასაშველებლად. უეცრად თომამ საფეთქელში საშინელი ტკივილი იგრძნო, თვალთ დაუბნელდა და დაბლა დაეცა. ახლა უკვე მარჯვენა საფეთქელზეც ექნებოდა რუსული ზიზღის

კვალი. ოთხი რუსი გამეტებით ურტყამდა წიხლებს დაბლადაცემულ თომას. სახე მთლიანად სისხლით დაეფარა. არაფერი აღარ ეტყობოდა ადამიანობის. ძლივს მოახერხა ერთადერთი სიტყვის დამახეზა

- „ჯოხარ!..“

ჯოხარმა და თავგადაპარსულმა ერთად მოიხედეს უკან თომას განწირული ხმის გაგონებაზე და რომ დაინახეს დაბლა დაგდებულს რუსები გამეტებით ურტყამდნენ, ერთი კიდეც იღრიალეს და რუსებს ეცნენ. ჯოხარის მძლავრმა და ზუსტმა დარტყმამ ორი რუსი დაბლა დასცა. თავგადაპარსულმა ერთ-ერთ რუს ნაცისტს ნილაბი წაადრო თავიდან და იმით მოინდომა მისი დახრჩობა. საბედნიეროდ, ახმახმა რაგბისტმა დროზევე შენიშნა ალექსის თავგამოდებული მცდელობა, ხელიდან გამოგლიჯა თვალეზადმოკარკლული რუსი და ტროტუარისაკენ მოისროლა. დანარჩენებიც მაშინვე იქ გაჩნდნენ, თომას ირგვლივ წრე შეკრეს და ახლა უკვე ასე დაიწყეს ნაცისტებისაგან თავის დაცვა. ნელ-ნელა გაიფანტნენ რუსები. როგორც ჩანს, ვერ გაუძლეს შვიდი კავკასიელის მოქნეული მუშტების ძალას. თმაგაბურძგნული პირიდან სისხლს აფურთხებდა. დანარჩენები გაქცეულ რუსებს აგინებდნენ. ჯოხარი მაშინვე თომას მივარდა, უგონოდ ეგდო, სახედასისხლიანებული ჯოხარი თომას მკერდზე დაემხო და ქვითინი მორთო.

- ღმერთო გადაარჩინე! ქრისტიანების და მუსლიმანების ღმერთო, გემუდარებით, არ მომიკლათ ძმაკაცი! საბოლოოდ ნუ შემაზიზღებთ რუს ხალხს! ნუ მოკლავთ ჩემში ადამიანს! ალაჰ, ხომ იცი, თომას რომ რამე დაემართოს, არცერთ რუსს არ ვაცოცხლებ! ხომ იცი, სანამ ცოცხალი ვიქნები, მანამდე ჩემი წყალი რუსების სისხლი, ხოლო პური - მათი ხორცი იქნება!

ბიჭები თავდახრილები დაჰყურებდნენ თომას და მის სხეულზე დამხობილ ჯოხარს. აცრემლებული ჯოხარის ცრემლები თომას ბავშვობისდროინდელ ნაიარევზე დაეცა. ჯოხარი ძლივს წამოდგა ფეხზე და ძმაკაცებისაკენ შეტრიალდა.

- ჯოხარ, ჯოხარ!..

კავკასიელებისადმი ზიზღით გაჯერებულ რუსულ ჰაერში თომას გამყინავი ჩურჩული გაისმა. ყველა მისკენ შეტრიალდა. ჯოხარს თვალეზზე მიეყინა ცრემლები.

- ცოცხალია... ამოილულლულა რაგბისტმა.

- ძმებო, ჩვენ კავკასიელები ვართ! მთელი ქართული სიამაყით წარმოთქვა ეს სიტყვები თომამ.

ბიჭების დუმილი სასწრაფო დახმარების სირენის ხმამ დაარღვია...



zurab xasaia

* * *

ცხოვრების უდიდესი საიდუმლო: თავის თავს ქმნის ის, ვინც რჩება იმად, რაც არის.

* * *

თუ ღირსება გაკლია, ერთადერთი გამოსავალი სხვისი დამცირებაა.

* * *

ერთ ეშმაკს ბევრი სჯობია. ისინი ხელს შეუშლიან ერთმანეთს სიავის კეთებაში. ამიტომ ღმერთმა უამრავი ავსული შექმნა.

მაგრამ საფრთხე მაინცაა: ავსულებს დარაზმვის ნიჭი აქვთ.

ასეა, რადგან ბოროტება აერთიანებს, სიკეთე კი განაცალკევებს.

* * *

ხალხს გასართობი ჰყოფნის, მე კი ცხოვრების მიზანი მჭირდებოდა. სხვებს გართობაც ჰყოფნით, მე ცხოვრება მინდოდა.

* * *

იბრძოლე შენი უფლებებისთვის! შენი მოვალეობისთვის სხვები იბრძოლებენ.

* * *

ხალხი კისრისტეხით ისწრაფვის ბედნიერებისკენ! კისერი ადვილად ტყდება, ბედნიერება კი არასოდეს მიიღწევა.

* * *

იუმორით უყურე ცხოვრებასო, ასწავლიან ფილოსოფოსები. ზოგიერთმა დაიჯერა და იუმორით უყურებს... სხვის ცხოვრებას.

* * *

სიცოცხლე ცუდი ჩვევაა!

* * *

მთავარი ის კი არაა, რომ ადამიანებმა გამოთქვან აზრები; მთავარია ადამიანებმა მოიპოვონ აზრები.

* * *

მიგელ დე უნამუნო მოკვდა იმიტომ, რომ მას სტკიოდა ესპანეთი! – ამბობს ორტეგა-გასეტი.

სამაგიეროდ, ესპანეთი გადარჩა იმიტომ, რომ ის სტკიოდა უნამუნოს! – ვამატებ მე.

* * *

ვადმერთებ იმ კითხვებს, რომლებსაც პასუხი აუფასურებს.

„რა ამოდრავებს კიპარისის ტანს, ჩუმი შრიალი საიდან არი?“ – იკითხავს გალაკტიონი. რა დიდებულია ეს კითხვა და რა უბადრუკი იქნებოდა ნებისმიერი პასუხი!

* * *

შეიძლება შენი სახე უყვარდეს ვინმეს, ან ლაპარაკი, ანაც თმის ფერი, მაგრამ თვითონ შენ – არასოდეს!

* * *

ღმერთი რომ ზრუნავდეს ჩვენზე, მაშინ მას პატივს აღარ მივაგებდით.

* * *

მოულოდნელი უბედური შემთხვევის ხილვისას, წამის პირველ მეთაღში, ადამიანს ჰგონია, რომ ეს უბედურება მას შეემთხვა.

* * *

ძველი დროის გონებას ნერვები მშვიდად აქვს. ის არ მონაწილეობს „ცხენთა შეჯიბრებაში“.

* * *

სიბრძნე იმდენად წინააღმდეგობრივია, რომ ვერც კი ვიმახსოვრებთ.

* * *

რაც უფრო ბრძნულია აზრი, მით უფრო გამოუსადეგარია.

* * *

დღე და ღამე ღმერთზე ვფიქრობ, მაგრამ მისი ნაკვალევითვისაც კი ვერ მიმიკვლევია. ახლა ამას გინდა თეიზმი დაარქვით, გინდა ათეიზმი.

* * *

სიკეთისა და სილამაზის წინაშე ტირილი მოგვინდება ხოლმე. ამის მიზეზი მათი წარმომავლობის შეგრძნებაა.

* * *

სინათლის სხივი თურმე მხოლოდ ბნელი ელემენტებისგან შედგება.
ახლა მოდი და გაუგე ბუნებას!

* * *

ჭარმაგმა პროფესორმა ახალგაზრდა ასპირანტი ქალი მეცნიერების
ოკეანეში შეიყვანა; მაგრამ საქმე ისაა, თუ რა დააჭერინა.

* * *

თუ ღვთის ნაკვალევს ეძებ, ეშმას ბუნაგთან აღმოჩნდები.

* * *

მას მერე, რაც ქათმის გრიპი გავრცელდა, აღარც დღევანდელი კვერცხი
მინდა, აღარც ხვალინდელი ქათამი.

* * *

სმის დროს უნდა იმეორო სიტყვა „ანტიტოტალიტარისტული ინს-
ტიტუციონალიზაცია“, როცა თავს ვეღარ გაართმევ ან თავს ვეღარ მოუყრი, სმა
შეწყვიტე!

* * *

„Exraze linpham!“ (მოსპეთ ბილწი!), – ამბობდა ვოლტერი. იქნებ ეს
მოფრანგე სფინქსი თვითმკვლევლობისკენ მოგვიწოდებდა?

* * *

უმეცრება, აი, რა სჭირდება ისტორიკოსსო, ირონიულად შენიშნავდა
ბატონი სტრეჩი.

მე კი დავამატებდი: არა მხოლოდ ისტორიკოსს!

* * *

თქვენ ხართ ჭა, საიდანაც უნდა ამოიყვანოთ თქვენი თავი.

* * *

სიკეთის არსებობა უკვეა მისი გამარჯვება. მის სხვა გამარჯვებაზე
ლაპარაკი სიყალბეა.

* * *

ბანალობის საწინააღმდეგო აზრი ისევ ბანალობაა. ჭეშმარიტების საწინააღმდეგო აზრი კი – ისევ ჭეშმარიტება.

* * *

ჯანმრთელობა ერთგვაროვანია-ხოლმე, სნეულება - მრავალფეროვანი.

* * *

ვის – ბასრი ნისკარტი, ვის – კლანჭები, ბულბულს კი ხმა დაიცავს თავისი.

* * *

ჩვენ სულ განსასჯელის სკამზე ვსხედვართ. ცუდი ქცევებისთვის იმქვეყნად მოგვეკითხება, კარგი ქცევებისთვის კი ამ ქვეყნად.

* * *

როცა კოლოსს იხილავ, მის ფეხებს დააკვირდი კარგად: ვეჭვობ, რომ ისინი თიხისა იქნება.

* * *

ნუ შეკრთები აქილევსის წინაშე! გახსოვდეს: მას ქუსლიცა აქვს.

* * *

მოვა გმირი და აგვიხსნის, თუ რისთვის უნდა დავიხოცოთ.

* * *

მოღალატე იმხელა დამნაშავეა, რომ სიკვდილის ღირსი არაა. მან უნდა იცოცხლოს!

მარტოსულს ერთადერთი გამოსავალი აქვს ტანჯვიდან: დააკავშიროს თავისი ტანჯვა თავის უპირატესობასთან. სულ ესაა „ტანჯვით ტკბობა“. უპირატესობით ტკბობაა იგი.

* * *

ადამიანები იმიტომ მიძვრებიან მაღლა, რომ არ ვარგანან დაბლა.

* * *

ადამიანები ბედნიერნი რომ ყოფილიყვნენ, არ გამრავლდებოდნენ.

* * *

მოვა დრო და ქართველი ხალხი სამყაროს შექმნის ექვს დღეს კიდევ ერთს მიუმატებს და ამოუყენებს გვერდში - ვარდების რევოლუციის დღეს. ასე ეკუთვნის იმ ექვს დღეს.

* * *

ცხოვრება მდინარეა, რომლის სათავეში ხრწნილი გველემაპი აგდია.

* * *

კანონების გამკაცრება მათი დასუსტების ნიშანია, როგორც ფასების ზრდა - ფულის კურსის დაცემისა.

* * *

ზოგი ადამიანის უკანასკნელი თავხედობა ჯანმრთელი მოხუცებულობაა.

* * *

ისტორიაში კარგი დრო არ არსებობს. მხოლოდ აქა-იქ ბჟუტავს კარგი დროის მოლოდინის დრო. ესაა და ეს.

* * *

პრეზიდენტობის პირველი ათი წელი ურთულესია, მაგრამ ჩემი ხალხის გულისთვის გავუძლებო, თქვა ოთხი წლით არჩეულმა პრეზიდენტმა ინაუგურაციისას.

* * *

ადამიანთა ერთ-ერთი სერიოზული გასაჭირი ისიცაა, რომ მათ ხშირად ერთმანეთთან ჩხუბის მიზეზი არა აქვთ.

* * *

მიწასთან ურთიერთობა მიყვარსო, ამბობდა და ბოლოს მოკვდა კიდევ.

* * *

ლექტორ მენაბდიშვილის გონება საზენიტო არტილერიას ჰგავდა — მხოლოდ ზეცას და ღმერთებს უმიზნებდა!

* * *

ახლო ნათესავების ყოველი შეხვედრა, საუკეთესო შემთხვევაში შერიგების მცდელობაა.

* * *

პრობლემა, თუ ვინ იყვნენ „ისტორიული აფხაზები“, უნდა გადაჭრა ისე, როგორც ალექსანდრემ გადაჭრა ფრიგიაში გორდიასის კვანძი.

* * *

ადამიანსა და გველს შორის მთავარი განსხვავებაა: ადამიანი სიფხიზლის დროს სწორად მიდის, სიმთვრალის დროს _ უსწორმასწოროდ. გველი სწორედ პირიქითაა: სიფხიზლის დროს უსწორმასწოროდ მიდის, სიმთვრალის დროს - სწორად.

* * *

ფიქრით კაცის მოკვლა რომ შეიძლებოდეს, დედამიწის ზურგზე ადამიანის ჭაჭანება აღარ იქნებოდა.

* * *

ნეტარ არიან, ვინც არ იცნობენ საკუთარ თავს!

* * *

რწმენას კი არ ჰპოვებენ, არამედ კარგავენ.

* * *

ადამიანი - შრომისუნარიანი გიჟი!

* * *

ხელისუფალნო, ქართველები საქართველოდან კი არ გარბიან, არამედ თქვენგან!




avTo oniašvil i

ვერ დაგვაჩოქებთ!

მურით აღვსილნი, აბორგებულნი,
გაბოროტებით გველი ნელა მოცურავს
დასაგესლავად ღვთისმშობლის ერზე
უწმინდურ ტყვიით მართალ სისხლს ღვრიან
ცვრიან მდელოზე,
სისხლიან ჩექმას ზედ იხოცავენ,
ამ ჩვენ პატარა საქართველოზე.
ციდან წვიმს წვიმა, ტყვიების წვიმა,
სიკვდილს მოათრევს თავისი ცელით,
გადაგვიარა რუსეთმა - ვირმა
და ზედ დაგვანთო ხანძარი ცხელი,
მუბლი გახვრიტა, კაცი დაფლითა,
სისხლი მოგორავს ლოყაზე სისხლი!!!
რუსეთი მოდის თავისი დუჟით
ცოდვის ქაფითა
მე ველარ ვარჩევ, ირგვლივ ნისლია,
სიკვდილის ნისლი.
არყით და ღვინით აყროლებულნი
მოდინ ბევრნი,
ლორების ტევრი, თან მოაქვთ ქვევრი
და სისხლის კევრი.
აღარ სურთ ქართლი, ერთი ნატვრა აქვთ: „მოვკლათ ქართველი“.

ამ ოხშივართ ლამის ჩააქრონ წმინდა სანთელი.
თვითონ ღორები, საღორეებსაც ძარცვავენ შურით
კარგი რად გაქვთო?! სხვაგან სად ვთქვათო?!
წავისვით მური?
იმ უნიტაზში წაეწმოდოთ სულ ყველას სული!
საკუთარ ჯავრში, ბოროტებაში ჩაეხრჩოთ გული!
თქვენ ჩვენ გვიპირებთ გადაშენებას? ვერ მოესწრებით!
საკუთარ სიკვდილს თავადვე ჩორკნით, მალე ეწევით!
თქვენ ოსმალეთის, ანდა პართიის გზას გაუდგებით;
ჩვენ კი ვარსკვლავად მუდამ ვენტეთ და კვლავ ვენტებით!
ჩვენ სულ პატარა გასაღები ვართ, კარებს რომ აღებს,
და თქვენ კი დიდი, ბევრი ჯართი ერთად დაყრილი!
თქვენ კლავთ კალატოზს, დიდ და ლამაზ ტაძარს რომ აგებს
კიდევ გსურთ სისხლი?! კიდევ გსურთ ომი?! არ ხართ დაღლილნი?!
სავარძლებში რომ ჩადებულან და ბრძანეს ომი
მათ ახირებებს ეწირება ათი და ასი.
ზომა და წონა არ იციან, არ აქვთ საზომი
და სიცოცხლესაც დაჰკარგვია მათ ხელში ფასი.
ვერ დაგვაჩოქებთ, ვერ დაგვიმონებთ და ვერ დაგვდაგავთ!
არ დაგანებებთ ამ სამოთხეს მისი შვილები
და როგორც ლუკმას, სათითაოდ თუ გადაგვცლაპავთ,
იცოდეთ ყველა ყელში შხამად გაგეჩხირებით.



Diana kapanaZe

* * *

მე შენში დავინახე რაღაც უცნაური, არაბუნებრივი,
თითქოს ბუნებრივიც...
მე შენში დავინახე რაღაც სასწაული, რაღაც საოცარი,
რაღაც ნაომარი, სული საოცარი..
შენში დავინახე სიცოცხლის წადილი, რაღაც მიზანი.
სულით გიცანი...
მე შენში დავინახე ჯერ უხილავი, დღემდე უცნაური,
თვალთ უნახავი..
შენში ბევრია, ბევრიც ბნელია,
მაგრამ ნათელი უფრო მეტია..
შენში სიცოცხლე უფრო ბევრია
და აქ სიტყვებიც თითქოს მეტია..
ცისარტყელა ხარ ათასფერადი,
წითელი, თეთრი, მრავალფერადი..
ყოველი ფერი თითქოს შენია
და მოლოდინიც უფრო მეტია..
"სევდა" ეს კითხვა მე დამეზადა
რადგან თვალეები ყოვლის მთქმელია..
მაგრამ რა სევდა, პასუხი ერთია: -
— ხელოვანია.. ესეც ბევრია..

* * *

არ ჩანს გზა... არ ჩანს ნათელი...
ირგვლივ თალხია.. შემოგარენში..
არ არის ხალხი... არ არის სითბო..
არადა, მხოლოდ სიკეთეს ვითხოვ..
მინდა ვიყვირო... მინდა ვიკვილო..
ჩემი ხმა მინდა ცას ავაწვდინო,
რომ შევავედრო უფალს სიტყვები:
დღეს მე ქვეყანა გადამირჩინოს..
ხალხი დაბრმავდა.. ხალხი გაქვავდა..
გარშემო ყველამ გრძნობა დაკარგა,
გაქრა სიკეთე, გაქრა ოცნება,
და დარჩა მხოლოდ ეს მოგონება..
ზოგი წერს, ზოგიც რას ამბობს,
მაგრამ საკადრისს არვინ არ ამბობს..
ნუთუ ძნელია, თვალთ გავახილოთ,
რომ ერთმანეთი გადავარჩინოთ..
თითქოს ამით ძნელს არაფერს ვითხოვ,

მაგრამ მე თურმე სასწაულს ვითხოვ....

* * *

დღესდღეობით მეგობრობა ასეა,
შეყვარებულის ახევაც საქმეა,
გამკიცხავენ ან მეტყვიან: მასეა,
გააჩნია, ვინ როგორი გამგეა..

დღესდღეობით GEORGIA-ში ასეა,
მეგობრობა ცარიელი ფარსია,
ამ სიტყვებს ხომ ლეგენდები ასხია:
„მეგობრობა უდიდესი განძია“...

როცა ამ ლექსს წაიკითხავს მოხუცი
გაიფიქრებს ამ ჩემისას აკლია,
ჩაფიქრდება, იტყვის, ეს რა მასტია,
იმის დამწერს მართლა ხო არ აკლია..

მაგრამ არ ვარ, დამიჯერეთ „გლაზა“,
დღეს ამ სიტყვებს აღარ შესწევთ ძალა,
გარშემო ხომ არის ხალხის ფარა,
რომელთაც არ გააჩნიათ, არა...

გავა დრო და დარწმუნდებით ამაში
რომ არავის უნდა ვენდოთ არაში,
თვალს გიბამენ, ჩაგითრევენ თამაშში
დამიჯერეთ, მე არ ვცდები ამაში...

ხომ ამბობენ, ქალი მაინც ქალია
და სანდობლად არა სადეგარია,
ამ სიტყვებში არის ჭეშმარიტება,
დავამთავრე ჩემებური დიდება ..!



rusudan kil asonia

* * *

ღამეა. მარტო ვარ,
ვით უხმლოდ ბრძოლაში კაცი,
ვწერ ამ სიტყვებს და
ჩემს გულში ვეძებ
რადაცას ნამდვილს.
ჩამეძინება, ბოროტი ფიქრი
თან ახლავს ღამეს და არ მასვენებს.
ხელი არ მიშვებს,
მე აღარა ვწერ,
ცრემლები წერენ
სათქმელ-საწერელს.

* * *

ჩემს ღიმილს მუდამ
თან ახლავს სევდა.
გულს რომ აპობს და
სხვას კი არა ჰგავს.
ძნელია მაშინ, როცა იცინი
და ეს სიცილი
შენსას არა ჰგავს.
გინდა იტირო
ცრემლად ქცეულმა,
წინ მდგომს უმხილო...
არა, არ გინდა,
მარტო ხარ,
ესეც არ კმარა?
მის წინ დამდგარმა
ჩუმიდ იტირო.

* * *

თითქოს უჩინრად თავი დახარა
მწვანე მდელოზე ფერთა პალიტრამ,
წითელმა ვარდმა შავი პერანგი
გლოვის სამოსად ჩამოარიგა.
ქართველმა დედამ შვილი დაკარგა
და ბრძოლის ველზე მის სხეულს ეძებს.
ჩვენი მტრებისთვის ეს ავანსცენა
იუმორისტულ სცენარებს ხატავს.
ეს მერამდენედ? და ისეც რატომ?
ქართველთა მსხვერპლი ანგარიშს კრძალავს.
ცრემლებს კი, უკვე შავი ზღვა, ალბათ,
ტყვეების სახით ტალღებს გაატანს.
და გათენდება აგვისტოს დილა,
როგორც წინა დღეს უსასტიკესი.
ის აღარ ინდობს ქვეყნად არავის...
და მტრის წისქვილს რომ წყალს კვლავ დაასხამს.
ქართველი დედა, როგორც ყოველთვის,
საფლავთან ზის და... შვილის გმირობის
სურათებს ხატავს.



Teona gigauri

xuTi wuTi

„ – ე , არ გცალია? ხუთი წუთი მინდა დამითმო...“ –
ამით დაიწყო ეს ფიქრები ყოველ დამითო...
შავ-თეთრ ნახატებს
უკვე ლალი ფერიც ახარებს
და გულიც თითქოს
ნამთვრალევი დაჰყვება ქარებს...
აღარ მეგონა,
არ ვფიქრობდი ქუჩაში თუკი
გამატარებდა
გული თავის ახალი რუკით
მიყვარს მაისი,
წვიმა...
გუშინ ისევ დავსველდი...
რა ვქნა – დავხიო?
თუ ჩავთვალო ახალი გვერდი?!
წუხელაც თვალმა
ვარკვლავები თვალა და თვალა
და გამახსენდა,
გამახსენდა მაშინ ლურჯთვალა
იებს რომ ყიდდა
ნამძინარი, დაღლილი ბებო
და ვფიქრობ ახლა
დავიწყება არც კი გავბედო...
„ე, არ გცალია? 5 წუთი მინდა დამითმო...“ –
ამით დაიწყო ეს ფიქრები ყოველ დამითო...
წუხელაც თვალმა
ვარსკვლავები თვალა და თვალა
და გამახსენდა,
მომენატრა ერთი ლურჯთვალა...

Semomxede

შემომხედე...
მე ვარ შენი მოგონება
წარსულის და მომავლის დღიურიდან...
შემომხედე...
ნუ ეცდები შეყოვნებას,

ძველებურად დიდხანს ლოდინს არ ვაპირებ...
შემომხედე...
ისევ ის ვარ, მხიარული
და თვალების კითხვაც ისევ შემიძლია...
შემომხედე...
გახსოვს მაშინ სიარული,
ის თუ გახსოვს, მცირე ლექსიც რომ მომწერე?!
შემომხედე...
არ გიხდება დაღონება
შენს ბაგეებს ღიმი უფრო ალამაზებს.
შემომხედე,
რად არ გინდა გაგონება?
თუ გინდა იმ ლექსს გეტყვი, მაშინ რომ მომწერე...
შემომხედე..
არიდებას ნუ იცდილებ,
მე მორცხვი ვარ და შენ მაინც ითამამე
შემომხედე...
ან იმაზე ნუ იჩივლებ,
გაიხსენი, გაკლიაო სითამამე...
შემომხედე...
აბა, კარგად შემომხედე...
შენ თვალების კითხვა სულ არ შეგძლებია...
შემომხედე...
ვინ ვარ შენთვის?
მეგობარი?!
შემომხედე...

ganaCeni

„- ჯოჯოხეთიო“ – ჩაესმოდა ცოდვილის ყურებს
„- ჯოჯოხეთიო“ – და სატანაც კარს მიაყურებს...
საიქიოში შეკრებილა მსაჯულთა კრება...
საიქიოში მსჯავრის ძალი უკვალოდ ქრება.

დამპალი სული ბოროტების წარსულით ყარდა,
სააქაოში არა დარჩა, ცოდვების გარდა...
უსულო სულმა, სადაც კარგი დაიმართოვა,
მხოლოდ ტკივილი, მწუხარება, გლოვა დატოვა...


მეწამულ ბინდში გზა შემცდარი გადაიშალა
და გვამებისგან დაფარული ვერ დაიცალა...
ეცინებოდა უხსენებლიდან უფლის სამსჯავროს
ემმას მიუძღვნა გული - ახლა გვიანდა ჯავრობს...

„ - ჯოჯოხეთიო“ - დგება სიტყვით ერთი მართალი
„ - ჯოჯოხეთიო, თუ არისო აქ სამართალი“.
მსჯავრი კანკალებს, ლაჩარივით უბორგავს გული
და ციებიანს ელანდება ჯალათის ცული.

როგორ დაიწყო ბოროტებით სიკეთის თელვა,
როგორ დაბრმავდა, ვერ შენიშნა ღვთიური ელვა,
როგორ ხარობდა ნაყაჩაღართ ცრემლებით მთვრალი,
სადაც განევლო ყველგან შავი დაამჩნო კვალი.

„ - ჯოჯოხეთიო“ - ჩაესმოდა ცოდვილის ყურებს,
გამარჯებული მით სატანაც კარს მიაყურებს...
ეცინებოდა, უხსენებდნენ უფლის სამსჯავროს,
ემმას მიუძღვნა სული - ახლა გვიანდა ჯავრობს.

საიქიოში მსჯავრის ძალი უკვალოდ ქრება
„ - ჯოჯოხეთიო“ - დგება სიტყვით ბევრი მართალი,
„ - ჯოჯოხეთიო“ - და აღსრულდა მით სამართალი...



bel a kokaia

* * *

იყო მზე და იყო მთვარე,
იყო ბნელი დიდი ღამე,
იყო ცაზე, იყო ზღვაზე,
იყო ნაზად მოფარფატე.

იყო ლანდად, იყო მთვრალად,
იყო მთაზე, მრავალ სახად,
ზოგან თეთრად, ზოგან შავად,
იყო ნაზად, იყო შმაგად.

იყო ისე, იყო ასე,
იქ იყო და იყო სავსე,
იყო ცაზე, იყო ზღვაზე,
იყო ნაზად მოფარფატე.

* * *

ტირის თვალეზი ცივი ცრემლებით,
რა გატირებსო, რაო?
მწარედ ეცემა, ღაწვის მარგალიტი,
იწვის, ინათე გზაო.
წინ ნისლია და მას ვერ ვპოულობ,
სად წასულხარო, სადო?
მას სული სტანჯავს და ვერა ხვდება,
გაუჩინარდა ცადო.
რა ცხოვრებაა, რა სიცოცხლეა,
ღმერთო, სად არის, სადო.
გუშინ ვხედავდი, დღეს აღარ არის,
ნუთუ გაქრა და რატომ?
შენც გჭირდებოდა? მეც ხომ მიყვარდა?
რატომ წამართვი, რატომ.

erT sevdian Rames

ერთ სევდიან ღამეს,
თვალეზს არ გავახელ,
ისე გავუყვები,
სანთლით ხელში ნათელს.
ერთ ქარიან ღამეს,
ფანჯრებს არ გავაღებ,
კალამს ავიღებ და
ლექსად ვიტყვი ნამღერს.
ერთ წვიმიან ღამეს,
კარებს არ გავაღებ,
ბუხარს მივუჯდები,
ვიტყვი ახალ ამბებს.
ერთ მთვარიან ღამეს,
იმას გავიხსენებ,
შენ რომ მიყვებოდი,
ლამაზ, ლამაზ ზღაპრებს.
ერთ თოვლიან ღამეს,
თვალეზს, რომ გავახელ,
ვეღარ დავინახავ,
თეთრ, ფარფატა ფანტელს.



oTar maRI aferize

mamul o sayvarel o

ფიქრები მისდევს ფიქრებს,
ზამთრის ღამეა ზნელი.
წადი! გამშორდი ღამევ!
ნუთუ არ გათენდები?
ფიქრები მისდევს ფიქრებს,
გაგვთეთრებია თმები,
გარეთ ცივა და თოშავს,
დაუთოვლია მთები;
ისევ ღამეა, ღამე,
ოდნავ ინათლა თუმცა.
ღმერთს შევევედრე, ვთხოვე,
მანაც იმედი მომცა;
გათენდებაო, მითხრა,
უნდა იწამოთ ღმერთი;
დაგიბრუნდებათ რწმენა;
კვლავ ამწვანდება მთები;
გადიწმინდება ზეცა;
გასუფთავდება სისხლი,
განიწმინდება ერი,
და, გვეშველება ისევ,
რადგან იმძლავრებს გენი!
კვლავ ამწვანდება მდელო,
და, გამუქდება თმები,
და, გადარჩება გენი,
და გადარჩება ერი!
ფიქრები მისდევს ფიქრებს
და გვისრულდება ნატვრა
ილია მართლის, ბრძენის:
რომ აყვავდება მდელო,
რომ აყვავდება მთები,
და, რომ მამულო ჩვენო
შენც ისევ აყვავდები!



nino morcil aze

* * *

გავებუტები შენს ბავშვურ ღიმილს...
შემიყვარდება შენი ცრემლები...
გამაბოროტებ შენი ქცევებით,
მაგრამ მე მაინც მოგეფერები...
 მოგწმინდავ ცრემლებს ცვრიან თვალებით,
 თავად წვიმა ვარ, შენთვის მოსული...
 არ გებრალები? აღარ დამინდობ?
 აჰა, წაიღე გული და სული.
სულს არ წაიღებ! სული ჩემი
გულს კი შენ გჩუქნი, შენთვის მხურვალეს,
წაიღე, მიდი და დაინახე, ჩემი თვალები,
შენთვის მდუმარე... მდუმარე,
 მაგრამ ყველაფრის მთქმელი
 იმაზე მეტის, ვიდრე შიშია...
 შიში იმისა, რომ არ დაგკარგო,
 შიში იმისა, რაც კი მითქვია.
და თუ არ ცდილობ, იყო ის ჩემთვის,
ვისთვისაც გულში ცეცხლი მინთია,
შენ რა გგონია? არ მეყვარები?
აღარ გიტირებ?... არც გიფიქრია.
 მე ეს შევძელი და კვლავაც შევძლებ
 თუ ეს სიტყვები ფუჭი ფიცია –
 და მხოლოდ ფურცელს გავუზიარებ
 იმ დიად გრძნობებს,
 რაც ამ პატარა გულს განუცდია.

* * *

მინაწერი პირველი: ჩემი თითოეული ნაბიჯი შენს ცხოვრებაში უნებურად დაშვებულ შეცდომას ჰგავდა... შენ თავადაც შეცდომა იყავი იმ დღიდან, რაც ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდი და დაიმკვიდრე მყუდრო სამყოფელი... მჯეროდი, მწამდი! თუმცა თავადაც არ ვიცოდი, რატომ...

* * *

მინაწერი მეორე: როგორ არ ვიცოდი... მიყვარდი! უძლიერესად მიყვარდი და ამიტომ. თვალებზე ბინდი ჩამომადარე, გზები ამირიე, დრო შემიჩერე... ერთხელ გამაღიმე... 99-ჯერ ამატირე... სანამ მეასეს დრო მოვა, თავად შეგაჩერებ! გულიდან მწარედ, გამეტებით ამოგიგლეჯ ფესვებიანად! მაგრამ... ვაი, რომ მის ადგილას აყრილი მიწა დარჩება...

დაე დარჩეს! ისევ აყრილი მიწა ჯობია დამპალფესვებიანი ხის სავალალო დგომას... იმის შიში მაინც არ იქნება, რომ უეცრად მოწყვეტს ძირიანად ბრაზის ქარიშხალი და უმიზნოდ გადაგდებული უდანაშაულოსაც ჩაიტანს თან...

ისევ ატრიალებს დედამიწას სიყვარული, დომენიკო?

საინტერესოა რა პასუხს გამცემდი ახლა

* * *

როცა სიჩუმე მეტს ამბობს, ვიდრე
ნებისმიერი ბრძენის სიტყვები,
როცა ბოხოქრობს გულში სასტიკად
მარტო შთენილი, უხმო ფიქრები...
როცა ბრძნულ სიტყვებს ერთმევა ძალა,
ბატონობს მხოლოდ სევდის მახვილი
როცა გულის ფიქრს გონებით ფარავ
გონიდან ყვირის სულის ძახილი.
როცა უცხოა ყველა ამ ქვეყნად,
როგორაც უცხო პლანეტის შვილი.
არ ესმით შენი, შენ მათ ვერ უგებ
გვეზრდება მუდამ წამება ცილის.
როცა ზედმეტი ხარ და გრძნობ ამას
როგორც ყვითელი ფოთოლი ხავსზე...
ო, როგორ მინდა მწვერვალზე დგომა,
რომ მოვისწრაფო სიცოცხლე წამსვე!
აღარ ვიდოდე მიწაზე მეტად,
არ დავამძიმო ცოდვილი სული.
არამედ ლაღად ავმალდე ზეცად
სუფთა ხელებით, განწმენდილ გულით.
ხომ მოელება ბოლო ყველაფერს,
რასაც სიცოცხლეს ვუწოდებ დღესაც.
აღარ მადარდებს მოვიძვი ნაყოფს
იმისას, რასაც ვეტრფი და ვთესავ.
ამ ცხოვრებაში ვერ ვნახე მეტი,
სიცრუისა და სიცივის გარდა,
ამიტომაც ვთვლი, მოვიდა ჟამი...
ამიტომ ვდგავარ უხორცო კართან...



soso sigua

tril ogia „bel adis’’ bedi

„მთვარის მოტაცების“ დასრულების შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიამ ახალი რომანის წერა დაიწყო.

ეს იყო „ევროპა გალიაში“, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო ევროპის სინამდვილე, ბრძოლა რესპუბლიკური ესპანეთისათვის, რაც მამინ უაღრესად მოდური თემა იყო.

„ლიტერატურული საქართველო“ უკვე აქვეყნებდა ცალკეულ თავებს.

ლავერენტი ბერიას ეს რომანი არ მოსწონდა, მაგრამ მწერლის ჩანაფიქრს მიესალმა.

მწერალი პირობას აძლევდა ხელისუფლებას, რომ „მთვარის მოტაცების“ ნაკვს ამ რომანში გამოასწორებდა.

მაგრამ ქვეყანაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა:

1937 წლის 3 მარტს ცეკას პლენუმზე სტალინმა სახელმწიფო ტერორი გამოაცხადა – განსხვავებული აზრის პირებთან კამათი დასრულდა, მათი ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო.

15 მაისს, ქართველი ბოლშევიკების მე-10 ყრილობაზე, ბერიამ იგივე თემა გაიმეორა და ქართული მასალებით, ქართული გვარ-სახელებით დააკონკრეტა, თავს დაესხა „ტროცკისტებს“, „ცისფერყანწლებს“, „ლეფელეებს“, „აკადემიური ჯგუფის“ წევრებს, „არიფიონს“...

სხვებთან ერთად მწვავედ გააკრიტიკა კ. გამსახურდია, როგორც ფაშისტური ელფერის მებრძოლი ნაციონალისტი, თუმცა მწერლის დიდი ნიჭიც აღიარა და თქვა, საჭიროა მისი ხალხის სამსახურში ჩაყენება.

ამის შემდეგ დაიწყო კ. გამსახურდიას სასტიკი კრიტიკა. მწერალი თავს იცავდა, ხშირად სიტყვით გამოდიოდა, სტალინსა და ბერიას განადიდებდა, მიმართავდა ცეკას, მაგრამ ამაოდ.

შინსახკომში უკვე წამების შედეგად ათქმევინეს ლიდა გასვიანს, ბუღუ მდივანს, ნიკოლო მიწიშვილს, დავით წერეთელს, არჩილ

მიქაძეს, დავით ლომინაძეს, გერმანე მაგლობლიშვილს, ტიციან ტაბიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს და სხვა პატიმრებს, რომ კონსტანტინე იზიარებდა ფაშისტურ იდეებს.

პარალელურად პრესასა და მწერალთა კავშირში გაძლიერდა მწერლის დევნა. ალბათ, აგენტურის მონაცემებიც უხვად ექნებოდა ხელისუფლებას, რომელთაგან ზოგის ვინაობა ცნობილია.

დახვრიტეს მწერლის ორი ძმა – ალექსანდრე და ვიქტორი, პირველი მეუღლის – რებეკა ვაშაძის ძმა სიმონი.

თითქოს გამოუვალი სიტუაცია შეიქმნა, რადგან უკვე დაპატიმრებული იყო მრავალი პარტიული მუშაკი თუ ხელოვანი, ვერავინ გაეგო, ვინ იყო დამნაშავე, ან – ვის რის გამო იჭერდნენ.

ასეთ დროს ბერიამ გამოიძახა კონსტანტინე და დაავალა დაეწერა რომანი სტალინზე.

ამ მნიშვნელოვან ფაქტს, რაც მწერლის სიცოცხლის გადარჩენას ნიშნავდა, თუ რა წყაღქვემა მდინარება უძღოდა, ჩვენთვის უცნობია.

შეხვედრას ესწრებოდა ილია თავაძე, შემდეგში ცეკას მდივანი.

ეს იყო მაშველი რგოლი, რომელიც განწირულ მწერალს ხელისუფლებამ გადმოუფგლო.

კონსტანტინეს უნდა აესახა ბელადის ბავშვობის წლები და რევოლუციური წარსული, კავკასიური პერიოდი ტურუხანის მხარეში გადასახლებამდე, ე.ი. 1913 წლამდე.

ამ დროს უკვე დაწერილია ბერიას მონოგრაფია სტალინის რევოლუციურ ბრძოლაზე (რისთვისაც ლენინის პრემია მიენიჭა), შალვა დადიანის პიესა „ნაპერწყლიდამ“, გიორგი ლეონიძის „ბავშვობა და ყრმობა“, ალიო მირცხულავას „სამშობლო ბელადისა“ და ა.შ. ე.ი. მკვიდრდება სტალინის პიროვნების კულტი, სტალინის მესიანისტური სახე.

ბელადს განსაკუთრებით აინტერესებდა თავის მოღვაწეობის კავკასიური პერიოდის გაშუქება, თავისი როლის წარმოჩენა.

ბერიაძემ ამიტომ მიაქცია ყურადღება ამ საკითხს, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა მის ავტორიტეტს ბელადის თვალში.

მაგრამ ამ თემაზე მუშაობის ნებას ყველას როდი აძლევდნენ. აქაც ფილტრაციის მკაცრი პრინციპი მოქმედებდა.

ბერია კარგად იცნობდა კონსტანტინეს, მის ბიოგრაფიას, „მთვარის მოტაცებას“ და, მიუხედავად მწერლის სახელის საყოველთაო ანათემიისა, სწორედ მას მისცა საპასუხისმგებლო დავალება.

წარმოიდგინეთ – როგორი საფრთხილო იყო სტალინის ცხოვრების ასახვა და ისიც 1937-1938 წლებში!

ცხადია, ბერია მხოლოდ თავისი ინიციატივით გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. იგი უქვეყლად შეთანხმებული იქნებოდა თავად სტალინთან, რადგან რესპუბლიკის ხელმძღვანელს ყველა არხით მხოლოდ უარყოფითი ინფორმაციები მოსდიოდა კონსტანტინეზე. ქვეყანას კი მაშინ ფაქტიურად მართავდა არა ცეკა, არამედ – ჩეკა.

ბერია რისკზე ვერ წავიდოდა, მით უმეტეს, რომ მალე თვითონ გახდა რეპრესიების ობიექტი და მხოლოდ სწრაფმა მანევრირებამ იხსნა დაღუპვისაგან.

კონსტანტინე „მთვარის მოტაცების“ ავტორი იყო და ბერია ვარაუდობდა, რომ ეს ახალი წიგნიც წარმატებული იქნებოდა. ეს, ერთი მხრივ, ნიშნავდა ანტისაბჭოთა მწერლის ბოლშევიკების სამსახურში ჩაყენებას, მეორე მხრივ – მწერლის ოფიციალურ აღიარებას, მის არა მხოლოდ გადარჩენას, არამედ – შემოქმედებისათვის საჭირო პირობების შექმნასაც.

კონსტანტინემ მიიღო ხელისუფლების წინადადება, თუმცა ამბობდა, ასეთ დიდ პიროვნებაზე როგორ შეეძლებ შესაფერი წიგნის დაწერასო, მაგრამ იყო რამდენიმე ფაქტორი, რაც გაუადვილებდა მუშაობას.

როგორც მოგეხსენებათ, კონსტანტინე ფრ. ნიცშეს სამყაროდან მოდიოდა. მას მუდამ აინტერესებდა დიდი, განსაკუთრებული, ზეციური ძალისა და უნარის პიროვნებები, რომელთაგან განსაკუთრებით ხიზლავდა რამდენიმე სახელი – ნაპოლეონი და გოეთე.

ახლა საშუალება ეძლეოდა, კიდევ ერთი დიდი პიროვნების ცხოვრება აესახა, მისი თვალთ დაენახა ეროვნული პრობლემატიკა.

გარდა იმისა, რომ მწერალი უმწურო მდგომარეობაში იყო, აქ კიდევ ერთი ფაქტორი მოქმედებდა: სტალინი ცხადდებოდა დიდ რევოლუციონერად, ჩაგრულთა მამად, რომელმაც შეცვალა ისტორიის მიმდინარეობა, ხოლო მის მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე, სისასტიკესა და ტირანიაზე არც საზოგადოებამ და არც კონსტანტინემ ჯერ არაფერი იცოდა.

კონსტანტინეს თვალში ბელადი წარმოდგა ნაციონალურ სტიქიონად, რომელმაც დაამხო რომანოვების რუსეთი, როგორც სავარსამიმემ სკანსკი – ჩრდილოეთის ტახტზე მჯდომარე.

31 ივლისს „ლიტერატურული საქართველო“ ბეჭდავს ბესო ჟღენტის წერილს – „კ. გამსახურდიას შემოქმედებითი გზა“. კრიტიკოსი უარყოფითად აფასებს მწერლის ძველ ნაწერებს, მაგრამ იწონებს „მთვარის მოტაცებას“.

ცხადია, ბესო ჟღენტი ამ სტატიას თავისი ინიციატივით არ დაწერდა, რომც დაეწერა – არავინ დაბეჭდავდა.

ამის შემდეგ მწერალმა თავი დაანება რომანს „ევროპა გალიაში“. ეს რომანი დაუმთავრებელი დარჩა.

თავი მიანება თანამედროვეობას და თუ რამდენიმე თვის წინ აცხადებდა, მთავარი თანამედროვეობაა, ისტორიულ მასალაზე მუშაობა ნაკლებად საინტერესო – ახალმა სიტუაციამ სწორედ ისტორიაში გადაიყვანა.

აქ უფრო დაზღვეული იქნებოდა იდეოლოგიური გადაცდომებისაგან და ნაციონალურ განწყობილებასაც ბოლშევიკური ეპოქისათვის მისაღები კონტექსტი ექნებოდა.

ბელადს ორი წლის შემდეგ უსრულდებოდა 60 წლისთავი და წიგნი ამ დროისათვის გამოცემული უნდა ყოფილიყო.

კონსტანტინემ ისარგებლა ხელისუფლების კეთილგანწყობით და ბელადის თემაზე როდი დაიწყო მუშაობა, არამედ – ჯერ დაწერა „ხოგაის მინდია“, ხოლო 1938 წლის შემოდგომასა და 1939 წლის გაზაფხულზე – „დიდოსტატის მარჯვენა“.

შეიძლება ეგონა, რომ ხელისუფლება აღარ მოსთხოვდა პირობის განადგობას. ბერია ხომ აღარ იყო რესპუბლიკის ხელმძღვანელი, მაგრამ ასე არ მოხდა და მწერალმა სწრაფად შეთხზა ტრილოგია „ბელადის“ პირველი წიგნი, თუმცა მასალებს ადრევე კრებდა და არჩევდა ხელისუფლების დამხარებით. ასევე ადრე ჰქონდა მოფიქრებული რომანის კონს-

ტრუქცია, რასაც გაცნობლი იყვნენ სხვადასხვა ინსტანციაში.

კონსტანტინეს კრიტიკა შენელდა. მაგრამ არ შეწყვეტილა. არც უნდობლობა აღმოფხვრილა. ერთი მხრივ – დაიბეჭდა დიმიტრი ბენაშვილისა და აკაკი გაწერელის ვრცელი, მხარდამჭერი, ობიექტური წერილები, მეორე მხრივ – 1938 წლის 2 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა სერგო გოგლიძემ ეყოფა და ბერიას გაუგზავნა მოხსენებითი ბარათი # 47,289. კომისარი ითხოვდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა, მათ შორის კონსტანტინეს, დაპატიმრების სანქციას.

ბერიამ ამ ბარათს მსველელობა არ მისცა.

* * *

„დიდოსტატის მარჯვენა“ და „ბელადი“ 1939 წელს გამოიცა. „ბელადის“ ტექსტი სახელგამის წარმოებას ჩაბარდა 1939 წლის 2 ნოემბერს. დასაბეჭდად ხელი მოეწერა 9 დეკემბერს, ხოლო სასიგნალო ეგზემპლარები მზად იყო 15 დეკემბერს.

რედაქტორი იყო ილია თავაძე, ცეკას მდივანი, მხატვარი – ლადო გრიგოლია.

წიგნი წითელ ყდაში იყო ჩასმული, მდიდრულად გაფორმებული და საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი.

განმეორებით 1940 წელს გამოსცა „სახელგამმა“, მცირეოდენი ცვლილებით.

სომხურ ენაზე თარგმნა სურენ ავჩიანმა.

ამის შემდეგ ეს რომანი არ დაბეჭდილა, არც რუსულად თარგმნილა და არც მე-2 და მე-3 წიგნები დაწერილა.

* * *

„ბელადი“ ოსტატურად არის დაწერილი, დახვეწილია ენა და სტილი, კარგად არის დახატული ქართლის პეიზაჟები, ეფექტურად არის მოხმობილი ისტორიული რეალიები, საინტერესოა და დასახსომებელი ცალკეული პერსონაჟები (მაგ.: ლავროვი, მიხა ქილიფთარი, უფლისა, მამუკა და გაგა არაბულები), მაგრამ აკლია სიმძაფრე და შთაგონება. უფერულია ცალკეული დიალოგები და პერსონაჟები (მაგ.: ჯულაშვილის მშობლები – კეკე და ბესო).

„ბელადი“ უფრო გონებით არის შეთხზული, ვიდრე გულით, „დიდოსტატის მარჯვენის“ სტილური ინერციით.

წიგნში მთავარია სოსო ჯულაშვილის თვალთახედვის ფორმირების პროცესი, თუ როგორ ყალიბდება ყრმის ბუნებაში თავისუფლებისაკენ სწრაფვა და განსაკუთრებულობის შეგრძნება (სოსო ამირანია, დევებს ხოცავს, უნდა ქვეყანა გააოცოს, ქვეყანა გადააკეთოს, სიზმრად ხედავს ვახტანგ გორგასალს, სააკაძეს, ერეკლე მეორეს), რასაც წარმოქმნის ქართული ნაციონალიზმი და გამირული სული.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა წიგნის კონსტრუქცია და კონცეფცია.

ნაციონალიზმის გამომხატველია მოხუცი მიხა ქილიფთარი (პროტოტიპი – პავლე ინგოროყვა), ყოფილი ხალხოსანი, „ახირებული“ მწიგნობარი, რომელსაც 1801 წლის შემდეგ ქართველი ხალხი ისტორიიდან ამოშლილად მიაჩნდა და უკანასკნელ ბაგრატიონს მხოლოდ სიძულვილით ახსენებს.

მას ხუთი შვილი ჰყოლია და ხუთივე დალუპვია.

აქვს დიდი, მაგრამ უსისტემო ცოდნა, ფენომენური მეხსიერება, მაგრამ ფაქტების მიღმა ვერ იხედება.

სამღვდელოება სძულს, თუმცა მე-11 საუკუნიდან ქილიფთარები ღვთის მსახურები ყოფილან. მის წინაპარს, შიოშ ქილიფთარს, გადაურჩენია დავით აღმაშენებელი, როცა მეფე გელათის გალაგნიდან გადმოვარდა.

სემინარიიდან რომ მოხსნეს, ატენში პატარა ბაღი და ვენახი გააშენა, როგორც სიზმარში კონსტანტინე სავარსამიძემ და ცხადში – ვახტანგ კორინთელმა.

პატარა სოსოს მიხამ შეაყვარა საქართველოს ტრაგიკული წარსული, აჩუქა „ვეფხისტყაოსანი“ და ასწავლა ქართული ანბანი.

პირველი სიტყვა, რაც სოსომ დაწერა, იყო „აგა“ და ეს სიტყვა არაფერს ნიშნავდა!

ასე არაფერზე (ლათინურად nihil, – აქედან – ნიჰილიზმი) არის დაფუძნებული ჯულაშვილის ცოდნა, რაც შეიძლებოდა სიმბოლურ ფაქტად ექცია მწერალს.

მიხა ქილიფთარი მეცნიერებასა და ცხოვრებაში ისევე წაგებულია და დამარცხებული, როგორც საქართველო.

მოხუცის გოდებასა და ისტორიის ბედისწერას ერთვის ხევსური არაბულების გამირული სული, სიძულვილი ბატონებისა და რუსებისადმი.

სოსოს ფეხი აადგმევინა უფლისა არაბულმა:

მოხუცმა გვიმრა ააფრიალა, რაც ჩვილს უცნაურ ფრინველად მოეჩვენა, ფეხი წადგა და წაეპოტინა.

ეს „უცნაური ფრინველი“ და მისი შეპყრობის ინსტიქტური სურვილიც შეიძლება და სიმბოლურ ფაქტად ქცეულიყო.

კომუნიზმიც ხომ ასეთი ქიმერა და თვალსაჩუქარი აღმოჩნდა!

„ცუდი ხალხია რუსები“, – ეტყვის სოსოს თანაკლასელი „წარმართი“ გაგა არაბული, ვინც „სისხლსა და ფოლადს“ ეთამაშება.

უფლისა და მამუკა რუსების ხელით იღუპებიან, ისევე ისჯებიან, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველო.

უსამართლობის გრძნობას ყრმას კიდევ უფრო უმძაფრებს მასწავლებელი ლავროვი, რომელიც მოსწავლეებს ეუბნება – რქიანი ვირი და ჭკვიანი ქართველი არ შეხვედრიაო, თქვენ სულით რუსებად უნდა აღგზარდოთო!

თავისუფლებისაკენ სწრაფვას კეტავს არა მხოლოდ ნაციონალური, არამედ სოციალური ბარიერიც, რაც ორი ფუქსავატი ჭაბუკის – თამაზ ამილახვრისა და ზურაბ მუხრანბატონის სახით არის ნაჩვენები.

მათი ვერაგობა და მხეცობა დროის მოთხოვნათა შესაბამისად ჰიპერბოლიზებულია.

ავტორი არაფერს გვეუბნება ჯულაშვილის პირველ ეროტიკულ განცდებზე. ცხადია, იგი მხოლოდ პერსონაჟის ასაკით როდი იყო შეზღუდული. ბუნებრივია, ამ სფეროში ფანტაზირების უფლებას თავისთავს ვერ მისცემდა.

ამ დანაკლისს ავსებს თამაზ ამილახვრისა და ზურაბ მუხრანბატონის თავაშვებული ვნება, რუსიკოს თვითმკვლელობის ცდა, რათა რომანში ყოფილიყო რომანული პასაჟები.

ტვილისში სასწავლებლად წასვლის წინ სოსოსა და მის მეგობრებს მიხა ქილიფთარი ანდერძად გადასცემს თავის მოწოდებას, იმ იდეას, რომელსაც თავს სწირავდა, მაგრამ ვერ ასრულებდა.

„ისეთი კოცონი უნდა გააჩაღოთ, მთელმა ქვეყანამ დაინახოს შურისგების ალი“, ე.ი. მომავალი რევოლუცია, იმპერიის დამხობა გაგებულა, როგორც ქართველთა შურისძიება რუსულ ძალმომრეობაზე!

წინა დღეს კი ბავშვებს ატენის სიონი აჩვენა, ცეცხლით გარუჯული, გაცრეცილი, წვიმიტა და ფრინველთა სკორეთი წაბილწული მეფეთა და წინაპართა სილუეტები.

ერთ კედელზე ამოკვეთილი წარწერა მე-11 საუკუნეში ორი ქართველის წამებას იუწყებოდა.

ეს ატენის სიონი და მორღვეული გალავანი პერსონაჟთა თანამედროვე საქართველოა.

ასე ყალიბდება ყრმა ჯულაშვილის არსებაში თავისუფლებისაკენ სწრაფვა და ქვეყნის შეცვლის სურვილი.

ასე მთავრდება ტრილოგიის პირველი წიგნი.

* * *

„დიდოსტატის მარჯვენის“ გამო მწერალი ყრილობაზე ვალერიან გაფრინდაშვილი კონსტანტინეს ჯადოქარს ემახდა, მაგრამ ოფიციალური არ ჩქარობდა და არჩევდა „ბელადის“ პროპაგანდას.

კომპარტიის მე-13 ყრილობაზე კანდიდატ ჩარკვიანი და ირაკლი აბაშიძე ახსენებდნენ „ბელადს“ და არა „დიდოსტატის მარჯვენას“. „დიდოსტატის მარჯვენა“ ჩრდილში მოექცა.

1940 წლის 7-9 იანვარს მწერალთა კავშირი სასწრაფოდ მოეწყო „ბელადის“ განხილვა.

მომხსენებელი იყო ახალგაზრდა კრიტიკოსი დიმიტრი ბენაშვილი.

სიტყვით გამოვიდნენ – პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი, ლევან ასათიანი, დავით სულიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ალიო ადამია, ბესო ჟღენტე.

წიგნს მაღალი შეფასება მისცეს, მაგრამ გამომსვლელთა სიტყვას აკლდა პათოსი, თითქოს ყველა რაღაც ვალს იხდიდა. თუ „მთვარის მოტაცების“ განხილვაზე შენიშვნები საკმაოდ იყო, აქ ყველა თავს იკავებდა.

დისპუტი ვრცლად გააშუქა „ლიტერატურულმა საქართველომ“.

9 მაისს უნივერსიტეტმა მოაწყო განხილვა, რომელიც გახსნა პროფ. არჩილ ხარაძემ.

ამჯერად განხილვა საზეიმო სხდომას უფრო ჰგავდა.

მომხსენებელი აქაც დიმიტრი ბენაშვილი იყო.

გამოვიდნენ – პროფ. მოსე გოგიბერიძე, პროფ. კონსტანტინე კაპანელი, დოც. ვ. კაკაბაძე, დოც. სერგი ჭილაია.

ხელისუფლება ხელს უწყობდა, რათა რუსულ ენაზე სწრაფად ეთარგმნათ „დიდოსტატის მარჯვენა“ და „ბელადი“.

ამ მიზნით მწერალი 1940 წლის თებერვალ-მარტსა და მაისში მოსკოვში იმყოფებოდა.

აქ იგი მიიღო სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ლავრენტი ბერიამ, დიდ-

ხანს ესაუბრა და დაეხმარა, რათა წიგნების ტირაჟი გაეზარდათ. ეს კი ჰონორარის მომატებასაც ნიშნავდა.

როგორც ჩანს, იყო ცდა, რომ კონსტანტინე წარედგინათ ახლად დაარსებულ სტალინურ პრემიაზე, რათა ისიც ისევე წარმოეჩინათ საკავშირო არენაზე, როგორც ივანე ჯავახიშვილი და შალვა დადიანი.

მაგრამ ვითარება მისში ძლიერ შეიცვალა. მოსკოვში ხელმეორედ ჩასულ მწერალს აღარ დახვდა გულთბილი ატმოსფერო. გამომცემლობამ ახალი რეცენზირება მოითხოვა, მაგრამ რეცენზენტები ვერ იმოვნეს.

წიგნების არათუ დაბეჭდვა, თარგმნაც კი მომავლისთვის გადაიდო.

„არეულია მათი თავი და ტანიო“, – წერდა გაბრაზებული კონსტანტინე აბაშელს.

სიტუაციის შეცვლის მიზეზი ის იყო, რომ სტალინს არ მოეწონა კონსტანტინეს რომანი, მე ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავიო.

მაგრამ უფრო ნამდვილი მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ მწერალს მოუხდა მოვლენების შელამაზება და ესთეტიზება. იგი ხომ რეალისტური სიზუსტით ვერ აჩვენებდა ჯულაშვილის ბავშვობას, დედას და მამას, სჭირდებოდა ფანტაზირება, პერსონაჟთა გამოგონება, ხოლო ზოგ რეალურად არსებულს ვერც ახსენებდა (მაგ.: სოსო ირემადეს).

სტალინისათვის არც ის უნდა ყოფილიყო მისაღები, რომ შოვინისტად გამოყვანილია რუსი ლავროვი, რუსთომოძულე ხევსური არაბულები, ნაციონალისტი მიხა ქილიფთარი.

* * *

სტალინმა ასევე გზა გადაუკეტა კონსტანტინეს კინოსცენარ „დავით აღმაშენებელს“, რომლის განხილვა მთელი წელი გრძელდებოდა (მაგ.: სახვინძრეწვიში, მწერალთა კავშირში, სხვადასხვა პირთა მიერ).

ამ თემასაც ცეკას წინადადებით მოჰკიდა ხელი. საბჭოეთი ომისათვის ემზადებოდა და სჭირდებოდა პატრიოტიკა, ისტორიის ჰეროიკა, გამორეული ბრძოლების სურათები.

სცენარი ყველამ დადებითად შეაფასა და ჰონორარიც ავანსად მთლიანად უნდა აეღო.

მაგრამ სტალინი ასე არ ფიქრობდა.

ბელადმა 1940 წლის 11 ოქტომბრის წე

რილში მხარი დაუჭირა ანტონოვსკაიას და ჩორნის სცენარს გიორგი სააკაძეზე, რომლის მიხედვით მალე მიხეილ ჭიაურელმა ცნობილი ფილმი გადაიღო.

კინოს ხომ მაშინ ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა.

ცხადია, სტალინისათვის მონარქი დავით აღმაშენებელი ვერ იქნებოდა სანიმუშო მოღვაწე. მას უფრო გიორგი სააკაძე აინტერესებდა – ქართველ კონდოტიერ ბოლშევიკთა წინაპარი, ვინც დამპყრობელთა ჯარებს მოუძღოდა.

კონსტანტინეს კი ეგონა, რომ პარალელს გაავლებდა დავითსა და სტალინს შორის, რომ თითქოს ბელადმა ისე აღადგინა ქვეყანა მე-20 საუკუნეში, როგორც დავითმა მე-12 საუკუნეში. არადა – სტალინმა ხომ მშვენივრად იცოდა, რომ ეს ასე არ იყო. ამიტომაც ეჭვით უყურებდა დავით აღმაშენებლის თემას. ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა მოგვიანებით, როცა კონსტანტინეს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს ქართველმა და რუსმა მწერლებმა, დააბრალებს რუსების იგნორირება, მეფეთა როლის გაზვიადება, არქაისტობა, ხალხის დაკნინება, გაუხსენეს ნაციონალისტობა.

დავით აღმაშენებლის სახეში სტალინი ქართული ნაციონალიზმის ფარულ პროპაგანდას ხედავდა. მაგრამ მოეწონა „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც მას ბერიას დავალებით სიმონ ჯანაშიამ გადასცა.

ბელადმა ეს რომანი ერთ ღამეში წაიკითხა და განთიადისას ბერიას დაურეკა, კონსტანტინე კარგი მწერალი ყოფილაო.

ამ ფაქტს აღნიშნავს ბრალდებული გენერალი და აკადემიკოსი პეტრე შარია, რომელიც ბერიას ზეობის ჟამს 1953 წელს მისი თანამემწე იყო.

რაც შეეხება „ბელადს“, მისი დამთავრება მწერლისათვის არავის უთხოვია. ამას, ალბათ, არც ავტორი ნაღვლობდა, რადგან უკვე წერდა ახალ ტრილოგიას – „დავით აღმაშენებელს“, მაგრამ სტალინს კარგად ახსოვდა კონსტანტინე გამსახურდიას წიგნი, რომელსაც არ ახსენებდნენ, მაგრამ თავს ესხმოდნენ „დავით აღმაშენებელს“ და მის ავტორს ომის შემდეგ ლამის შინაპატიმრობა დაუწესეს, თუმცა გამარჯვებული საბჭოეთის ბელადი მწერლის დაკავების ნებას არ იძლეოდა, მიუხედავად ჯერ კ. ჩარკვიანისა და შემდეგ ა. მგელაძის თხოვნისა.



giorgi sal uqvaZe, mamuka sal uqvaZe

ინვესტიცია, ქალაქმშენებლობა, ეკოლოგია ქალაქის განვითარების სისტემის ელემენტები

როდესაც ვხეებით ბუნებრივ-ანთროპო-ნეგური გარემოს ურთიერთქმედების ოპტი-მიზაციის ქალაქმშენებლობის პირობებს, ამ კონტექსტში ქალაქმშენებლობის, ინვესტი-ციისა და ეკოლოგიის ურთიერთობების მარ-თვის საკითხები ქალაქის განვითარების მიზნით ძალზე აქტუალურად მიგვაჩნია და ვთვლით, რომ ამ პრობლემისადმი ინტეგრირებული მიდგომა საჭირო, რამეთუ თავად ქალაქმშენებლობა იმყოფება მრავალი დის-ციპლინის მიჯნაზე და ურბანიზაციის მზარ-დი ზემოქმედება ადამიანის სამყოფელს ბიო-ლოგიურ გარემოზე აუცილებელს ხდის ყურად-ღება მივაქციოთ ურთიერთდაკავშირებულ პროცესებს და მოვლენებს, რომლებიც მიმ-დინარეობენ ადამიანის მიერ სახეცვლილ გა-რემოში, ქალაქებში, აგლომერაციებში, სამრეწ-ველო რაიონებში, რეკრეაციულ ზონებში და ა.შ. დაფუძნებულ სისტემაზე "ადამიანი-ბუ-ნებრივი გარემო".

როგორც ცნობილია, ქალაქი სუბიექტისა და გარემოს კომპონენტების თანაარესებობაა (და ეს თანაარესებობა მათ შორის) ყალიბდება სოციალური და სივრცითი თანამოქმედების პროცესში, რომელიც მოიცავს ბუნებრივ არ-ქიტექტურულ-გეგმარებით, სოციალურ და სხვა ქვესისტემების ერთობლიობას. ამ ერთობ-ლიობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა არქიტექტურულ-ქალაქმშენებლო-ბითი დაპროექტების მეთოდოლოგიის საკით-ხების გაზრებამ ბუნებრივ-ანთროპოგენური პრობლემების კონტექსტში. განსაკუთრებუ-ლობა იმაში გამოიხატება, რომ თუ ერთ შემ-თხვევაში ეკოლოგიისა და ანთროპოგენურ მოქმედებებს შორის მჭიდრო კავშირია (თუნ-დაც ის, რომ გარემოს კრიზისი არ არის მარტო ეკოლოგიური პრობლემები, არამედ სოცია-ლური პრობლემაცაა), მეორე შემთხვევაში დიდი წინააღმდეგობაცაა მათი მოქმედებისა და მოთხოვნების სპეციფიკიდან გამომდინა-რე. ცნობილია, რაც მაღალია ურბანიზებული ცხოვრების დონე, მით მაღალია გარემოს მიმართ მოთხოვნები ანუ მით მეტია ანთრო-

პოგენური დატვირთვა ბუნებრივ გარემოზე. ისიც ცნობილია, რომ, ერთი მხრივ, რაც მასშტაბურია ქალაქმშენებლობის დაპროექ-ტების დონე, მით მეტია შესაძლო ნეგატიური ეკოლოგიური შედეგების მასშტაბები გეგმა-რებითი გადაწყვეტის განხორციელებისას, მე-ორეს მხრივ, პროგნოზირების მაღალი დონე პოტენციურად შეიცავს თავის თავში მეტ შესაძლებლობებს ადამიანის გარემოს ოპტი-მიზაციის მისაღწევად.

ქალაქმშენებლობითი და არქიტექტუ-რული შემოქმედებით შექმნილი გარემო მოი-ცავს შრომის, ყოფისა და დასვენების ურთი-ერთგამყოფ სფეროებს, ხოლო მისი ხარისხი, ფართო გაგებით, განსაზღვრავს ხალხის განწ-ყობას, მათ გრძნობასა და აზრს, ცხოვრების მიზანმიმართულებას. ამდენად პირველ რიგში ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურის პროფესიული დანიშნულებაა საზოგადოების უტილიტარული მოთხოვნების დაკმაყოფი-ლებას. მაშინ, როდესაც რეალობაში ვაწყდე-ბით საწინააღმდეგო დამოკიდებულებას.

ქალაქში მიმდინარე ეკოლოგიური პრო-ცესები ხასიათდება მაღალი ინტენსივობით და დინამიკურობით, რაც იმით აისახება, რომ ქალაქის ბუნებრივი გარემო იმყოფება ხელოვ-ნური გარემოს ანუ ანთროპოსფეროს მძლავრი ზემოქმედების ქვეშ, გამოირჩევა სახესხვაო-ბით და არაერთგვაროვნებით, რომლებიც ფიქსირდება ყველა ბუნებრივ კომპონენტში და იწვევს მათი ეკოლოგიური მდგომარეობის ბიოლოგიური სტრუქტურის გაუარესებას.

როგორც ცნობილია, ქალაქის ურბანული განვითარების, მართვის და მონიტორინგის მექანიზმები ძირითადად (თუ მთლიანად არა) მოიცავს საკითხებს ამ სისტემის შესახებ. ამ ტერმინის ინტერპრეტაცია საჭიროა ფართოდ იქნეს გაგებული, როგორც პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის მიზნობრივ გამოყენებას და შემდეგ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღე-ბას. რეალურ სიტუაციებში გამოყოფენ სხვა-დასხვა მმართველობით ფუნქციებს: დაგეგმა,

ორგანიზაცია, მოტივაცია, ხელმძღვანელობა, კოორდინაცია, კონტროლი, კომუნიკაცია, შეფასება და სხვა. ცხადია, ეს ფუნქციები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ზოგიერთის შერწყმაც ხდება.

ისიც ცნობილია, რომ მართვის ცნება არის კარეგორია, რომელიც ურბანული გარემოს შემეცნებით, მეთოდურ თუ პრაგმატულ ასპექტში განხილვის შემთხვევაში სისტემატურად ასახავს მიზნუ-შედევობრივ მიმართებებს სივრცობრივ-დროებრივ უწყვეტობაში. ამ მოდელის განზოგადება ან ლოკალიზაცია, დასმული ამოცანების მასშტაბით, მიზნებით და არსებული რესურსებით (ინფორმაციული და სხვა) განისაზღვრება. ასევე კონკრეტულ პრობლემებზეა დამოკიდებული მოდელების სახეების ამორჩევა, როგორცაა: სტრუქტურული მოდელი (კომპონენტებსა და დონეებს შორის ინფორმაციული ნაკადების აღწერა), ფუნქციური მოდელი (მმართველი ზემოქმედების პარამეტრები, ფუნქცია-მიმართებები).

მართვის სისტემას თანამედროვე ქალაქთმშენებლობაში განსაკუთრებული როლი ენიჭება და ეს მკაფიოდ ჩანს ქალაქების, დასახლებული ადგილების, აგლომერაციების, ურბანიზებული ტერიტორიების მიმართ დამოკიდებულებაში, მათი განვითარების რეგულირებისას ტერიტორიების და ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენების მიზნით, რაც თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების ამოცანას წარმოადგენს.

ქალაქთმშენებლობითი განვითარების მართვის სირთულე, მისი ფორმები და მექანიზმები განისაზღვრება თავად ქალაქთმშენებლობითი საქმიანობის მრავალფეროვნებით, რომელიც მრავალი სუბიექტის მონაწილეობით ყალიბდება, რაც დაკავშირებულია ამ სუბიექტების სპეციფიკაციასა და ტერიტორიის ფუნქციურ დატვირთვასთან.


ქალაქთმშენებლობითი მართვის სპეციფიკა განისაზღვრება სახელმწიფო მოწყობისა და ეკონომიკის თავისებურებებით. ქალაქების, დასახლებული ადგილების ურბანიზებული ტერიტორიების ჩამოყალიბება და განვითარება ყოველთვის იმართებოდა სახელმწიფოს მიერ და იყო სახელმწიფოს პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. დღეს კი ქალაქების ქალაქთმშენებლობითი განვითარების თანამედროვე პრობლემები განპირობებულია უნიკალური ეკონომიური სიტუაციით, რომელიც ხასიათდება გეგმური ცენტრალიზებული ეკონომიკის გადასვლით სა-

ბაზრო ეკონომიკაზე. ამ პირობებში, ქალაქი, როგორც მატერიალურ-სივრცითი და სოციალურ-ეკონომიური კატეგორია ფორმირდება ბაზრის ფაქტორების ზეგავლენით. ანუ ქალაქს მემკვიდრეობით რჩება ძველი და თან იღებს, მისთვის ჯერ უცხო თვისებას. ე.ი. ვლინდება ახალი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ საინვესტიციო-ფინანსური რესურსების სახით ქალაქთმშენებლობაში.

საკუთრების გაყოფამ გამოიწვია ქალაქის ფინანსირების სტრუქტურის ტრანსფორმაცია, გაადრმავე წინააღმდეგობა, კერძო კაპიტალსა და უძრავ ობიექტს შორის, ანუ ინვესტიციასა და ქალაქთმშენებლობით საქმიანობას შორის. მოხდა გაყოფა სახელწიფო ინვესტირებასა და კერძო კაპიტალის მიზნებს შორის. მუნიციპალიტეტი, რომელიც მართავს სახელწიფო კაპიტალს და იმავდროულად წარმოადგენს ქალაქის ინვესტორს, აქვს მისი რეალიზაციის შეზღუდული შესაძლებლობები. ბიზნესი ახდენს კერძო ინვესტორის ფინანსური რესურსების თავმოყრას და მართავს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

ხშირად მუნიციპალიტეტის ინტერესები და კერძო ბიზნესის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ იქ სადაც ეს ინტერესები თანხვედრია, მათ შორის ქალაქთმშენებლობაშიც, საინვესტიციო პროცესი პროგრესულად მიმდინარეობს.

ქალაქთმშენებლობა, ინვესტიცია, ეკოლოგია არის "ტოლგვერდა სამკუთხედის"- ანუ ტრიადის შემადგენელი ნაწილები, მისი მნიშვნელოვანი ელემენტები. ამდენად, დღეს ქალაქთმშენებლობაში "ტრიადის პრინციპის"



დაცვა მნიშვნელოვანია და თანაც აუცილებელი, როდესაც ვეხებით ქალაქის კონკრეტულ ტერიტორიაზე, კონკრეტულ ობი-

ექტს, ქალაქის გარემოში წარმოქმნილი მეტამორფოზის გამო, რამეთუ ცვლილება ერთში იწვევს ცვლილებას მეორეში, როგორც რიცხობრივი, ასევე ხარისხობრივი მახასიათებლებლისა. ამ პოზიციას ისიც ამდიდრებს, რომ დღეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში თანამედროვე ურბანიზაციის ინტეგრაციური ფაქტორების როლი იზრდება და ითვალისწინებს მრავალმხრივი კავშირებით გაერთიანებულ რთულ დინამიკურ სისტემას. ამდენად თანამედროვე პირობებში ქალაქების ქალაქთმშენებლობითი განვითარებისას "ტრიადის პრინციპის" გამოყენებით, ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ მართვის, დაგეგმვის, დაპროექტების სინთეზს.

დღევანდელ დღემდე მართვა იყო მკაფიოდ დაყოფილი ორ შემადგენელ ნაწილად: ან ინვესტიციების მართვა ან ქალაქთმშენებლობის საქმის მართვა. საკითხის ასე დაყენება, ჩვენი აზრით, მიუღებელია და ის ართულებს ისედაც რთულ სიტუაციას თანამედროვე ქალაქთმშენებლობაში. მსოფლიო ქალაქთმშენებლობის პრაქტიკაში, ქალაქთმშენებლობის განვითარების და საინვესტიციო რესურსების მართვა, პირიქით, შერწყმულია და წარმოადგენს ერთ მთლიანს. როგორც წესი, რეალურად ინვესტიცია პირველია - ის განსაზღვრავს ქალაქის ტერიტორიის იმ ნაკვეთებს, რომლებიც ექვემდებარებიან განვითარებას. შემდგომ დგება ამოცანა ინვესტიციის მოზიდვისა ამ ობიექტებზე. დღემდე ეს პროცესი მიმდინარეობს ძალიან ქაოსურად, არ არსებობს დასაბუთების შესაბამისი ბაზა, ქალაქთმშენებლობის პროექტების სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

ამასთან ერთად, ქართულ სინამდვილეში, პრაქტიკულად არ არსებობს ნაშრომები სადაც მთლიანად იქნება წარმოდგენილი საინვესტიციო-ქალაქთმშენებლობითი პროექტების სისტემების მართვა, ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით. ამ პრობლემების შევსწავლა მნიშვნელოვან საქმედ მიგვაჩვენია, რაც აუცილებელია საინვესტიციო-სამშენებ-

ლო პროექტების მართვისათვის. დღეს საქართველოს ქალაქებში, ყოფილ საბჭოთა სისტემისგან განსხვავებით, ქალაქთმშენებლობა არატრადიციული გზით ვითარდება. უმთავრესად იცვლება ქალაქის ინფრასტრუქტურა, რომელიც ხორციელდება ქალაქის შიდა ეტაპობრივი რეკონსტრუქციის ხარჯზე და ახალი ტერიტორიების ათვისება თითქმის არ ხდება. ამდენად ინვესტიციები ძირითადად მიმართულია ქალაქის შიგნით, რომელიც ცვლის "შიდა" იერსახეს, ანუ ტრანსფორმირდება მისი მატერიალურ-სივრცითი და ეკოლოგიური გარემო.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა (თბილისის მაგალითზე) ქალაქის ტერიტორიაზე ინვესტიციური რესურსები არ არის განაწილებული თანაბრად და ხშირად ქალაქის ტერიტორიის პოტენციური შესაძლებლობები არ არის სწორად რეალიზებული. ქალაქებში სადაც საბაზრო ეკონომიკა არამდგრადია (ასეთია ჩვენი რეალობა) ინვესტიციის შესვლა ქალაქის სტრუქტურაში, ნიშნავს მის შეღწევას ქალაქთმშენებლობის განაშენიანების სფეროში, რაც იწვევს ძირითადად ქალაქის ცალკეულ უბნებში განაშენიანების სიმჭიდროვის ზრდას, დისცომფორტს, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას. ვფიქრობთ საჭიროა, გადაიხედოს ბოლო ათწლეულის მანძილზე ქალაქის ფორმირების ქალაქთმშენებლობის მიდგომები ინვესტიციის ფაქტორებთან დაკავშირებით, რამეთუ სამშენებლო-ეკოლოგიური პრობლემები ქალაქთმშენებლობაში სულ ეფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს დღეს, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანი თავისი ცხოვრების 80-90% -ს ატარებს სხვადასხვა შენობებში.

ეკოსისტემა ირღვევა ხშირად არასწორად მოფიქრებული ქალაქთმშენებლობის გადაწყვეტილების შედეგად. ეკოსისტემის შენარჩუნების ამოცანები წყდება ქალაქების და დასახლებული ადგილების გენერალური გაგმების დამუშავების დროს, ასევე ცალკეული ტერიტორიების ათვისების სპეციალური ღონისძიებისას. ურბანისტული წარმოქმნის სტრუქ-

ტურა, მისი ფუნქციური და გეგმარებითი თავისებურებები და პარამეტრები შეიძლება გამოვლენილ და დასაბუთებულ იქნეს მხოლოდ კონკრეტული სიტუაციის ღრმა ანალიზის გზით, მათ შორის ეკოლოგიური მდგომარეობისა. თუ გადავავლებთ თვალს ბოლო ათწლეულის განმავლობაში კონკრეტული ობიექტებისა და კომპლექსების წარმოშობისა და შექმნის პროცესს, რომლებიც აშენდა კერძო ინვესტიციის ძალისხმევით (მაგალითად, თბილისის შემთხვევები) ჩნდება შესაძლებლობა იმისა, რომ ჩამოვყალიბოთ გარკვეული რეკომენდაციები ქალაქში კონკრეტული ობიექტის პროექტირებაზე.

ცნობილია, რომ მართვის საინვესტიციო-ქალაქთმშენებლობითი პროექტების ორგანიზაციის მთავარი მიზანია, მიადწიოს მაქსიმალურ ეკონომიურ ეფექტს ქალაქში ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებით და ქალაქის არქიტექტურულ-სოციალური კომპონენტების გაუმჯობესებით.

ქალაქში ტერიტორიის არჩევა, ქალაქთმშენებლობის კომპლექსების ასაშენებლად, როგორც წესი, თვითონ ინვესტორის მიერ ხდება. არჩევის დროს მთავარი პირობა არის ინტერესების რეალიზაცია და ინტერესების უპირატესობა და იმ მოთხოვნების შესრულება, რომელსაც ის აყენებს. ეს ყველაფერი გვაძლევს საშუალებას, ვილაპარაკოთ გარკვეულ კანონზომიერებაზე, რომლის მიხედვითაც ინვესტორები ირჩევენ ნაკვეთებს ქალაქის ზონაში. ამ გზით, ნაკვეთები, რომლებზეც იქმნება საქალაქთმშენებლო კომპლექსები, ან-სამბლები და ნაგებობები არის ინვესტიციისთვის მიმზიდველი.

თუ თვალს გადავავლებთ ბოლო 10 წლის განმავლობაში ობიექტების და კომპლექსების შექმნის პროცესს, რომელიც განხორციელდა კერძო ინვესტორების ძალისხმევით, ჩნდება შესაძლებლობა იმისა, რომ ჩავატაროთ გარკვეული ანალიზი ქალაქთმშენებლობის თვალსაზრისით, რომ აღმოვაჩინოთ საქალაქთმშენებლო-ინვესტიციური ორგანიზაციის

ხასიათის თავისებურებანი, რომელიც გვაძლევს საშუალებას ჩამოვყალიბოთ შესაბამისი წარმოდგენა ქალაქების თანამედროვე კომპლექსებისა და არა მარტო კომპლექსების პროექტირებაზე.

თავისებურებები კი გამოიხატება ინვესტიციების არათანაბარ გავრცელებაში ქალაქის ტერიტორიებზე, მკაფიოდ ვლინდება ქალაქის ტერიტორიების მიმართ ამორჩევითი დამოკიდებულება და ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, არის ქალაქის ტერიტორიების დაყოფა ინვესტიციისთვის მიმზიდველ, პრესტიჟულ ნაკვეთებად.

ზემოთ აღნიშნული არჩევითობა განპირობებულია ინვესტიციური ფაქტორების მოქმედების ბუნებით. სადაც იგულისხმება ინვესტორების ინტერესი ქალაქის იმ ტერიტორიების მიმართ, რომლებიც ხასიათდებიან პრესტიჟულობით და გამოირჩევიან მათი ადგილმდებარეობით ქალაქის სტრუქტურაში.

ამ თვალსაზრისით, ჩვენის აზრით, ქალაქის ტერიტორია შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

პირველი ჯგუფი – ტერიტორია, რომელიც ქალაქის ცენტრალურ მოედანთან მდებარეობს;

მეორე ჯგუფი – ტერიტორია მთავარ ქუჩებთან, პროსპექტებთან;

მესამე ჯგუფი – ტერიტორია, მდინარის ნაპირთან ან ტბასთან;

მეოთხე ჯგუფი – ტერიტორია, ბაღ-პარკებთან, სკვერებთან;

მეხუთე ჯგუფი – ტერიტორია, მეტრო-პოლიტენის სადგურებთან.

ინვესტორთათვის მიმზიდველობისა და პრესტიჟულობის თვალსაზრისით, ტერიტორიების ადგილმდებარეობის მიხედვით, თითოეული ჯგუფი შეიძლება დაიყოს ქვეჯგუფებად. მაგალითად, პირველი ჯგუფის ტერიტორია, ანუ ტერიტორია, რომელიც ქალაქის ცენტრალურ მოედანთან მდებარეობს, საქალაქთმშენებლო ობიექტების განთავსების

მიზნით დავეყთ ზონებად, მაგალითად, ტერიტორია, რომელიც უშუალოდ მოედანზე გამოდის, ტერიტორია, რომელიც მოედანს ემიჯნება და ტერიტორია, რომელიც მოედნის მიმართ მეორე ზოლშია. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქის საზღვრებში თავად მოედნების შორისაც არის დიფერენცირება. ასევე შეიძლება ვიმოქმედოთ დანარჩენი ჯგუფების შემთხვევაშიც.

რა თქმა უნდა, ტერიტორიების ასეთი დაჯგუფება შეიძლება გაგრძელდეს შესაბამისი ხარისხის და ადგილმდებარეობის მიხედვით, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში აქცენტს ვაკეთებთ ინვესტიციისათვის ქალაქების უფრო გამოკვეთილ ტერიტორიებზე.

ზემოთაღნიშნული ჯგუფების გაერთიანებით ვქმნით საერთო სურათს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება გარკვეული მეთოდის შემუშავება, სწორად იმ მოდელის მიხედვის შესაბამისად, რომელიც "ტრიადის" სახით წარმოვადგინეთ ნაშრომის დასაწყისში.

აქედან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი დასკვნის გაკეთება:

1. ინვესტიციის ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალაქის ტერიტორიის განვითარებაში, რადგან საინვესტიციო პროექტები კონკრეტულ შინაარსს მხოლოდ ფინანსური უზრუნველყოფის შემდეგ იძენენ;
2. ქალაქის ტერიტორიის ინვესტირება დამოკიდებულია ქალაქის გეგმარების სტრუქტურაზე, რისთვისაც აუცილებელია დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტი;
3. ქალაქების თანამედროვე ტერიტორიების მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ ქალაქთმშენებლობითმა განვითარებამ, ინვესტიციური ფაქტორის გავლენით, გამოკვეთა საერთო ტენდენციები და თავისებურებები. კერძოდ, პრესტიჟული და საინვესტიციოდ მომხიბლელი ზონები (ჯგუფები), მაგ.: ტერიტორიები ქალაქის მოედნებთან, ქუ-

ჩებთან და პროსპექტებთან, მდინარის სანაპიროსთან და ტბებთან, ბად-პარკებთან და სკვერებთან და მეტროპოლიტენის სადგურებთან.

4. პრესტიჟული და ინვესტიციურად მომხიბლავი ტერიტორიების მრავალფეროვნება განსაზღვრავს ქალაქთმშენებლობის ობიექტების (კომპლექსების) სპეციფიკას, მათზე რეალიზებული შენობების ფუნქციურ-სივრცით მოთხოვნებს, რომლის განხორციელებაში მას ხელი უნდა შეუწყოს საინვესტიციო პროგრამებმა. პროგრამების და პროექტების შემუშავება, საინვესტიციოდ მომხიბლავ ტერიტორიებზე, საჭიროებს ქალაქთმშენებლობის თავისებურებების გათვალისწინებას და მათ მართვას. თავისებურებების გამოვლენა უნდა მოხდეს ტერიტორიების ურთიერთშეთავსებით, შემდგომში მათი გაერთიანების მიზნით, ქალაქთმშენებლობის პროგრამების და პროექტების ეტაპების რეალიზაციისთვის.
5. ინვესტიციურ ქალაქთმშენებლობით პროგრამები წარმოადგენენ ქალაქთმშენებლობით კონცეფციის შემადგენელ ნაწილს, რომელთა განვითარებაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამდენად საინვესტიციო პროგრამა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.
6. დასასრულს, კვლევის შედეგების ერთიანობა, ვფიქრობთ, რომ საშუალებას მოგვცემს შევასრულოთ კომპლექსური მიდგომა და ვმართოთ ინვესტიციურ-ქალაქთმშენებლობის პროექტები, როგორც ქალაქთმშენებლობის, ისე ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, რომ უფრო რაციონალურად დავგეგმოთ ქალაქთმშენებლობითი მოღვაწეობა ქალაქის ტერიტორიაზე, რაც დადებითად უნდა აისახოს ქალაქის სოციალ-ეკონომიკურ და მატერიალურ სივრცეზე.

G. SALUKVADZE, M.SALUKVADZE

**COMPLEX ECOLOGICAL
EVALUATION AND MONITORING OF
CITY'S ENVIRONMENT (ON THE
EXAMPLE OF TBILISI)**

According to the United Nation world organization's latest data, approximately 75% of Europe's overall population is allocated in cities and the trend of gradual future growth is maintained.

In the light of abovementioned situation, the existence of complex system for analyzing and monitoring city's environment is extremely important. The system should include the aspects and factors that have a great share in establishing the current ecological situation and have significant impact on general conditions of people and environment. The monitoring system should encourage constant and systematic control of processes and changes occurring in the environment.

The article provides Georgian cities, specifically Tbilisi, with modern approaches of adopting the methodology that would enable us to obtain information on environmental conditions and related problems that might become more relevant in the near future. Also a certain sustainable environmental indicators system is selected and established which contains the data classified in accordance with different fields and components: atmospheric air, climate change, water, biodiversity, soil, agriculture, energy, transport, and waste.

The article examines current situation of Tbilisi's environment monitoring system. Based on findings and informative data generalization, main positive and negative ecological factors are outlined that should be considered in the process of Tbilisi's sustainable urban development.

Moreover, as a recommendation, main trends and issues are selected that would make evaluation, analyzing and monitoring system of Tbilisi's environment more complete and effective.

ლიტერატურა

7. გ. სალუქვაძე "ქალაქთმშენებლობის ეკოლოგია", გამომცემლობა "ტექნიკური უნივერსიტეტი", თბ., 2007
8. გ. სალუქვაძე "მართვა, როგორც ურბანული ტერიტორიის ბუნებრივ-ანთროპოგენური გარემოს ოპტიმიზაციის ორგანიზაციულ-მეთოდური ფორმა", კამარა, ქართული არქიტექტურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, 1(04), თბ., 2005
9. Сидоркин О.В. Современные экологические проблемы реализации инвестиционно-строительных проектов в жилищной сфере крупного города /О.В.Сидоркин/ Современные проблемы экономики и управления народным хозяйством/ СПГНЭ, У, С-Пб, 2004, Вып.11.



kul turul -civil izaciuri da erovnul i
erTianobis probl emebi gandgomi l regi onebTan

შესავლის გარეშე

რუსეთის უმთავრესი და მუდმივი ინტეგრესი კავკასიაში ოდითგანვე იყო და არის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და სამხედრო გავლენის შენარჩუნება-განმტკიცება. დიდი ქვეყნების ასეთი მისწრაფებები თავის მეზობელ პატარა სახელმწიფოებთან იყო და დარჩება მუდმივ პრობლემად.

ამას ღიად და ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს რუსეთის პრეზიდენტის განცხადება. დ. მედვედევი: «ჩვენ კავკასიიდან უკან არ დავიხვეთ, ... არის ღირებულებები, რომლისათვისაც უნდა იბრძოლო და გაიმარჯვო, რის გარეშეც ჩვენ ვერ წარმოვიდგენია ჩვენი ქვეყანა»[1].

არ იქნება სწორი, თუ ვიტყვით, რომ რომელიმე სეპარატისტული რეგიონის მკვიდრი მოსახლეობა გარკვეული და გაცნობიერებული იყო გეოპოლიტიკურ სისტემაში და ამის მიხედვით მოქმედებდა. რა თქმა უნდა, მათი არჩევანი წმინდა პრაგმატიკულმა ფაქტორებმა განაპირობეს. გარშემო სახელმწიფოთაგან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისათვის მისაღები და მომგებიანი დიდ სახელმწიფოზე – რუსეთზე ორიენტაცია აღმოჩნდა. მოსახლეობისათვის რუსეთის ბაზარი უმძიმესი სოციალური კრიზისის დაძლევის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ხელისუფლების მიერ სოხუმისა და ცხინვალის ამ დროისათვის ეკონომიკური ბლოკადის შემოღება, რა თქმა უნდა, პოლიტიკური შეცდომა იყო, რომელმაც განდგომილი რეგიონების მოსახლეობის საქართველოსაგან კიდევ უფრო გაუცხოება დააჩქარა.

საკითხის უკეთ გაგებისათვის, ვფიქრობთ, გამართლებული უნდა იყოს ზოგად-თეორიული კონტექსტზე შეჩერება.

მოცემული ქვეყნის რომელიმე ქვეყანაზე ან ქვეყნებზე ორიენტირება მხოლოდ გეოპოლიტიკური ფაქტორით არ განისაზღვრება. ზოგიერთ შემთხვევაში გეოგრაფიული სიახლოვე არ განაპირობებს სახელმწიფოთა ურთიერთობის ხასიათს, მით უფრო, ერთის მეორეზე

ორიენტირებას. ასე რომ არ იყოს, ისრაელი და პალესტინა, თურქეთი და სომხეთი, სალვადორი, აშშ და სხვანი უთუოდ მეგობარი ქვეყნები უნდა იყვნენ. რეალური ვითარება კი არცთუ იშვიათად, მეზობელი ქვეყნების დაპირისპირებაზე მეტყველებს. ამ დაპირისპირებას თითქმის ყოველთვის მკვეთრი კულტურულ-ცივილიზაციური განსხვავება განაპირობებს. ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ ინდივიდუალურ სულიერ-შემოქმედებით კულტურას. ლაპარაკია ცივილიზაციის ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმზე – სოციალურ კულტურულ ფენომენზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს უკანასკნელი ნიშნავს ინდივიდთა საერთო ცხოვრების (თანაცხოვრების) წესებს, რომელიც ემყარება სამოქალაქო საზოგადოების მიერ გაზიარებულ ფასეულობებს. ცივილიზაციის თანამედროვე გაგება სწორედ ამაზე მიანიშნებს.

ასეთი ფასეულობებისაკენ ორიენტაცია სულაც არ განიზომება გეოგრაფიული მანძილით. თუ წარსულ ისტორიაში მეგაცვილიზაციური სივრცეები მკაცრად გამოჯნული და დაუძლეველი იყო, პოსტბიპოლარულ მსოფლიოში მათი ურთიერთშეღწევადობა სულ უფრო რეალური და ინტენსიური ხდება. სრულიად შესაძლებელია, რომ ცენტრალური აზიის, აფრიკისა და სხვა გეოგრაფიულ-გეოპოლიტიკურ სივრცეში ერთი ქვეყანა ევროტლანტიკური ცივილიზაციის ფასეულობებზე იყოს ორიენტირებული და მეორე – ისლამურზე, ან სხვა განსხვავებულ ცივილიზაციაზე. ეს პროცესი მიმდინარეობს როგორც მაკრო (სახელმწიფოთა შორის), ისე მიკრო (ერთი სახელმწიფოს სხვადასხვა სოციალურ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის) დონეზე.

სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფომ ვერ შეძლო ამ პრობლემების მიღმა დარჩენა, პირიქით, ის მას მთელი «სიგრძე-სიგანით» შეეხო.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დასაწყისშივე იყო მი-

მართული ევრო-ატლანტიკური ფასეულობებისკენ. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა და სერიოზული დანაკარგებისა, იგი ბოლომდე ამ ფასეულობების ერთგული რჩება.

აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა კი განსხვავებული ცივილიზაციური სივრცე აირჩია. ამ რეალობას ვერ შეცვლის და ვერ მიჩქმალავს სეპარატისტული ხელისუფლების ვერანაირი მცდელობა _ შეიძინოს დემოკრატიული ქვეყნის იმიჯი. სოხუმმა და ცხინვალმა რუსულ ფასეულობებზე ორიენტაცია ამჯობინა. ამ შემთხვევაში მათ უპირატესობა გეოპოლიტიკურ ფაქტორს მიანიჭეს. შესაძლოა, საქართველოს კულტურულ-ფასეულობითი მოდერნიზაციის არსი და მიზანი სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ამ ქვეყნის სეპარატისტული ზონებისათვის. მაგრამ რეალობის ადეკვატური იქნება, თუ ვიტყვით, რომ სამხრეთ ოსებისათვის (ისევე როგორც აფხაზებისათვის) ევრო-ატლანტიკური ფასეულობები მეორადი მნიშვნელობის იყო, რადგან უსაფრთხოების გარანტია მაინც გეოპოლიტიკური ფაქტორით განისაზღვრებოდა.

რა თქმა უნდა, პოლიტიკური თვალსაზრისით სრულად თუ არა, მნიშვნელოვნად მაინც შესაძლებელი იყო აღნიშნული ფაქტორის განეიტრალება და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოსთან ფასეულობითი იდენტიფიკაცია. ბოლოს და ბოლოს, მრავალი საუკუნის განმავლობაში, საქართველოსა და დღეს უკვე განდგომილ რეგიონებს შორის თანაცხოვრების გაცილებით ხანგრძლივი ისტორია უტყუარი ფაქტია. ჩვენი ტრადიციები, კულტურა და მორალურ-ზნეობრივი კოდი უფრო მეტი სიახლოვით გამოირჩეოდა, ვიდრე რუსეთთან მიმართებაში. უფრო მეტიც, ქართველებისა და აფხაზ-ოსების ურთიერთნათესაური კავშირები და შერეული ოჯახების მრავალათასიანი «არმია» ამის ნათელი დადასტურება იყო [2]. ტერიტორიული ერთიანობა და თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია თავისთავად იძლეოდა ახალი ფასეულობებისაკენ ერთად მოძრაობის რეალურ შესაძლებლობას.

ისიც უნდა ითქვას, რომ 90-იანი წლების გადასახედიდან თანამიმდევრული პოლიტიკის განხორციელება უადრესად რთული იყო. რადიკალური სოციალურ-პოლიტიკური და ფასეულობითი ცვლილებები არ იძლეოდა სტრატეგიული ამოცანების გადაჭრის რაციონალური, დაბალანსებული და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი განხორციელების შესაძლებლობას. ფაქტია, რუ-

სეთისაგან ბოძებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აფხაზეთსა და ოსეთს, თავისთავად, ავალდებულებს, «მიიღოს» ის ფასეულობათი სისტემა, რომლითაც რუსეთი ხელმძღვანელობს.

შეიძლება ითქვას, რომ 1990 წლიდან დღემდე, საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოდერნიზაცია, მეტად თუ ნაკლებად, თითქმის ყველა სფეროს (პოლიტიკური და ეკონომიკური, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის სისტემა და სხვ.) შეეხო.

ამ მხრივ ყველაზე მიყრუებული და მიჩუმათებული აღმოჩნდა ეროვნული პოლიტიკა და არა იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოება, თუნდაც ინტუიტურ დონეზე, ვერ გრძნობდა ამ მიმართულებით რეფორმების საჭიროებას, უბრალოდ, 20-იანი წლების დასაწყისშივე (ანუ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე) საქართველოს ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა ძალზე შორს იყო სრულყოფილებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ხელისუფლება დასავლეთ ევროპისაკენ ორიენტირების კურსს «ახმოვანებდა», ვერ შეძლო (და, ალბათ, იმ ეტაპზე ვერც შეძლებდა) გაეგო ჩვენი ქვეყნის უმთავრესი ამოცანის მნიშვნელობა _ დემოკრატიული ყაიდის ეროვნული პოლიტიკის შემუშავება. ზ. გამსახურდიას ეროვნულმა პროგრამამ ვერ «დაამუხრუჭა» და ვერ შეაჩერა საქართველოს ტერიტორიული დეზინტეგრაცია და ეროვნულ-ეთნიკური კონფორტაცია.

სწორედ ამ ტალღაზე გაუქმდა მაშინ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პოლიტიკური სტატუსი და გადაერქვა სახელი, ანუ ეწოდა «სამაჩაბლო». დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი, რომელმაც გადაამტერა ქართველები და ოსები, ეს მაშინ, როცა ამის საფუძველი არ ყოფილა (განსხვავებით აფხაზეთის შემთხვევისაგან, სადაც ეთნიკური შუღლი გაცილებით უფრო დიდი ხნის განმავლობაში ყალიბდებოდა და უფრო ღრმა ისტორიული ფესვები აქვს) [3].

ეროვნული პოლიტიკა არც ზ. გამსახურდიას შემდგომ პერიოდში შეცვლილა არსებითად. მართალია, მნიშვნელოვნად შეცვრიდა ეთნოკონფლიქტების სიმწვავე და ბოლოს იგი «გაიყინა» კიდევ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველომ ეროვნული პოლიტიკის ჩამოყალიბება შეძლო. პრობლემის მნიშვნელობაზე ისიც მიანიშნებს, რომ საქარ-

თველოსთვის ვარდების რევოლუციის შემდეგაც კვლავ დაუმღეველი დარჩა ესოდენ მნიშვნელოვანი პრობლემა. – ერთ ერად ჩამოყალიბება.

არადა, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომლის ტერიტორიაზე უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში მკვიდრობენ დანარჩენი ახლომდებარე ქვეყნების ეროვნული წარმომადგენლები. ჩვენ არაერთხელ და ხმამაღლა ვამაყობდით და ვამაყობთ სხვა ერებისა და ეთნიკური ჯგუფების მიმართ ქართველთა ტოლერანტობა-შემწყნარებლობით, მაგრამ შემწყნარებლობა თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ერთიან ერად ჩამოყალიბებას.

ის ფაქტი, რომ განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, საქართველოს ყველა მოქალაქე ოფიციალურად თანასწორუფლებიანია, ერთიან ერად ჩამოყალიბების მხოლოდ სამართლებრივი პირობაა და არა რეალობა.

რა თქმა უნდა, ამ პრობლემის გადაჭრის საკანონმდებლო საფუძველი ეროვნული პოლიტიკის აუცილებელი და შემადგენელი ნაწილია, მაგრამ არა გადამწყვეტი. ეს დაახლოებით იმას ნიშნავს, რომ გამოვეცთ კანონი, რომლითაც საქართველოს მოქალაქეებს დავავალდებულებთ ამა თუ იმ ხელისუფლების თუ პოლიტიკური ფიგურის სიყვარულს, ან აქ მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ წარმომადგენლებს – ერთ ერად ჩამოყალიბებას.

ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ გაგვაჩნდება პრობლემის გადაჭრის შესატყვისი პოლიტიკა და ეთნიკური უმცირესობებისადმი ადეკვატური დამოკიდებულება. პირველი მათგანი, ანუ ის, რომ შემუშავდეს ეროვნული პოლიტიკა, მეცნიერ-ინტელექტუალთა ძალისხმევას მოითხოვს; მეორე მათგანი კი (ეთნიკურად განსხვავებული ჯგუფების ეროვნული ინტეგრაცია) დამოკიდებული იქნება «წმინდა» ტექნოლოგიურ უნარზე. საკითხისადმი ამგვარი მიდგომის მართებულობას უახლესი წარსულიც ადასტურებს, როცა სახელმწიფოს მეთაური და მასთან დაახლოებული ჩინოვნიკები იღებდნენ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს (მაგალითად, განდგომილ ეთნიკურ ჯგუფებს «დავუწესოთ» ბლოკადა, ან მოვევეროთ სეპარატისტების გულის მოსაგებად და სხვ. მსგავსი). ეს, უკეთეს შემთხვევაში, ამცირებდა დამაბულობას, ხოლო უარეს შემთხვევაში უკუპროპორციულ შედეგს იძლეოდა. ესოდენ რთული პრობლემის გადაჭრა ცალკეულ ჩინოვნიკთა კერძო შეხედულებით შეუძლებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არასწორია, როცა შესატყვისი

კონცეფტუალური საწყისების გარეშე ვცდილობთ «ზემოდან» პრობლემის გადაჭრას და თანაც ისეთ «ფაქიზ» საკითხში, როგორცაა მრავალეთნიკური საზოგადოების ერთ ერად ჩამოყალიბება.

ეროვნული უმცირესობების შესახებ. ეროვნული უმცირესობების ამჟამად ყველაზე მიღებული განსაზღვრება ეკუთვნის გაეროს დისკრიმინაციის აცილებისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის სპეციალურ რაპორტიორს... ფრანჩესკო კაპოპორტს... ამ განმარტების თანახმად, «ეროვნული უმცირესობა არის სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით მცირერიცხოვანი, არადომინანტური პოზიციის, ამ სახელმწიფოში მცხოვრებ ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული ჯგუფი, რომლის წევრებს აქვთ დანარჩენი მოსახლეობისაგან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური მახასიათებლები და თავისთავად გამოხატავენ სოლიდარობას თავისი კულტურის, ტრადიციის, რელიგიისა და ენის დასაცავად»...

«ეროვნული უმცირესობის» ცნება ჩვენში კარგა ხანია დამკვიდრდა ოფიციალურ დოკუმენტებში, სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში... ტერმინით «ეროვნული უმცირესობა» იგულისხმება ეროვნება, რომელიც სხვა ერის ტერიტორიაზე გაფანტულად, ან თუნდაც კომპაქტურად და მთლიანობაში შეადგენს უმცირესობას ადგილობრივ (აბორიგენ) მოსახლეობასთან შედარებით...

საქართველო არ არის მონოეთნიკური სახელმწიფო. აქ ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რომელთაც აქვთ თავიანთი ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური მახასიათებლები. ისინი ქვეყნის ძირითად მოსახლეობასთან მიმართებაში ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან»[4, 42].

უთუოდ გადაჭარბებული იქნება იმის თქმა, რომ დღესდღეობით გვაქვს ეროვნული პოლიტიკის მრავალფეროვანი კონცეფციები. თუმცა აღნიშნული პრობლემისადმი თანდათანობით მატულობს მეცნიერ-მკვლევართა დაინტერესება და ეს მისასალმებელია. მიუხედავად იმისა, რომ ორივე განდგომილი რეგიონი – სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ – უფრო მეტად და, ალბათ, ხანგრძლივად ჩამოვცვილდა.

დღესდღეობით თეორიულ დონეზე, მეტნაკლებად, გამოკვეთილია, ეროვნული პოლიტიკის საკითხში, მეცნიერ-ინტელექტუალთა ორი ძირითადი პოზიციური მიმართულება –

ლიბერალური და კონსერვატიული. პირველის მიხედვით, მთავარი ამოცანაა ერის ევროპული მოდელისაკენ მოძრაობა და მისი შესატყვისი პოლიტიკის შემუშავება; დაძლევისას მოითხოვს ერის ტრადიციული გაგება, რომელიც პირდაპირ განაპირობებს სახელმწიფოსადმი ეთნიკური ჯგუფების გაუცხოებას. ვიდრე საკითხისადმი დამოკიდებულება არ შეიცვლება, საქართველო ვერ შეძლებს ეთნოკონფლიქტებისგან თავის დაღწევას. სავსებით დამაჯერებელი და არგუმენტირებულია დღევანდელი რეალობის უმთავრესი მიზეზი, რომელიც «ქართველის» სტატუსის საკითხის არასწორ გაგებაშია. კერძოდ: «ქართველის» სტატუსი ეთნიკური წარმომავლობით განიზომება; «ქართველთა დიდი უმრავლესობისათვის» «ქართველი» იმას ჰქვია, ვინც საერთო (მითოსურ) წარმომავლობას ატარებს, ანუ სისხლითაა ქართველი»[5, 62]. სწორედ ასეთი მიდგომა ხომ არ იწვევს ეთნიკურ უმცირესობაში სტუმრის და უნდობლობის გრძობას?

რა თქმა უნდა, აღნიშნული მიზეზი მართლაც რეალური და ეთნიკური ნაციონალიზმისაკენ წამბიძგებელია, მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, რომ ქართული ნაციონალიზმი არის ჩვენი ვითარების მთავარი მიზეზი. ყოფით დონეზე ეთნიკური ნაციონალიზმი არაერთ ევროპულ სახელმწიფოშიც შეიმჩნევა, მაგრამ ეს არ განიცდობს ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში. უფრო მეტიც, მსოფლიოს თანამედროვე სახელმწიფოებში, არცთუ ისე იშვიათად, თავს იჩენს ეთნიკური ნაციონალიზმი.

სავსებით სწორად აღნიშნავს ფ. შეყლაშვილი, რომ «XX ს-ის 90-იანი წლებიდან მსოფლიოში განვითარებული რთული პროცესები გვაფიქრებინებს, რომ თანამედროვეობის მთავარი წინააღმდეგობა არც იდეოლოგიურ, არც გეოპოლიტიკურ და არც ეკონომიკურ, არამედ ეთნოკონფლიქტურ ხასიათს ატარებს და სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის დაპირისპირებაში გამოიხატა. ანუ ეს არის წინააღმდეგობა სახელმწიფო ნაციონალიზმსა და უმცირეობების ნაციონალიზმს შორის»[6].

ზემოთ ვახსენე და, ალბათ, გამართლებული იქნება იმის დამატებაც, რომ ქართული ტოლერანტიზმი არასოდეს ყოფილა ზედაპირული და დეკლარაციული სახის. მრავალი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები მკვიდრობდნენ საქართველოში და ქართული საზოგადოების თითქმის

ბუნებრივ ნაწილს წარმოადგენდნენ (საკმარისია ქართველ ებრაელთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და სხვა მრავლის მთქმელი მაგალიტები). «საქართველო ოდითგან გამოირჩევა ეთნიკური და რელიგიური შემწყნარებლობით, ქვეყანაში მცხოვრები სხვა ეროვნებისადმი სახელმწიფოებრივი და ტოლერანტული მიდგომით. ამ ეთნოსტორიულ ტრადიციას ქართული სახელმწიფო არც დღეს დალატობს»[5, 32].

«იცავ რა აფხაზის, სომეხის, ოსის ღირსებას, ესე იგი, იცავ შენს ღირსებას, სხვანაირად ჩემთვის არ არსებობს მაღალი მცნება ქართველისა. მე მასთან ერთად ვცხოვრობდი და ვცხოვრობ»[7, 32].

ეროვნულ საკითხებთან (მით უფრო პოლიტიკასთან) მიმართებაში კონსერვატორები განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ; მიაჩნიათ, რომ სწრაფი და რადიკალური ცვლილებები გამოიწვევს ქართული თვითმყოფადობისა და კულტურულ-სოციალური ფასეულობების დეფორმირებასა და დაკარგვას. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეთნიკურად ქართული საზოგადოების ფარგლებში, მართლაც, შეიმჩნევა ეთნიკური ნაციონალიზმის არცთუ მცირე მხარდამჭერები [8].

გასაგებია, რომ ამ პრობლემის რადიკალური და სწრაფი გადაჭრა საქართველოსთვის ძალზე სარისკო და, როგორც ჩვენი საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის ნაწილი ამბობს, უადრესად ფაქიზიცაა. მაგრამ რეალობა უარყოფს საკითხისადმი მხოლოდ ასეთი მიდგომის მართებულობას. სიფრთხილე პრობლემის მიჩქმალვას, ან მის სპონტანურად გადაჭრას არ გულისხმობს. იგი ცვლილებათა თანამიმდევრულობას, სიბრძნეს, ზომიერებას, სიფრთხილეს და მანერც ყველაფერში მიზანდასახულობასა და ეროვნულობას საჭიროებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთიან ერად ჩამოყალიბების პოლიტიკა უნდა ხორციელდებოდეს, ერთი მხრივ კონსერვატიული მემკვიდრეობისა და მეორე მხრივ, ლიბერალური რეფორმების აუცილებლობის გათვალისწინებით. ვერ ვახერხებთ რა ამას, შედეგად ვიღებთ გაორებულ ცნობიერებას, პრაქტიკასა და არაეფექტიან პოლიტიკას, რაც კიდევ ერთი კონფლიქტების მიზეზი შეიძლება გახდეს.

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, ორივე მიმართულება (ლიბერალური და კონსერვატი-

ული) ზუსტად ასახავს ჩვენს დღევანდელ რეალობას. ეს რეალობა მიანიშნებს არა მარტო დასმულ საკითხთან მიმართებაში გარდამავალ პერიოდზე, არამედ ეროვნულ პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებების აუცილებლობასაც. წინააღმდეგ შემთხვევაში «...ეთნიკური პრობლემებისადმი ის საკმაოდ გაურკვეველი და არათანამიმდევრული დამოკიდებულება, რაც ქართული პოლიტიკისათვის დღესაცაა დამახასიათებელი» ვერ მოიტანს სასურველ შედეგებს. ამიტომ აუცილებელია «ჩვენი საშინაო პოლიტიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება, როგორცაა დემოკრატიულ საწყისებზე თანამედროვე ეროვნული პოლიტიკის კონცეპტუალური ხედვის შემუშავება და მისი შექცევადი რეალიზება» [4, 206].

ამასთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესოდ მიგვაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ არაქართველმა მოსახლეობამ, მათ შორის აფხაზელებმა და ოსებმა «უნდა იცოდნენ, როგორია მათი პერსპექტივა, როგორი ცხოვრება ექნებათ, როგორ სახელმწიფოში იცხოვრებენ, რა ერქმევათ მათ შვილებს, რა ენაზე ილაპარაკებენ საზოგადოებასა თუ ოჯახში, რომელი სარწმუნოება იქნება მათი შთამომავლობის რელიგია და თუ იქნება, საერთოდ, რწმენის თავისუფლება, თუ ექნებათ სიტყვის თავისუფლება».

რაიმე მიზეზი ხომ არ შეუშლის ხელს მათი უფლებების განხორციელებას, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისო დეკლარაციით აღიარებული პრინციპების გატარებას ცხოვრებაში.

თუ ექნებათ სრულფასოვნების განცდა საკუთარ ქვეყანაში, ქალაქში, საზოგადოებაში. თუ იქნება დაცული მათი უსაფრთხოება, მათ შორის ფსიქოლოგიური და ა.შ. [8].

დასკვნის მაგვირად:

სამწუხაროდ, ფაქტია: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს სახელმწიფოში და აფხაზეთისა და ოსების ქართულ საზო-

გადოებაში ინტეგრაციის ხარისხი, სასურველზე გაცილებით დაბალი აღმოჩნდა.

ლიტერატურა და მნიშვნები

1. **დ. მედვედევი**, 2008 წლის 5 ნოემბრის ფედერალური სხდომის მიმართვა.
1. სხვათა შორის, 1999-2001 წწ. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში განხორციელებულმა ანალიტიკურმა კვლევებმა, რომლებიც მიზნად ისახავდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრის პროექტის შემუშავებას, გვიჩვენა, რომ ამ მიმართულებით ყველაზე უფრო მეტ შანსს იძლეოდა სწორედ ნათესაური კავშირებისა და მჭიდრო ურთიერთობების პოზიტიური ფასეულობების აქტივიზება.
2. იხ. წიგნში: „საზოგადოება და პოლიტიკა“, №6. პოლიტიკური ფორუმი: ათი შეკითხვა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე, თბ., 2007
3. **ა. სონღულაშვილი**, „ვინ არის ეროვნული უმცირესობა?“, წიგნში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2008
4. **გ. ნოდია**, „საქართველო: მოწყვლადობის განზომილებები“, წიგნში: „სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება“, თბ., 2006
5. **ფ. შეყლაშვილი**, „კოსოვო გადაჭრილი პრობლემა თუ ახალი კრიზისის დასაწყისი?“, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, თბ., 2008, №16
6. **М.Мамардашвили**, «Грузия вблизи и на расстоянии», Тб., 1995
7. ნურც ის დაგვაგიწყდება, რომ ერის თანამედროვე გაგებამდე მისასვლელად ევროპას სამ საუკუნეზე მეტი დასჭირდა, ჯ. გ.
8. **გ. მამალაძე**, „თანამედროვე ეროვნული იდეოლოგიის აუცილებლობა“, გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“, №11 (530)



enobrivi dekul turizaciis tyveobaSi

ქართულ სახელმწიფოზე, სალიტერატურო-სახელმწიფო ენაზე ქართველებს გარდა, უცხოელი ინტელექტუალებიც წუხან. ცნობილი გერმანელი კულტუროლოგი ფრანკ ტრემელი ერთ-ერთ ინტერვიუში ასე გვაფრთხილებს: «სანამ ლიბერალური საზოგადოების ინტერესები არ გადაილახება, ქართველთა თვითგანადგურებას ბოლო არ ექნება».

რა „ენობრივი ვირუსი“ შეგვყვრია ქართველებს?

ძირძველი ქართული ენა-მეტყველება მსოფლიო ენებს არაფრით ჩამოუვარდება თუნდაც ლექსიკურ-ტერმინოლოგიური თუ ფორმოზრევი-სიტყვაწარმოებითი თვალსაზრისით, მაგრამ როგორ გამოვხატავთ სათქმელს და როგორი მეტყველებით ვურთიერთობთ XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში?

სამწუხაროდ, ენობრივი სიტუაცია ჩვენი ქვეყანაში არასახარბიელოა – საკომუნიკაციო, ვერბალური კომუნიკაციის დონეზეც კი, ქართველი არ უფრთხილდება მშობლიური ენის ღირსებას, მით უფრო მაშინ, როცა ჩვენი იურისდიქცია არასრულად და ნაკლებად ვრცელდება საქართველოს კონტროლირებად თუ უკონტროლო ქართულ ტერიტორიებზე (აფხაზეთი, ცხინვალის მხარე, წალკის, ახალქალაქის, ვალეს, მარნეულის... რეგიონები). როგორც ვიცით, «ვარდების რევოლუციის» შემდეგ:

1. გაუქმდა პრეზიდენტთან არსებული ქართული ენის სახელმწიფო კომისია;
2. გაუქმდა ენის სახელმწიფო პალატა;
3. გაუქმდა პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი;
4. გაუქმდა ყველა რადიო და ტელეგადამცემა, რომელიც ქართულ ენას ეძღვნებოდა;
5. პარლამენტში შეტანილი ენის კანონი დღემდე აღარ განიხილება;
6. არ მუშაობს რეკლამის კანონის ის პუნქტები, რომლებიც ენას ეხება;
7. პრესის კანონში არაფერია თქმული პრესის ენაზე;

8. შემცირდა ქართული ენის საათები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში;
9. მომრავლდა არაქართულენოვანი სასწავლებლები;
10. ქართული აღარაა სავალდებულო საგანი უმაღლეს სასწავლებლებში.
11. სპეციალისტ ლინგვისტებს დახმული აქვთ სამოქმედო ასპარეზი, იხურება და იზღუდება ქართული ენის კვლევის ცენტრები, სპეციალურ ლინგვისტურ საგნებს არასპეციალისტები კითხულობენ (საჯარო სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში...)

შენიშვნა: ერთგვარ გამოწვევად მიგვაჩნია ის ინიციატივა, რაც 2010 წლის ნოემბერში სტუ-ს აკადემიურმა საბჭომ განიხილა – სტუ-ში ნორმატიულ-ტერმინოლოგიური ჯგუფის შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ (ხელმძღვანელი პროფ. ანზორ შავგულიძე).

სატელევიზიო სივრცე წალევა უხამსმა გამოთქმებმა, ბარბარიზმებმა, სკაბრეზმა. ახალგაზრდა მწერალთა ნაწერებში მომრავლდა უდიერი გამოთქმები და უგვანი გამონათქვამები. ასეთი უპატივცემულობა ქართულ სახელმწიფოსა და სახელმწიფო-სალიტერატურო ენას არ ახსოვს.

2010 წლის საშობაო ეპისტოლეში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქართველ ახალგაზრდებს მოუწოდა ბილწსიტყვაობისა და საკუთარი მშობლის შეგინების აკრძალვისაკენ. სამწუხაროდ, ბევრისთვის მოწოდება დღემდე მოწოდებად რჩება. სკაბრეზმა წალევა არა მარტო საზოგადოებრივი ტრანსპორტი და თავშეყრის ადგილები, მედიასივრცე და ინტერნეტგამოცემები. მაგ., ერთ-ერთ პრესტიჟულ ტელეარხზე რამდენიმე წელი გადიოდა ასეთი რეკლამა-შესიტყვება „ვეცემი მზეზე“. თანამედროვე ახალგაზრდობას, საზოგადოების დიდ ნაწილს, ეს გამოთქმა სულაც არ მიაჩნია სკაბრეზულ-ჟარგონულ შესიტყვებად, რაც იმის დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ საზოგადოება ენობრივი დეკულტურისაციის ტყვეობაშია, მთელი თბილისი, მეტიც, მთელი

საქართველო, თავს იწონებს მდაბიური გამოთქმით „ძაან“ (მას ამბობს მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი რეჟისორი, მწერლები, მეცნიერები, სახელმწიფო და საპარლამენტო მოღვაწეები, ჟურნალისტები, თვით სპეციალისტი ლინგვისტი-პროფესორები...).

პატრიოტული განცდა და თანაგანცდა თითქოს წარსულს ჩაჰბარდა. სპეციალისტების გარდა, ახლა არავის ახსოვს (შესაძლოა არც იცოდეს), რომ ნეკრესის წარმართობის-დროინდელი თარიღიანი ტაძარი (რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება) ფარნავაზისდროინდელია (მისი მშენებლობა ფარნავაზის ზეობის 28-ე წელს დასრულდა), დავათის ქვა-სტელაც (367 წ.) გვამცნობს მეფე ფარნავაზის მიერ შემოღებულ ქართულ დამწერლობას (284 წ.)...

ძველთაძველ სახელმწიფო ენას, დღევანდელ ქართულ სახელმწიფოს, შველა უნდა. საჭიროა სპეციალური კომისიის შექმნა (მკვლევართა). დღეს ქართული ენა უპატრონოდა მიგდებული, შემოდის და მკვიდრდება უგვანი გამოთქმები, როგორცაა: „ტერიტორიული მთლიანობა“ (რით სჯობს „ტერიტორია“ „ადგილს?“), ასევე: მობილური ტელეფონი (შემოკლებით მობილური), რომელსაც ზოგჯერ ვიწრო წრეებში *ჯიბის ტელეფონს*, *მმობილურს* და *მმაფიჭურსაც* უწოდებენ (მათ ნაცვლად ზოგი ნეოლოგიზმს *სათანაოს* ვთავაზობს: *სათანაო* = „ის, რაც თან დაგვაქვს“).

ენას ცოდვილის ხელით არ უნდა შევეხოთო“, გვაფრთხილებდა დიდი ილია ჭავჭავაძე (// წმიდა ილია მართალი). ცუდი ქართულით იწერება წიგნები და სახელმძღვანელოები, ბინძურდება ენა, ცოცხალი მეტყველება, ჩვენ კი გულხელდაკრეფილნი შევცქერით ჩვენი მშობლიური ენის გაბახებას (სპეციალისტებიც და არასპეციალისტებიც). დღეს მშობლიური ენის ნორმების დაცვა თითქოს არავის უნდა – არც მთავრობას და არც ხალხსაც. თქვენ თვითონ განსაჯეთ ჩვენი დამოკიდებულება ქართული ენის მიმართ: შდრ. „კომპიუტერს დავაშათდაუნებ“ თუ „კომპიუტერს გამოვრთავ“? ან კიდევ: რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეთ დაწერილობას: „თ2ნიკე“ – აბრევიატურის, სიტყვათა შემოკლების, თუ რებუსის? (ალბათ, ამ უკანასკნელის), ან კიდევ: „დღეს გი2გი 110იანის პანა7....“

საჭიროა ზომების მიღება, თორემ ხელში სალიტერატურო და სახელმწიფო ენა კი არა, „კნინი ენა“ შეგვრჩება (ე. წ. ერთ-ერთი აფრიკული ტომის „პატუა ენა“).

ბოლო ორი წელია, 14 აპრილი, როგორც «დედაენის დღე», არავის გახსენებია...

ვნახოთ, წელს როგორ შევხვდებიან ქართველები ამ დღეს.

B. TSKHADADZE

IN THE CAPTIVITY OF DECULTURIZATION OF LANGUAGE

Summary

Today even ordinary Georgian depraves, distorts and perverts the Georgian literary language with amazing desire. From this point of view the young people especially differ, a lot of them are now in the Georgian parliament and state structures, in the politics or non-governmental organizations, journalism or jurisprudence, in so-called “Talk- and musical-entertaining shows”. Their slangy speech on the stage or on the wide screen, indoor or outdoor – in the streets, society or elsewhere – is the evidence of obvious degradation and deculturation of Georgian language. Now the big part of the Georgians brags of such speech, like “Zaan” (too much), “madloba movixade” (to thank) (journalists, sport commentators etc. are especially differ from this standpoint). Our society is in the captivity of deculturation of language. Almost everyone in Tbilisi and, what’s more, in Georgia uses a vulgar expression “dzaan” (too much) (it is used by a world famous Georgian director, writers, scientists, statesmen and parliament members, journalists, even experts – professors of linguistics ...). In poor Georgian books and textbooks are written, the language, spoken Georgian are contaminated.

In this way the process of vulgarization of intellectuals is in progress (deintellectualization) in the country.



bodiSi(T), qarTvel ebo!
**(bodiS- sityvis warmomavl obisa da misi
stil istikur-gramatikul i gamoyenebisaTvis)**

ერთი შეხედვით, ქართველებს საბოდი-
შო არაფერი გვაქვს, არც ქვეყნის, სამშობლოს,
არც მტრის წინაშე. შეძლებისამებრ თავს ვი-
ცავდით და ვიცავთ ახლაც გარეშეთაგან, უც-
ხო თესლთაგან, უცხო სიტყვათაგან, მტრისგან
თუ მტრადმოსული მოყვრის შემონატანი ან-
ტიეროვნული და ანტიქართული მოვლენე-
ბისაგან (რეციდივებისაგან), ბარბარიზმებისა-
გან თუ რუსიზმებისაგან. განა არა! განსაკუთ-
რებით დღეს, როცა ცალკეულ ინდივიდს, გა-
უნათლებელს თუ ვითომგანათლებულს, გა-
ნათლებულს თუ ნაკლებგანათლებულს, პარ-
ლამენტარს თუ უპარლამენტაროს, თავისი
სამეტყველო ენა და ლექსიკა აქვს. განსაკუთ-
რებით ჩვენში თავჩენილი ძველქართული
უნიათობა, საქმის კეთების მოჩვენებითობა,
გულარხეინობა და უცხო სიტყვებით თავმო-
წონება ძვალსა და რბილში გაგვჯდომია.
ბოლო 2-3 საუკუნის მანძილზე ქართული ენა
ისე დაგვიბინძურდა უცხოური ლექსიკისა
თუ გამოთქმებისაგან, ლამის ყოველი უხიაგი
გამონათქვამი ფეხში გვებლანდება, ყელს გვე-
ხვევა, სუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს,
სმენაც კი გვიხშობს არაქართულ-არაჯანსაღი
კონსტრუქციები, პარაზიტი სიტყვები... უგ-
ვანმა, დაუდევრობით გამოწვეულმა «დემოკ-
რატულმა საწყისებმა», უშნოდ გაგებულმა
ევრო-ამერიკულმა ფასეულობებმა წაბილწეს
ენობრივი გარემო. ამდენი ეჭვისა და სკეფსი-
სისაგან ისე დავმაბუნებულვართ, რომ, ზოგ-
ჯერ, ძირძველი ქართული კეთილადნაგი სიტ-
ყვა თუ გამონათქვამი უცხოურადაც კი და-
გვისახავს. ეს უკვე ფსიქოზია საზოგადოებისა,
კერძო და ავადმყოფური გამოვლინება საზო-
გადოებრივი აზრისა, რაშიც გამორჩეული
წვლილი მასმედიასაც მიუძღვის. ქართულ
სატელევიზიო სივრცეში განთხზულთ წამ-
დაუწუმ «გამარჯობას» იმავდროულად «სა-
ლამსაც» მოვაცოლებთ (საუკეთესო შემთხვე-

ვაში), ან მხოლოდ «მისალმება-გამოსალმების»
ხმარებით შემოვიფარგლებით. ახლაც ისე დი-
დია რუსული ენის გავლენა ქართულზე, რომ
გამოთქმა «ასე რომ» რუსული ენიდან მომდი-
ნარე კალკი გვგონია (так что), თუმცა წერი-
ლობითი ძეგლების შესწავლით ირკვევა, რომ
იგი ბევრად ძველია და აღორძინების ხანის
ქართულში არქაული «ასე რომელ» // «ასე
რომე» ფორმებით გვხვდება (ასე რომ <-ასე
რომე <-ასე რომელ), ასე რომ რუსული კალ-
კირებული გამოთქმა, ამ შემთხვევაში, არაფერ
შუამია.

სამწუხაროდ, დღევანდელმა ქარ-
თულმა ცოცხალმა მეტყველებამ ასევე დაი-
ვიწყა ძირძველქართული გამოთქმა «გეთაყვა»
ან «გეთაყვანე», დარბაისლური ქართულისათ-
ვის ასერიგად «შემფერე, მომფერე» და გამორ-
ჩეული, თავმოსაწონი, წარმართობისდროინ-
დელი, ქმნულკეთილი, კეთილადნაგი გამო-
თქმა არისტოკრატთა და წარჩინებულ-განათ-
ლებულთათვის საყვარელი გამონათქვამი.
ლამის ასევე დავიწყებას მიეცეს «მაპატიე»
ზმნაც, რადგან დღეს უბოდიშო კულტურული
ლაპარაკი დაგვჩემდა, პოლიტიკური და აპო-
ლიტიკური ბოდიშობა-ბოდიშობანა საყოველ-
თაო წესად გვქცევია. ალბათ, ამიტომაც, რომ
ვამბობთ «ბოდიშით», «გამარჯობათ», კარგით,
რა» (შდრ. გეყოფათ რა [იქნება]), დაგვგვიწყნია
ძველებური «კეთილი», გაგვბატონებია სომ-
ხური წარმოშობის სიტყვა «კარგი». ასეთი
«გზიანი» სიტყვაფორმები ენაში ასობით-ათა-
სობითაა! როგორ და რატომ შემოგვეპარა ქარ-
თულ ენაში ამ სტატის სათაურშივე ნახსენე-
ბი უცხოური სიტყვა «ბოდიში», არავინ იცის.
მისი ჭაჭანება ძველ ქართულ მწერლობაში,
წერილობით ძეგლებში არაა. დოკუმენტურად
მისი პირველი ფიქსირება სულხან-საბა ორ-
ბელიანმა მოახდინა, თუმცა ცნობილი ლექ-

სიკოგრაფის განმარტება ამ სიტყვისა თანამედროვე მკვლევრისათვის უფრო ზოგადია, მეორეული და ბუნდოვანი. კონკრეტულად, თუ რას ნიშნავს **ბოდიში**, არას მიგვანიშნებს განმარტება: «ბოდიში - ესე არს სიტყვით და საქციელით კაცი მოიმადლოს ZA ესე არს სიტყვითა და საქციელითა კაცი მოიმადლო» B. განუმარტავია CD. [1, 111]. მეტიც: სულხან-საბა ამ სიტყვას ქართულად მიიჩნევს; იქვე იგი ერთგან, **თავაზ** სიტყვის განმარტებისას, აღნიშნავს: «**თავაზა** სხვათა ენაა, ქართულად **ბოდიში** ჰქვიან» ZAB. [1, 299]. მართლაც, **თავაზი**, **თავაზა** (ეს უკანასკნელი ფორმა დღევანდელ ქართულში აღარ იხმარება) უცხო წარმომავლობისაა, არაქართულია, მაგრამ **ბოდიში**?..

სულხან-საბა ორბელიანს «სიტყვის კონაში» **«საბოდიშო»**-ც შეუტანია: **«საბოდიშო** – ბოდიშის სათქმელი საქმე» ZAB. – განგვიმარტავს ლექსიკოგრაფი.

ცხადია, როგორც მაძიებელს, მკვლევარს, არც ეს ახსნა გვაკმაყოფილებს.

ბოდიშს, როგორც დამოუკიდებელ სიტყვას, სვანურ ენაშიც შეულწევია. აშკარაა, ქართული ენიდან: **ბოდიში** – извинение ბოდიშს ხალყე = «ბოდიშს ეუბნება», ბოდიშს უხდის извиняется перед кем-л. [2, 49].

ბოდიში არც სხვა ქართველური ენისთვის, მეგრულისთვისაა უცხო: **მოზიდიშაფა** – «მოზოდიშება» (გ. ელიავას სიტყვა **ბოდიში** საკუთარ ლექსიკონში კი შეუტანია, მაგრამ არ განუმარტავს. მიგვითითებს ნახეთ «მოზოდიშაფა»-ო), მაგრამ მას, როგორც ვთქვით, ეს სიტყვა ამავე ლექსიკონში ცალკე შეტანისას საერთოდ გამორჩენია [3, 33]. სამაგიეროდ სრულად წარმოგვიჩენს ამ სიტყვის მნიშვნელობასა და მისი გავრცელების არეალს ო. ქაჯაია: **ბოდიშ**-ი: თქვანიწკუმა დიდი ბოდიშის, მინავათის ვორეთ, პატონი» – თქვენთან დიდ ბოდიშს, პატიებას ვართ, ბატონო. დასტურდება გამოთქმა: **«ბოდიშიში თხუალა»** ბოდიშის თხოვნა (მოხდა): დიდი ბოდიშის რთხულენთ! – დიდ ბოდიშს გთხოვთ!. იქვე ცალკე სალექსიკონო ერთეულადაა შეტანილი **ბოდიშუა** (ბოდიშუას) – «ბოდიშის მოხდა» [4, 249-250].

ამრიგად, მეგრულში ეს სიტყვა (ბოდიში(ს)), ისე როგორც სვანურში, ქართული ენიდანაა შესული (რაც მტკიცდება იმითაც, რომ იგი ბგერათშესატყვისობას არ იძლევა). ერთი რამ აშკარაა: არც ამ სვანურ-მეგრული ენობრივი მონაცემებითაც არ დგინდება ამ სიტყვის (ბოდიშის) თავდაპირველი შინაარსი და ქართველური წარმომავლობა.

ჭანურში (ლაზურში), როგორც ჩანს, ეს სიტყვა უცნობია. შედარებით სრული განმარტება აქვს მოცემული დავით ჩუბინაშვილს. იგი **ბოდიშ**-ს ასე განმარტავს: «ბოდიში – (სპარს.) პატივის მოთხოვნა, დაურვება გულნაკლებობისა; извинение, ბოდიშის თხოვნა просить извинение, ბოდიშობა извинение [5, 111]. საფიქრებელია, წარმოშობით და დაბოლოებით ეს «აღმოსავლური» სიტყვა ისეთივე აღნაგობა-წარმომავლობისაა, როგორც ქსოვილის... აღმნიშველი სპარსული **ბალიში**, **შეიდიში**...

ნ. ჩუბინაშვილი ამ მხრივ ახალს არაფერს გვამცნობს. აქ სიახლე ისაა, რომ ლექსიკოგრაფი ამ სიტყვას რუსული ენის ანალოგიურ გამოთქმას უხამებს. ჩვენთვის, როგორც მკვლევრისთვის, საინტერესო უფრო ისაა, რომ ავტორი, სულხან-საბა ორბელიანისაგან განსხვავებით, ამ სიტყვას ქართულად კი არა, წარმოშობით სპარსულ სიტყვად მიიჩნევს.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული) **ბოდიშ**-ის განმარტებას და მისი მონაწილეობით შექმნილ სიტყვათშეხამებებს ვრცლად წარმოგვიდგენს, მაგრამ მის არაქართულობა-ქართულობაზე არას გვაძინობს:

ბოდიში – წუხილის გამოთქმა, პატიების თხოვნა თავისი შეუფერებელი საქციელისა თუ სიტყვის გამო. ბოდიშს [მო]იხდის, ბოდიშს [მო]ითხოვს – პატიებას [მო]ითხოვს. აქედანვე გამოთქმა: ბოდიშს [მო]იხდის (ვისმე), ახსნას, გამართლებას მოუძებნის (შეუფერებელი სიტყვის მთქმელს ან საქციელის ჩამდენს. **ბოდიშ** სიტყვაფორმა საფუძვლად დასდება ისეთ სიტყვებს, როგორცაა: **ბოდიშიანი** – ვისაც ბოდიშის მოხდა, ბოდიშის თქმა სჩვევია (უყვარს) – მორიდებული, მოკრძალებული) (საპირისპირო უბოდიშო) // რასაც ბოდიშის ხასიათი აქვს. აქედანვე ნაწარმოები ზმნისპირიანი და ზმნის უპირო ფორ-

მები: **ბოდიშობს** – ბოდიშს იხდის, ბოდიშობა – ბოდიშის მოხდა, ბოდიში (საპირისპირო უბოდიშობა) [6, 1087-1088].

ჩვენი აზრით, ყველაზე საინტერესო ფორმა, მეტადრე შინაარსით, აღჭურვილია იმავე ლექსიკონში დამოწმებული **ბოდიშ** სიტყვის სახეცვლილი სიტყვაფორმები **ბოდოშა**, **ბოდოშალი**, რაც ნიშნავს უსუფთაო, აჩაყულ-დაჩაყულ, სიკვობტავეს მოკლებულ ქალს.

ბოდიში ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში საღმის დაბრუნების, საღამზე პასუხის თქმის შინაარსით იხმარება: «(არჯალას) თუ ვინმე მიესალმებოდა, ძვირად თუ ვინმე ბოდიშს გადაიხდოდა, თუმც კი სხვაგვარად პატიოსანი, დარბაისელი კაცი იყო» (საშობაო მოთხრ. სტუმრები): «კაცი ვარ, საღამს გაძლევ, რატომ ბოდიშს არ იხდი? (კვლემ მხოლოდ...)» [7, 60].

ბოდოშა, **ბოდოშალ**-ის სემანტიკას ეხმიანება ქართული ენის ქართლურ დიალექტში დღემდე არსებული სიტყვა **ბოდუას** (უმნო, დონდლო): «*ბოდუაა*, არაფრის შნო არ აქ, აღარც გავლისა» [8, 62].

ბოდოშა ქიზიყურში უსუფთაოს (ჭუჭყიანს, თავისი თავისა და ოჯახის სისუფთავე რომ არ უყვარს, ისეთ ადამიანს ეწოდება [9]. ფშაურშიც **ბოდოშალი** უშნო, მოუქნელ ადამიანს, ფეთხუმს, უსუფთაოს ნიშნავს [10, 38].

ღირსსაგნობია, რომ ახლაც **ბოდიშ** და მისგან ნაწარმოებ, ფონეტიკურ-სემანტიკურად სახეცვლილ სიტყვებთან უშუალო კავშირშია ახალი სპარსული სიტყვა *budeš*, რომელშიც *-eš* სუფიქსია. შდრ. *pušēn`odežda`
-<_puš`ot`nlag. pušidān`odeva.* - [11, 40].

ამრიგად, სპარს. **ბუდეშ** → **ქართ. ბოდიშ**, → **სვან. ბოდიშ**, **მეგრ. ბოდიში**, **ბოდოშუა**, **მობოდოშაფა**, ↓// **(ფშ., ქიზიყ.) ბოდოშა**, **ბოდოშალი**, **ქართლ. ბოდუა**.

როგორც გაირკვა, ახალი სპარსული **ბუდეშ** ლექსემისაგან იშვა ქართული ბოდიში, რომელიც ძველად ტანსაცმლის ნაწილს, გამჭვირვალე ქსოვილს წარმოადგენდა. სწორედ ბოდიშის ანუ ტანსაცმლის (ქსოვილის) მოხდა იყო საჭირო ასეთ შემთხვევაში, რომელიც გადატანითი მნიშვნელობით პატიებას ნიშნავდა, ჩანს, თავდაპირველი სპარსული სიტყვის შინაარსი (ტანსაცმელი, ქსოვილი) ქართულში დაიკარგა, ან სულაც მეორეული მნიშვნელო-

ბით დამკვიდრდა. ეს ის დროა, როცა შუასაუკუნეებში ქართველობას, კავკასიას მაჰმადიანთა შემოსევები და დაპყრობითი ომები აჩანაგებდა, სწორედ იმდროიდან უნდა დამკვიდრებულიყო და გავრცელებულიყო ჩვენში **ბოდიში** და **ბოდიშის** (როგორც ქსოვილის) ტარება და მოხდა (როგორც ტანსაცმლისა, შდრ. ამ მხრივ ბაღდადი და ეთნოქოროგრაფიული ტერმინი ბაღდადური).

შენიშვნა 1: «ვეფხისტყაოსანში» ბოდიშის (როგორც ქსოვილისაც!) მნიშვნელობისაა არაბული ლექსემა **შართი** (=«ბოდიში»):

«ავდეგ, მსხდომნი ნადიმობად აემზადნეს ასაყრელად;

შართი ვუთხარ: «ნუ ასდგებით, მოვალ ხანსა დაუზმელად»;» (სტროფი 377) [11, 113], შდრ.

«არა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და **შარდითა**;

ვერვინ ვხედვედით, შეიქმნა პირითა მინა-ვარდითა;» (სტროფი 336) [11, 102].

თუ **შარდი** და **შართი** ერთი და იგივე ოდენობაა ისტორიულად (**დ/თ** მონაცვლეობა), მაშინ შართი და შართის თქმა, ისე როგორც ბოდიში და ბოდიშის მოხდა, ანალოგიური წარმოშობისა და ურთიერთმიმართების ლექსემებად მოჩანან.

შენიშვნა 2: შდრ. ლეო ქიაჩელისეული გამოთქმა-შესიტყვება «ბოდიში მოთხოვე», რაც ფაქტობრივ **ბოდიშის მოხდის მოთხოვნას** ნიშნავს: «ხოლო თუ ჩემს ამხანაგს მისწერე წერილი და ფიცხელ გულზე რაიმე _ ვინ იცის _ აწყენინე, ბოდიში მოთხოვე, თუ მძა ხარ, რადგანაც წყენინება კი არა, ჩემს გულიზა ისინი, ხომ ხედავ რაებს ჩადიან» [13, 115].

დღევანდელ საქართველოში, 21-ე საუკუნის დასაწყისის ქართველებს, უფროსებს თუ უმცროსებს, **ბოდიშის მოხდა** დაგვგვიწყინა, გაგოროზებულთ და გაგულისებულთ გვეთაკილება, მაშინ როცა **ბოდიში** მოსახდელია, ნუ შეგვრცხვება _ ბოდიში მოსახდელი თუ გვაქვს, მოვიხადოთ, ამით ჩვენს პიროვნებასაც წარმოვაჩენთ და სხვის ღირსებასაც არ შევლახავთ. გამოყენებითი სტილისტიკის, მეტყველების კულტურისა და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების ცოდნის სურვილით მინდა, გამოვთხოვოთ და ერთმანეთს, მისალმება-შეკითხვისას, უნე-

ბლიე თუ საქმიანი შეხვედრისას, საჭიროებისამებრ ასე ვუთხრათ: «ბოდიში», «ბოდიშს ვიხდი» «ბოდიშს გიხდით» და არა «ბოდიშით», ქართველებო!

ლიტერატურა

1. ს-ს. **ორბელიანი**, თხზულებანი, ტ. IV. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბ., 1965, გვ.
2. **კ. დონდუა**, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი [ლამზური დიალექტი], ტექსტი გადაამუშავა, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ალ. ონიანმა, თბ., 2001
3. **გ. ელიავა**, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), კ. დანელიას რედაქციით, თბ., 1997
4. **ო. ქაჯაია**, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. I. თბ., 2001
5. **დ. ჩუბინაშვილი**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რეატიმეული, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964
7. ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა, თბ., 1969
8. ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შეადგინეს თ. ბეროზაშვილმა, მ. მესხიშვილმა, ლ. ნოზაძემ, თბ., 1981
9. **სტ. მენთემაშვილი**, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943
10. **გ. ხორნაული**, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2002
11. **Т. Чхеидзе**, Именное словообразование в персидском языке. Тб., 1969
12. **შოთა რუსთაველი**, ვეფხისტყაოსანი, მესამე სასკოლო გამოცემა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ბოლოსიტყვა დაურთო **ნ. ნათაძემ**. თბ., 1986
13. **ლეო ქიაჩელის** წერილები (ლეო ქიაჩელის სტუდენტობისა და ემიგრაციის წლებში ოჯახის წევრებისადმი მიწერილი წერილები) იხ. აღმანახი «კრიტიკა», 1985, #6 (55), გვ. 108-132 (პუბლიკაცია მოამზადა **ნანა შენგელაია**)

BADRI TSKHADAZE

I AM SORRY, GEORGIANS! (ON THE ORIGIN OF THE WORD **BODISH** AND ITS CORRECT STYLISTIC-GRAMMATICAL USAGE)

Summary

The article reviews the origin of the word **bodish** and the ways of its penetration into Georgian language. Specifically, as a lexeme of a Persian origin it established itself in Georgian language since the epoch of the so-called Georgian Renaissance. Its original meaning was a light fabric put on head. Presently the word "**bodishi**" ("I am sorry") is a standardized form, but "**bodishit**" is an error (-t is the mark of a plural form of verb, while **bodishi** is not a verb).



fereidnel qarTvel Ta erovnul i cnobierebis zogierTi sakiTxi

წინამდებარე ნარკვევის უმთავრესი მიზანია, მკითხველს დღესდღეობით ხელმისაწვდომ მასალებზე დაყრდნობით, რამდენადმე მაინც შეუქმნას წარმოდგენა ჩვენი ფერეიდნელი თანამემამულეების ეროვნულ-ქართულ თვალთახედვაზე.

როგორც ცნობილია, მთელი მსოფლიოს მასშტაბით საყოველთაოდ მიმდინარე ურბანიზაციის პროცესმა, რაც დიდ ქალაქებში მოსახლეობის მასობრივი მიგრაციისა და ყოფით-ეროვნულ კარჩაკეტილობის მოხსნის საფუძველიც ხდება, ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრებაშიც შეცვალა ბევრი რამ. მიუხედავად ამისა, მათი დიდი ნაწილი მაინც ცდილობს, მშობლიურ ფესვებს არ მოწყდეს და მყარად შეძლოს მისი ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ისეთი უმთავრესი ფენომენის გადარჩენა და შენარჩუნება, როგორცაა ერთმანეთს შორის ძირითად საკომუნიკაციო საშუალებად ქართული ენის გამოყენება. უფრო მეტიც, ამ ბოლო დროს იმ ფერეიდნელ ქართველთა რიცხვმაც მოიმატა საგრძნობლად, რომელთაც წინაპართა ენაზე წერა-კითხვაც იციან.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე ფერეიდნელი ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფის მიერ 2003 წლის 14 აპრილს (დიახ, 14 აპრილს, ქართული ენის დღეს) ქალაქ ფერეიდუნშაჰრში ქართული ენის დაცვისადმი მიძღვნილი პირველი კონგრესის ჩატარების ფაქტიც ნათლად მეტყველებს. კონგრესის მიზანი იყო ფერეიდნელ ქართველთა მიერ მარტყოფის ენად წოდებული ქართული ენის შენარჩუნების პრობლემაზე მსჯელობა.

ფერეიდნელ ქართველთა ეროვნულ ცნობიერებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად აქ იმ წერილის ფრაგმენტიც მინდა დავიმოწმო, რომელიც ერთ-ერთ მათგანს გაუგზავნია თურქეთში მცხოვრები მისი თანამემამულისთვის 2004 წელს (იხ: გ. კალანდია, აჰმედ მელაშვილი – ჩვენებურთა ბელადი, 2010 წ. გვ. 131-133). მოზღვავებულ ნოსტალგიურ გრძნობათა ემოციური სიმძაფრით წარმომსახველი ეს წერილი მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს იმ თვალსაზრისითაც წარმოად-

გენს, რომ მისი ავტორი ისტორიული ავბედობის გამო მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი და უცხო გარემოში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნულად შემკავშირებლის როლშიც გამოდის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ ადამიანების ზოგადად აღმნიშვნელ ტერმინად მან ერთი გასაოცარი სიტყვაც იხმარა პირველად – **თანაფესვი**, რითაც ზუსტი ადეკვატურობით გამოხატა უმთავრესი არსი მათი ერთობისა და განუყოფელობისა.

«ფერეიდუნ შახრი. 2004 წელი (სტილი დაცულია).

ძვირფასო ძმაო რეჯებ, სალამ ალეიქუმ ვა რაჰმალაჰ! გაუმარჯოს თურქეთის ყველა ქართველს!

არ ვიცი, როგორ გითხრა, რასა ვგრძნობდი და როგორ ვიყავი, როდესაც ვკითხულობდი შენს წერილსა. როგორც ფრინველი ზეცაში ფრინავდეს, ისე ვიყავ. ტყავში და ქერქში ვერ ვდგებოდი სიხარულით. თვალზე ცრემლი და გულში დარდი მქონდა. ნეტავ რატომ ძმები ასე შორს იყვნენ...

ჩვენ აქ ვართ 400 წელია. 1616 წელს შაჰ-აბასმა თეიმურაზ მეფესთან და ლუარსაბთან ომში გაიმარჯვა და გადაასახლა ბევრი ქართველი ირანში. ისინი მოვიდნენ ამ რაიონებში: მაზანდარანი, ფარაჰაბადი, ისფაჰანი, შირაზი, ხორასანი. მანდ რჯულიც შეიქმნა ჩვენი მოჰამადიანი.

ახლა კი ქართველები არიან აქნებში: ფერეიდუნ-შახრში (აქ 20000 ქართველია და არის ირანის ქართველების ცენტრში)... აქ ყველაფერი ქართველებს უჭირავთ – გუბერნატორობა, ქალაქის საბჭო და არმია.

ამ ქალაქის არემარეში პატარა სოფლებიც კი ქართულია... აქედან წასულან ქართველები ახლოდროებში ემიგრანტად: ისპაჰანში, ნაჯაფაბადში, თეირანში. აქ ზოგს დავიწყნია ენა, მაგრამ უფრო მეტს არა. ბევრს უყვარს ქართული ენა და ერი და ჩვენც არ გვინდა ისეთი ქართველი, რომელიც ადვილად დაივიწყებს თავის წინაპრის ტანჯვას, ბრძოლას ენისა და ერისათვის.

ჩვენ ახლა უკვე გვაქვს ქართული სკოლა და ბავშვებს, ახალგაზრდებსა და დიდებს

წერა-კითხვას ვასწავლით, მე კი ისტორიის მასწავლებელი ვარ...

ჩვენ სახლში მუდამ ქართულად ვლაპარაკობთ, მაგრამ ბუნებრივია 400 წელი დაუკავშირებლათ დედა სამშობლოსთან ბევრი სიტყვები შეიცვალა და ამნაირათ რომ გიწერ წერილს, ყველას არ შეუძლია საუბარი და ლაპარაკი...

თუ ჩვენი კავშირი გაგრძელდება და დღემთივ მოგვეშველებს, ბევრ გასაოცარ რამეს დაგაწერ ჩვენზე, თანაფსვო...

ძმაო, ახლა არის საათი დილის სამი და არ დამიძინია, გულში ვერ გთმობ, გულში ვერ გთმობ-მეთქი და იმიტომ კიდევ გამოგიგზავნი ბევრ წერილსა და სურათს. შენი თანაფსვო, სამუდამო ძმა ირანის ფერეიდუნ შახრის ქართველებიდან.»

ირანში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნული ცნობიერების განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს იქ დაფუძნებული საზოგადოება – «**ირანელი ქართველები**». აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ვ. ონიკაშვილი წიგნში «ფერეიდანი» (2004 წ. გვ. 63): ხსენებული საზოგადოება «ირანის მთავრობამ უკვე გაატარა რეგისტრაციაში. ისინი მუხლჩაუხრელად იღწვიან, რათა მთელი ფერეიდანის, იაზდუნ-შაჰრის, თეირანის, ისპაჰანის, ნაჯაფ-აბადის, ჩულდურეთის, ვაშლოვანის თუ სხვა ადგილებში დასახლებული ქართველების ყველა ბავშვს ქართული ასწავლონ, შეაყვარონ საქართველო, გააღვიძონ ბავშვებში ეროვნული თვითშეგნება. მე ვნახე მათ მიერ გამოშვებული ბროშურები, რომელზეც აწერია:

«არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა!!!»

მძაფრად გამოვლენილი პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალულ თავის წიგნში, რომელსაც ავტორმა წიგნის მიზანდასახულობასთან ზუსტად მისადაგებული ეპიგრაფიც შეურჩია («ქართულ ენის დამკარგავსა დამტირალი არა ჰყავდეს»), ვ. ონიკაშვილმა ირანელ ქართველთა ზემოთ ხსენებული საზოგადოების ფერადი პლაკატიც გამოაქვეყნა, რომელზეც ჩვენი ფერეიდნელი თანამემამულის – ჰასან ალი რაჰიმის ლექსი – «ციხე მთა მარტყოფია» დაბეჭდილი. აი, ეს ლექსიც, რომელიც არა მარტო ავტორის ეროვნულ თვალთახედვას გამოხატავს ემოციური სიმძაფრით, არამედ ფერეიდნელ ქართველთა გულისთქმასაც:

მთაო ციხეო, პაპის საფლავო, გზა გამინათე, ჩემო ვარსკვლავო.

დიდი ხარ, დიდი, მაგარი გულით, იგოცხლე მუდამ ქართველის სულით.

შენ გაგონდება სისხლიან ხმლის ხმა, თვალწინ მოგიკლეს შენი ქართველ ძმა.

მხოლოდ მითხარი ცრემლიან თვალებით, ვარდები როგორ დაჭრეს ხმალებით.

გმირების მთაო, ჩემო სიმბოლო, დამიფიცია, მხოლოდ ვიბრძოლო.

ჩვენი ხარ, მხოლოდ ჩვენთვის მღერისხარ, ვიცი, რომ ჩვენი მტერის მტერი ხარ.

ჩემ კალმის სისხლი შავი მელანია, შენთვის ლექსის თქმა დიდი მიზანია.

შენც სისხლი გიდუღს, ეს კარგად ვიცი, შენთან ერთობას არ უნდა ფიცი.

გმირების მთაო, პაპების სული, სანთელს უთიე, ვარსკვლავის გული.

მთაო ციხეო, ყაყაჩოს ფერო, შენი თარიღი როგორ დავწერო?

არსებობ, ვიცი, არ ხარ ზღაპარი, შენ მელანდები როგორც სიზმარი.

ჩემო აკვანო, დიდო მიზანო, მეფობა გშვენის, მთების აივანო.

ქართველ საზოგადოებაში ჩვენი ირანელი მოძმეების ბედით დაინტერესებამ თავი განსაკუთრებული ძალით XIX საუკუნის ბოლო წლებიდან იჩინა. პირველი ქართველი, რომელმაც ამ ინტერესის გაღვივების საქმეში მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ლადო აღნიაშვილი (1860-1904 წწ.) იყო, რომელმაც ირანში მოგზაურობისა და იქაურ ქართველებთან შეხვედრის საფუძველზე დაწერილ წიგნში – «მოგზაურობა სპარსეთში და იქაური ქართველები» (1895 წ.) პირველად აღწერა ფერეიდანში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ყოფა და ქართველ საზოგადოებას მეტად საინტერესო ცნობები მიაწოდა მათ ეროვნულ ცნობიერებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, იქაური ქართველი «დღემდე არ ივიწყებს, რომ ქართველია; ამბობს ამას შინ და გარეთ, მტერთან და მოყვარესთან; ძლიერთან და უძლურთან, ამბობს უშიშრად, მოურიდებლად და თავიც მოსწონს ამით.»

ფერეიდნელ ქართველთა ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელ ფაქტორთაგან ლ. აღნიაშვილმა მათ მიერ საუკუნეთა განმავლობაში «მტკიცედ დაცულ სამ ელემენტს» მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. «პირველი მათგანი არის ენა. ჩინებულად ლაპარაკობენ ნამეტნავ რამდენიმე სოფელში. როგორც წუნი არ დაედვის ჩვენ-მიერ ქართულ ლაპარაკს ხევსურისას, ქიზიყელი გლეხისას ანუ რომელიმე ტეტია სოფლისას ქართლ-კახეთის კუთხე-კუნჭულებიდან, აგ-

რეთვე წუნს ვერ დავდებთ იქაური ქართველების ლაპარაკს...

მეორე ელემენტი არის ის, რომ ყოველი მათგანი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მცოვანი, აღიარებს თავის თავს წმინდა ქართველად, ვერავინ გაუბედავს მათ სხვაფრივ მოხსენიებას, თუ არ გურჯი. ესმის და თავი მოსწონს ამითი...

მესამე ელემენტი არის ტიპი და ზნე: კეთილი და სათნოიანი, სტუმართ მოყვარე, პატიოსანი, თავ-მოყვარე, მამაცი, გამბედავი, შემბრალებელი (ლმობიერი) და პირში მთქმელი» (ლ. აღნიაშვილი, სპარსეთი და იქაური ქართველები, 1896 წ. გვ. 199-200).

თუმცა, ეროვნული თვითშეგნების განმსაზღვრელ ზემოთ ხაზგასმულ ღირსებებთან ერთად, ლ. აღნიაშვილი იქვე იმ გარემოებასაც აღნიშნავს გულისტკივილით, რომ ფერეიდანში მას ქართული წიგნიერი კულტურის ერთი ნიმუშიც კი არსად შეხვედრია. აი, რას წერს იგი ამასთან დაკავშირებით: «არავითარი ქართული წარწერა სასაფლაოზედ, არავითარი წიგნი დაწერილი ქართულ ენაზედ ქართული ასოს მოხატულობით არ შემხვედრია. შეიძლება ეს იმიითი აიხსნებოდეს, რომ, რადგან საშინელი მკაცრი მაჰმადიანნი შექმნილან, თვითვე შეუძუსრავთ იმ პირველ ხანებში ყოველივე იმისთანა ძეგლი თუ სახსოვარი, რაც კი ძველს რჯულს მოაგონებდა» (იქვე).

მიუხედავად იმისა, რომ ფერეიდანში ლ. აღნიაშვილის მოგზაურობიდან საუკუნეზე მეტი გავიდა, ამ ხნის მანძილზე იქ მცხოვრები ჩვენი მოძმეების ეროვნული თვითშეგნება კი არ შესუსტდა, არამედ გარკვეულწილად კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა და გაძლიერდა.

ფერეიდნელთა ეროვნული თვითშეგნების ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია და ყოველივე ზემოთქმული სიმართლეს წარმოადგენს, ამას ნ. ბართაიას ის ჩანაწერიც ადასტურებს, რომელიც მას ფერეიდანში რამდენიმე გზის სტუმრობის შედეგად აქვს გაკეთებული: «ქართული ყველამ იცის. მშობლიურ ენაზე იდგამენ ისინი ენას. მაღაზიების აბრეზზე, აქა-იქ, სპარსულთან ერთად, ქართულენოვანი წარწერებიც ვნახეთ. საქორწინო მოსაწვევეებიც ვიხილეთ სპარსულ-ქართულად შედგენილი. ბევრს, სპარსულის პარალელურად, ქართული სახელებიც – შოთა, აკაკი, ილია, ვაჟა... დაურქმევია» (ნ. ბართაია, ქართული საყვავილე ირანული ვარდებისათვის. ირანული ჩანახატები, 2009 წ. გვ. 126).

სამწუხაროდ, ამ ბოლო პერიოდში ფართოდ და მასშტაბურად განვითარებული ურბანიზაციის პროცესის შედეგად ქართველებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან დიდ ქალაქებში გადასახლებული და არაქართულ გარემოში მოხვედრილი ჩვენი თანამემამულეების წინაშე უკვე მთელი სიმწვავეთ დადგა წინაპართა ენის შენარჩუნების პრობლემა.

ცნობილი ირანისტის ჯემშიდ გიუნაშვილის თქმით, თუ ამ 50-100 წლის წინათ ფერეიდნელი ქალები, იმის გამო, რომ ქართულს 100-პროცენტია სოციალური დატვირთვა ჰქონდა, საერთოდ არ ფლობდნენ სპარსულ ენას, «დღევანდელ რეალურ ცხოვრებაში ქართულის სოციალური ფუნქცია შეზღუდულია» (გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», 2007 წ. 14 აგვისტო).

ამისდა მიუხედავად, ირანელ, პირველ ყოვლისა კი ფერეიდნელ, ქართველთა დიდი ნაწილი კვლავაც აქტიურად ცდილობს წინაპართა ენის დაცვასა და შენარჩუნებას. ამ მიზნით «წიგნიერი ფერეიდნელები საკუთარი ინიციატივით მართავენ ბინაზე ქართული წერა-კითხვის შემსწავლელთა მოკლევადიან კლასებს» (იქვე).

რაც შეეხება ქართულ სკოლას, სამწუხაროდ, დიდი და ხანგრძლივი მცდელობის მიუხედავად, ფერეიდნელებმა მის გახსნას დღემდე ვერ მიაღწიეს. არადა ამ საქმის რეალურად მოგვარებას მათი წარმომადგენლები ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში შედგომიან აქტიურად, თუმცა უშედეგოდ. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ჟურნალ «განთიადის» 1908 წლის №5-6-ში გამოქვეყნებული «წერილები სპარსეთიდან. სპარსეთის ქართველებისაგან.» ამ წერილების ერთ-ერთი ავტორი ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილი საქართველოში განსწავლული ფერეიდნელი ქართველი იყო. როგორც მისი წერილიდან ნათლად ჩანს, ფერეიდანში დაბრუნების შემდეგ იგი აქტიურად შედგომია ბრძოლას ქართული სკოლის გასახსნელად და ამ მიზნით საჭირო ფინანსების მოსაპოვებლად საკუთარი სახლიცა და კარ-მიდამოც კი გაუყიდა.

აი, რას წერს ამის შესახებ თავად ყოლამ-ჰუსეინი: «ჩემი სახლი ნივთიერობა და ერთი ბაღი გავყიდე და იმ ჩონ ხალხს დავახარჯე და ერთი სახლიც მაქვს, ისიც შანწირულია, რომ ღმერთის იმედით იქ სკოლა აშენდეს. ასეთი ჩემი ზამთრის ცხოვრება იყო. სანამ თოვლი

ადგა, გადაველ თელავი (ერთ-ერთი იქაური სოფლის სახელია _ ა. ნ.) და რამდენიმე დღეს იქ და ბოინი ვიყავი და იქაურიც ყველა ხალხს უამბე საქართველოსი ამბავი, რომ ყველამ ტირილი დაიწყვიან და როდესაც სკოლის ამბებს მოვახსენებე, ყველანი აღტაცებანი მოდიან და აბა როდის იქნება იგი დღეო» («განთიადი,» 1908 წ. №5-6, გვ. 188).

ხალხის ასეთი მონდომებითა და ერთსულოვნებით იმედმცემული ყოლამ-ჰუსეინი მის ქართველ მეგობრებს თბილისში სიხარულით აუწყებდა: «ხალხი ძალიან მონდობილია და ყოველ დღე მიკითხვენ... საქმე კარგად მიდის. მინაც შეგნებული იყო და ვინაც არა, იმასაც შევასმინე» (იქვე, გვ. 191).

ქართული სკოლის გახსნისათვის თავდადებული ბრძოლის პარალელურად ყოლამ-ჰუსეინი ფერეიდნელებს ქართულ წერაკითხვასაც ასწავლიდა. «რაც მე შემემლო ზემო მარტყოფი რომ მესწავლებინა, _ წერს იგი ამასთან დაკავშირებით ერთგან, _ ცოტაოდენი ვასწავლეყ და მერე იმ მასწავლებლებს ვასწავლეყ ქართული და წიგნები მიმიცია და ის ყმაწვილები ახლა სპარსულთან ერთად ქართულსა სწავლობენ. აი, დღეს რომ წერილს ვსწერ, ქვემო მარტყოფი ვარ და მად... ქართულად ვაკითხებყ... მოცლა არა მაქვს, ჯერ ჯერობით, რომ კარგად წერაც ვასწავლოყ, რადგანაც ათი დღეს და ხუთს ერთ სოფელში ვარ და მარტო კაცი და ერთი სოფელი რამდენს ვეყოფი (იქვე, გვ. 189).

თუმცა, როგორც «განთიადში» დასტამბული ზემოთ ხსენებული წერილებიდან ირკვევა, ყოლამ-ჰუსეინი იმხანად მარტო არ ყოფილა და ქართულ წერაკითხვას ფერეიდნელებს მად ისმაილ გულიაშვილიც ასწავლიდა. აი, რას წერს თავად ისმაილი ამის შესახებ თბილისში გამოგზავნილ წერილში: «მეც სპარსული წერაკითხვის მასწავლებელი ვარ და ახლა ზოგიერთ ჩემი მოწაფეებს ქართულს ვასწავლიყ» (იქვე, გვ. 192). ფერეიდანში ქართული სკოლის დასაარსებლად ასევე აქტიურად იბრძოდა იქაური ქართველი _ სეიფოლა იოსელიანიც. დედასაქართველოზე თავდავიწყებით შეყვარებული ეს გულმხურვალე მამულიშვილი თავის ისტორიულ სამშობლოს 1922 წელს ეწვია და აქ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში დარჩა.

საბჭოთა კავშირის საგარეო იმპერიულ-პოლიტიკური გეგმებიდან გამომდინარე, რაც მისი გავლენის ქვეშ ირანის მოქცევასაც

ითვალისწინებდა, ოციან წლებში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ამ ქვეყანასთან ურთიერთობის გასაღრმავებლად. ამ გარემოებამ კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ირანში მცხოვრებ ქართველებთან ადრე არსებული კავშირების შემდგომ განმტკიცებას. კერძოდ, «1922 წლის 25 აგვისტოს საქართველოს უმაღლესმა საბჭომ დაავალა განსახვომს მოეწყო ექსპედიცია ირანის ქართულ კოლონიებში რსფსრ წარმომადგენლობის მეშვეობით და წაეღოთ ქართული გაზეთები ლიტერატურასთან ერთად. საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება შესაბამისი დიპლომატიური ღონისძიებები გაეტარებინათ ირანში მცხოვრები ქართველების სასარგებლოდ. ასევე გამოყო შესაბამისი თანხა სეიფოლა იოსელიანის დასაფინანსებლად» (ა. სონდულაშვილი, ირანში ქართველთა ნაკვალევზე, 2005 წ. გვ. 125).

ხელისუფლების მიერ გამოყოფილი ამ თანხის გამოყენებითა და ქართველ მამულიშვილთა დახმარებით საქართველოში ყოფნის პერიოდში სეიფოლამ შეისწავლა ქართული წერაკითხვა და ფერეიდანში დაბრუნებისთანავე დაიწყო მზადება ქართული სკოლის გასახსნელად. ამ მიზნით იგი თეირანში საგანგებოდ «შეხვდა მომავალ შაჰს რეზა ხან ფეჰლევის, რომელიც მაშინ სამხედრო მინისტრი იყო და მიიღო ნებართვა თავის სოფელში სკოლის გახსნაზე. იოსელიანი ცდილობდა სასწავლო პროცესი წარემართა ქართულ, რუსულ და სპარსულ ენებზე» (ა. სონდულაშვილი, მითითებული წიგნი, გვ. 182).

ამ დიდმნიშვნელოვანი პატრიოტული მიზნის პრაქტიკული განხორციელების საქმეში სეიფოლას აქტიური დახმარება გაუწია საბჭოთა ხელისუფლების მიერ ხანგრძლივი სამსახურებრივი მივლინებით იმხანად ირანში წარგზავნილმა ამბაკო ჭელიძემ, რომელმაც დაახლოებით ერთი წელი დაჰყო ფერეიდანში.

ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ამბაკო ჭელიძის მეუღლე სარა (მისი წერილი _ «ფერეიდანში» იხ: ჟურნ. «ცისკარი,» 1958 წ. №1). როგორც მისი მონათხრობით ირკვევა, ქართული სკოლის გახსნის იდეას ფერეიდნელთა შორის მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც საკმაოდ ჰყავდნენ. კერძოდ, «ოთხმა ძმამ, თავადებმა ონიკაშვილებმა ფიცხელი უარი განაცხადეს სკოლის გახსნაზე. ისინი ამბობდნენ,

რომ სკოლა გარყვნილებას მოიტანსო და დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ სეიფოლა იოსელიანს და ჩვენ ამ საქმეზე ხელი აგველო.»

მოუხედავად ამგვარი წინააღმდეგობებისა, ამბაკოსა და სეიფოლას უკან მაინც არ დაუხევიათ და 1927 წლისათვის ზემო მარტყოფში მათ მართლაც გაუხსნიათ სკოლა. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ქართული ენის მასწავლებელი ვერსად მოუძიებიათ, ამ დიდი საქმის ინიციატორებს გადაუწყვეტიათ სწავლება დროებით სპარსულ ენაზე ყოფილიყო.

ფერეიდანში ქართული სკოლის დაარსების საქმეში სეიფოლას მართლაც რომ უდიდესი დამსახურება მიუძღვის და ზემოთ მოტანილ ინფორმაციაში გადაჭარბებული არაფერია, ეს ამბავი სხვა ავტორების მიერ მოწვედილი ცნობებითაც დასტურდება. ერთადერთი გურკვევლობა, რომელიც ამ ფაქტთან დაკავშირებით წარმოიქმნება, ისაა, თავად სეიფოლამ, რომელსაც ქართული წერა-კითხვა თბილისში ჰქონდა შესწავლილი, რატომ თქვა უარი ამ პატრიოტული მისიის შესრულებაზე.

სამწუხაროდ, სკოლის გახსნის მოწინააღმდეგე ფანატიკოს მუსლიმან ქართველთა დასმენით (თითქოსდა სკოლის გახსნა ხალხში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას შეუწყობდა ხელს) თეირანიდან სკოლის შესამოწმებლად მოსულმა სპეციალურმა კომისიამ სასწავლებელი დახურა, ს. იოსელიანი კი პრობოლშევიკურ მოღვაწეობაში დაადანაშაულა (ა. სონდულაშვილი, მითითებული წიგნი, გვ. 183).

მოუხედავად ამისა, სეიფოლას მისი პატრიოტული იდეის ხორცშესახმელად ბრძოლა არც ამის შემდეგ შეუწყვეტია, თუმცა გარდაცვალების გამო დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა აღარ დასცალდა. მამის მიერ საფუძველჩაყრილი წამოწყება შემდგომში მისმა შვილმა – ფათულა ხანმა განაგრძო შეძლებისდაგვარად. ფერეიდანში ქართული სკოლის დასაარსებლად აქტიური ბრძოლა იქაურმა ქართველებმა შემდგომშიც განაგრძეს, რის შედეგადაც 1979-80 წლებში მართლაც შეძლეს ქართული სასწავლო კლასების (საკვირაო ჯგუფების) დაარსება. ჩვენი ფერეიდელი თანამემამულეების შეფასებით, ეს მოვლენა მათი და მათი წინაპრების ოთხსაუკუნოვანი ოცნების რეალურად აღსრულებას ნიშნავდა. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ემამყული ბათავანის (ნიკოლოზ ბათუაშვილის) ლექსს «ქართული სკოლა,» რომელშიც ხსენებული ფაქტი შემდეგნაირადაა შეფასებული:

**დედა ენის ქართული სკოლა გაიხსნა
ფერეიდანს განა!**

**აღსრულდა ქართველთა ნატვრა,
აჟღერდა მარტყოფის ველზე ენა
ქართული, წერა პაპური.**

**ვაშა პაპათა კარგ ენას! რა ტკბილია და
საამური.**

**თურმე აქაურ ქართველს ეს ნატვრად
დარჩენია,**

**აღადგინოს თავის ერი და ადიდოს
იაკობი –**

**დედა ენის დამწერისა,
იამაყოს მან თამართ, შოთას გამზრდელ
აკვანთა.**

სამწუხაროდ, ქართული წერა-კითხვის შემსავლელი კლასების არსებობა ამჯერადაც დროებითი მოვლენა გამოდგა და დღესდღეობით მათი ფუნქციონირება კვლავაც შეწყვეტილია. ცნობილი ირანისტი ჯ. გიუნაშვილი ამ ვითარებას შემდეგნაირად განმარტავს: «ირანი მრავალეროვანი სახელმწიფოა, სადაც სპარსელები უმცირესობაში არიან. ირანის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო საწყისები ეფუძნება რელიგიას. დე იურე ირანში ცნობენ რელიგიურ უმცირესობებს (ცეცხლთაყვანისმცემლები, ოუდეველები, ქრისტიანები), რომლებსაც აქვთ კულტურული ავტონომია. ფერეიდნელი თანამემამულეები სრულუფლებიანი წევრები არიან მუსლიმური თემის და, როგორც ყველა მუსლიმი, განათლებას ღებულობენ სპარსულ ენაზე» («ფერეიდნელის ოროველა,» გვ. 23).

ფერეიდანში ქართული სკოლის გახსნის იდეას ირანში საქართველოდან სხვადასხვა მისიით ჩასული ქართველებიც უჭერდნენ მხარს. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის დროს ამ ქვეყანაში ქართული ესკადრონის მეთაურად მყოფი შტაბს-კაპიტანი პავლე ლორთქიფანიძე გაზეთ «სახალხო ფურცლის» 1916 წლის 601-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში – «ქართველები სპარსეთში» წერდა: «ქალაქ ისპაჰანის მოშორებით გაშენებულია პატარა სამაჰმადიანო საქართველო, თორმეტი თუ ცამეტი სოფელი... შეველ ერთ სოფელში მოგზაურობის დროს და ირგვლივ სულ ქართულად ლაპარაკობდნენ. თავბრუ დამესხა... ვიფიქრე, ეს რა ამბავია, ნუთუ საქართველოს რომელიმე კუთხეში ამოყვავი თავი მეთქი... მაგრამ სპარსული ტანისამოსი როგორღაც მეჩოთირებოდა. როცა მე ქართულად დავიწყე ლაპარაკი, იმდენი ქალი და კაცი შემომესია, რომ ტევა არ იყო... დედა ენა ჩინებულადაა დაცული. დიდი და პატარა მხოლოდ ამით

ამაყობს _ ქართულად ვლაპარაკობთო... თხოვლობენ სკოლას, ქართველ მასწავლებელს.»

დამოწმებული წერილი მეტად საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ ფერეიდანში ასე შემთხვევით მოხვედრილ პ. ლორთქიფანიძეს იქ აკაკი წერეთლის წიგნიც უნახავს, რომელშიც შეტანილი ნაწარმოებები ზოგიერთებს ზეპირადაც კი ჰქონიათ დასწავლილი.

სამწუხაროდ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ფერეიდნელ ქართველთა ამდაგვარ აქტიურ მცდელობათა მიუხედავად, ქართული სკოლის სტაბილურად არსებობა ფერეიდანში დღემდე ვერ მოხერხდა.

იმ მამულიშვილთაგან, რომელნიც გამოჩეულად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფერეიდნელი ქართველების ეროვნული თვითშეგნების დაცვისა და განმტკიცების საქმეში, პირველ ყოვლისა საიდ მულიანი (მულიაშვილი) მინდა გავიხსენო, იქაურ ქართველთა თავკაცი, ცნობილი ისტორიკოსი და ბევრი დიდი ქართული საქმის წინამძღოლი ირანში. საიდ მულიანის ეროვნული ღვაწლის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არა-ფერია, ამას მისი ავტორობით გამოცემული თუნდაც ისეთი წიგნების დასახელებაც იქნება საკმარისი, როგორებიცაა: «ქართული ენის თვითმასწავლებელი», «დედაენა სპარსულენოვანთათვის» და «ქართველთა როლი ირანის ცივილიზაციასა, კულტურასა და ისტორიაში.»

ფერეიდნელ ქართველებში ქართული ენის დაცვა-შენარჩუნებასთან დაკავშირებით დღესდღეობით რეალურად არსებული მდგომარეობის გასაგებად უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით გაზეთ «საქართველოს რესპუბლიკის» 2005 წლის 22 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ ს. მულიანის ქართულად დაწერილ წერილში _ «ფერეიდნელი ქართველი თავისი დედის ენას ზეიმობს.» როგორც ხსენებული პუბლიკაციით ირკვევა, ფერეიდანში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს ქალაქ ფერეიდუნშაჰრში, რომელსაც ქართულად მარტყოფი ჰქვია, 2005 წლის 14 აპრილს (ქართული ენის დღეს) საზეიმოდ აღუნიშნავთ დედაენის დღე. ამ საქმის თაოსანი «ირანელ ქართველთა საზოგადოება» ყოფილა.

აი, როგორ განმარტავს თავად საიდ მულიანი ამ საზოგადოების შექმნის მიზანს (სტილი დაცულია): ჩვენი დიდი სურვილია ხელი შევუწყოთ «ქართული ენისა და კულტურის შენახვას, გამრავლებას და გაცნობას ქართველებისათვის და ირანელ სხვადასხვა ტომებისთვის. ამ 4 წლის განმავლობაში ჩვენი

ჯგუფს გაგკეთები ბევრი საქმეები. მათ შორის ქართული ენის თვითმასწავლებლის გამზადება და დაბეჭდვა, კასეტას გამზადება, ბროშურების გამზადება ქართველების შესახება, ჟურნალ-გაზეტებში სტატიების დაბეჭდვა ქართველების ისტორიასა და კულტურის შესახებ და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საქმეები. ერთ-ერთი ჩვენი მნიშვნელოვანი და დიდი საქმე არი ქართული ენის დიდების ყრილობის ჩატარება 14 აპრილში.»

ყრილობას, რომელსაც ბატონი საიდი თავმჯდომარეობდა, ოთხასი კაცი დასწრება. დამსწრეთა შორის ყოფილან საქართველოს ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, პოლიტიკოსები, მწერლები, მეცნიერები და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან მოწვეული სხვა ცნობილი ადამიანები. წერილის ავტორის თქმით, ყრილობაზე დასასწრებად იმდენი ხალხი მოსულა, რომ დარბაზში წემის ჩასაგდებად ადგილიც კი აღარ ყოფილა და ბევრი მათგანი ფეხზე დამდგარი ადევნებდა თვალს ყრილობის მიმდინარეობას.

ყრილობის მონაწილენი სამ საათზე მეტი ხნის განმავლობაში საუბრობდნენ მათ ეროვნულ პრობლემებზე, პოეტები კითხულობდნენ ქართულ ენაზე დაწერილ თავიანთ ლექსებს, ასრულებდნენ ქართულ სიმღერებს, დაარიგეს ქართული ანბანი და დედაენის წიგნები.

თანამემამულეთა ეროვნული სულისკვეთების ამგვარი ერთსულოვანი გამოვლინებით აღფრთოვანებული ბატონი საიდი თავის ემოციას ხსენებულ წერილში ერთგან შემდეგნაირად გამოხატავს: «სინარულისაგან კანში ვერ ვდგებოდი. მინდოდა მქონოდა 2 ფრთა და გაფრენილვიყავი. მინდოდა მინახვა ჩვენი 400 წინაპრები და მეთქვა, ნახეთ თქვენი შვილები ვართ, თქვენ გზაზე თქვენი მიზნების შესრულებისათვის ვცდილობთ. გიხაროდეთ, რომ არ დაიკარგა თქვენი სისხლი და ფესვები.»

ყრილობის დასრულების შემდეგ თურმე «ყველა მოდიოდა კოცნითა და მადლობას იხდიდა.» მომხდარი ამბით უსაზღვროდ გახარებული და აღფრთოვანებული ბატონი საიდი წერილის ბოლოს იმედიანად დაასკვნის, რომ «ეს ჯერ განთიადია ჩვენი შრომების, მომავალში დიდი საქმეების ღვთის იმედით.»

საიდ მულიანის ეს დაპირება ლიტონ განცხადებას რომ არ წარმოადგენდა, ეს იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ იმავე 2004 წელს ფერეიდნელ ქართველებს საკუთარი ორენოვანი (ქართულ და სპარსულ ენებზე)

ჟურნალიც გამოუციათ სახელწოდებით: «ირანელ ქართველთა ჟურნალი» (რედაქტორ-გამომცემელი: საიდ მულანი და მაჰამედ იოსელიანი. ტირაჟი 500 ეგზ.). ამასთან დაკავშირებით უადრესად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ნოდარ კოჭლაშვილი გაზეთ «საქართველოს რესპუბლიკის» 2005 წლის 12 მარტის ნომერში გამოქვეყნებული წერილით – «ფერეიდნელმა ქართველობამ ჟურნალი გამოსცა.»

ნ. კოჭლაშვილის ცნობით, ხსენებული გამოცემა «ექსპერიმენტული ხასიათის გამოცემას წარმოადგენდა» და მისი «ძირითადი მიზანი იყო ფერეიდანში მოსახლე ერებისთვის გაეცნო, თუ ვინ არიან «გურჯები, ქართველი ხალხის კულტურა, ადათ-წესები და ისტორია.» იმის გამო, რომ გარდა ქართველებისა, ჟურნალის გამომცემელი მის გავრცელებას ფერეიდანში მცხოვრებ სპარსელებშიც და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებშიც გეგმავდნენ, მასში წარმოდგენილი მასალების უმეტესობა სპარსულ ენაზეა დასტამებული.

იმ მიზნით, რომ ირანელებს უფრო ნათელი წარმოდგენა შექმნოდათ იმაზე, მათ ქვეყანაში მცხოვრებმა ქართველებმა როგორი მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს «ირანის კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებასა და ქვეყნის აღმშენებლობაში,» ჟურნალში გამოქვეყნებულია წერილები ალავერდი-ხან უნდილაძესა და იქ მოღვაწე სხვა ქართველებზე, აგრეთვე ქართული ანბანი ირანული შესატყვისობებით.

ჟურნალის გამომცემელთა ეროვნული თვალთახედვის შესაცნობად უადრესად მნიშვნელოვანია ერთ-ერთ გვერდზე წარმოდგენილი შემდეგი ნახატი: ხეზე ასული კაცი იმ ტოტს ჭრის, რომელზეც ზის. ნახატს კი ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული: «ვინც თავისი დედის ენას ივიწყებს, ასე მოუფაო.»

რაგინდ უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, ფერეიდანი და იქ მცხოვრები ქართველობა საკმაოდ გვიან – XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ექცევა ჩვენი ხალხის თვალთახედვის არეში. მანამდე კი მათ შესახებ ფაქტობრივად არაფერია ნათქვამი. თვით «ქართლის ცხოვრებაც» კი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ ტრაგიკულ ეპიზოდს მხოლოდ ამ წინადადებით გვაუწყებს: შაჰ-აბასმა და მისმა მებრძოლებმა მათ მიერ აკლებულ-აწიოკებული კახეთის მოსახლეობა ცოლშვილიანად აჰყარეს და «წასახეს რომელიმე ფერეიდანს» (ფერეიდანს – ა. ნ. «ქართლის ცხოვრება», ტ. II,

1959 წ. გვ. 401). ხოლო ვახუშტი ამ ტრაგედიას, ასევე ერთი წინადადებით, ამგვარად აღწერს: «წარიყვანა აყრილნი კახნი ტყუედ და დასხნა რომელნიმე მაზანდარას, ხუარასანს და ფერეიდანს.» სულ ესაა და ეს.

მიუხედავად იმისა, რომ ფერეიდნელი ქართველები მათი ყველა თაობის აუხდენელი ნატურის საგნად ქცეული გურჯისტანისკენ ოცნებით მუდმივად მოისწრაფოდნენ, რეალურ სინამდვილეში ამის გაკეთება პირველად მხოლოდ 1871 წელს შეძლო ათამა ონიკაშვილმა. ამ მოვლენას მაშინ იმდენად ფართო გამოხმაურება მოჰყვა, რომ გარდა საგაზეთო პუბლიკაციებისა, ზაქარია ჭიჭინაძემ ამასთან დაკავშირებით პატარა წიგნიც კი გამოსცა 1895 წელს სახელწოდებით – «ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამა ონიკაშვილი.»

ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციით, ათამა ონიკაშვილთან იმხანად გამართულ შეხვედრათა შედეგად ბევრს ქართველს აუტოკდა გული, ბევრი ქართველი ატირდა მისის საუბრით, ბევრს გადაეშალა თვალი წინ საქართველოს მწარე დღეები.» გარდა რიგითი ადამიანებისა, საპატიო სტუმართან შეხვედრის სურვილი მაშინ «ბევრ დიდის გვარის კაცსაც გასჩენია.» კერძოდ, მასთან საგანგებო შეხვედრები ჰქონიათ იმდროინდელი ჩვენი ინტელიგენციის ისეთ ცნობილ წარმომადგენლებს, როგორებიც იყვნენ: ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, დ. ბაქრაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი და სხვები (ზ. ჭიჭინაძე, გვ. 19).

ჩვენს საზოგადოებაში ფერეიდნელი ქართველებისადმი ინტერესის გამმაფრების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ზემოთ უკვე მოხსენიებულმა ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილმა, რომელიც ა. ონიკაშვილის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში სტუმრად ჩამოსული მეორე ირანელი ქართველი იყო. გაზეთ «ისარში» 1907 წელს დაბეჭდილ მის წერილში (№111-115) – «ჩონი თავგადასავალი სპარსეთიდან საქართველოსკენ მოგზაურობის დროს» დაწერილებითაა მოთხრობილი მისი და მისი მეგობრის – ყოლამ-რეზა ხუციშვილის ჩვენს ქვეყანაში სტუმრად ჩამოსვლის ამბავი. ხსენებული პუბლიკაციისადმი ინტერესს პირველ ყოვლისა ორი არსებითად მნიშვნელოვანი გარემოება განსაზღვრავს: პირველი, იმ მძაფრად ემოციური სიყვარულის გამოვლინება, რითაც ფერეიდნელი ქართველები იყვნენ მათ ისტორიულ სამშობლოსთან დაკავშირებულ-

ნი და მეორე, ირანიდან საქართველოში მგზავრობასთან იმხანად დაკავშირებულ სირთულეთა დაწვრილებითი მოთხრობა.

იმისათვის, რომ მკითხველს რამდენადმე მაინც შეეძინეს წარმოდგენა ყოლამ-ჰუსეინის პუბლიკაციის პატრიოტულ სულსკვეთებაზე, დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული წერილიდან: საქართველოში გამოგზავრებამდე ჰუსეინი და მისი მეგობარი თეირანში ჩასულან ჩვენი ქვეყნიდან იქ მყოფი ქართველების მოსაძებნად. დიდი ძებნის შემდეგ მათ მართლაც უპოვიათ ასეთი კაცი, რომლის პირველნახვით გამოწვეულ სიხარულს წერილის ავტორი ასე აღწერს: «როგორც კაცმა დაკარგული ღვიძლი ძმა ნახოს და გაიხაროს, ისე ჩონ ნახევარ საათამდის ერთმანეთს ვუყურებდით და ლაპარაკი არ შეგვეძლო სიხარულით.»

ხოლო საქართველოში ჩამოსვლით გამოწვეული სიხარული, რამაც ყოლამ-ჰუსეინისა და მისი მეგობრის სამომავლო ეროვნულ გეგმებს კიდევ უფრო მეტი სიმტკიცე და მასშტაბები შესძინა, პუბლიკაციის ბოლოს ასე გადმოცემული: «მადლი ღმერთს, რომ ემოდენა მწუხარებისა და გაჭირვების შემდეგ ჩონი სურვილი ასრულდა და მოვნახეთ ის ჩონ საყორელი მამა პაპის სამშობლო, რომელიც სამას წლის გამომავლობაში სახელისა მეტი არა გოგვიგია რა. ეხლა ჩონი აზრი ის არის, რომ ვისწავლოთ ქართული წერა-კითხვა და წავიდეთ წიგნები და ჩონ ძმებს ვასწავლოთ; იქაც გავხსნათ ქართული სკოლა და ქართველობა გავაახლოთ; ექავრი ამბავი გავაგებინოთ; ჩონ ძმებს, რომელთაც მარტო ტფილისის და მარტყოფის სახელის მეტი არა გაუგონიათ. იმედი გოქ, რომ ქართველები არ დოგუვიწყებენ და ცოტა რამ შამწეობას მოქცემენ, ერთი პატარა სკოლა გაიხსნას ჩონში.»

ფერეიდნელ ქართველთა ცალკეული წარმომადგენლები, თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ დროდადრო მაინც, შემდგომშიც სტუმრობდნენ ჩვენს ქვეყანას. 1972 წელს კი საქართველოში ფერეიდნელთა ოცამდე ოჯახის ჩამოსახლებით ისტორიულ სამშობლოში მათ დასამკვიდრებლად გადვიდგა პრაქტიკული ნაბიჯი, თუმცა ნაკლები წარმატებით.

ფერეიდნელ ქართველთა რომანტიკული ლტოლვა იდეალად დასახული მათი ისტორიული სამშობლოსკენ ერთ-ერთმა მათგანმა შემდეგნაირად გამოხატა: «მახსოვს, როცა საქართველოში პირველად ჩამოვედით, მატარებლიდან დავინახე შეჯგუფული ხალხი.

აქაურმა ქართველებმა ირანელ ქართველებს ჰკითხეს:

– თქვენ ხართ ქართველები? სად ხართ აქამდეო?

ჩვენებმა უთხრეს, მოვდიოდითო.

– როგორ, სამასი წელი დაგჭირდათ მოსასვლელადო?

– ჯერ ოცნებით მოვდიოდით, შემდეგ საქმით მოვდიოდით და აი, ბოლოს ფეხით მოვადწიეთ თქვენამდეო» (გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», 2006 წ. 23 დეკ.).

2004 წელს კი ორმა ფერეიდნელმა ქართველმა – ძმებმა შაჰინ და აირ ხოსროშვილებმა ირანიდან საქართველომდე ფეხით გამოიარეს ის გზა, რითაც შაჰ-აბასმა მათი წინაპრები ფერეიდანში გადაასახლა. სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ამ მოგზაურობას, რომელიც მაშინ ფართოდ გახმაურდა მთელს საქართველოში, ფრიდონ ხალვაშმა ასეთი ლექსიც მიუძღვნა:

კახეთიდან ფერეიდანს, შაჰ-აბასის ტყვედ რომ წაველთ,

ოთხასი წლის მერე, ფეხით მოვეყეთ იმავე გზას და მთა-ველს,

იმავე ცრემლს რომ დავენამეთ, იმავე გზას რომ დავეღალეთ.

გვიცნო დედა საქართველომ, მემლექეთმა ისევე გვიცნო!

გზაო ძველო, ცაო, მთაო, ვაზო ბურქო, მწვანე წიწვო,

მარტო ამას გეხვეწები, – სამშობლო არ დამავიწყო!

მიუხედავად იმისა, რომ მშობლიური გურჯისტანისადმი სიყვარული ფერეიდნელ ქართველებს საუკუნეთა განმავლობაში არა თუ გაუნელდათ, არამედ კიდევ უფრო მეტად გაუცხოველდათ, უყურადღებოდ არც ის თავშეკავებული საყვედური უნდა დაეტოვოთ, რასაც ზოგიერთი მათგანი მათი ბედით არასაკმარისი დაუინტერესებლობის გამო გამოთქვამს ხოლმე დროდადრო. სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, სწორედ ამ უყურადღებობამაც განაპირობა ის ფაქტი, საქართველოში ჩამოსახლებულ ფერეიდნელთა დიდმა ნაწილმა კვლავაც უკან დაბრუნება რომ არჩია.

ერთ-ერთმა ფერეიდნელმა ქართველმა – ამირა მირჯაზაიმ (ამირან პაპიაშვილმა) ეს თავშეკავებული საყვედური ამ სიტყვებით გამოხატა: «ქთამი რომ წიწილას დაჰკარგავს, დაღონდების და ძებნის. – დაგვიწყებოვართ, აღარ გახსოვართ, ჩონ ხომ ერთი სისხლ-

ხორცი ვართ!» (გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», 2005 წ. 22 ოქტ.).

თუმცა მათი ამგვარი საყვედური ისე არამც და არამც რომ არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჩვენს გაუცხოებულ მოძმეებს ყოველივე ზემოთქმულის გამო მშობლიური გურჯისტანისადმი სიყვარული გაუნელდათ, ამის დასტურად აქ იმავე ამირან პაპიაშვილის ის სიტყვები მინდა გავიხსენო, რომელშიც მან საქართველოსადმი თავისი დამოკიდებულება ამგვარად გამოხატა: «რაც უნდა მტანჯონ, რაც უნდა მწვალონ, მაინც არ გავხდები სპარსელი... ვემშვიდობები მთელ საქართველოს და იმედი მაქვს მეორედ ვნახო ჩემი საყვარელი დიდი საქართველო და მოვკვდე ჩემ საყვარელ საქართველოში» (იქვე).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ფერეიდნელი ქართველების ტრაგედიაზე პირველი ფასეული სიტყვა ლადო აღნიაშვილმა თქვა 1896 წელს გამოცემული თავისი ცნობილი წიგნით – «სპარსეთი და იქაური ქართველები.» ამ დროიდან მოყოლებული, ფერეიდნელი ქართველები უფრო და უფრო მეტად ექცევიან ჩვენი საზოგადოების თვალთახედვის არეში და გარდა ამ პრობლემით დაინტერესებული მეცნიერებისა, მათ შესახებ ბევრი საინტერესო წიგნი, წერილი თუ მხატვრული ნაწარმოები გამოაქვეყნეს მოგზაურებმა, მწერლებმა, ჟურნალისტებმა და საქართველოდან სხვადასხვა მისიით ფერეიდანში სტუმრად მყოფმა სხვა ქართველებმა.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ლ. აღნიაშვილი, მოგზაურობა სპარსეთში და იქაური ქართველები, 1895
2. ნ. ბართაია, ქართული საყვავილე ირანული ვარდებისათვის. ირანული ჩანახატები, 2009
3. გაზ. «ისარი», 1907. ¹¹111-115
4. გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», 2005 წ. 12 მარტი, 22 მაისი, 22 ოქტომბერი.
5. გაზ. «საქ. რესპუბლიკა», 2006 წ. 23 დეკემბერი.
6. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 2007 წ. 18 ივლისი, 14 აგვისტო.
7. გაზ. «სახალხო ფურცელი», 1916 წ. №601.
8. გ. კალანდია, აჰმედ მელაშვილი – ჩვენებურთა ბელადი, 2010
9. ვ. ონიკაშვილი, «ფერეიდანი», 2004
10. ჟურნ. «განთიადი», 1908 წ. №5-6.
11. ჟურნ. «ცისკარი», 1958 წ. №1.

12. ა. სონდულაშვილი, ირანში ქართველთა ნაკვალევზე, 2005

13. ფერეიდნელის ოროველა, ფერეიდანში მცხოვრებ ქართველ მოლექსეთა ქართულენოვანი ლექსები, შეკრიბა **ჯ. გიუნაშვილმა**, გამოსცა **ვ. კოტეტიშვილმა**. 2003

14. ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959

15. თ. ცაგარეიშვილი, ფერეიდნელები საქართველოში, 1981

16. ზ. შარაშენიძე, ფერეიდნელი «გურჯები», 1979

17. ა. ჭელიძე, ფერეიდნელი ქართველები, 1951

18. ზ. ჭიჭინაძე, ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამა ონიკაშვილი, 1895

AVTANDIL NIKOLEISHVILI

SOME ISSUES OF FERAYDANIAN GEORGIANS NATIONAL CONSCIOUSNESS

Summary

The main aim of the following article is to inform readers about our Fereydanian Georgians national consciousness. Unfortunately, in recent period the urbanization process which has taken place throughout the world, also has greatly changed Fereydanians' lives. However, most of them try to preserve their national phenomenon – Georgian language as the main means of communication, survival and preservation.

Unfortunately, Fereydanian Georgians only were in centre of attention in the last decades of XIX century. Nothing had been known about them before. Just one sentence is mentioned about this tragic episode in 'Kartlis Tskhovreba' (Kartli's life). Only in 1896 Lado Agniashvili wrote about them in his book – 'Persia and Georgians living there'. Since then, Fereydanian Georgians have often been in the center of society. Despite of the scientists interested in this problem, a lot of interesting books, articles and fictions have been established by travelers, writers, journalists and Georgians visiting Fereydan.

Zvel berZnul -qarTul i uZvel esi termini `iberia~ Tu
axal i – bizantiur-rusul i `iveria~?

ამ ტერმინებიდან, თუ რომელია სწორი და რომელი უნდა გამოვიყენოთ, ხშირად გამხდარა დავის საგანი. ერთ დროს ანეგდო-ტადაც კი დადიოდა სასტუმრო „ივერიის“ შესახებ. როდესაც სასტუმროს სახელის დარქმევაზე მიდგა საქმე, დაიწყო კამათი იმის შესახებ, თუ რომელი ტერმინი გამოვიყენებინათ – ივერია თუ იბერია. ენაკვიმატობით ცნობილ მწერალ ნოდარ დუმბაძეს უთქვამს: ამ სასტუმროს არ შეიძლება იბერია დავარქვათ, რადგანაც ხომ ვიცით ჩვენი ნეონის ნათურებიანი რეკლამების ამბავი, ხომ შეიძლება პირველი ასო ი ბერია. განა ხალხის მტრის ლავრენტის გვარის ასეთ რეკლამირებას გვაპატიებს ვინმე? მწერლის ამ ხუმრობას საბოლოოდ გადაუწყვეტია თურმე სასტუმროსათვის „ივერიის“ სახელის დამკვიდრება.

ამ ტერმინებს დღესაც მრავალი ორგანიზაცია და ფირმა ირჩევს. ამ ვითარებაში უკეთესი იქნება თუ გვეცოდინება ამ ტერმინების საქართველოში დამკვიდრების პერიპეტების შესახებ. თუ რომელი ტერმინის გამოყენებაა მართებული, ამის გასარკვევად საკმარისია „ჩავიხედოთ“ ისტორიაში და მაშინვე ყველაფერთა თავის ადგილზე დადგენა.

მრავალი ხალხის ენის ლექსიკაში აღიბეჭდა უძველეს ბერძნულ ცივილიზაციასთან ზიარების კვალი. ეს კი საშუალებას იძლევა დადგინდეს, ამ თუ იმ ხალხმა ისტორიის რომელ მონაკვეთში განიცადა ძველი ბერძნული ენის გავლენა. ამის გასარკვევად მრავალი ფაქტორი შეიძლება იქნეს განხილული. ამჯერად, ყურადღებას შევაჩერებ ბერძნულ ენაში თანხმოვან **ბ** (ბეტას) გამოყენების ზოგიერთ ასპექტზე. ძველ ბერძნულში, ანუ **ძვ. წ. მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან ახ. წ. IV საუკუნემდე** გამოიყენებოდა **ბ** თანხმოვნის შემცველი ტერმინები: ბაბილონია, ბასულიუს, ლიბიე (ლიბია), იბერია და სხვ. იმ პერიოდში, ძველი ბერძნები, რომ კარგად იცნობდნენ ქართულ ტომობრივ გაერთიანება იბერიას, მოწმობს ძველ კლასიკურ ბერძნულ წყაროებში ამ ტერმინის მრავალგზის გამოყენება. ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე

მოღვაწე ავტორებთან სამივე იბერიას – კავკასიის, პირინეისა და ნისლიანი ალბიონის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს მოიხსენიებენ მხოლოდ ტერმინ „იბერიათი“. ასევე, ლათინურ წყაროებშიც იხმარება ტერმინი Hiberia. სხვათა შორის, ევროპულ ენებზე გამოცემულ ყველა ცნობარსა და ენციკლოპედიაში (გერმანული ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედია, ბრიტანიკის ყველა გამოცემა და სხვ., რუსული დიდი საბჭოთა ენციკლოპედიაშიც კი) გამოყენებულია ტერმინი იბერია.

მოგვიანებით, ცნობილია, რომ ბერძნული ენის ფონეტიკამ ცვლილებები განიცადა. შუა საუკუნეების, ანუ ბიზანტიური ხანის (ახ. წ. IV-XV საუკუნეები) ბერძნულში თანხმოვანი **ბ** (ბეტა) თანდათან იკარგება და გამოთქმაში იგი დაემსგავსა **ვ**-ს (ქართულ ვინს). მაგალითად, ძველ საბერძნეთში ბერძენისათვის მეფის აღმნიშვნელი სიტყვა გამოითქმებოდა, როგორც ვასილეუს (რუსულად ბასილი). ქართველები იმ უძველეს ხალხთა კატეგორიას განეკუთვნებიან, რომლებმაც ბერძნულ სამყაროსთან ადრეულ ეპოქაში დაამყარა ურთიერთობა (ოქროს საწმისის მითი ცარიელ ნიადაგზე არ შექმნილა). ძველ ბერძნულ ცივილიზაციასთან ზიარების კვალი აღბეჭდილია ქართული ენის ლექსიკაში, რასაც მოწმობს უამრავი ტერმინი, რომლებიც სწორედ უძველესი პერიოდიდან არის დამკვიდრებული ქართულ ენაში: ბარბაროსი, ბასილი და სხვა მრავალი (მე დავთვალე ასამდე).

იგივე ტერმინები ქართველებთან შედარებით, მაგალითად, სლავებში **დაახლოებით 2 ათასი წლის (!!!)** შემდეგ, შუა საუკუნეების ბიზანტიური ბერძნულიდან იწყებს დამკვიდრებას: Варвар, Василий და სხვა მრავალი (იხ.: თანდართული შედარების სია). ცხადია, რომ რუსებთან სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგანაც ეს ხალხი ისტორიაში არააუ ძველი ბერძნული ცივილიზაციის დროს, არამედ ბიზანტიის იმპერიის შექმნა-განვითარების საწყის ეტაპზეც კი არ ჩანს. შესაბამისად, მათ საკუთარი ენა გაამდიდრეს, შედარებით ახლო ისტორიულ წარსულში, შუა საუკუნეების

ბიზანტიური ხანის ბერძნულიდან შესული ტერმინებით.

არის ზოგიერთი ისეთი სიტყვა, რომლებიც ქართულში სხვაგვარად გამოითქმის, მაგრამ ბერძნული ენის ზემოთ აღნიშნული სპეციფიკა აისახა სლავურში, მაგალითად, ქართულ ენაზე _ ეშმაკი, ძველბერძნულ ენაზე **დიავოლს**, რუსულშიც, რაკი ეს ტერმინი ამ პერიოდში იქნა ნასესხები, გვაქვს **დიავოლ**.

მოკლედ, ბერძნული „იბერია“, რომელიც ბიზანტიურში „ივერიად“ იქცა და ბიზანტიურიდან (მიახლოებით, ახ. წელთაღრიცხვის IX-X საუკუნეების შემდეგ) კიევის სამთავროს გავლით, „ივერიის“ სახით დამკვიდრდა რუსულ ენაში. ქართულ-რუსული ურთიერთობების დამყარებისა და გაღმავლების შემდეგ რუსულის გავლენით ქართველებმა დაიწყეს ტერმინ **ივერია**ს ხმარება (ამას ხელი შეუწყო, ისტორიულ მახსოვრობაში და ისტორიის მეცნიერებაში ხარვეზების გაჩენამ, ი. ჭავჭავაძის გაზ. „ივერიაში“ და ქართულმა ეკლესიამ).

უდავოა, რომ უნდა გამოვიყენოთ ტერმინი **იბერია**, როგორც ეს ძველ ბერძნულსა და ქართულში იხმარებოდა და არა **ივერია**, როგორც ეს ბიზანტიურსა და რუსულშია.

სანიმუშო შედარებების ნუსხა (ქართულ და რუსულ ენებზე):

1. აბელი _ Авель; 2. აბესალომი _ Авесалом; 3. აბიათარი _ Авиатар; 4. ალფაბეტი _ Алфавит; 5. აბრაამი _ Авраам; 6. არაბეთი _ Аравия; 7. ბალტასარი _ Валтасар; 8. ბარბალე _ Варвара; 9. ბარბაროსი _ Варвар; 10. ბართლომე _ Варфоломей; 11. ბარნაბა _ Варнава; 12. ბასილი _ Василий; 13. ბეთლემი _ Вифлеем; 14. ბენედიქტე _ Венедикт; 15. ბესარიონი _ Виссарион; 16. ბიზანტია _ Византия; 17. ბიკენტი _ Викентий; 18. ბიქტორი _ Виктор; 19. ებრაელი _ Еврей; 20. ევსები _ Евсей; 21. ზაბულონი _ Завулон; 22. ზორაბაბელი _ Зорававель; 23. თუბალი _ Тувалкаин; 24. იბერია _ Иверия; 25. იაკობი _

- Иаков; 26. იობი _ Иов; 27. ლიბანი _ Ливан; 28. ლიბია _ Ливия; 29. ნაბუქოდონოსორი _ Навуходоносор; 30. ქერუბიმი _ Херувим; 31. რაბინი _ Раввин; 32. რებეკა _ Ребека; 33. რუბენი _ Рубен; 34. საბა _ Савва; 35. სებასტოპოლისი _ Севастополь; 36. სებერიანი _ Севериане; 37. ტობია _ Товит და სხვ.

HENRI KUPRASHVILI GREEK-GEORGIAN OLDEST TERM “IBERIA” OR NEW BYZANTINE-RUSSIAN “IVERIA” Summary

In old Greek, from 2000 BC to 4th century AD, terms containing consonant B were used, like Babylon, Barbarian, Basil, Libya etc.

From the mid-centuries, Byzantine era (IV-XV centuries AD) in Greek language the consonant **B** (Beta) slowly starts to disappear and in pronunciation resembles V (Georgian Vini). For example, in old Greece for Greeks, the term describing the King was pronounced like Basileus (Georgian Basily). In Byzantine era Greek language appeared pronunciation of Vasileus (Russian Vasily). In Georgian terminology there is a visible link with the Old Greek language, which can be traced in established terms in Georgian language like Barbarian, Basil and many others (I was able to count more than 100 such terms).

For example the same terms, among the Slavs, start to establish from mid-century Byzantine Greek language: Varvar, Vasily and many others. In short, Greek “Iberia”, which in Byzantine became “Iveria”, also was established as “Iveria” through the Kiev Principality in Russian language (at approximately IX-X centuries AD). After Russian-Georgian relations started to deepen as a result of Russian influence, the Georgians also started to use term “Iveria”.

There is no doubt that we should not use the term “Iveria” as it is was and is used in Byzantine and Russian languages and instead we should use the term “Iberia” as it was used in Old Greek and Old Georgian languages



eka yufunia-cxadaZe

`i Rbl ad gadarCeni I i novel ebi ~ - uZraobis xani s mxil eba

ქართული ლიტერატურის დღევანდელი ტენდენციებიდან ყველაზე საყურადღებოდ მიგვაჩნია ახლო წარსულის ხელახალი შეფასების ცდა. აქტიურად მიმდინარეობს განზოგადება იმ ეპოქისა, რომელმაც დღევანდლობა შვა და არსებული ფაქტის წინაშე დაგვაყენა. დღეს, როგორც არასდროს, ხდება კრიტიკისტული პათოსის მომპლავრება და განხილვა – ანალიზი ე. წ. საბჭოური პერიოდისა, რომლის პირმშოა მთელი ეს ოცწლიანი პოსტ-საბჭოური ხანა, რომლის მოწესრიგებას უზარმაზარი ძალა და ენერჯია სჭირდება და დასასრული არ უჩანს.

ქართული მწერლობის პოსტსაბჭოური ხანა მრავალფეროვანი და საინტერესოა, რაკი სახელმწიფო ცენზურა გაუქმდა, ამიტომ ხელოვანებიც და ხელოვნების პრეტენზიების მქონენიც საკუთარ ინტუიციასა და ალღოს არიან მინდობილნი. მოქმედებს თვითცენზურა, რომელიც შესანიშნავად ავლენს ნებისმიერის თავისუფლების ხარისხსა და შესაძლებლობებს.

დღევანდლობა გუშინდელის პირმშო და მემკვიდრეა. სწორედ ამიტომაც არის ჩვენთვის ანგარიშგასაწევი რევაზ მიშველამის ნოველები, რომლებიც თითქოსდა უკვე წაგნობი და გაცნობიერებულია, მაგრამ ხელახალი გადაკითხვისას სრულიად ახალ სამყაროს გვაზიარებს. ზორხესი ამბობდა: «არავის ძალუძს ორჯერ წაიკითხოს ერთი და იგივე წიგნი». მართლაც, რევაზ მიშველამის ერთ-ერთ ხელ გაცნობილი ტექსტები რამდენიმე წლის შემდგომ სრულიად ახალი კუთხით შემოგვეკერიან და ჩვენს თანამედროვე რეალობის გარკვევაში გვშველიან.

რევაზ მიშველამის «იღბლად გადარჩენილი ნოველები» XX ს. 90-იან წლებში გამოიცა. მაშინ ადამიანები მომავალს დაუცხრომლად მიელტვოდნენ და არ იცოდნენ, სიმშვიდე და წესრიგი ფანტომად რომ ექცეოდათ. რევაზ მიშველამის ნოველებში მეოცნებე და

მოიმედე ქართველების შინაგანი ბუნებაა დახატული, მათი ყველაზე წრფელი მისწრაფებები გამოთქმული და სამსჯავროზე გამოტანილი. საბჭოთა სისტემის ტყვეობა, შემდგომ ამ ტყვეობიდან თავდაღწევა «იღბლად გადარჩენილი ნოველების» მთავარი თემაა.

რევაზ მიშველამე საგანგებოდ გვიხატავს იმ დროს, როცა საბჭოთა იმპერია ცდილობდა ახალი რეალობის მორგებას, თავი რომ გადაერჩინა და წარსულის დიდებას სამუდამოდ არ გამოშვიდობებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ დღესაც ბევრი ცდილობს მომავალ თაობებს აგრძნობინოს ის დრო და რეალობა, სადაც «ჰომოს სოვეტიკუსი» ცოცხლობდა, ჩაკეტილ სივრცეში არსებობდა და აზროვნებას და მოქმედებას ცდილობდა. რევაზ მიშველამე არის ის მწერალი, რომელიც თავის მხატვრულ ტექსტებში ყველაზე ხელშესახებად გამოკვეთა ის დეტალები, რაც ცხადლივ გვარძნობინებს «ზანზარეთის იმპერიის» ხასიათს.

მწერლისთვის საბჭოთა იმპერია «ზანზარეთია», რომელსაც მართლაც უხდება ამგვარი სახელდება. ნოველაში «არ აწყენინოთ» აღწერილია XX საუკუნის 70-იანი წლების მოვლენები, სახელმწიფო ენის ირგვლივ ვნებათაღელვით რომ გამოირჩა. ძალიან საინტერესო, იუმორით, წუხილით და სიმართლით აღსავსე ტექსტია. მწერალი აღწერს «უძრაობის ხანად» სახელდებულ ეპოქას, როცა განსხვავებული აზრის თქმას უეჭველი ხიფათი სდევდა. პატარა რესპუბლიკის მმართველს ძნელი მისია ჰქონდა – თან სურდა საკუთარი ხალხის თვალში პატრიოტად გამოჩენილიყო, თან ხმის ამოღებასაც უფრთხოდა «ზანზარეთის» მესვეურებთან.

გუბერნიის მბრძანებელი მართლაც იფერებდა პირველკაცობას, შესაფერ კოჰორტასაც იახლებდა და დიდი მონდომებით ცდილობდა ორმაგ თამაშს. რევაზ მიშველამე დაწერილებით გვთავაზობს დიალოგის საკუთარ ვერსიას, სადაც იმპერატორისა და მეფისნაცვ-

ლის საუბარია გადმოცემული. ამ საუბარში ორი სრულიად განსხვავებული ხასიათია გამოკვეთილი, ორი რადიკალურად დაშორებული მდგომარეობის და მენტალიტეტის პერსონაჟი სრულყოფილად ამხეურებს ძალაუფლებისადმი დამოკიდებულებას.

რევაზ მიშველაძისეული იმპერატორი ზერელე, ძალაუფლებით მთვრალი და ალაგ-ალაგ გულწრფელი კია. მას აშკარად მოსწონს საკუთრი მდგომარეობა, სულაც არ აღელვებს კონსტიტუციის რომელიღაც მუხლის შეცვლა და მთავარი იდეოლოგიის თავგამოდებას ზანტად ეხმიანება. ეს მომენტი მწერალმა ორიგინალურად დაუკავშირა «საჩქეველას» მმართველის ვითომ წარმატებას, რომელიც დღემდე ის იბრალებს მამულიშვილურ დვრიტას.

რევაზ მიშველაძემ მსწრაფლ მოიხელთა ზერელეობის, სიზანტისა და თავდაჯერებულობის მომენტები. მისი პერსონაჟი იმპერატორი მცირემცოდნეა, რომელიც მხოლოდ პირადი შეხედულებებით იღებს გადაწყვეტილებებს. სამეფოს პირველი ინტრიგანის და უპირველესი იდეოლოგიის სახეც ძალიან კარგია, რომლის განზოგადებაც ყველა დროში შეეძლება.

ასევე მარადიული სახეა ჩვენი მეფისნაცვალი, რომელიც ყველა მომენტს იმისთვის იყენებს, რომ თავი პატარა ქვეყნის დიდ შვილად წარმოგიდგინოს. მისი სახით რევაზ მიშველაძე გვიხატავს პოლიტიკოსს, პროვინციელის ენერგიით და გაქნილობით, რომელმაც ლამის «მარადიული» გახადა საკუთარი მმართველობა და ისარგებლა თვითკმაყოფილი იმპერატორის სიბრიყვით. ნოველაში იმპერიას ძველი ინერციით მართავენ, კომპეტენტურობა მეორეხარისხოვანი მოხელის პრეროგატივად დარჩენილა, წინა პლანზე უწიგნური და უგუნური მედროვეები ჰყავთ, სწორედ ჩვენი მეფისნაცვლის მსგავსი. იმპერია განწირულია და მედროვე საჩქეველელს შეუძლია მასთან დაპირისპირებულ გმირად წარმოადგინოს თავი. თავად მწერალი რეალობას ასე აფასებს: «იმპერიამ მშვენივრად იცოდა, ვინ უნდა ეკურთხებინა მეფისნაცვლად და იგი არც ამჯერად გახლდათ შემცდარი. მარტო სიტყვით კი არ ამჟღავნებდა საჩქეველელი მეფისნაცვალი იმპერატორის მიმჭენარ-მოფამფალეული ამაღლისადმი ერთგულებას, საქმითაც». უნდა აღინიშნოს, რომ

მმართველთა ბუნება ამ მცირე მოცულობის ტექსტში სრულყოფილად არის გახსნილი.

რევაზ მიშველაძე არა მარტო მმართველებს გვიხატავს, არამედ მათ ქვეშევრდომებსაც. მწერალი სხვადასხვა სოციალური წრის, მენტალიტეტის, ზნეობის ადამიანებს აკვირდება და წარმოსახავს. მისი ნაწარმოებების წაკითხვის შემდგომ ერთი მთავარი კითხვა დაისმის: არის ხალხი ასეთი ყოფის ღირსი? მწერალი მკითხველს უტოვებს ამ საფიქრალს და აძლევს ბიძგს თავადვე მივიდეს მართებულ დასკვნამდე.

უნდა ითქვას ისიც, რომ რევაზ მიშველაძე არ კმაყოფილება მხოლოდ პერსონაჟის დახატვის ჩვენებით, თვით მცირე ტექსტშიც ცდილობს საკუთარ პერსონაჟს შესაფერი ანტიურაჟი შეუქმნას, რომ უფრო სრულყოფილი და დამაჯერებელი გახადოს ის. გმირის ჩამულობა, ქესტ-მიმიკა – ყველაფერი ერთობლიობაში, დამაჯერებელ შედეგს იძლევა, რეალობის ზედმიწევნით შეცნობა მხატვრული გამონაგონით მიიღწევა.

«მსმელში» გმირის ვიზუალური მხარე იმერული მეტყველების შეფერილობით ასეა აღწერილი: «ფრუნია ქათამი ხომ გინახავთ, სწორედ ისეთი ფერის, წითლად დაწინწყლული, ნაცრისფერი, შინნაქსოვი სვიტრი და ჯიჯილაყა ფხალისფერი შალის შარვალი ეცვა. ილინცურად ქუსლჩაცვეთილ, რეზინისძირა, აგურისფერ ფეხსაცმელებს უსიამოვნოდ მიაჩლახუნებდა. ბედისაგან მოღაფლებული კაცის თვინიერი გამოხედვა ჰქონდა... ეს კაცი მსმელი მრავალი რამის გამო გახდა: პროფესია აქვს, მაგრამ მოგონილი სპეციალობით მუშაობს, ათ წელიწადში ოროთახიანი ბინის მიღების რიგი უწევს, გამოსაფხიზლებელში ნაბახუსევ მილიციელებს მიჰყავთ, თვინიერება და მორჩილება ჩვევად ქცევა. რევაზ მიშველაძემ კარგად იცის, რომ ასეთი ადამიანები მრავლად არიან, ისინი უდრტვინვლად მიითვლიან საკუთარ ხვედრს, ქედს უხრიან რუტინას და თანდათანობით ფსკერი-საკენ მიიწევენ. მწერალი თანაუგრძნობს მათ, მაგრამ იმავდრიულად დაუფარავად ამხეურებს. ასეთი პერსონაჟები და მათი ხვედრი სისტემის უსულგულობას საუკეთესოდ აშიშვლებს. ე.წ. «პატარა ადამიანები» საუკეთესოდ აირეკლავენ საზოგადოების მანკიერებებს და საბოლოო ჯამში მთელი სისტემის მამხილებლად გვევლინებიან.

როველა «უფანდუროდ ნამდერი» გარდა სათაურის ორიგინალობისა, შინაარსითაც გამორჩეული ტექსტია. მრავლისმნახველი დროული კაცი საკუთარ დაკვირვებებს და დასკვნებს გვთავაზობს.

ტოტალური ძალადობისა და იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მყოფი საზოგადოება მწილად ეგუება შეჩვეულის დათმობას. ამ ახალ წესრიგს და ახლებურ აზროვნებას. რევაზ მიშველაძე ქართველი გლეხის გონიერებას, მისი აზროვნების სისხარტეს და გარემოს აღქმის რეალისტურ მანერას «უფანდუროდ ნამდერში» თანამიმდევრულად და ღრმა გულისტკივილით აღწერს. ბრბოში ყოველთვის მოიძებნება საღად განმსჯელი ადამიანი, რომელიც იძულებულია საყოველთაო დინებას დაემორჩილოს, მაგრამ ყველაფერს საღად აფასებს და შესაფერის დროს ელოდება. ავტორი ახალი თაობის გულმხურვალე წარმომადგენლებს მიმართავს, მცოვანი ადამიანის თვალსაზრისს აცნობს და მათგან თანაგრძნობას და შებრალებას კი არა, დაფიქრებასა და ანალიზს მოითხოვს.

რევაზ მიშველაძის პერსონაჟი ნიკოლოზის დროსაც მოესწრო და დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდშიც გამოსცადა, ბოლშევიკების წნეხსაც გაუმლო და საბჭოთა იმპერიის დამხობასაც ხედავს.

ქართველი გლეხკაცი წლების გადასახედიდან ზომავს მოვლენებს, მას ბევრი აქვს შესადარებელი და შესაფასებელი. ახალი თაობის მხურვალე განახლების წყურვილიც მოსწონს, ოღონდ მათგან უფრო მეტ დაფიქრებას მოითხოვს.

«უფანდუროდ ნამდერში» გლეხი ახალგაზრდას ეუბნება: «ჩემ რწმენას ვემსახურები ისე, როგორც ახლა შენ შენს რწმენას ემსახურები. რა ვიცოდი, რა ბაბილონის ციხეს ვაშენებდით» (გვ. 53). ეს ე. წ. «ბაბილონის გოდოლი» საბჭოეთია, რომლის იდეალები მისაღები გახდა ბევრისთვის, მაგრამ შედეგად ძალმომრეობის იმპერია შეიქმნა, სადაც ადამიანებს სული ეხუთებოდათ, გაურბოდნენ მას და უფრო უკეთესი ცხოვრებისათვის იბრძოდნენ.

პერსონაჟი საქართველოს სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდსაც გლეხური გამჭრიახობით ახასიათებს. მისი თქმით, «ცხოვრება თითქოს ჩაწყნარდა და ჩვენს ჭირნახულსაც ფასი დაედო, მაგრამ ვგრძნობდით,

რომ ასე არ გაგრძელდებოდა. მთავრობას რომ საზღვრის გამაგრება დაავიწყდება, გაალებს ჭიშკრებს და განუკითხავად შემოუშვებს მტერ-მოყვარეს. ზურგზე ტომარას რომ გადაიკიდებს და სოფელ-სოფელ ივლის, მშია, შემეწიეო, არაა მისი საქმე კარგად» (გვ. 54). ჟორდანიას დროს ქართული სახელმწიფო უმწეო და ეკონომიკურად მოწყვლადი იყო, მაგრამ იგი თანდათან იმაგრებდა პოზიციებს, ცდილობდა გარკვეულიყო სამომავლო ორიენტირებში, მაგრამ უზარმაზარი ტლანქი ძალა გასაქანს არ აძლევდა. გლეხკაცის გაგება შეიძლება, იგი საკუთარი სოფლის ცხოვრებით სჯიდა, ამჩნევდა და დაუფარავად ამბობდა საკუთარ მოსაზრებებს. ძალიან მალე ბოლშევიკებმა ყველანი ერთ ფერხულში ჩააბეს და ჩვენი პერსონაჟიც მას მწარედ იხსენებს: «თურმე არაა გაჩუმების და შენთვის ყოფნის დრო. უნდა იხარხარო და იხმაურო შენც. რომ არ ვქენი ასე, იმიტომ იყო ერთ მშვენიერ დღეს შავსიელად რომ გამომაცხადეს»...

«შავსიელობა» და «გაკულაკება» ხალხს მძმიდ დააწვა, მაგრამ ზოგადად საბჭოთა იმპერია ახერხებდა ლოკალური წარმატების მიღწევას და გლეხობაც ემორჩილებოდა რკინის ხელს. მწერალი ცდილობს პატარ-პატარა ამბებში ჩაატიოს ხანგრძლივი დროის ისტორია; მისთვის ეს პერსონაჟი კარგი მასალაა სხვადასხვა ეპოქის შრეების წარმოსაჩენად.

ასაკი ყველას როდი სძენს სიბრძნეს და გამოცდილებას, მაგრამ ვინც იქნეს ამას, მას აუცილებლად სჭირდება პატივისცემა და გაგება. ჩვენს დროში ეს ნიველირებულია. რევაზ მიშველაძე მოითხოვს ინდივიდის გამოცდილების პატივისცემას და ყოველივე ეს ქვეტექსტად გასდევს «უფანდუროდ ნამდერს», სადაც განახლების წყურვილი მოწონებულია, მაგრამ აუცილებლად მოსაზომი და დასაოკებელი.

მწერალი ყოველთვის ცდილობს საკუთარ მკითხველს მხოლოდ ის აზრები მიაწოდოს, რაშიც თავად აბსოლუტურად არის დარწმუნებული. იგი პატიოსანი შემოქმედია, ბოლომდე იხსნება მხატვრული ტექსტებში, მთელი არსებით ცდილობს ღირებულები და სასარგებლო შესთავაზოს საზოგადოებას. მხატვრულ შემოქმედებაში რევაზ მიშველაძე ერთგული და სანდო მეგზურია. მის ტექსტებს

სამომავლო მუხტი ასაზრდოებს და მკითხველიც გრძნობს ამას.

«იღბლად გადარჩენილ ნოველებში» აქცენტი რიგით ადამიანებზეა გაკეთებული, სწორედ ეს რიგითობა და ჩვეულებითობა ქმნის უმრავლესობას, ამ მასიდან მოდის ძირითადი ინსტიქტები, ისინი ქმნიან ზოგად სურათს და ეროვნულ თავისთავადობასაც. როდესაც მწერალი მასიდან ამოზიდულ პერსონაჟს გვიხატავს, მას მიზნად აქვს სრულყოფილი სურათის შექმნა და საზოგადოებაში არსებული განწყობილებების ჩვენება. დრო სწრაფმავალია, გარემოებებიც მისდაკვლად იცვლებიან, ამიტომაც მწერალი ცდილობს ზედმიწევნით ასახოს შებოჭილობისა და შიშის საყოველთაო განცდა საბჭოურ ყოფაში. მწერალი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ადამიანი დიდი ხნის მანძილზე ეჩვეოდა მწარე რეალობას, შავის თეთრად მიჩნევას, სახელდებებისადმი სიფრთხილეს, საკუთრი ემოციების მოთოკვას და მოზომვას. მან იცოდა, რომ ყველაფერი წინასწარ უნდა დაეგემა და განსხვავებულად ელაპარაკა შინ თუ გარეთ. ტოტალიტარიზმის ტრაგიზმი ნოველების უმეტესობას დოკუმენტის ძალას ანიჭებს, უტყუარ ფაქტად აქცევს.

ჩვენი ღრმა რწმენით, ათეული წლების შემდგომ, სულ სხვა თაობისა და რეალობის მოაზროვნე ადამიანებისათვის, რევოლუციური იქნება ერთ-ერთი ის მწერალი, ვისი მეშვეობითაც შეიცნობენ გაუსაძლისი რეჟიმის არსს, ვინც ტკივილნარევი იუმორით გადაუშლის მათ ჩვენი ყოფიერების ყველა მანკიერ თუ დადებით მხარეს და დააჯერებს ჭეშმარიტებაში, იმ უტყუარობაში, რომ ნამდვილი მწერალი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქვეყნო პრობლემებთან.

სასტიკი პოლიტიკური რეჟიმი უმალ აირეკლება ადამიანებზე, მათ ყოფაზე, გრძნობებსა და ცხოვრების წესზეც. ადამიანები გაფაციცებულნი არიან, გარშემომყოფებსაც ეჭვით უმზერენ და საკუთარ თავსაც აკონტროლებენ. ერთფეროვნებას და უღიმღამობას შეჩვეული მასა არავის პატიობს ჩვეულებრივობის სადინარიდან ამოვარდნას და რაიმე «ზედმეტის» მომოქმედებას. როცა რევოლუციური მიშველამის ერთი კეთილშობილი პერსონაჟი «უფასო პანსიონატიდან» უანგარო საქციელის ჩადენას დააპირებს, სწორედ მაშინ დააგემოვნებს «ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეს». კეთილი განზ-

რახვა სათანადოდ ვერ გაიგება და ვერც მიიღება, რადგან ადამიანებს საკუთარი შეხედულება აქვთ ქველმოქმედებაზე, ალტრუიზმზე, ფილანტროპობაზე, ხშირ შემთხვევაში გაუკუღმართებული, უნდო და უარყოფილი.

აღსანიშნავია, რომ რევოლუციური მიშველამე მრავალგზის უბრუნდება უანგარობის თემას, გვთავაზობს ვარიაციებს. ყოველივე ეს იმის უდავო ფაქტია, რომ მწერალს მწარედ განუცდია უნდობლობაც და იმედგაცრუებაც, შეიძლება საკუთარი გამოცდილების მხატვრულ განზოგადებასაც ახდენდეს. ფაქტი ერთია, რომ საბჭოთა სისტემაში გამობრძმედილი ადამიანები არ იღებენ და არც იჯერებენ რომელიმე სუბიექტისგან უანგარო საქციელს. ეჭვი და უნდობლობა ახშობს კეთილ საქციელს, არც რეპეტიტორი ქალის გულწრფელი სურვილი აღსრულდება და არც იმ კაცის მიერ გაღებული თანხა იქნება სათანადოდ გაგებული, რომელმაც მრავალშვილიან ოჯახს საკუთარი დანაზოგი გადასცა.

კიდევ ერთი საჭირობოროტო თემაა გაშლილი ნოველაში «საყდარი სოფლის სასაფლაოზე». მწერალი სოფელ შვინდიანის ცხოვრებას გადმოგვცემს, ქართველი გლეხის მამაპაპეული მამულიდან აყრას და სოფლიდან გაქცევის მასტიმულირებელ ამბავს აგვიწერს. იგი ხიზნობის თემას კიდევ ერთხელ უბრუნდება და საზოგადოების კრიზისს ამხელს:

სოფელ შვინდიანში იულონ ხეჩუაშვილის სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ ყოფნის დროს სხულთების ერთი ოჯახი ჩამოსახლდა. ესტატე პავლიაშვილმა, დროულმა კაცმა, ეს ამბავი ავის მაცნედ მიიჩნია და საქვეყნოდ განაცხადა. სოფელმა ესტატეს შიში არად ჩააგდო და სხულთებისგან მოსყიდულ ხეჩუაშვილის სიტყვას ენდო. ამ ნოველის მთავარი გმირი მაშინ ბავშვი იყო და ამ ამბავს თავად შეესწრო. მოგვიანებით, როცა სოფელში სხულთები მომრავლდნენ, ქართველებმა იქაურობა მიატოვეს და ვინც დარჩა, უმცირესობაში ამოჰყო თავი, იულონ ხეჩუაშვილი კი უკეთეს ადგილზე და უკეთეს თანამდებობაზე დასვეს. არასწორად გაგებული და ჩანერგილი «საბჭოთა ინტერნაციონალიზმი» რევოლუციური მიშველამემ ამჯერადაც სათავისო თემად გაიხადა. მან კარგად გამოკვთა საბჭოთა მოხელის ფსიქოლოგია, ძალაუფლების სათავისოდ გამოყენების ტენდენცია, საქვეყნო და ეროვნული ინტერესების გაქეღვა, ადამიანში დაბუდებუ-

ლი მზვობრობა – ყოველივე ეს ერთად დაიტია ნოველამ.

«საყდარი სოფლის სასაფლაოზე» მსუბუქად და ლაღად იწყება, თავადან არაფერი მიგვანიშნებს ამბის დრამატულობას. დასაწყისში ნასვამი მამაკაცი ძმის დაჩაგვრის გამო ჩანს იულონ ხეჭუაშვილზე შემომწყრალი, მაგრამ შემდგომ ირკვევა, რომ მას საქვეყნო საქმე აწუხებს, რასაც პაპის სიმართლე უმაგრებს ზურგს. ნათელი ადამიანური გრძნობები ავ და ბნელ საწყისს ეჯახება, ეროვნული და ცუდად გაგებული ინტერნაციონალიზმი, დღევანდელი გლობალიზაციის ალუზიად გვეჩვენება. ჩვენი აზრით, სარომანო და ფართოდ გაშლილი დინამიკური ამბავი საგანგებოდ შეიკუმშა, რომ რომანი ნოველის ჩარჩოებში ჩატეულიყო. ქართველი კაცის ხასიათში არსებული ზერელობა, არათანამიმდევრულობა, საქმის დროზე ვერდანახვა და ვერმიხედვავერმიხედვრა, მწერალმა მოკლედ და ამომწურავად ჩაატია რამდენიმე წინადადებაში: «...ჩვენ ჩვენი ხელკეტებისა და შევრული მუშტებისა თვითონვე შეგვრცხვა, მოვტრიალდით და ჩქერი უკანვე გამოვტოპეთ. არ შეუძლიან ქართველ კაცს, ვერ გამართავს თავპირლეწვობანას, არ უწერია რჯულში და მოკალი, თუ გინდა». ნოველიდან კარგად ჩანს, რომ ქართველებს წინამძღოლობის პრობლემა აქვთ, თორემ ხალხი მზად არის საკუთარი მეობა დაიცვას და იდენტობა შეინარჩუნოს. როცა სოფლის გულადი ნაწილი სამოქმედო ჟინით აენთება, უმრავლესობა შორიდან ცქერას არჩევს. იმ გულადთა მცდელობაც ქადილსა და ყაყანს ვერ ცდება და იკვეთება «ჯაყობის» მორიგი გამოვლენა.

რევაზ მიშველაძე ის მწერალია, რომელიც მოჩვენებით სილაღესა და მსუბუქ განწყობილებებში მალავს ღრმა იარებს და ირიდებს როყო თანაგრძნობას. მას შესანიშნავად ეხერხება, მოჩვენებითი სიმსუბუქით უმძიმესი სათქმელი შემოგვაპაროს და საფიქრალი გაგვიჩინოს. მისი მხატვრული ტექსტების ინდივიდუალიზმი და სტილური თავისთავადობაც ამ კუთხით არის საჩინო. იგი ყოველ

თვის დრომდის მოაფარებს მთავარ სათქმელს, რომელიც მოულოდნელი კუთხით გამოჩნეურდება და შემდგომ მთლიანად იკავებს ტექსტის დროსა და სივრცეს.

რაც ყველაზე მთავარია, რევაზ მიშველაძის პერსონაჟები ყოველთვის ცოცხლები და ხელშესახები არიან. მკითხველს უჩნდება განცდა და თანაგანცდა, რომ იცნობს მათ, შეხვედრია ქუჩაში, ესალმება, ემეზობლება და ეკონტაქტება. ამგვარ შეგრძნებებშია სწორედ «იღბლად გადარჩენილი ნოველების» ხიბლი, მწერლის ნიჭიერება და ოსტატობა, რეალობა, საბჭოური თუ პოსტსაბჭოური, საკუთარი მხატვრული გამონაგონის ყოფიერი და სულიერი ხვეულების ერთ სხეულად ჩამოქნა და ბოლოს მხატვრულ-ინდივიდუალური კონტექსტით მკითხველისთვის მიწოდება.

EKA KUPUNIA-TSKHADADZE

“LUCKILY RESCUED SHORT STORIES” – EXPOSURE OF THE TIME OF STAGNATION

Summary

We consider the reappraisal of recent past as the most remarkable feature among current tendencies in Georgian literature. A generalization is actively in progress of the epoch, which gave birth to the present and brought us face to face with the existing reality. Today, as never before, the pathos of criticism is gaining strength, and reviews and analyses are a growing tendency.

In R. Mishveladze's "Lucky Rescued Short Stories" the author's talent and skill are revealed, the reality is shown - both Soviet and Post-Soviet, as well as the mundane and spiritual twists of his own artistic imagery, which are presented to the readers' attention in an artistic-individual context.



ბოცვაძეთა გვარის ისტორიისათვის

გვარები და სახელები აქტიური მოხმარების სიტყვათა რიგს განეკუთვნება. ჩვენი ცხოვრების ვერც ერთ უბანზე, შრომისა და ყოფაცხოვრების ვერც ერთ მომენტში ანთროპონიმებისა და ტოპონიმების დაუხმარებლად ვერ ვახერხებთ გარემო სინამდვილეში გარკვევას.

ადგილთა, ადამიანთა, ცხოველთა სახელდება, ენის წარმოშობის პირველსავე საფეხურზე უნდა მომხდარიყო. ამას მოითხოვდა ველურობის საფუძველზე მდგომ პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრებისეული საჭიროებანი.

გვარები (საგვარეულო სახელები, გვარსახელები) იგივე საკუთარი სახელებია, ოღონდ დამატებითი, მეორეული სახელები, რომელთა შექმნა ისევ გარკვეულმა პრაქტიკულმა საჭიროებამ განაპირობა. სოციალური პროგრესის შედეგად ადამიანთა განვითარებულ კოლექტივებში საკმარისი არ აღმოჩნდა პიროვნების მხოლოდ სახელით მოხსენიება, აუცილებელი გახდა იმის მითითება, თუ რომელ გენეალოგიურ შტოს მიეკუთვნებოდა. კერძო სახელის მქონე ინდივიდი, ვისი შთამომავალი იყო, ან რომელი ოჯახის (გვარეულობის, ტომის) წარმომადგენელი. გვაროვნული წარმომავლობის სახელდებას საგვაროვნო კრებულის ან სხვა წევრების ამა თუ იმ ნიშანთვისების აღნიშვნა ედებოდა საფუძვლად. აგრეთვე ჩვეულება, რწმენა, სადაურობა, გამოჩენილი ადამიანის (ბელადის, სარდლის) სახელი, წინაპრის საქმიანობა, თანამდებობა, ზოგჯერ ტომებზე, მითიურ ამბებსა და პერსონაჟებზე, თეონიმებზე (ღვთაებათა სახელებზე) მითითება და ყველაზე მეტი კი წინაპრის საკუთარი სახელი (ეპონიმი).

გვარსახელების კვლევა ქართული ისტორიისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს, რომელიც სხვადასხვა ასპექტით შეისწავლება.

გვარებად თითქმის ყველა ხალხს გამოყენებული აქვს ისეთი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ხელობას თუ თანამდებობას,

მიგვითითებენ ტომობრივ წარმოშობასა და სადაურობაზე, იძლევიან ადამიანის დახასიათებას ფიზიკური, ქონებრივი ან სხვა რომელიმე ნიშნის მიხედვით, მაგრამ, ყველაზე ხშირად გვარი ნაწარმოებია ადამიანის სახელისგან. ცხადია, ასეთ შემთხვევაში მიღებულია წინაპრის სახელი, ზოგჯერ – მეტსახელი, რომელთაც დართული აქვთ ტრადიციული საგვაროვნო დაბოლოებანი: -ძე, -შვილი, -იანი, -ია, უძველესი -ბერ და სხვა [1,13].

ქართული გვარები სათავეს საუკუნეების მიღმა იღებს, ამიტომაც მისი წარმოება მრავალფეროვანია. ამ მხრივ, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველო გამოირჩევა [1,16].

საქართველოში გავრცელებულ გვარებს შორის ბოცვაძეთა გვარი ერთ-ერთი უძველესია. მკვლევარი ი.მაისურაძე ბოცვაძე-ს საკუთარი სახელიდან ბოცვაძე-ს ბოცვა ← ბოცოვა წარმოშობილად მიიჩნევს. მაგალითისათვის მოჰყავს «ინაი ბოცვაძე», რომელიც მოხსენიებულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებში [2,38] ასევე დ.კლდიაშვილის მოსაზრებით, ბოცოსძეთა საგვარეულოს დასაბამი მისცა ბოცო ჯაყელმა [3, 94].

ჯაყელების საგვარეულოს დამფუძნებელი ჩანს ახალი ჩორჩანელების წარმომადგენელი ბეშქენი (IX-X სს. მოღვაწის მირიან ბაჰლაუნდის შუათანა ვაჟი). ჯაყელები XI-XIII საუკუნეებში სამცხის მთავრები არიან [4, 546].

როგორც ცნობილია, ისევე როგორც ყველა ქვეყანა, საქართველოც ეთნოგრაფიულ კუთხეებად, პროვინციებად იყოფოდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საერთო სახელი ზემო ქართლი იყო. მას მესხეთსაც უწოდებდნენ. თავის მხრივ, ზემო ქართლი ანუ მესხეთი უფრო პატარა «ქვეყნებისგან» შედგებოდა, რომლებიც ეთნოგრაფიული და დიალექტური თავისებურებებით გამოირჩეოდნენ. ზემო ქართლის (მესხეთის) მხარეები იყო: თორი, სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, კოლა, არტანანი, შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა, იმერხევი, ლიგანი, ტაო, სპერი... [5, 3].

ჩორჩანელები, სამხრეთ საქართველოს (სამცხის) წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო იყო VIII-IX საუკუნეებში. გვარის სახელწოდება წარმოდგა ჩორჩანის სამფლობელო ციხე ჩორჩანიდან. ამ საგვარეულოს წარმომადგენელი (გიორგი ჩორჩანელი) პირველად IX საუკუნის წყაროში, «სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში» იხსენიება, მაგრამ სავარაუდოა, რომ საგვარეულო VIII საუკუნიდან მაინც არსებობდა.

ჩორჩანელების საფეოდალო მოიცავდა ჩორჩანს, ზანავს და სხვა მრავალ დაბას (ახლანდელი ადიგენის რაიონი), სადაც ჰქონდათ ტაძრები (სასახლეები) და ციხეები. ჩორჩანელი ამ მხარის დიდი მთავარი იყო. მისი ვასალები («საკუთარნი», «წინაშე მდგომელნი») იყვნენ მცირე მთავრები.

ეპარქიულად ჩორჩანის საფეოდალო შედიოდა მაწყვერლის (აწყურის ეპისკოპოსის) სამწყსოში. გიორგი ჩორჩანელის დახმარებით ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ სერაპიონმა ააშენა ზარზმის მონასტერი, რომელსაც გიორგიმ სამფლობელოდ ვრცელი ტერიტორია უწყალობა.

გიორგი ჩორჩანელი იყო ძველი ჩორჩანელების საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი. ის უშვილოდ გარდაიცვალა და ყმა-მაძული დაუტოვა მირიან ბაჰლაუნდზე გათხოვილი თავისი დის, ლატავრის (მონაზვნობაში თეკლას) შთამომავლობას. თვით ჩორჩანს, როგორც ჩანს, დაეუფლა ლატავრის უფროსი ვაჟი სულა, რომელიც გახდა ახალი ჩორჩანელების საგვარეულოს ფუძემდებელი. შუათანა ვაჟმა ბემქენმა საფუძველი დაუდო ჯაყელთა საგვარეულოს, ხოლო უმცროსი ვაჟის სახელი – ლაკლაკი იქცა ბაჰლაუნდების მესამე განშტოების სახელწოდებად – წარმოიქმნა ლაკლაკთა გვარი.

ახალი ჩორჩანელების (ხოლო შემდეგ მათი შთამომავალი საგვარეულოს ხურსისძეების) საგვარეულო მონასტერი გახდა ზარზმა. X საუკუნის 70-იან წლებში ზარზმაში ეგვიპტური ააგო ახალი ჩორჩანელების წარმომადგენელმა, ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ქართველთა ლაშქრობის მონაწილემ ივანე სულას ძემ (ალბათ «სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში» მოხსენიებული სულა მირიანის ძის ვაჟმა). ივანე სულას ძის შვილიშვილები¹⁰⁴ერისთავი ბემქენ ჯაყელის საპირისპიროდ

უნდა იყვნენ XI საუკუნის შუა ხანების მოღვაწეები – ძმები გიორგი ჩორჩანელი და ფარსმან თმოგველი სულას ძეები. გიორგი ჩორჩანელი უკანასკნელია წყაროებში მოხსენიებული ახალი ჩორჩანელებიდან. შემდეგ ახალი ჩორჩანელების სამფლობელოს დაეპატრონა ამ საგვარეულოს ახალი განშტოება – ხურსისძენი [4, 149].

პირველი ცნობები ჯაყელთა საგვარეულოს შესახებ ისტორიულ წყაროებში XI საუკუნის პირველი ნახევრიდან ჩნდება. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით, ჯაყელთა საგვარეულო სახელი ჯაყის ციხის მფლობელობიდანაა ნაწარმოები. საერთოდ, რა დროიდან ფლობდნენ ჯაყელები ჯაყის ხეობას და სად მდებარეობდა ზუსტად ჯაყის ციხე, ცნობილი არ არის [3, 83]. თუმცა არსებობს მოსაზრებები ჯაყის ციხის ლოკალიზაციის შესახებ. კერძოდ, ყოლაბოინას 993 წლის წარწერა და ამავე საუკუნის ფოცხოვის ხეობის ალის ეკლესიის წარწერა, სადაც მოხსენიებულია ერისთავთ-ერისთავი «ბოციო ... იოვანე და ბემქენ» ცნობილია, რომ მამაკაცის სახელი იოანე ხშირია ჯაყელთა საგვარეულოში.

ე. თაყაიშვილი წარწერაში მოხსენიებულ პირებს XI საუკუნის სამცხის ძველ მმართველ ჯაყელებად მიიჩნევს. მისი აზრით, ბემქენ ჯაყელი იყო თუხარისის ერისთავი, ბოციო ჯაყელი მარზპანი, ხოლო იოვანე გიორგი II-ის დროის მოღვაწეა, რომელსაც ბაგრატ IV დროსაც უნდა ეცხოვრა [3, 84-85].

ნარატული და დოკუმენტური წყაროების გათვალისწინებით ჯაყელები XI საუკუნეში სახლობენ ჯაყისა და ფოცხოვის ხეობაში. ალში იშენებენ საგვარეულო ეკლესიას, რომელიც XI საუკუნის 30-40-იან წლებით თარიღდება. ე. თაყაიშვილის მოსაზრებით ალის ეკლესია ზარზმის თანამედროვეა და აშენებულია ბაგრატ III-ის და დავით კურაპალატის დროს, როდესაც აშენდა ყოლაბოინას ეკლესია, ე.ი X საუკუნის დამლევს [3, 89].

ბაგრატ IV-ის დროს ჯაყელები ლიპარიტ ორბელიანს ემხრობიან ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რის გამოც მოხდა ციხისჯვარელთა გვართან დაპირისპირება. კერძოდ, სულა კალმახის დაპირისპირება. კერძოდ, სულა კალმახის დაპირისპირება. კერძოდ, სულა კალმახის დაპირისპირება.

ბაგრატ IV-ის ერთგულთა რიგებში აღმოჩნდა. ამ ერთგულებისთვის მეფისაგან სამამულებედ **ციხისჯვარი** მიიღო და საფუძველი ჩაუყარა ციხისჯვარელთა ფეოდალურ საგვარეულოს.

დემნა უფლისწულის აჯანყების დროს (1177-1178 წწ.) ჯაყელბმა, სხვა მრავალ ქართველ დიდებულთან ერთად, უფლისწულის მხარე დაიჭირეს. კერძოდ, სტეფანოს ორბელიანი მათ შორის ასახელებს **დემნა** ჯაყელს.

როგორც ცნობილია აჯანყების მიზანს წარმოადგენდა მეფობის უფლებებს ჩამორთმეული დემეტრე დავითის ძის გამეფება. მისი მცირეწლოვანებით ისარგებლა ბიძამ – გიორგი III, რომელიც უფლისწულის რეგენტობას ამოფარებული ტახტს დაეუფლა. აჯანყებულებმა საბაზად გამოიყენეს ლეგიტიმური მოტივი – დემნას უფლებების დაცვა.

დემნა უფლისწულის აჯანყება მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აჯანყებებიდან ყველაზე მასშტაბური იყო. მან მთელი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო მოიცვა. გიორგი III წინააღმდეგ ქვემო ქართლის ჰერეთის და სამცხის დიდებულები გამოვიდნენ. აჯანყების კერა «სომხითი», ანუ ქვემო ქართლი იყო [6, 197].

სამეცნიერო ლიტერატურაში დემნა უფლისწულის აჯანყება გარკვეულწილად უარყოფითად არის შეფასებული და მისი თანამდგომი ფეოდალები, მათ შორის ბოცოსძენი, რეაქციულ ძალად მოიაზრება, რომლებიც დაუპირისპირდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული სამართლიანობაზე და ლეგიტიმური უფლებების დაცვაზე, რაც მაშინდელმა ქართულმა ელიტამ, ფეოდალურმა არისტოკრატამ აშკარად გამოხატა.

შესაძლოა იოანე ორბელს სიძის გამეფება გიორგისთან დაპირისპირება ანისის გამო აწყობდა, რომლის მემკვიდრეობით მიღების სურვილი ჰქონდა, მაგრამ ქართველ დიდებულთა მხარდაჭერის მოტივი მხოლოდ ტახტის კანონიერი მემკვიდრის გამეფება იყო.

დავით V-მ თავს შეატყო, რომ კვდებოდა, შეკრიბა დიდებულები, თავისი ძმა გიორგი, ვაჟი დემნა და სახარების, ჯვრისა და მთავარი ხატის წინ განაცხადა ანდერძი:

ტახტს ჩემს ვაჟს გადავცემ, მაგრამ რადგანაც

იგი ჯერ მცირეწლოვანია, სრულწლოვანად გახდომამდე ქვეყანა გიორგიმ მართოსო, ოღონდ ტახტთან ხელი არ აქვსო. თავისი ანდერძის დაცვა და ვაჟის სიცოცხლე კი საქართველოს უძლიერეს დიდებულს, ივანე ორბელს ჩააბარა.

დავითის სიკვდილიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ გიორგიმ გადაიბირა საქართველოს გავლენიანი ადამიანები და მათ გვირგვინის დადგმის ნებართვა გამოთხოვა. ასე შეიქმნა მეფედ, მაგრამ იმავე დროს იძულებული გახდა კვლავ განეცხადებინა, რომ დემნა სრულწლოვანი გახდებოდა თუ არა, ტახტს დაუთმობდა [7, 87-88].

მკვლევარ ისტორიკოსთა უმრავლესობა ქვეშეცნულად ერთ აზრზე დგას, რომ გიორგი III-ს ტახტი კანონიერი გზით (მორალური მაინც) არ მოუპოვებია, თუმცა, ამის გამიფერისაგან თავს იკავებენ და ამასაც აქვს გამართლება, რადგან წყაროთა სიმწირის გამო, ჯერ კიდევ არ არის ახსნილი «ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის» მიხედვით დემეტრე პირველსა და მის უფროს შვილს, დავითს შორის არსებული კონფლიქტის მიზეზები. ისტორიოგრაფიაში ერთხმად არის აღიარებული ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, დავითის ვაჟს, დემნას სამეფოდ არ ამზადებდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ მას «.. ივანე ორბელის ქალი, მამასადამე, ქვეშევრდომის და არა სამეფო გვარის ასული შერთეს. მაშინ სამეფოდ გამზადებული უფლისწულისთვის ეს შეუწყნარებელი საქციელი იყო» [8, 243]. ეს კიდევ უფრო რეალურს ხდის და ამტკიცებს, რომ გიორგი მესამეს თავიდანვე გამიზნული ჰქონდა მმისწულის დისკრედიტაცია, რომლის გარეშე ის ტახტს ვერ დაეუფლებოდა, რაც მის ქმედებას კიდევ უფრო ამძიმებს. მოსაზრება, რომ დემეტრე მეფის შემონახვენება სამეფო სახლში მომხდარი კონფლიქტის შედეგად იძულებით ყოფილიყო განპირობებული [8, 226] მეტად საინტერესოა, მაგრამ არც ერთი ისტორიული წყარო ამის შესახებ არაფერს ამბობს. ლაშა გიორგის დროინდელ მემკვიდრეებს, რომელსაც «ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან» შედარებით ობიექტურობა ახასიათებს და მისი მცირე ტექსტის მიუხედავად, იგი ერთად-

ფის შესახებ ყველაზე უხვ ცნობებს იძლევა, არ შეიძლება გამორჩენოდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტი, როგორც ბერობიდან, ისევე საერო ცხოვრებაში დაბრუნება და კვლავ მეფედ გახდომა არის. თუნდაც, რომ მომხდარიყო დემეტრეს ისევე მეფედ დაბრუნება, როგორც ამას აკად. ივ.ჯავახიშვილი ამტკიცებს, ამ შემთხვევაში დემეტრეც გამოდის ტახტის მამიდან უფროს შვილზე გადაცემის დამრღვევი და ისიც გიორგი მესამესთან ერთად დემნას ლეგიტიმური უფლებების შემზღუდავია, რადგან დავით V ცოცხალი დარჩა. დემეტრეს მოქმედება უმცროსი ძის, გიორგი მესამის ტახტის გადაცემის თაობაზე კანონიერი იქნებოდა უფროსი ძის, დავითის მემკვიდრის არყოფნის, ან გარდაცვალების შემთხვევაში [6, 145].

ყველა ვითარებაში გიორგი მესამეს ტახტი მემკვიდრეობის წესის დარღვევით აქვს მიღებული. სტეფანოს ორბელიანის ცნობიდან გამომდინარე, იგი სარგებლობს ძმისწულის მცირეწლოვნებით და თავის დროზე არ უთმობს მას ტახტს. [6.146]

დემნა რომ სრულწლოვანი გახდა, მისმა აღმზრდელმა და სიმამრმა ივანე ორბელმა მეფე გიორგის დადებული პირობა შეახსენა და, ალბათ, მისი შესრულებაც მოსთხოვა, მაგრამ მისგან უარი მიიღო. ამ უარს დემნა და ივანე ორბელი არ გაუბოროტებია – არ აჯანყებულან, ან სხვა რამ არ ჩაუდენიათ, გული საგულეში ჰქონდათ, რადგან მეფეს საკუთარი ვაჟი არ ჰყავდა და ტახტი, ბოლოს და ბოლოს, მაინც დემნას უნდა დარჩენოდა.

მაგრამ მოულოდნელად გამომჟღავნდა გიორგის სურვილი – ტახტზე თავისი ქალიშვილი დაესვა. მან დემნას მომავალი შეუცნობელი გახადა და ხელისუფლების ძალით დაბრუნების მიზნით, მის ერთგულთა წრეში აჯანყების მომზადება დაიწყო.

ეტყობა, გიორგიმ აშკარად გამოთქვა თავისი სურვილი, რითაც მომავალში თავის გამეფებაში აშკარად დარწმუნებული დემნა გააღიზიანა. ეს იყო დემნას გეგმის უეცარი კრაზი. გიორგის სურვილი თავზარს სცემდა არა მარტო დემნას ან მის აღმზრდელ ივანე ორბელს, არამედ მთელ ქართულ საზოგადოებას. სულის შემარყეველი იყო ის, რომ გიორგი

იმას აკეთებდა, რაც არავის გაეკეთებინა – ქალის გამეფებას აპირებდა [7,92-93].

ფეოდალთა დიდი ჯგუფის მონაწილეობა დემნას მხარეზე, რაც განსაკუთრებით აჯანყების დასაწყისში გამოჩნდა, დავით მეფის ანდერძისადმი მათ ერთგულებაზე მიუთითებს. დავით მეხუთის გარდაცვალებისას მათ მომაკვდავი მეფის ანდერძის შესრულების მიმდინარეობის კოლექტიური კონტროლი იკისრეს. ახლა კი, გიორგი მესამის ძლევამოსილების მიუხედავად, კოლექტიურად დაუპირისპირდნენ პირობის გამტეხ მეფეს [7,97-98].

სტეფანოს ორბელიანის მიხედვით, დემნას ბანაკში იყვნენ: ქართლის ერისთავი, ყორყორელნი (მესხები), ჯავახები, კახელები, გამრკველი დიდი, მემნა ჯაყელი, ტაშირელნი და კაენელი ჰასან, ანელი გრიგოლ აპირატანი [7, 45-46]. დასახელებულ პირთაგან ყველა დიდებული იყო და გიორგის წინააღმდეგ ბრძოლაში, ალბათ, საკუთარი რაზმებით ჩაებმებოდნენ [7,99]. ასევე მონაწილეობდნენ მხარგრძელთა, გრიგოლისძეთა, კოლონკელიძეთა საგვარეულოების წარმომადგენლები [6, 221]. საინტერესოა, რომ აჯანყების მონაწილის მემნა ჯაყელის შესახებ თამარის ისტორიკოსი საერთოდ არაფერს ამბობს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ყუთლუ-არსლანი ეკუთვნოდა ჯაყელ-კორიდელთა საგვარეულოს. ასევე არის მოსაზრება, რომ მისი დასის უმეტესობას ე.წ «მესამე ფენა» (ვაჭრები, მდიდარი მოქალაქეები) შეადგენდნენ. თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ «დასი» მსხვილი არისტოკრატიისაგან (დემნას შეთქმულების შემდგომ დამცრობილი ძირძველი ქართული ფეოდალური სახლები) შედგებოდა [10, 87] შემთხვევითი არ უნდა იყოს თამარის მიერ დასელებთან გაგზავნილ შუამავალთა შორის ხვაშაქ ცოქალთან ერთად კრავაი ჯაყელის გაგზავნა, როგორც ყუთლუს ნათესავისა.

XII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სამცხის ერისთავი და სპასალარი ბოცო ჯაყელი მიემხრო ტახტის მამიებელ გიორგი რუსს (იური ანდრიას ძე), რისთვისაც მას თამარ მეფემ ჩამოართვა სამცხის ერისთავ-სპასალარობა და ჯაყის ციხე გადასცა ივანე

106ყვარყვარე-ციხისჯვარელს [4, 546]. ასე წარ-

მოიქმნა ახალი ჯაყელების ანუ ციხისჯვარელ-ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულო. ძველი ჯაყელები კი ამიერიდან ბოცოსმეგობად იწოდებოდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ჯაყელების (XI-XII სს.) მთავარი რეზიდენცია იყო ჯაყის ციხე, საგვარეულო მონასტერი – ალის წმინდა გიორგის მონასტერი (ფოცხოვის ხეობაში).

ბოცოსმეთა დიდ პატრიოტიზმსა და მამულიშვილობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მიუხედავად დემნა უფლისწულის აჯანყებაში მონაწილეობისა, ასევე 1191 წელს გიორგი რუსის მხარდაჭერისა, თამარი მანც ამდღა პირად ამბიციებზე და ჭეშმარიტი პროფესიონალი და სამშობლოს ერთგული ბოცო ბოცოს მეკვლავ სახელმწიფო მართვის აპარატში დააბრუნა – მას ჩუხჩარხობა უბოძა.

ჩუხჩარხობის სახელი ფეოდალურ საქართველოში სამხედრო ფუნქციასა და მეფის დაცვის საქმიანობას უკავშირდებოდა. იგი იმ მოხელეების უფროსი იყო, რომლებსაც მეფის დაცვა ევალებოდათ. ჩუხჩარხი მეფეს თან ახლდა მგზავრობის დროს და სხვა მოხელეებთან ერთად მის წინ მიდიოდა. ჩუხჩარხი ვალდებული იყო პირველს ენახა ის ადგილები, სადაც მეფე უნდა მისულიყო, შემდეგ მოზრუნებულყო და მეფეს წასძლოლოდა. ჩუხჩარხი დიდი და საპატიო მოხელე იყო. ძეგლებში იგი ვაზირებთან ერთად იხსენიება.

ლაშა გიორგის ლაშქრობაში განმაზე (დაახლ. 1213-1214 წწ.) ბოცო ბოცოს მე სხვა მესხებთან ერთად მეთაურობდა წინამბრძოლთა გუნდს და თავი გამოიჩინა სიმამაცით.

როდესაც 1226 წლის მარტის დასაწყისში ჯალალ ედ-დინი თბილისს მოადგა, რუსუდან მეფე ქუთაისში გადავიდა, ხოლო დედაქალაქის მცველად დატოვა «ორნი ძმანი ბოცოს ძენი, მემნა და ბოცო». სულთანმა პირდაპირი იერიშით თბილისზე მისვლა ვერ გაბედა და ქალაქის მახლობლად დაიბანაკა. მტერი დიდი სიფრთხილით მოქმედებდა. ჯალალ ედ-დინმა თვითონ იკისრა ქალაქის დაზვერვა. სულთანი დარწმუნდა, რომ თბილისის კარგად იყო გამაგრებული – მისი კედლები უფრო მეტად მთებზე და მაღლობებზე იყო გაშენებული, ამიტომ გააძლიერა ქალაქის

ალყა და 8 მარტს შეტევაზე გადავიდა. მაშინ «მცველნი ქალაქისანი აღიჭურნეს და იქმნა ძლიერი ბრძოლა და ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს ქართველთა». მტრის პირველი შეტევა უშედეგოდ დამთავრდა. ქალაქის მცველებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ მოსახლეობის დაბალი ფენები, მაგრამ ლალატის გამო ქალაქი დამარცხდა. აი, რას ამბობს ამის თაობაზე ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჟამთააღმწერლის სახელით ცნობილი XIV საუკუნის ქართველი ანონიმი ისტორიკოსი: «მას ღამესა სპარსთა ტვილელთა (ე.ი თბილისელმა მუსლიმანებმა) მიუვლინეს კაცი სულტანსა ჯალალდინის შიგნიდაღმა მიცემად ქალაქისა, რათა კართა, რომელთა სპარსნი სცვიდეს, განუხუნეს და შიგნით ბრძოლა უყვეს» [11, 179] - ე.ი შიგნით ქართველებს შევებრძოლებით და ქალაქის კარებს გაგიდებთო. ამით გამხნევებულმა სულთანმა 9 მარტს განთიადისას შეტევა განაახლა. ქალაქის მცველები, რომლებმაც ლალატის შესახებ არაფერი იცოდნენ, გამოსასვლელად ეშვადებოდნენ. ამ დროს, როცა მემნა ბოცოს მე განძის კართან გამოსვლას აპირებდა და ის იყო მუზარადი უნდა დაეხურა, ვიდაც მაჰმადიანმა «აფთითა (ბრტყელი დასტარგრძელი მახვილი) ძლიერ დაუხეთქა უმუზარადო თავსა, განუპო და მყის დაეცა და იქმნა შინა ომი» [11, 174-175]. გარედან ხვარაზმელნი უტევდნენ. «განუხუნეს კარნი სპარსთა ტვილელთა» და მტერი ქალაქში შევიდა. ქალაქის მცველები ისანში გადავიდნენ და განაგრძობდნენ ბრძოლას ბოცო ბოცოს ძის მეთაურობით, რომელმაც «გაამაგრა ისანი და ქმნა ძლიერი ომი». ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს რუსუდანმა, დარწმუნებულმა, რომ ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი იყო, ბოცო ჯაყელს კაცნი მიუგზავნა და ისნის დაწებება უბრძანა. ამის მიუხედავად, ქალაქის მცველნი ბრძოლას განაგრძობდნენ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც «მრავალგზის მიავლინა დასტური მეფემან დატევებად ქალაქისა, ძალით დაარწმუნა მეფემან ბოცოს წასვლა» [12, 168].

მოგვიანებით ახალი ჯაყელები ყველა ღონეს ხმარობდნენ ძველ ფეოდალთა განსაკუთრებით ძველ ჯაყელთა – ბოცოსმეთა დამცრობა-ლიკვიდაციისათვის, რათა მათ მომავალში არ ჰქონოდათ პრეტენზია დაკარგული

პრივილეგიების დასაბრუნებლად. ზოგსძეთა გარდა ისინი აწარმოებდნენ სამამულე ბრძოლას სამხრეთ საქართველოს სხვა ფეოდალურ სახლებთან – ჩორჩანელებთან, თმოგველებთან, მხარგრძელებთან, ხურსისძეებთან და სხვ. ამ ბრძოლაში ჯაყელბმა გაიმარჯვეს. დამარცხებული ფეოდალები მათ ან განდევნეს სამცხე-საათაბაგოდან, ან თავიანთ ყმავასალებად აქციეს.

ასე იყო უფრო ადრე პერიოდშიც. კერძოდ, IX-XI საუკუნეებში. დიდებულ ფეოდალთა – ტბელები, ფხვნელები, მამელები, კორინთლები და სხვ. მათი დამცრობის შედეგად ახალი ფეოდალური სახლები იკავებენ დასახელებულთა ადგილს.

სამცხე-საათაბაგოს XVI საუკუნის ნუსხაში იხსენიება 22 თავადი, რომელთაგან 14 დამკვიდრებულია სხვა, ადრინდელი ფეოდალის მამულში. გადაშენებულ ფეოდალურ საგვარეულოებს შორის ჩანან ძველი ჯაყელებიც – ზოგსძენი. მათი საფეოდალო კი ოლადასშვილთა ხელში იყო გადასული.

შემდეგში, როდესაც სამცხე-საათაბაგოს ოსმალეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა, მრავალი ქართველი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიფანტა. მათ შორის აღმოჩნდნენ ზოგსძენი, რომლებიც უკვე პრივილეგია დაკარგული დასავლეთ საქართველოში დამკვიდრდნენ. გვარსახელმა უმნიშვნელო ცვლილება განიცადა, ზოცვაძედ ჩამოყალიბდა და დღესაც ღირსეულ შვილებს უზრდის სამშობლოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. კვაშილავა, სამურზაყენო XIX-XX საუკუნეებში (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ, 2004,

2. ი. მისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1981. პინგოროყვა, თხზ I
3. დ. კლდიაშვილი, ჯაყელ-ზოგსძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის (XI-XII სს.), ისტორიის «მაცნე», 1979, '3
4. ქსე, ტ. 11, თბ, 1987.
5. რ. თოფჩიშვილი, სად წავიდა ჯავახეთის მოსახლეობა, თბ, 2000, გვ. 3
6. ქ. ქუთათელაძე, ქვემო ქართლის პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ. 2001.
7. ჯ. სტეფანაძე, მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, თბ, 1999.
8. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. II, თბ 1983.
9. სტეფანოს ორბელიანი, «ცხოვრება ორბელიანთა»-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ, 1978.
10. ბ. კუპატაძე, საქართველოს ისტორია, I ნაწილი; თბ., 2004.
11. ქართლის ცხოვრება, ტ. II.
12. თბილისის ისტორია, ტ. I, თბ. 1990.

MAIA KIPIANI

BOTSOSDZENI IN GEORGIAN POLITICAL LIFE

Summary

The thesis, in Georgian politics in middle centuries, is dedicated to the role of Botsosdzeni surname. This surname Botsosdzeni is characterized based on scientific literature and historical resources in forced (XII-XIVss) history. In researched is noticed, that when it was in Samtskhe-Saatabago Osmal conditions, they settled in West Georgia as already privilege losers. Then this surname had some alternations, it became Botsvadze and till they bring up worthy children for nation.



giorgi sal uqvaZe, manana Tavxel iZe

qal aqi s garemos kompl eqsuri ekol ogi uri Sefaseba da moni toringi (Tbi l i s i s magal i Tze)

გაერთიანებული ერების მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით, ევროპის მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 75% ქალაქებშია თავმოყრილი და, რაც მთავარია, შემდგომი ზრდის ტენდენცია ამ პროცესისა ნელი ტემპით, მაგრამ კვლავაც გრძელდება.

ანთროპოგენული პროცესი, რომელიც ქალაქის ბუნებრივ გარემოში მიმდინარეობს, მსოფლიო საზოგადოების სერიოზულ შემფოთებას იწვევს, რაც გახდა შესწავლის, დისკუსიების, მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების საგანი.

ქალაქის გარემოს შენარჩუნების, მისი ადამიანის ზემოქმედებისაგან დაცვის, გაჯანსაღების საკითხის მეცნიერულად შესწავლა-დამუშავება და რეალიზაციის პრობლემების უზრუნველყოფა, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება არის თანამედროვე ქალაქმშენებლობის აქტუალური და გადაუდებელი პრობლემა.

არსად ისე მკაფიოდ არ მჟღავნდება ტექნოგენური დატვირთვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები საარსებო გარემოზე, როგორც ქალაქის პირობებში და ეს ყველაფერი განპირობებულია იმ წინააღმდეგობით, რომელიც დაპროექტებისას არსებობს გარემოს მიმართ მრავალი აუცილებლად გასათვალისწინებელი შიგა და გარე ფაქტორების გამო.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სულ უფრო აქტუალური ხდება საქალაქო ტერიტორიების ქალაქმშენებლობით-ეკოლოგიური განვითარების ერთიანი კონცეფციის შემუშავება, მით უფრო, როდესაც საუბარი ეხება მილიონიან ქალაქებს, სადაც ეკოლოგიური სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავებულია.

თუ ადრე, ეკოლოგიური სიტუაციის ოპტიმიზაციის საშუალებები მიმართული იყო მხოლოდ გარემოს დაზინტურების შედეგების

წინააღმდეგ საბრძოლველად, დღეისათვის, გარემოს ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, არანაკლებ მნიშვნელოვნად არის მიჩნეული საქალაქო ტერიტორიების ეკოლოგიური ოპტიმიზაცია. ამდენად, გარემოსდაცვითი პოლიტიკა განხილულ უნდა იქნას, როგორც საქალაქო ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი.

აღნიშნულ კონტექსტში მეტად მნიშვნელოვანია ქალაქის გარემოს მდგომარეობის კომპლექსური შეფასების, ანალიზისა და მონიტორინგის გამართული სისტემის არსებობა, რომელიც არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ გარემოს შემადგენელი სხვადასხვა კომპონენტის მდგომარეობის უბრალო დახასიათებით. შეფასება და ანალიზი უნდა შეიცავდეს იმ ასპექტებსა და ფაქტორებსაც, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ესა თუ ის ეკოლოგიური სიტუაცია, რაც თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს ადამიანსა და გარემოს საერთო მდგომარეობაზე, ხოლო მონიტორინგი ხელს უწყობს გარემოში მიმდინარე პროცესებისა და ცვლილებების მუდმივ და სისტემატურ კონტროლს.

დღეს მასშტაბური ქალაქმშენებლობითი რეკომენდაციები არ კმარა, საჭიროა ქალაქისა და მისი კონკრეტული ტერიტორიებისათვის „პრაქტიკოსებს“ შევთავაზოთ ამ რეკომენდაციების რეალიზაციის მექანიზმები, ვინაიდან არქიტექტურა და ქალაქმშენებლობა უშუალოდაა დაკავშირებული ბუნებრივ გარემოსთან და მისი ხელოვნური გაგრძელებაა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამის ფარგლებში მოქმედი პროექტი „გლობალური ეკოლოგიური პერსპექტივა ქალაქებისთვის“ (2010 წ. ივნისი) სახელმძღვანელოდ გვთავაზობს მეთოდიკას, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ და მასთან დაკავშირებულ იმ პრობლემებზე,

რომელთა აქტუალობის ზრდაც შესაძლებელია უახლოეს მომავალში. უფრო კონკრეტულად, იმისათვის რომ შევანელოთ, შევაჩეროთ და თავიდან ავიცილოთ გარემოს დეგრადაციის პროცესები, უნდა გაცნობიერებულ იქნას არა მხოლოდ ამ დეგრადაციის გამომწვევი ფაქტორები, არამედ ისიც, თუ როგორ უწყობს ხელს ამ ფაქტორების ფორმირებას შესაბამისი ინსტიტუციები და საზოგადოება, როდესაც იღებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას.

მთლიანობაში, პრობლემის არსი შეიძლება გამოხატული იქნეს შემდეგი კითხვების მეშვეობით: რა ემართება გარემოს და რატომ? როგორია მოსალოდნელი შედეგები გარემოსა და ადამიანისათვის? რა ქმედებები ხორციელდება დღეს და რამდენადაა ისინი ეფექტური? საით მივდივართ? რა ღონისძიებებია განსახორციელებელი ქალაქის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად?

ამ კითხვებზე არსებობს შესაბამისი პასუხები თუ გავეცნობით:

– ტრადიციულ მოხსენებებს გარემოს მდგომარეობის შესახებ;

– გარემოზე ზემოქმედების შეფასებებს (გზმ);

– სტრატეგიულ ეკოლოგიურ შეფასებებს (სემ);

– ეკოლოგიური მდგრადობის შეფასებებს;

– სათბურის გაზების ემისიების ინვენტარიზაციებს.

ამგვარი შეფასებები და ანალიზები გარკვეულწილად განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც ინფორმაციის ხასიათით, აგრეთვე კვლევის მიზნებითა და მასშტაბებით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, გარემოს მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზის პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში ტიპი (ფორმა) ჩატარებულა ან ხორციელდება, ქალაქების, მათ შორის ისეთი მსხვილი ქალაქის როგორც თბილისისა, გარემოს მდგომარეობის კომპლექსური შეფასება მისი ცვლილებების ტენდენციებისა და პერსპექტივების ჩვენებით, დღემდე არ განხორციელებულა. ამ კუთხით საინტერესოა 1999-2000 წლებში, ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის მიერ მომზადებული კვლევა „ქ. თბილისის ეკოლოგიური ატლასი“, რომელშიც გარკვეული კვლევების საფუძველზე ასახულ იქნა თბილისის ტერიტორიის ეკოლოგიური ზონირება და გამოვლენილი იქნა ზონათა ექსტრემალური მნიშვნელობები. ეს ნაშრომი ეძღვნებოდა იმ

დროისათვის არსებული მდგომარეობის შესწავლას და შესაბამისად, დროთა განმავლობაში, მიღებულმა შედეგებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს.

ქალაქების გარემოს კომპლექსური შეფასება ქალაქთმშენებლობითი რეგულირების უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს, იგი ერთგვარი საფუძველია ქალაქების ქალაქთმშენებლობით-ეკოლოგიური განვითარების ეფექტურობის, პრიორიტეტებისა და სტრატეგიების განსაზღვრისათვის.

ესაუბრობთ, რა ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის შესახებ, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული მათ შორის ორმხრივი ზემოქმედება – გარემოსი ადამიანზე და ადამიანისა გარემოზე. ჯერჯერობით, ეს პროცესი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ერთი მიმართულებით მიმდინარეობს (რაც გამოიხატება ადამიანის მიერ გარემოს თანდათანობით ათვისებაში) და ყალიბდება ანთროპოსფეროდ.


ამდენად, გარემოს ეკოლოგიური ხარისხის შეფასება აუცილებელია და მას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქალაქთმშენებლობითი საქმიანობისთვის, რამეთუ გარემოში გვაინტერესებს არა მარტო კულტურული პროცესის ჩამოყალიბება, არამედ ერთი სისტემის მეორეში გადასვლა ანუ „გარემოს ხარისხისა“ და „ცხოვრების ხარისხის“ ურთიერთობა.

კეთილმოწყობითი წინადადებების მეშვეობით გარემოში ჩარევა გულისხმობს მის «წაკითხვას» და აღქმას. გარემოს წაკითხვა კი ფაქტობრივად ნიშნავს მოიძიო საშუალება ბუნებასა და კულტურას შორის არსებული მჭიდრო ფენის შესაცნობად. ცნება «გარემოს ხარისხი» არის მგრძობიარის გონივრულთან შეერთება, ინდივიდუალური კოლექტიურთან, წარმოდგენითი სინამდვილესთან.

პრაქტიკამ და დრომ დაგვანახა, რომ ქალაქების კვლევისას აუცილებელია ისეთი მეთოდების, ანალიტიკური საფუძვლებისა და მიდგომების ძიება და დანერგვა, რომლებიც მეტ-ნაკლებად სრულად მოიცავენ ქალაქის გარემოზე, გარკვეული ზეგავლენის მქონე ფაქტორებისა და პროცესების აღწერასა და შეფასებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის გარემოს ანალიტიკური, მიზეზ-შედეგობრივი კვლევისათვის, შესაძლებელია დაინერგოს ოპტიმალური მოდელი (იხ. ნახ.1), რომელიც თავის თავში გააერთიანებს ქალაქის გარემოს შესწავლის ორ ძირითად მიდგომას: 1) **სისტემურს** – რომლის ყურად-

დების ცენტრშიც, პირველ ყოვლისა, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის კომპონენტების ხარისხობრივი მახასიათებლებია და 2) **პერცეფციულს** - როდესაც პრიორიტეტი ენიჭება საზოგადოებრივ პოზიციას.




ნახ. 1 qal aq Tbil isis garemos Sefasebisa da kvl evis model i.

თბილისის გარემოს შეფასების, კვლევისა და მონიტორინგისათვის შემოთავაზებული მოდელი ასახავს ლოგიკურ კავშირებს სხვადასხვა კომპონენტს შორის, იმ მიზნით, რომ ჯერ ერთი, გარემოს მდგომარეობისა და მისი დინამიკის ანალიზის ორიენტირება მოხდეს იმ ფაქტორებზე, რომლებიც ზემოქმედებენ გარემოზე (გარემოს არსებული მდგომარეობის „მიზეზზე“), მეორეს მხრივ კი ქალაქის მიერ, განსახორციელებელი იმ კონკრეტული ქმედებების საჭიროებას, რომლებიც მისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში დაეხმარება.

აღნიშნული მოდელის რეალიზება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება ეფექტური, როდესაც იგი თანხვედრაშია **მაჩვენებლების (ინდიკატორების)** გამოყენებასთან (იხ. ნახ.2). მოდელის კონტექსტში, სწორად შემოთავაზებული ინდიკატორების გამოყენება საშუალებას იძლევა სამეცნიერო შედეგები გამოყენებულ იქნეს ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად პრაქტიკულ საქმიანობაში. მაჩვენებლები შეიძლება გამოვიყენოთ ამა თუ იმ მოვლენის აღწერის ინსტრუმენტად და ამავე დროს, მათი საშუალებით შევაფასოთ გაწეული ქმედებების შედეგიანობა. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ამ მაჩვენებლებს (ინდიკატორებს), სხვა პარამეტრებთან ერთად, შეუძლიათ მკაფიოდ დაგვანახონ და შეგვაფასებინონ ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მუშაობის ეფექტურობაც.

ნახ. 2 მაჩვენებლების როლი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.



დღემდე, საქართველოს ქალაქების მდგრადი განვითარების განსაზღვრის მიზნით არ შემუშავებულა და არ გამოყენებულა მდგრადი ურბანული ინდიკატორების სისტემა. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, პირველად საქართველოს დედაქალაქისათვის, ადგილობრივი სპეციფიკისა და ქალაქისათვის პრიორიტეტული პრობლემების გათვალისწინებით, შეირჩა და ჩამოყალიბდა მაჩვენებლების ინდივიდუალური სისტემა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს თბილისის გარემოს მდგომარეობის შეფასებასა და ანალიზს და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას. შერჩეულ ინდიკატორთა სისტემა მოიცავს მონაცემებს შემდეგი სფეროებისა და კომპონენტების მიხედვით:


- ა) **ატმოსფერული ჰაერი:** დამაბინძურებლების ემისია ატმოსფერულ ჰაერში; ჰაერის ხარისხი ქალაქის რაიონებში; ოზონის დამშლელი ნივთიერებების წარმოება.
- ბ) **კლიმატის ცვლილება:** ჰაერის ტემპერატურა; ატმოსფერული ნალექები; სათბურის გაზების (CO2) ემისია.
- გ) **წყალი:** მტკნარი წყლის განახლება რესურსები; წყლის ხარჯი ერთ სულ მოსახლეზე; წყლის დანაკარგები; სასმელი წყლის ხარისხი; ამონიუმის კონცენტრაცია მდინარეებში; ჩამდინარე წყლის დაბინძურების ხარისხი.
- დ) **ბიომრავალფეროვნება:** დაცული ტერიტორიები; ურბანული მწვანე არეალები; სატყეო ტერიტორიები.
- ე) **ნიადაგი:** ეროდირებული და სხვა სენსიტიური (მაგ., მეწყერსაშიში) არეალები.
- ვ) **სოფლის მეურნეობა:** სასუქების მოხმარება; პესტიციდების მოხმარება.
- ზ) **ენერგეტიკა:** ენერჯის საერთო მოხმარება; ენერჯის ინტენსიობა; განახლებადი ენერჯის მოხმარება.
- თ) **ტრანსპორტი:** მოთხოვნილება საზოგადოებრივ

ტრანსპორტზე; ავტოსატრანსპორტო პარკის შემადგენლობა საწვავის ტიპის მიხედვით; ავტოსატრანსპორტო პარკის საშუალო წლოვანება. **ი) ნარჩენები:** ნარჩენების გენერაცია; ნარჩენების გადამუშავება და რეციკლაცია; საბოლოო ნარჩენების გატანა.

გვინდა განსაკუთრებით გამოვყოთ თანამედროვეობის ერთ-ერთი უმთავრესი გლობალური საფრთხე, რომელსაც კლიმატის ცვლილება განაპირობებს და რაშიც უდიდესი როლი სწორედ ქალაქებს აკისრიათ. კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები უდიდესი რისკის მატარებელია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ბიომრავალფეროვნებისათვის. კლიმატის ცვლილების კონტექსტში, შესაძლებელია სერიოზული საფრთხეები შეექმნას ისეთ სფეროებს, როგორცაა სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და ქალაქის ეკონომიკა, აგრეთვე ზემოქმედების სხვა ფაქტორებთან ერთად, კლიმატის ცვლილების შედეგებმა შესაძლოა კიდევ უფრო გაამძაფრონ უკვე არსებული სიღარიბის, ჯანდაცვის სისტემის არასრულყოფილების, ეკოსისტემების მოწყვლადობისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემები როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე.

ამ კუთხით მეტად მნიშვნელოვანია მდგრადი ენერჯის სამოქმედო გეგმის უმნიშვნელოვანესი ნაწილის, სათბურის გაზების ემისიების ინვენტარიზაციის განხორციელება, რომელიც ეკოლოგიური ანალიზის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს და მიმართულია კონკრეტულ ქალაქსა თუ სხვა სახის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სათბურის გაზების ემისიების მოცულობის განსაზღვრისაკენ. ამგვარ კვლევაში ნაკლებადაა შესწავლილი ემისიების მოსალოდნელი შედეგები გარემოსათვის, თუმცა საბოლოო ჯამში იგი მიმართულია ამგვარი შედეგების (მაგ., გლობალური დათბობა) შერბილებისაკენ, გაფრქვევების შემცირების გზით. აქვე ერთი საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი საკითხი იჩენს თავს, რომელიც, პრაქტიკულად, არც ერთ სხვა სახის კვლევაში არ ფიქსირდება, როგორც გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე კომპონენტი. ეს არის ე.წ. შენობების (Buildings) სექტორი (როგორც კერძო, ისე სახელმწიფო), რომლებსაც როგორც წესი ქალაქებში, ენერჯის მოხმარებისა და სათბურის გაზების ემისიების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ (იხ. ნახ.3).

CO₂-ის ემისიების შემსახვა ხმატორების მიხედვით
ა. თბილისში



ნახ. 3.

პრაქტიკიდან გამომდინარე, სრულფასოვანი ურბანული პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი მიზეზი, როგორც წესი, ქალაქის მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზისათვის აუცილებელ მონაცემთა არარსებობა ან არასაკმარისი რაოდენობა და, ასევე, არსებული მონაცემების დაბალი სანდოობაა.

თბილისის მაგალითზე მეტად მნიშვნელოვანია გარემოს მდგომარეობაზე მონიტორინგის ოპერატიული მასალის არსებობა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მიგველო საჭირო ინფორმაცია თბილისში ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგების დაბინძურების ხარისხობრივი მაჩვენებლების, აგრეთვე დედაქალაქის სხვადასხვა უბანში ხმაურის, ელექტრომაგნიტური და რადიაციული ფონის შესახებ.

უკვე ამ ეტაპზე, მკაფიოდ დგას საკითხი დედაქალაქში გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ქსელისა და მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, თბილისში ადრე არსებული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების სტაციონარული საგუშაგოების აღდგენასთან დაკავშირებით, რის გარემოც პრაქტიკულად წარმოუდგენელი იქნება დედაქალაქის გარემოს მდგომარეობაზე სრული და უტყუარი სურათის არსებობა და შესაბამისი მაჩვენებლების მიღება შერჩეული ინდიკატორებისათვის. მაგალითად, ცნობილია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის საქალაქო სისტემები, რომლებიც მსოფლიოს უამრავ ქალაქში ფუნქციონირებს, ორიენტირებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის ზრდის ოპერატიულად ფიქსირებაზე და უზრუნველყოფს ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციების უწყვეტ გაზომვას. ავტომატური უწყვეტი გაზო-

მგების რეჟიმი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა განხორციელდეს ოპერატიული რეაგირება, გამოვლენილი იქნას ჰაერის დაბინძურების დონის ზრდის მიზეზები და ა.შ.

საგულისხმოა, რომ 1970-იანი წლებიდან 1990-იან წლებამდე, თბილისის სხვადასხვა ნაწილში გამართულად ფუნქციონირებდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების 7 ავტომატური სტაციონარული საგუმავო, სადაც ავტომატურ რეჟიმში იზომებოდა ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებების: მტვერის, გოგირდის დიოქსიდის, ხსნადი სულფატების, ნახშირჟანგის, აზოტის დიოქსიდის, გოგირდწყალბადის, ფორმალდეჰიდის და სხვ. კონცენტრაციები. დღეისათვის თბილისში მოქმედებს სრული პროგრამით მომუშავე მხოლოდ ერთი და შეზღუდული პროგრამით მომუშავე ორ საგუმავო (წარმოებს მხოლოდ CO-სა და NO₂-ის გაზომვას). ასევე გაძნელებულია მდინარე მტკვრის გაქუჩყიანების დღევანდელი რეალური სურათის აღწერა, რადგან არ ხდება დამაბინძურებელი ნივთიერებების სრულფასოვანი ინვენტარიზაცია. თბილისში არ მიმდინარეობს მონიტორინგი არც ხმაურზე, არც ელექტრომაგნიტურ და რადიაციულ ფონზე დაკვირვების მიზნით. ამდენად, სპეციალისტებისა და სხვა დანტერესებული ჯგუფებისათვის ოპერატიულ ინფორმაციაზე წვდომა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ქალაქების გარემოს კომპლექსური ეკოლოგიური შეფასებისა და ანალიზისათვის, აგრეთვე ქალაქთმშენებლობითი რეგულირების მიზნებისთვის, ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას ქალაქების პრობლემატიკის გამოვლენა და დაჯგუფება წარმოადგენს.

ჩვენ მიერ, კვლევების შედეგებსა და ე.წ. „ცოდნათა ბაზაზე“ დაყრდნობითა და განზოგადებით, გამოიყო ის ძირითადი ეკოლოგიური ხასიათის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული თბილისის მდგრადი ურბანული განვითარების პროცესში.

ქალაქის მდგრადი ურბანული განვითარების განმსაზღვრელ ძირითად დადებით

ფაქტორებად მიჩნეულ იქნა: შთამბეჭდავი საქალაქო ლანდშაფტი; ჰიდროგრაფიული ქსელი; გარემომცველი ბუნება; კეთილმოყვლი მიკროკლიმატი; ადგილობრივი მთახეობების ქარები, რომლებსაც ქალაქის აერაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ; ქალაქის გრძივი ღერძის _ მდინარე მტკვრის - ხეობა, რომლის გასწვრივ მოძრავი ჰაერის ნაკადები (ადვექცია) დედაქალაქის განივების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს; ბუნებრივი ლანდშაფტისა და სხვადასხვა პერიოდის არქიტექტურული ნიმუშების ჰარმონიული ერთიანობა ქალაქის ცენტრში; თბილისის ბუნებრივი რესურსების, კერძოდ, თერმული წყლების არსებობა, რომელიც ბალნეოლოგიურ და ჰიგიენურთან ერთად, უდიდეს ენერგეტიკულ პოტენციალსაც შეიცავს და სხვ.

ამავე დროს თბილისის დღევანდელ ეკოლოგიურ მდგომარეობას ახასიათებს მთელი რიგი პრობლემური საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტაც მკვეთრად გააუმჯობესებს დედაქალაქის გარემოს საერთო მდგომარეობას, თბილისელების საცხოვრებელი პირობების ხარისხს და ბევრად უფრო მიმზიდველსა და უსაფრთხოს გახდის თბილისის საინვესტიციო გარემოს.

ამგვარ პრობლემურ საკითხებს განეკუთვნება: დედაქალაქში გამწვანებული ტერიტორიების მწვავე დეფიციტი; გამწვანება-განაშენიანების ერთიანი სისტემის (ურბოფიტოსისტემის) კონცეფციისა და გეგმის არარსებობა; თბილისის საგარეუბნო ზონაში (ბაგები, წყნეთი, კიკეთი, კოჯორი, ტაბახმელა და სხვ.) მიმდინარე და დაგეგმილი სამშენებლო ექსპანსია; ქალაქის ატმოსფერული ჰაერის, მდ. მტკვრის, მცირე მდინარეებისა და ბუნებრივი წყალსატევების, დედაქალაქის ნიადაგების დაბინძურება; თბილისში გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ქსელის არარსებობა; სამრეწველო ზონებში, გარემოს დამაბინძურებელი საწარმოების უშუალო სიახლოვეს, საცხოვრებელი და შერეული ფუნქციის ზონების გაჩენა, მოქმედი კანონმდებლობით გაუქმებული სანიტარულ-დაცვითი ზონების

გაუთვალისწინებლობის პირობებში; დედა-ქალაქში მყარი საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სამშენებლო ნარჩენების შეგროვების, სელექციის, გატანისა და გადამუშავება-უტილიზაციის საკითხი და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალაქის გარემოს კვლევის მოდელი „მამომრავებელი ძალები > ზემოქმედება > მდგომარეობა > შედეგები > რეაგირება“, მიმართულია ქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის არა უბრალო აღწერისა და შეფასებისკენ, არამედ იმ ფაქტორების გამოსავლენად, რომლებიც განაპირობებენ ამა თუ იმ ეკოლოგიური ხასიათის პრობლემას მასში.

ქალაქის გარემოს მდგომარეობის კომპლექსური შეფასების, ანალიზისა და მონიტორინგის შემოთავაზებული მეთოდიკა სრულად პასუხობს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითად ორიენტაციას – ქალაქის მდგრადი განვითარებისაკენ, რაც ეკოლოგიურთან ერთად, სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნების დაბალანსების ხარჯზე შეიძლება იქნეს მიღწეული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თბილისის გარემოს შეფასებისა და ანალიზის პროცესი, მოდელის შესაბამისად, თავის თავში უნდა აერთიანებდეს კვლევას შემდეგი მიმართულებებით, როგორცაა:

ა) მამომრავებელი ძალები და ზემოქმედების ფაქტორები (სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში): ქალაქის განვითარების რიგი ასპექტების ისტორიული ევოლუცია; სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები; ადგილობრივი პოლიტიკური და ინსტიტუციური სტრუქტურა; დემოგრაფიული დინამიკა; ეკონომიკური დინამიკა; სარგებლობა ბუნებრივი რესურსებით.

ბ) გარემოზე ზეგავლენის მქონე საქმიანობების სახეობები და დარგები: მრეწველობა; ტრანსპორტი; მშენებლობა; მიწათსარგებლობა; ენერჯის მოხმარება; წყლის მოხმარება; მყარი ნარჩენების წარმოქმნა; ჩამდინარე წყლების წარმოქმნა;

გ) გარემოს მდგომარეობა: საქალაქო (და საგარეუბნო) ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება; ბუნებრივი რესურსები; ატმოსფერული ჰაერი; წყლის რესურსები; გარემოს ხელოვნური კომპონენტები (განაშენიანება, ინფრასტრუქტურა და სხვ.); კლიმატის ცვლილება.

დ) პოლიტიკური ზომები და ინსტრუმენტები: გადაწყვეტილების მიმღები ინსტიტუციები; საქალაქო გარემოსდაცვითი ორგანოები და მათი ფუნქციონირება; ეკოლოგიური პოლიტიკა და მისი რეალიზაცია; პოლიტიკური ინსტრუმენტები; ტექნოლოგიური გადაწყვეტები; საინჟინრო ღონისძიებები; სოციოკულტურული და ინფორმაციული ინსტრუმენტები; ნაკლოვანებები და პოლიტიკის ეფექტურობის ანალიზი.

ამასთან, კომპლექსური შეფასებისას, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ახალ პრობლემებზე, რომლებიც სულ უფრო მეტად იძენენ აქტუალობას. კერძოდ, კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ადგილობრივ გარემოზე და მოსალოდნელი შედეგები მოსახლეობისა და ეკონომიკისათვის; თავად ქალაქის წვლილი კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესში, რაც განპირობებულია სათბურის გაზების ემისიებით ტრანსპორტის, შენობების, მუნიციპალური სერვისისა და წარმოების სექტორებში; ქალაქის გარემოსა და მოსახლეობის მოწყვლადობა ეკოლოგიური პრობლემებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციებისადმი და სხვ.

ჩვენი აზრით, შემოთავაზებული მეთოდიკა, თანამედროვე მიდგომების, თბილისის გარემოს ანალიტიკური კვლევის ოპტიმალური მოდელისა და გარემოს მდგრადი ინდიკატორების ერთობლიობით, შექმნის მყარ თეორიულ საფუძველს გარემო მდგომარეობის შეფასების, ანალიზისა და მონიტორინგისათვის. იგი, საშუალებას მოგვცემს, მოვახდინოთ ქალაქის გარემოს მეცნიერული პროგნოზირება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა თანამედროვე საზოგადოებისათვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზაზე.

INVESTMENTS, MUNICIPAL ENGINEERING,
ECOLOGY AS UNIFIED ELEMENTS
OF CITY DEVELOPMENT

Summary

Formerly, the control processes of municipal planning were usual controlled by the state. At the moment, when the municipal engineering is determined by market negotiations, city as the tangible-spatial and social-economic category is formed on the basis of market factors influence. In other words, currently the city alongside with the old shape is receiving the new, unknown features that are determined by contemporary investing-financial factors in municipal planning process.

The article is devoted to preliminary analysis of complex factors of contemporary municipal engineering processes and is shown that the mentioned process depends on triangle of different factors, which would be described as functional dependence of municipal planning, ecology and investments. In the entry is discussed the issue of setting up of consensus among investments, ecology and town building that in many cases are not coinciding.

ლიტერატურა

1. გ. სალუქვაძე, „ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგია“, თბ., სტუ, 2007
2. მ. სალუქვაძე, „ქ. თბილისის გარემოს დაცვითი პრობლემები“ სტატია ნაშრომში (დანართი 3) „ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის დაგეგმარების მონიტორინგი და მიმდინარე ვითარებაში მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავების ძირითადი მიმართულებები“, თბ., 2006
3. [იხ. http://urban.tbilisi.gov.ge/pdf/Documents/genproeqti_monitoringi.pdf]
4. შ. სიღამონიძე, ვ. ნეიძე, ვ. კაჭარავა, თ. ჩაჩუა. „თბილისის ეკოლოგიური პრობლემები“ (სტატიათა კრებული). თბილისი, „ლიეგა“, 2002.
5. Программа ООН по окружающей среде. «ГЕО для городов»: Руководство по комплексному экологическому анализу городских территории. Регион ВЕКЦА. Версия 3.1 (июнь 2010);
6. Соколова, Е.П.. Оценка экологического состояния города для целей градостроительного регулирования (на примере г. Москвы). Диссертация на правах рукописи УДК 911.375:574 (470-25). Москва, 2008.



ინფორმაცია, როგორც ობიექტური გამოხატულების შედეგი

გლობალიზაცია, როგორც მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში შეუქცევადი ინტეგრაციის გარდაუვალი პროცესი, საჭიროებს ისეთი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელიც კონკურენტუნარიანობის პრიორიტეტების განმტკიცების უპირატესობას იძლევა. ითვლება, რომ ინდუსტრიალურიდან ინფორმაციული წარმოების წყობის წესებზე გადასვლას თან ახლავს მესამე თაობის ტექნოლოგიების გამოყენება, რაც ახალი, ხარისხიანი პროდუქციისა და მომსახურების შექმნის ფართო პერსპექტივებს იძლევა (შენიშვნა: ინფორმაცია არის სხვადასხვა ცოდნის ერთობლიობა, რომელსაც ადამიანები იღებენ, ინახავენ, გადასცემენ ერთმანეთს, იყენებენ მას თავიანთი საქმიანი შემოქმედებისათვის. ეს ინფორმაცია გვეხმარება წარმოებაში ცოდნის საფუძველზე იდეების ტექნოლოგიურად განხორციელებაში).

ბოლო დროს მეცნიერულ ლიტერატურაში მკვიდრედება ტერმინები «ინფორმაციული ეკონომიკა», «ინოვაციური ეკონომიკა» «ცოდნათა ეკონომიკა» და ა.შ.

ცხადია, ინფორმაცია თავისთავად რთული და მრავალმხრივია, მისი შინაარსის განმარტება არც ისე ადვილია. მართლაც რომ ვთქვათ, ინფორმაცია ფართო გაგებით არის სიახლე მსოფლიოს გარშემო, რომელიც მასთან ურთიერთობით არის მიღებული. გამოყენებად პროცესში ინფორმაცია შეიძლება იყოს გადაცემის და გარდასახვის ობიექტი. ინფორმაცია არის მსოფლიოში არსებული კაცობრიობის ობიექტური გამოხატულების აქტიური შედეგი, ეს არის განსაკუთრებული, სპეციფიკური შრომის გამომუშავება-გადაცემა: ინფორმაციის გარდაქმნა მჭიდროდ და განუყოფლად არის დაკავშირებული შრომასთან, რომელიც მიმართულია მსოფლიოს მატერიალური გარდაქმნისაკენ.

ადამიანის შრომითი საქმიანობა, რომელიც მიმართულია რაღაც კონკრეტული პროდუქციის წარმოებისაკენ, იწყება იდეის დამუშავებით, ნაწარმის იდეალური ნიმუშით, ნაწარმის საგნის პროექტით, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს ადამიანის სხვადასხვა მოთხოვნა. სანამ დაგამზადებთ რაიმეს, უნდა გვექონდეს აღქმული თუ რამდენად მოთხოვნილია ეს საგანი, რადგანაც ეს მოთხოვნილება განისაზღვრება წარმოების განვითარების დონით. შემდეგ იდეურად წარმოვიდგენთ ჩვენი შრომის მომავალ პროდუქტს, მისი გარეგანი და შინაგანი სახის მოწყობილობას და ა.შ. ადამიანმა აუცილებელია შემდეგომში დაამუშავოს საჭირო პროექტი და მის საფუძველზე გაითვალისწინოს წარმოებაში არსებული საშუალებები და რაოდენობები. ამისათვის საჭიროა დამუშავდეს ტექნოლოგიები მოცემული ნაწარმის წარმოებისათვის. შემდგომ კი მოხდეს მისი პრაქტიკულად გამოყენება. მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანმა ჯერ უნდა უპასუხოთ კითხვებს: რა მინდა? (როგორია მოთხოვნილება) და რა გავაკეთო? როგორ გავაკეთო ეს?

პროექტი შეიძლება შემქმნელს გააზრებული ჰქონდეს, მაგრამ ინფორმაცია ერთდროულად იმდენად დიდი, რთული და ძნელად დასამახსოვრებელია, რომ საჭირო ხდება ბლოკ-სქემის, ნახაზის, ან ჩანაწერის შექმნა ობიექტური ინფორმაციის სახით.

ინფორმაციას ჩვენ აქ განვიხილავთ, როგორც ადამიანის შრომისათვის საჭირო ინფორმაციის ერთობლიობას. ინფორმაცია არის რეალობაში გამოხატავის პროდუქტი და მისი ფაქტორი მიზანმიმართულად გარდაქმნაა, რომელსაც შეუძლია ობიექტურად მიიღოს დამოუკიდებელი და ინდივიდუალური შეცნობა სივრცესა და დროში.

ასეთი სახით ხდება შესაძლებელი შემდგომი ინფორმაციული მოძრაობა საზო-

გადო მწარმოებლების მონაწილეებს შორის – იქმნება ინფორმაციული ნაკადი. ამ ნაკადის წყალობით შესაძლებელია სხვადასხვა სახის მანქანების გამოყენება, რომლებიც გადაამუშავებს და გადასცემს ობიექტურ ინფორმაციას უშუალოდ ადამიანის მონაწილეობის გარეშე. ხოლო იმის შემდეგ, როდესაც შექმნილია იდეალური პროტოტიპი, იწყება მატერიალური პროცესი.

ამ თვალსაზრისით წარმატებული საწარმოები ქმნიან ინოვაციურ ინფრასტრუქტურის ელემენტებს, რომლებიც შეიცავს დიზაინისა და ტრასფერული ტექნოლოგიების ცენტრებს. აუცილებელ პირობას, რომელიც საქონლის მაღალ ხარისხს განაპირობებს, წარმოადგენს მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების დანერგვა, ახალ საწარმო ტექნოლოგიების შექმნაში. გამოშვებულ პროდუქციას უნდა ჰქონდეს მიმზიდველი სახე და იყოს მოხერხებული. ამისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ დიზაინის ერგონომიკის თანამედროვე მიღწევები. თავისი ფუნქციების ეფექტურად შესრულებისათვის ნაწარმი უნდა გამოირჩოდეს დიზაინის მხრივ და უნდა პასუხობდეს ასევე პრაქტიკულად გამოყენების უზრუნველყოფის თანამედროვე მოთხოვნებს. სწორედ ამის გამო ჩნდება ნაწარმის დიზაინერული სახით უკეთ დამუშავება, და აგრეთვე აუცილებლობის შემთხვევაში მისი ორნამენტულად გაფორმებისა და შეფუთვის საჭიროება ნაწარმის მაღალი ხარისხის მისაღებად. აგრეთვე არის შექმნილი მართლმადიდებლურ კანონიკაზე დამყარებული ხატურის შემსწავლელი ცენტრები, სადაც თანამედროვე ხატმწერების მიერ იქმნება ხატების, სასულიერო პირთა და საეკლესიო (დაფარნა, გარდამოხსნა, კრედსაბმელი, მღვდლის შესამოსელი) შესამოსი ესკიზები, სადაც ხატმწერებს საშუალება ეძლევათ შექმნან ახალი თამედროვეობაში გამოყენებადი ესკიზები, რომლებიც კანონიკის ჩარჩოებზეა დამყარებული.

საწარმოები იძენენ სპეციალურ მანქანებს და პროგრამებს, რათა თავიანთი ნაწარმი გახადონ უფრო მიმზიდველი და ნაირგვარი. ამ პროგრამების რედაქტორების

დახმარებით ოპერატორი ქმნის გამოსახულებას და შემდეგ ახდენს მის რელიზაციას.

ამ სიახლეებთან დაკავშირებით მინდა შევეხო თანამედროვე პროგრამულ რედაქტორს, რომლის დახმარებითაც ვამზადებთ პროგრამას სპეციალური ავტომატიზებული მანქანისათვის, მაგრამ სანამ ამ და მსგავს რედაქტორებში შევქმნით პროგრამას, საჭიროა ობიექტის მომზადება, რათა გარდასახვა შესრულდეს ხარისხიანად.


ასეთი სახის ტექნოლოგიები უკანასკნელ პერიოდში თავს იჩენენ აგრეთვე მართლმადიდებლურ ხელოვნების სფეროში. როგორც ვიცით, ქართველ ქალებს ოდითგანვე მოჰყვებათ ხელსაქმის სიყვარული და ქმნიდნენ ისეთ უნიკალურ საერო და საეკლესიო ნიმუშებს, როგორიცაა: ქალისა და მამაკაცის კაბა, შარვალი, თავსაბურავი და სხვ. რომლებიც გაფორმებული იყო საქართველოს კუთხეების შესაბამისი ორნამენტებით, მღვდლის შესამოსელი, დაფარნა, გარდამოხსნა, კრედსაბმელი, და სხვ. ერთი ნიმუშის შესაქმნელად სჭირდებოდათ დიდი დრო. ძირითადად ეს ნიმუშები იქმნებოდა ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სახელოსნოებსა და დიდგვაროვანთა ოჯახებში. თანამედროვე ტექნოლოგიები კი საშუალებას გვაძლევენ დროის მოკლე მონაკვეთში შევქმნათ სპეციალური მექანიკური და ავტომატური მანქანების საშუალებებით ისეთი ნიმუშები, რომლებიც მიახლოებული იქნება ხელით შექმნილ ნაკეთობებთან. მაგრამ ამ თანამედროვე რედაქტორებში, სადაც იქმნება მართლმადიდებლურ სცენებზე და ესკიზებზე დაფუძნებული ობიექტები, დიდი დრო მიაქვს სცენებისა და ესკიზების დამუშავებასა და შექმნას კანონიკის დაცვით, რადგან რედაქტორის ინტერფეისში არა არის საჭირო მონაცემთა ბაზა და მათი ექსპერტული შეფასების სისტემა.

დღესდღეობით თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მოძიებული ინფორმაციის საშუალებით შეგვიძლია შევქმნათ საძიებო ბაზა და ექსპერტული შეფასების სისტემა, რომელშიც მოთავსდება ოპერეტორისათვის საჭირო ინფორმაცია, სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა ის კრიტერიუმი, რომელიც მისაღები იქნება მართლმადიდებლური რელიგიისათვის; სადაც აისახება

მართლმადიდებლურ-რელიგიური სიუჟეტების სცენები, ესკიზები (ამაღლება, ნათლობა, აღდგომა, მირქმა და სხვ.). ბაზაში აგრეთვე მითითებული იქნება ხალხურ და ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული ორნამენტები, რომლებიც დაეხმარება დიზაინერს თანამედროვე მოდელის ეროვნული ორნამენტებით დამუშავებაში რეალიზაციისათვის.

დიზაინერული საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ის, რომ დარეკტორის დროს ოპერატორმა შექმნას ახალი, ან არსებულ ბაზაში შეარჩიოს ის ელემენტები, რომლებიც დაეხმარება ახალი ფრაგმენტების შესაქმნელად. შემდეგ ოპერატორს ეძლევა შესაძლებლობა მიღებულ ფრაგმენტებს შეურჩიოს ზომები, ფერთა გამა, სპეციალური ეფექტები და მოახდინოს

შესაძლებელი კორექცია. მსგავსი კომპიუტერული დიზაინის შემუშავებისათვის აუცილებელია ინფორმაციის შენახვა ორნამენტის ესკიზების, გრაფიკული ობიექტებისა და მათი მოდელის შესახებ. ასევე უნდა შევძლოთ მათი გარდაქმნა ახალ ფიგურებში, რაც დაეყრდნობა გალერეის ამომავალ საფუძველს, მათში შედის აგრეთვე ნიმუშებისა და ელემენტების მოცემული ესკიზები. ნიმუშების (ესკიზებისა და ორნამენტების) მუდმივად განახლებადი და შევსებადი მონაცემთა ბაზა არის ის საფუძველი, რომლის საფუძველზე ექსპერტული შეფასების დახმარებით ხდება ნაკლოვანებების გამოვლენა. იგი მოგცემს რეკომენდაციებს ნიმუშის ბოლომდე დამუშავებისათვის.



რაც შეეხება კანონიკურ გამოსახულებებს, ტრადიციებიდან გამომდინარე, ესკიზების შესრულება ხდება ნაკლებად ცვლილებების გარეშე, თანამედროვე ნორმების შესაბამისად. სასურველია ესკიზების ტრანსფორმირება და მიზანდასახულად ახალი ელემენტების შექმნა. ტექნიკურ დიზაინში ასევე ფართოდ გამოიყენება სამრეწველო ნაკეთობების კომპოზიციის ცნება. მთლიანი ნაწარმის აგებულობა, რომლის დროსაც ყველა ელემენტი ჰარმონიულ ერთიანობასა და ურთიერთკავშირში იმყოფება. კარგი დაკომპლექტება პროექტირებული ნაკეთობების ძირითადი ელემენტების წარმატებული განლაგების შედეგია.

ესკიზებისა და ორნამენტების ახალი ნიმუშების შექმნას გააჩნია ეროვნული და ესთეტიკური ფასეულობა, რომელიც წარმოადგენს შემოქმედებით პროცესს. ორნამენტული ფრაგმენტებისა და კომპოზიციების შექმნის პროცესის განსაზღვრული თავისებურებები, როგორცაა: მოხაზულობა, ფორმის სხვადასხვა სახეებისა და ტიპების გამოყენება, ერთი და იმავე ელემენტისა და ფრაგმენტების ხშირი გამეორება, კომპოზიციური გადაწყვეტისას საერთო მოხაზულობის, სიმეტრიის და ზომების შეზღუდულობა, ორნამენტების დაპროექტების პროცესს აახლოვებს ინჟინერ-ტექნიკურ შემოქმედებასთან.

თანამედროვე ტექნიკური ინჟინერიის შემოქმედების იდეოლოგია და ტექნოლოგია ემყარება ავტომატიზებულ დაპროექტებას, კომპიუტერულ უზრუნველყოფის გრაფიკულ პროგრამირების ბაზაზე, სისტემურ ავტომატიზირებულ პროექტირების სპეციალურ ჩარჩოში მოქცევას. ობიექტური გარდასახვისთვის საჭირო კონსტრუქციული ბლოკ-სქემა, რომელიც მიღებულია საერთო ინფორმაციის საშუალებით. ასეთია (იხ. სურ.)

1) ზემოთ მოყვანილი ბლოკ-სქემიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: აქ წარმოდგენილი თემატიკა სასულიერო შემოქმედების ერთგვარი დასურათხატებაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთმანეთის დამოუკიდებლად შევქმნათ ობიექტური გამოხატულების ესკიზები სამანქანო-დიზაინერული დაპროექტების თვალსაზრისით.

Q. KVESELAVA

THE INFORMATION, AS RESULT OF OBJECTIVE EXPRESSION

Summary

In the article information and informational data is shown, as a result of objective expression. New approach gives the basis to plan better utilization of 3rd generation technologies accompanying to transmission to informational production rules from industrial.



kavkasi a da meore msofi i o omi

თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ II მსოფლიო ომის დეტალური განხილვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. ამიტომ II მსოფლიო ომის შეფასებას ჩვენ არ შევეცდებით, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ამ ომს კავკასიელი ხალხი სხვადასხვანაირად შეხვდა. არსებობდა კატეგორია ხალხისა, რომლებიც ამ ომში გერმანიის სახით ხედავდნენ გამათავისუფლებელს რუსული და საბჭოთა ოკუპაციისა და დიქტატურისგან და ასევე არსებობდა დიდი უმრავლესობა, ვინც ამაში უდიდეს საფრთხეებს ხედავდა.

გერმანელების მიმართ კავკასიელების ასეთი კეთილგანწყობა განაპირობა რამდენიმე მიზეზმა:

1. ეს იყო ისტორიული შუღლი რუსული პოლიტიკის მიმართ;
2. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა მცირე ერების მიმართ (კოლექტივიზაცია, ნაციონალიზაცია, გარუსების პოლიტიკა);
3. თვითონ გერმანელების ლოიალური დამოკიდებულება სამხრეთის ფრონტზე მცირე ერებისადმი.

გერმანულმა სამხედრო მანქანამ მიზნად დაისახა ადგილობრივი მოსახლეობის მიმხრობა და ჩაბმა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანელების პროგრამა სამხრეთის ფრონტზე ითვალისწინებდა იმას, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დამოკიდებულება ყოფილიყო სანდო და გამჭვირვალე. ამ მოტივით მესამე რაიხის მინისტრი, პასუხისმგებელი აღმოსავლეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ალფრედ როზენბერგი წინადადებას აძლევს თავის მთავრობას, ჩამოაშორონ კავკასია რუსეთს და შექმნან ბუფერული ტერიტორიული გაერთიანება რუსეთის გარშემო, სადაც შევიდოდნენ კავკასია, უკრაინა და რუმინეთი. როზენბერგის აზრით, თვითონ კავკასიაში შეიქმნებოდა ფედერაციული წყო-

ბა, რომელიც ჩამოყალიბდებოდა საქართველოს გარშემო; მისი აზრით, საქართველოს ცენტრალური მდებარეობა და ისტორიული მნიშვნელობა თავისთავად წამყვანს ხდიდა ამ ქვეყნის კავკასიური ფედერაციის ჩამოყალიბებაში. ამ მოსაზრებას დაეთანხმა თვითონ ჰიტლერიც, საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე ერთი თვით ადრე. ინსტრუქციების განსახორციელებლად დაინიშნა რაიხის კომისარი არნო შიკედანცი.

მაღალჩინოსანი ოფიცრების ნაწილს როზენბერგის სამინისტროდან მიაჩნდათ, რომ ის სტრატეგია, რომელსაც ახორციელებდა ვერმახტი აღმოსავლეთის ფრონტზე, აუცილებლად შესაძლებელია კავკასიასთან მიმართებაში. ამ ოფიცრების სათავეში იდგა მაიორი გრაფი კლაუს შენკ ფონ შტაუფენბერგი (მან 1944 წლის ივლისში მოაწყო თავდასხმა ჰიტლერზე). მათი აზრით, კრემლის რეჟიმზე გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ ძალებით, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნის შიგნით. ამიტომ ვერმახტის სამხედრო მეთაურობამ უნდა შეძლოს დაამყაროს ადგილობრივ მოსახლეობასთან შესაბამისი კონტაქტები და კეთილმოსურნე ურთიერთობები. სწორედ ამ კუთხით ჩასატარებელი სამუშაოების განსახორციელებლად ინიშნება კავკასიის საკითხებში კარგად გარკვეული, ვერმახტის კაპიტანი – თეოდორ ობერლენდერი. შტაუფენბერგის და ობერლენდერის აზრით, კავკასიაში გამარჯვების მისაღწევად საჭიროა გატარდეს „მეგობრობის“ პოლიტიკა. მათი აზრით, ვერმახტის დევიზი კავკასიაში უნდა იყოს: „გათავისუფლება და არა დაპყრობა“. ისინი თვლიან, რომ გერმანელებმა უნდა მოიპოვონ ადგილობრივი მოსახლეობის ნდობა და მოახდინონ მათი საბრძოლო ოპერაციებში გამოყენება. ისინი თავის პროგრამაში კავკასიისთვის პირველ ადგილზე აყენებენ აგრარულ საკითხს. მიწა, რომელიც

აქამდე წარმოადგენდა კოლექტიურ საკუთრებას, გადანაწილდება გლეხებს შორის და მათ ეძლევათ ნება პირდაპირი წესით მოსავლის ბაზარზე გაყიდვის (ასეთი იურიდიული სტატუსი დაპყრობილ ტერიტორიებზე შენარჩუნდა ომის დამთავრებამდე). განსაკუთრებულ ყურადღებას რეფორმატორი ოფიცრები უთმობენ რელიგიის და აღმსარებლობის თავისუფლებას. აუცილებელია ადდგეს ტრადიციები, სხვადასხვა ეროვნებების სწავლავანათლება მოხდეს მშობლიურ ენაზე; მთლიანად საოკუპაციო ხელმძღვანელობამ უნდა მიანიჭოს კავკასიელებს თავისუფლება, რათა მათი მხრიდან მოიპოვონ სრული მხარდაჭერა ბოლშევიზმთან ბრძოლაში. ვერმახტის ასეთი პოლიტიკა ითვალისწინებდა სამხედრო ფორმირებების შექმნას კავკასიელი ჯარისკაცებისაგან, და ამ ჯარისკაცებს უნდა ჰქონოდათ ყველა ის უფლება, რაც გერმანელებს.

1942 წლის ზაფხულში ჰიტლერი იღებს გადაწყვეტილებას კავკასიის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ. ობერლენდერი და მისი მომხრეები იწყებენ პრაქტიკულ მოქმედებას. ოკუპაციური მთავრობა სასწრაფოდ ქმნის ადმინისტრაციულ სტრუქტურებს, რომლებიც შედგება ადგილობრივი მოსახლეობისაგან. აგვისტოში ჩამოყალიბდა ყარაჩაელებისაგან პირველი მოხალისეთა კორპუსი, რომლის წევრები მოქმედებენ გერმანიის ჯარებთან კოორდინაციით და მათ შეუფასებელ დახმარებას უწევენ. გერმანელი ოფიცრების ყოველდღიური მოხსენებებიდან ჩანს, რომ ჩერქეზები, ყაბარდოელები, ბალყარები და ყარაჩაელები გერმანელების მიმართ დიდი ნდობით არიან განწყობილნი და ყოველგვარ სამხედრო და სამოქალაქო დახმარებას უწევენ.

ყოველთვიურ მოხსენებაში გენერალი ფონ როკა ხაზს უსვამს ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ნდობას გერმანული ხელმძღვანელობის მიმართ, და მათ დიდ სიხარულს ბოლშევიზმისგან მათი განთავისუფლების გამო. ის სიტუაციას ახასიათებს, როგორც „ძალიან კარგს“; ამ სიტუაციის ანალიზში აღნიშნავს, რომ მოსახლეობის კეთილი განწყობა ყველაზე ძვირფასია კავკასიის ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

გლეხებმა მიიღეს შეპირებული მიწა – მათ გაჰყვეს კოლმეურნეობები, ეკლესიები და მეჩეთები გაარემონტეს და დაასუფთავეს. ჩრდილოეთ კავკასიაში გატარებულმა ახალმა პოლიტიკამ უპრეცედენტო შედეგი გამოიღო – მოხდა რეგიონის დამშვიდება. იმავე ოფიცრების მოხსენებებიდან ჩანს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მხოლოდ ერთი პრობლემა აქვს – კომუნისტური რეჟიმის შესაძლო დაბრუნების შესაძლებლობა. გერმანელთა მიერ დაკავებულ სოფლებში, სტანციებში, ქალაქებში მათ ხალხი ხვდება დიდი აღფრთოვანებით, აწყობს დღესასწაულებს. ერთ-ერთ ასეთ დღესასწაულზე ხალხი მაღლიერებით მიმართავს გერმანელებს, რომ მათი წყალობით განთავისუფლდნენ კოლმეურნეობაში მონური შრომისაგან, დაიბრუნეს რწმენის თავისუფლება და მიწა.

გერმანელების ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა ვერმახტისათვის ყველაზე მთავარი – იქმნება ვერმახტის სპეციალური ქვედანაყოფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კავკასიელი მეზრძოლები. თავდაპირველად მასში აწევრიანებენ ძირითადად სამხედრო ტყვეებს; ობერლენდერის სიტყვით, წევრიანდებოდა კავკასიელების ის კატეგორია, ვინც ბოლშევიზმის სიძულვილს ხმამაღლა გამოხატავდა. თავდაპირველად შეირჩა 100 კაცი – ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები და ჩრდილოკავკასიელები. 1942 წლის დასაწყისში მათ შეუერთდა 130 ქართველი – ემიგრანტები საფრანგეთიდან, რომლებიც მოხალისეებად ჩაეწერნენ. ახალმა ქვედანაყოფმა მიიღო სახელი „ბერგმანი“ (რაც ნიშნავს „მთიელს“). მათ სპეციალური მოსამზადებელი კურსი გაიარეს ბავარიის ალპებში. ჯარისკაცებმა ფიცი დადეს, რომ სიცოცხლეს მიუძღვნდნენ „საკუთარი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას“ და იძლეოდნენ პირობას, ემსახურათ გერმანიის შეიარაღებული ძალებისათვის. როდესაც კავკასიელების მომზადება დამთავრდა, გენშტაბმა სპეციალურ ქვედანაყოფში გააგზავნა 300 გერმანელი ოფიცერი სამთო მომზადების ნაწილებიდან. „ბერგმანი“-ის მეთაურად დაინიშნა **თეოდორ ობერლენდერი**, მის მოადგილედ – **ვალტერ ფონ კუტცშენზახი**, დაბადებული

თბილისში და თავისუფლად მოლაპარაკე ქართულ და რუსულ ენებზე.

სპეციალურ ქვედანაყოფს „ბერგმანს“ დაეკისრა ორმხრივი მისია. მას უნდა გაეკეთებინა დესანტირება და დაეკავებინა ჯვრის უღელტეხილი. დანარჩენი ქვედანაყოფი უნდა გამოყენებულიყო, როგორც გერმანელთა შეტევის ავანგარდი. „ბერგმანის“ მეორე ამოცანას შეადგენდა პროპაგანდის წარმოება და დეზერტირების გადმოზიარება წითელი არმიის რიგებიდან. მათ ევალებოდათ დახმარება პარტიზანებთან ბრძოლაში, სააგიტაციო ფურცლებისა და პლაკატების გავრცელება, რისი მიზანიც იყო სამოქალაქო მოსახლეობის დაწყნარება და საბჭოთა ჯარების დემორალიზება. ამ ორ მისიასთან ერთად გერმანელთა მეთაურობა აკისრებს მესამე მისიასაც, „ბერგმანის“ გამოცდილება საშუალებას მისცემს აღზარდოს მომავალი კადრები ოკუპირებულთა კადრების სამართავად.

1930-იანი წლებიდან გერმანელთა საიდუმლო სამსახურები ინტენსიურ მუშაობას აწარმოებდნენ კავკასიელ ემიგრანტებთან პარიზში, ბერლინში, სტამბოლში, ვარშავაში. ემიგრანტების რიცხვი გაიზარდა 20-იან წლებში, საბჭოთა რუსეთის მიერ ხალხისგან არჩეული მთავრობების დამხობის გამო. ახერბაიჯანელებს წარმოადგენდნენ ნაციონალისტური პარტიის „მუსავატ“-ის სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენლები, რომლებიც ძირითადად დამკვიდრდნენ თურქეთსა და პოლონეთში, მისი ძირითადი ლიდერი იყო **რასულ-ზადე**, რომელიც ქვეყნის განვითარების პანთურქულ ხაზს უჭერდა მხარს. ქართველი ემიგრანტები, რომლებიც ძირითადად განთავსებულნი იყვნენ პარიზსა და ბერლინში, თავს იყრიდნენ 1921 წელს განდევნილი მენშევიკური მთავრობის გარშემო. სომხურ დიასპორას სათავეში ედგა დაშნაკების ნაციონალისტური პარტია და ბოლოს, ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლები: ჩეჩნები, ყაბარდოელები, ყალმუხები, დაღესტნელები აყალიბებდნენ სხვადასხვა პარტიებს, რომელთა მიზანს შეადგენდა კავკასიელების გაერთიანება. მათ სათავეში ედგა ჩეჩენი **გაიდარ ზამატი**, რომელიც წარმოადგენდა 1918 წლის მასისში თვითადიარებული და საბჭოთა მთავრო-

ბის მიერ მცისვე გაუქმებული „მთიელთა რესპუბლიკის“ საგარეო საქმეთა მინისტრს. მის მიზანს წარმოადგენდა გაერთიანებული კავკასია, დამოუკიდებელი როგორც რუსეთის, ისე თურქეთისაგან. აქვე უნდა აღვნიშნოთ ორი პერსონაჟი: **სულთან-გირეი**, თეთრგვარდიელი და „ველური დივიზიის“ წინამძღოლი კავკასიაში და **საიდ შამილი** (დიდი შამილის შვილიშვილი), რომელიც გაიქცა თურქეთში ჩეჩნეთის 1920 წლის მცირე აჯანყების შემდეგ, ორივე მუშაობს პროექტზე – კავკასიის გათავისუფლება რუსეთისაგან. შამილს ხვდება გერმანიის ელჩი და იწვევს მას ბერლინში. ბერლინის დიპლომატები უახლოვდებიან კავკასიის დიასპორის წარმომადგენლებს და იწყებენ მათი ლიდერების გადმოზიარებას. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თვითონ ლიდერებშიც ჩნდება ეჭვი გერმანული მანქანის მიმართ; მაშინ, როდესაც თვითონ ბერლინშიც არ აქვთ საბოლოოდ გადაწყვეტილი, თუ რა უქნან საბოლოოდ კავკასიას, მაგრამ ერთი რამ ზუსტადაა გადაწყვეტილი – ბაქოს საბადოები გერმანიას უნდა გადაეცეს. აქედან გამომდინარე, ყველა მოქმედება, რასაც აწარმოებენ განმათავისუფლებელი მოძრაობები კავკასიაშიც და ემიგრაციაში მყოფი ლიდერებიც, გერმანიისათვის მისაღებია. იწყება სამხედრო ფორმირებების შექმნა.

გერმანული არმიის უმაღლეს ემელონებში ყურადღებით ანალიზებენ ახალშექმნილი ფორმირებების მოქმედებას ბრძოლის ველზე. პოლიტიკური ლიდერების საიდუმლო მოხსენებებში ნაჩვენებია კავკასიელების რიცხვი, რომლებიც იბრძოდნენ გერმანული არმიის რიგებში – 102 295 კაცი. ფრონტიდან გაგზავნილი გერმანელი ოფიცრების მოხსენებებიდან ჩანს, რომ კავკასიელთა დიდი უმრავლესობა სრულად ამართლებს გერმანელთა ნდობას. თერგის და ხარკოვის ბრძოლის დროს, სადაც ჩრდილო კავკასიელები დაბრუნდნენ საბჭოთა ჯარების მიერ გარემოცულ ტერიტორიაზე მათი დაჭრილი გერმანელი მეთაურის გამოსაყვანად, აგრეთვე კურსკის ბრძოლის შემდეგ, სადაც ქართულმა ბატალიონმა ყველაზე მეტი დანაკარგი განიცადა, გერმანელებს აღარ დარჩათ არანაირი საბაზი კავკასიელების ნდობაში ეჭვის შეტანისა. აქ

აღსანიშნავია ქართველთა როლი: გარდა „ბერგმანის“ შენაერთისა, არსებობდა **14 ბატალიონი**, რომლებიც ატარებდნენ სხვადასხვა სახელებს; მაგალითად: **ერეკლე II, დავით აღმაშენებელი, ილია ჭავჭავაძე**... ბრიტანელი ისტორიკოსის ალენ ნიუარკის ცნობით გერმანელთა მხარეს მებრძოლი ქართველების რიცხვი მერყეობს 30-დან 100 ათასამდე. ეს სიტუაცია აჩვენებს იმ პერიოდის საქართველოს და სრულიად კავკასიელი ხალხის განწყობას რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმის მიმართ. ამ ხალხებს ძალიან კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული გერმანული ნაცისტური მანქანის სისასტიკე, მაგრამ ისინი სამშობლოს დახსნას ბოლშევიზმის მარწუხებიდან მაინც მასში ხედავდნენ.

1942 წლის ზაფხულში და შემოდგომით გერმანელი სამხედროები საქართველოში ატარებენ იატაკქვეშა ოპერაციების სერიას, სხვადასხვა რაიონებში ხდება საპარაშუტო დესანტის გადასხმა. ისინი ცდილობენ გაუკეთონ ორგანიზება პარტიზანულ მოძრაობას კოდური სახელით „მინცი“. საფრანგეთში მცხოვრები სოციალ-დემოკრატების ლიდერი **ნოე ჟორდანია** მოუწოდებს თანამემამულეებს, ხელი შეუწყონ მოსალოდნელ აჯანყებას, ხოლო მეორე ემიგრანტი **მიხეილ კედია** უზრუნველყოფს რაიხთან კავშირს.

როგორც საქართველოს კომპარტიის არქივებიდან ჩანს, დიდი ძალისხმევა დასჭირდა საბჭოთა მილიციას ამ გასაიდუმლოებული დაჯგუფებების გასანადგურებლად; დღე და ღამე მილიციის ჯგუფები პატრულირებდნენ დესანტის გადმოსხმის შესაძლო რაიონებში. ოფიციალურ დოკუმენტებში მითითებული ყველა დაპატიმრებული და მოკლული იატაკქვეშელი მოხსენიებულია როგორც უცხოელი, მაგრამ სინამდვილეში მათი დიდი უმრავლესობა ადგილობრივი მაცხოვრებელი იყო.

1944 წლის თებერვალში იოსებ სტალინის დავალებით **НКВД**-მ ჩაატარა სპეცოპერაცია კოდური სახელწოდებით „ჩეჩევიცა“, რის შედეგადაც ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დაჩქარებული წესით იქნა გასახლებული შუა აზიაში ყველა ჩეჩენი, ხოლო თვითონ რესპუბლიკა _ გაუქმებული.

კავკასიაში შექმნილმა სიტუაციამ (ფაქტიურად უმართავმა), იმდროინდელი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ძალიან დააფიქრა. მასობრივი გადასახლების პროექტი დღის წესრიგში დგება უკვე 1942 წლის შემოდგომიდან. ხოლო 1943 წლის 11 თებერვლის კომპარტიის ცკ-ს სხდომაზე პირდაპირ განიხილებოდა ეს საკითხი, სადაც გამოიკვეთა ორი ფრთა: პირველი _ მოლოტოვ-ჟდანოვის, რომლებიც მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გასახლებას და ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის გაუქმებას; მეორე ფრთა _ სტალინი, ბერია, ვოროშილოვი, ხრუშჩოვი საჭიროდ თვლიდნენ ამ ოპერაციის გადადებას კავკასიიდან გერმანული არმიების განდევნამდე; თუმცა სადამსჯელო ოპერაციის აუცილებლობაში ყველა ერთ აზრზე იყო. ამიტომ **ლავრენტი ბერიას** დავალებით **НКВД**-მ დაიწყო დოკუმენტის შექმნა, სადაც აღწერილი იქნებოდა ჩეჩენი ერის დანაშაული სამშობლოს წინაშე. ასეთ დოკუმენტს ადგენს ბერიას მოადგილე **ქობულაოვი**, სათაურით „О положении в рядах партизан ЧИАССР“. ეს არის ფაქტიურად საბრალმდებო მასალები, სადაც დეტალურადაა აღწერილი ჩეჩენი და ინგუში ხალხისა და გერმანელების ურთიერთობები. დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარეობს დასკვნა ამ ხალხების მიერ ჩადენილ მასობრივ ღალატზე; აქედან გამომდინარე, 18 ნოემბერს ბერია იღებს დეპორტაციის გადაწყვეტილებას, რის შემდეგაც იწყება რესპუბლიკის დეტალური და ზუსტი ინვენტარიზაცია და დგინდება მუდმივი მაცხოვრებლების სია. ამას მოჰყვა ოპერაციის საბოლოო ინსტრუქციის დეტალების დაზუსტება. ხელმძღვანელობას იგი ავალებს **НКВД**-ს მაღალჩინოსნებს _ ქობულაოვს, სეროვს და კრუგლოვს. პრეამბულაში აღნიშნულია: „ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკიდან ყველა ჩეჩენი და ინგუში ეროვნების მოსახლის სრული დეპორტაცია, განურჩევლად დაკავებული თანამდებობისა და საქმიანობისა“. საბჭოთა ხელისუფლება ოფიციალურ დოკუმენტს გადასახლებაზე იღებს 1944 წლის 7 მარტს; მაშინ, როდესაც ისინი უკვე დიდი ხნის გადასახლებულები არიან, ხოლო გადასახლებაზე ხელს აწერს მიხეილ კალინინი. მთავრობა ანალოგიურ დოკუმენტს იღებს

1944 წლის 8 აპრილს ბალყართა შესახებ, რომლებიც ასევე დიდი ხნის გადასახლებულები არიან.

1943 წლის 22 თებერვალს დეპორტაციის დაწყებამდე ორი საათით ადრე ლავრენტი ბერია ატყობინებს ამის შესახებ ჩეჩნეთ-ინგუშეთის კომპარტიის პირველ მდივანს მოლაევს. ყაზარდო-ბალყარეთის შემთხვევაში კი ხდება სხვანაირად; მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას გაასახლონ მხოლოდ ბალყარები. ამიტომ ბერიას მოადგილე გენერალი ქობულაშვილი ტელეფონით აცნობებს ყაზარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომპარტიის მდივანს **ზუბერ კუმუხოვს**, ეროვნებით ყაზარდოელს, რომ მოხდება ბანდიტიზმში მხილებული ბალყარელი ხალხის გადასახლება. ერთი კვირის შემდეგ ბერია ჩადის ნაღჩიკში და კუმუხოვს ატყობინებს, რომ მისი ბრძანებით ბალყარების გადასახლებით გათავისუფლებული იალბუზი და იალბუზისპირა ტერიტორიები გადაეცემოდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას. ბერიას სიტყვით, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობამ ვერ მოახერხა ამაყი იალბუზის დაცვა გერმანელებისაგან; და უკვე 1944 წლის აპრილიდან ბალყარეთისა და ყარაჩაელების ტერიტორიები ოფიციალურად გადაეცა საქართველოს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხალხს ასახლებდნენ არაადამიანურ პირობებში, სატვირთო ვაგონებით, რომლებიც არ იხსნებოდა და ნიშნულების ადგილებამდე, რის გამოც ხალხის დიდი უმრავლესობა გზაში იხოცებოდა. თუ ვინმე ახერხებდა გადასახლებისათვის თავის არიდებას, მათ **НКВД** ადგილზევე ხვრეტდა.

საერთო ჯამში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადასახლებულს 840271 კაცი, მათგან ერთად – 139603 გერმანელი – ომამდე ჩასახლებული. 1948 წლის ივლისის ჩათვლით დაღუპულთა რიცხვმა შეადგინა 188829 კაცი, რაც საერთო გადასახლებულთა 27% შეადგენს.

წყაროები და ლიტერატურა:

1. **დ. კანდელაკი** – „ევროპელები რუსეთის კავკასიური პოლიტიკის შესახებ“
2. **გ. ღამბაშიძე** – „იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ“ 1920-1970 წ.წ.
3. **Эрик Осли** – „Покорение Кавказа“, Москва, 2008 г.
4. **А. Широкопад** – „Грузия. Кавказский тупик“, Москва, 2010 г.
5. **Е. Суворов** – „Ледокол“
6. ინტერნეტგამოცემა „ვიკიპედია“ www.Wikipedia.org

NODAR KHORBALADZE

CAUCASUS AND WORLD WAR II

Summary

This work represents the condition of Caucasian people during the Second World War, together with their attitude to the military contradistinction between Germany and the Soviet Union and the attempt of using this counter for independence achievement from Soviet Russia. Brutal attitude of Soviet regime to the Caucasian scanty nations is also described.



მინდიას თემაგარტული მწერლობის
ბედობის ფონზე

მინდია... ერწყმის... სამყაროს... ცხოვრობს მისი ცხოვრებით

გრიგოლ რობაქიძე

*ვაჟას... გმირები კვდებიან და კვლავ იბადებიან,
როგორც თავის თავზე ზნეობრივად აღმატებული,
მტრობისა და ბოროტების დამძლევი, ახალ
ეთიკურ ღირებულებათა დამამკვიდრებელი,
ღვთაებრივი ადამიანები*

თამაზ ჩხენკელი

მინდია ქვესკნელად მიდის. მისი „სიკვდილი“ და ხელახლა დაბადება იქ ხდება და გულისხმობს მისთვის „ცის გახსნას“, სამყაროს ენის გაგებას, მისი, როგორც უბრალო გლეხის „გარდაცვალებას“ – ფერიცვალებას.

„გველის-მჭამელში“ ქვესკნელი (ქაჯეთი) ვაჟას იმისათვის უნდა, რომ გმირი, რომლის გულში ბოროტი ფეხს ვერ იკიდებს, მხოლოდ (უბრალოდ) სამყაროს ცოდნით კი არ დაიტვირთოს, არამედ – სიბრძნით, იმ ღირებულებებით, რომლებიც იმთავითვე არიან შეურიგებელი ადამიანის ცხოვრებისეულ საჭიროებებთან. ეს ღირებულებები პოემაში სწორედ იმიტომა გაუკიდურესებული და პირობითი, რომ წინააღმდეგობათა გრიგალმა აატრიალოს გმირის სულიერი ტრაგედია.

გველის ხორცის გასინჯვის დროს გადმოხედავს მინდიას მოწყალე თვალით ზეცა, ახალი სული ჩაედგმება, ახალი ხორცი აესხმევა, ახალი ხედვა გაეხსნება. მას არ სჭირდება ბოროტთან შეკვრა სიბრძნის დასაუფლებლად, არც ხალხური თქმულების გმირი ეკვრის ეშმას.

ძირითადად ამით განსხვავდება მინდიას ანუ ქართული ფაუსტური მოდელი დასავლურისაგან, თორემ იგივე ფაუსტური თემის ნაირსახეობაა.

ერთსა და იმავე დროს იგი ზოგადკაცობრიულიცაა და წმინდა ქართული მოვლენაც.

ჩვენს ფოლკლორსა და მწერლობაში კიდევ ბევრია ასეთი, ზოგადკაცობრიული და მაინც ქართული თემა, მაგრამ მე უმთავრესად მას შევეხები, რაკი ვცდილობ საკუთარი თვალთ დავინახო იგი და მცირე განაცხადიც გავაკეთე – თხზულების პირველი წიგნი გამოვაქვეყნე.

შეიძლება უფრო პირიქით მოხდა: მინდიას თემას იმიტომ შევებდე (და გამოქვეყნებაც იმიტომ ვიჩქარე), რომ საკუთარი თავისთვის იმაზე საუბრის უფლება მიმეცა, შეუძლიათ თუ არა მსგავს თემებს ძალა შეჰმატონ ჩვენს მწერლობას, რომელიც უწინდელთან შედარებით მოწყენით გამოიყურება.

ვფიქრობ, ამ მოწყენის შესაფერი სახელი დეპრესიაა. ყოველ შემთხვევაში, ეს სიტყვა ამოტივტივდა, როცა ვუსმენდი საქმეში ღრმად ჩახედული კრიტიკოსის სოსო სიგუას მოხსენებას „საქართველოს მწერლობა დასაბამიდან დღემდე და მისი შემდგომი განვითარების ტენდენციები“. წინამდებარე წერილი მისეულ შეფასებებს ეყრდნობა, მიზეზებსა და გზებზე კი ჩემსასაც ვიტყვი.

1. დეპრესია? გზაჯვარედინი? თუ ერთი და მეორე?

რა არის დეპრესია? თუ იგივე კრიზისია, მაშინ, იქნებ, ეს ნაჩვევი სიტყვა ვამჯობინოთ?

ამ ტერმინებს ზოგჯერ მართლაც იგივეური მნიშვნელობით იყენებენ, მაგრამ ზუსტი დიაგნოზი თუ გვინდა, ისინი უნდა გავმიჯნოთ.

კრიზისი ვარდის, დაცემის პროცესია, დეპრესია კი დათრგუნვას, დათრგუნულ მდგომარეობას გულისხმობს.

კრიზისი გვიჩვენებს, რომ მოვლენა უწინდელი გზით ვეღარ გააგრძელებს სვლას – რომ გზამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები. კრიზისი ბიძგს აძლევს მოვლენის გადასვლას ერთიდან, ძველიდან, მეორე, ახალ მდგომარეობაში. ეს გადასვლა ვერ მოხდება უცხად, თავისით, იგი დიდ ენერჯიას ითხოვს.

ენერჯიას დაგროვება სჭირდება, დაგროვებას – დრო. **დეპრესია დროს ის მონაკვეთია, როდესაც კრიზისი დამთავრებულია და ახალ მდგომარეობაში გადასვლის პირობები კი მომწიფებული არ არის.** სანამ ისინი არ მომწიფდება, მოვლენას წინსვლა ვერ დაეტყობა.

ქართული მწერლობის კრიზისული წლები უკან დარჩა. იმ წლებში დაწყდა მანამდე უწყვეტი ნაკადი ისეთი ქმნილებებისა, როგორებიც იყო „ქართულო ცაო“, „მე ვხედავ მზეს“, „თაკო და ზაზა“, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, „დათა თუთაშხია“ და სხვა და სხვა. შესაძლოა, რიგითმა მკითხველმა არც მოინაკლისა დანაკლისი, რაკი ვეღარც „ძველი“ სულიერი საზრდოსთვის მოიგალა სხვათა პოლიტიკური ბატალიების შემყურემა თუ თავისთვის ლუკმა-პურის მაძიებელმა.

მწერლობის პროდუქტიულობის ვარდნა გვიან ხდება საცნაური.

ეკონომისტები განგაშის ზარებს რეკენ, როდესაც წარმოება ვარდნას იწყებს – როდესაც მთლიანი პროდუქტის გამოშვება თუნდ ორიოდ პროცენტით მცირდება. საუბარია ხარისხიან პროდუქტზე. რამდენი „პროცენტით“ დაეცა იმ კრიზისულ წლებში მაღალი დონის სამწერლო პროდუქტის „გამოშვების“ მაჩვენებელი? ოცით? სამოცით?

მეტით?

ან, რამდენით გაიზარდა იგი დაცემის შემდეგ?

კრიზისი თავისით მთავრდება. მთავრდება, როგორც წესი, სწრაფად – ან სიკვდილითა და, ან, იმ იმედის გაჩენით, რომ დაცემული

„კაცი“ დღეს თუ ხვალ ისევ მოიკრებს ძალას და ფეხზე დადგება. დეპრესია ის ხანაა, როდესაც ეს იმედი ხან მატულობს და ხანაც მინელდება და როდესაც ამ იმედით შეპყრებ სხეულის თითოეულ გატოკებას, აანალიზებ მისი შინაგანი ძალების მდგომარეობას.

ხელის ჩაქნევამდე თუ მიხვალ, იქნებ, მტანჯველი სიცოცხლის გამახანგრძლივებელი ინექციებიც შეუწყვიტო.

ასეთი დეპრესია ნელი სიკვდილია.

ბუნების სურათი ავიღოთ. ფოთოლცვენაც კრიზისია, ზამთარი – სასიცოცხლო ძალების დათრგუნვა. ამ დროს ხეს, როგორც იტყვიან, სძინავს.

„ძილში“ იკაჟებს კვირტებს, გასულ წელსაც რომ ელოდნენ თავის დროს, ფოთლებქვეშ გალურსულნი.

მაგრამ, ვერც მას მერე გაიშლება ყველა კვირტი, თოვლი რომ დადნება ზედ, მერედა-მერე – ვერ გადაიქცევა ყლორტად და ტოტად. ზოგს ყინვა დააზრობს, ზოგს სხვა კვირტები წაართმევენ ძალას.

ან, უღონოდ გაიშლებიან, მოწყენით დაიწყებენ მზერას გალაღებული ყლორტების ჩრდილიდან.

მკითხველმა განსაჯოს, ჰგვანან თუ არა მათ ბოლო ათწლეულების ქართული მწერლობის საკუთარი ახალი „ყლორტები“ – რომელმა გაიბრწყინა ანა კალანდაძის, ლადო ასათიანის, ნოდარ დუმბაძის, ოთარ ჭილაძის, ჭაბუა ამირეჯიბისა და კიდევ რამდენის დარად, აღარაფერი რომ არ ვთქვათ უფრო ადრინდელ სახელებზე?

დროა მკურნალიო, იტყვიან. ამ შემთხვევაში უფრო მკვლელია, თუ მას, უბრალოდ, დაველოდეთ.

ხომ არ დაილია ქართული ნიჭი?

ხომ არ შეცდა გალაკტიონი ამ სტრიქონებში: „იმითომ ხდება რევოლუცია... გზაჯვარედინზე მყოფი პოეტი ახალ სიცოცხლით შეიქნას სავსე“? იქნებ წნეხქვეშ ბორგვა უფრო ზრდიდა მწერლურ სულს და წნეხის მოშორებამ საზრდო შემოაკლო?

მიზეზი უფრო ის უნდა იყოს, რომ ახალი „ყლორტები“ სხვებმა, უცხო ძირებიდან წამოსულებმა დაჩრდილეს და გახარების საშუალება არ მისცეს.

ეს უცხო „ყლორტებიც“ ბიოლოგიურად ქართველი მწერლებია და მათი თხზულებები, თორემ ბიოლოგიურად უცხოელები რას დაგვაკლებდნენ!

უცხოურმა ინტონაციამ იძალა მათ ფრაზებში. უცხოური ჟღერადობის წერილები მისწერეს დედას. უხერხულიცაა ემებო გენეტიკური ერთობა „ფშაველი ჯარისკაცის წერილთან“.

მომგებიანი გამოდგა უარი საკუთარ ფესვებზე: გაიყოლა უცხო ხილს დახარბებული მკითხველი.

ამან დააღონა ქართული მწერლობა.

შორსა ვარ აზრისაგან, თითქო ამ, ქართულ (გენეტიკურად ქართულ) მწერლობაში საინტერესო აღარაფერი იქმნება. ოღონდ, რაც იქმნება, ახალი აღმავლობის იმედს იძლევა ოდენ, მკითხველთა ნაკადს კი ისევ „იქით“ აქვს პირი. მისი შემობრუნება შეუძლია მხოლოდ პრინციპულად ახალ ხედვას, ისეთს, როგორსაც დრო ითხოვს და როგორც არ ჩანს.

შეიძლება მივიჩნიოს ვინმემ, როგორ არა ჩანსო, და „ახალი ქართველებისაკენ“ გაიშვიროს თითი: სწორედ იმათ აუბეს მხარი დროს, გადაახალისეს ჩვენი მწერლობა და მსოფლიო მერიდიანებზეც გავიდნენო!

თუნდაც! თუნდ რომ მართლა ბევრი რამ იყოს ფასეული მათ ნაწერებში, არის კი მათში რაიმე ქართული, ცარიელ სიტყვის გარდა?

რომ იყოს, მაშინ ვეღარც ასე ცივად დააწყებდნენ ეს ნაწერები ხან სადა და თბილი, „დაბინდული“ და ხანაც ნიაღვრისებრი ქართული „ფერების“ ფონზე.

ვეღარც უცხოურს დახარბებულსა თუ, უბრალოდ, უმწიფარ მკითხველს შეუძლიდნენ ხელს „ძველი ქალაქის“ მშვენიერების აღქმაში.

იმ აზრისა გახლავართ, რომ **ქართული მწერლობის არსებობას უშუალო საფრთხეს დღეს მისგან გაქცეულთა ნაკადის ზრდა უქმნის. იგი ამძიმებს დეპრესიას. თავის მხრივ, დეპრესია ამრავლებს გაქცეულებსა და გაქცევის მსურველთ.**

მათ ვერ შეაჩერებ ქვისა და ტალახის სროლით. ვერ მოაბრუნებ, წიწილებივით, შენი შემფოთებული ქოთქოთ-კუტკუტით. ვერ მოაბრუნებ მანამ, სანამ თვითონ ხარ

გზასაყარს შერჩენილი – სანამ მომავლისაკენ სავალ გზაზე მტკიცედ არ შევიდგამს ფეხი.

ვინც იცის, ტრადიციის ერთგული მწერლობა მომდგეს, გარედან მოსულხარ და ვერძობას ჩემულობო? ერთი ორღობიდან რომ გინდა ჭკუა გვარიგო, განა რა ძალას ძალუმს შეზღუდოს მწერლის ფანტაზია და თემატიკაო?

თადარიგს დავიჭერ და ცოტა გადავუხვევ წერილის მიზანს. ასეთი ძალა არც მე მეგულება, დროის, ეპოქის გარდა. არც მე არ მინდა სხვა არაფერი, გარდა თათბირისა, რას ითხოვს დრო, მათ შორის – რას ითხოვს მინდიას თემისაგან, სადაც მე აქეთ ველი სხვისა სასარგებლო საუბარს. ქართულ მწერლობას მისი რანგის თემები დღეს, ვფიქრობ, სულ სხვაგვარად, უფრო შორსმიმავალი მიზნებით სჭირდება, თორემ მკითხველის შემობრუნებას ხანმოკლე დროში იგი ეგებ უფრო იმ თემებით სჯობს შეეცადოს, რომელთაც ასე მიემალნენ „ახალი ქართველები“ თავიანთი მკითხველებითურთ.

მათ შორის – მაგალითისათვის ვიტყვი, – ინცესტის თემით.

ვფიქრობ, იგიც საჭიროებს თათბირს, რაკი მას ტრადიციის ერთგული მწერლობაც ხედავს და ხელს არ ჰკიდებს, კრიტიკა კი ლაფს ესერის მხოლოდ.

2. ინცესტი - ჩვენს მწერლობაში?

ტრადიციულ ქართულ მწერლობაში ეს თემა არ მეგულება. მაშ, მას არც დათა თუთამხიაზე აქვს ხელი, არც ამირანსა ან მინდიაზე.

„ახალქართულ“ მწერლობაში კი შემოაღწია. სწორედ ეს ფაქტი გვეუბნება, რომ არც „ძველებს“ აწყენდათ მიემართათ მისთვის. თემა თავად როდია „ცუდი“, ცუდი ან კარგი შეიძლება იყოს მისი ხედვა.

მისკენ წაბიძგება კრიტიკას შეუძლია, ოღონდ, ოდენ ლაფის სროლით ამას ვერ იზამ და ვერც მცდარ ხედვას მოურყევ ძირს.

„ახლებმა“ თემა წამზადებლობით შემოიტანეს და, ცხადია, ვერც ორიგინალურობის ნიშანწყალი შეჰმატეს მას.

შემოიტანეს „მავ-ყვითელი“ გზებით, რომლებიც ინცესტის ჩუმ ქადაგებას შეიცავს. თორემ, განა სოფოკლე ინცესტს ქადაგებს?

ყურმოკრული ფროიდოზმი ან მისი ცალკვინა გაგება ხელს უწყობს ამ თხზულებებზე

მკითხველის მიძალბებას, საბოლოოდ კი ძირს უთხრის ჩვენს ტრადიციას. ვინ იცის, რამდენმა გონებასუსტმა დედამ შეავლო „სხვაგვარი“ თვალი – თუნდ წამით – საკუთარ ვაჟს? ხოლო მცირეწლოვანი, თუ იგი საკუთარმა მშობელმა ან პედაგოგმა სწორად არ აღზარდა და ტრადიციის გაგებაში არ დააკვალიანა, დაუცველი რჩება თუნდაც ქუჩიდან შემოჟონილი „იდეის“ წინაშე (ტოტემის კულტის ხანაში, როდესაც ტოტემის წევრებს შორის სექსობრივი კავშირი იკრძალებოდა, უმეტესად სწორედ მცირეწლოვანი ხდებოდნენ სასაჯელის – უფრო, დასაჭურისების – მსხვერპლნი).

ამ ვირუსს ზნეობაზე მითითებით ვერ მოერევი.

უფრო საჭიროა იმის განმარტება, თუ რა საშიშროება ნაშენი ტრადიცია, რა ფსიქოლოგიურ, ეთიკურსა და სხვასა და სხვა ტრავმებს იწვევს მშობლის ფუნქციის მოშლა-გამრუდება, როგორ მოქმედებს შთამომავლობაზე არათუ ინცესტი, არამედ თუნდაც მემვიდე მუხლის ნათესავთან სისხლის შერევა.

თავიდათავი სწორედ ეს არის: ტაბუ ინცესტზე იმიტომ გახდა ცივილიზაციის მონაპოვარი, რომ ადამიანი ათასწლეულების მანძილზე უდარებდა სისხლით ნათესავთა შთამომავლობის სიჯანსაღეს, სილამაზესა და გონიერებას სხვა წევილთა შთამომავლობისას. და თუ ჩვენ, ქართველები, ამ მხრივ არავის ჩამოვრჩებით, ამაში ლომის წილი უთუოდ ჩვენს ტრადიციას უძევს, თუმცა ტრადიციის შემქნელს ვერ ექნებოდა ადამიანის სხეულის საიდუმლოს წვდომა. იგი მხოლოდ საიდუმლოების პროდუქტს – შთამომავლობას – უკვირდებოდა.

დღეს კი წვდომა გვაქვს: საიდუმლო ისაა, რომ ადამიანი, როგორც ბუნების ურთულესი მოვლენა, მით უფრო ძლიერია, გენების რაც უფრო მძაფრი ბრძოლის პროდუქტია იგი, ანუ რაც უფრო მდიდარია მისი საკუთარი გენეტიკური „ფონდი“ ერთმანეთისაგან განსხვავებული საწყისებით. როდესაც ეს საწყისები მსგავსია, მაშინ იზღუდება გენებს შორის არჩევანი (კლონის შემთხვევაში იგი ნულამდე დადის). სისტემა (ორგანიზმი) ადვილად მსხვერვადი ხდება.

განა ცუდი იქნება, მკითხველს ამ მოვლენის სიავე ვუჩვენოთ? განა საინტერესო არ იქნება, ტრადიციის ძირებთან ჩავიყვანოთ იგი, გავარკვიოთ, რამ წარმოშვა ეს ტრადიცია – იმან, რომ კაცი შეიძლება საკუთარ შვიდ თაობას მოესწროს, თუ გამოცდილებამ – იმის შედარებამ, რამდენად მედეგია ნათესავთა და სხვა წევილთა შთამომავლობა? ან იქნებ, ერთმაც და მეორემაც?

ორიოდ სიტყვა ბილწსიტყვაობაზე, რომელიც დღეს, სხვებთან ერთად, ინცესტის თემასაც უგვანოდ ემსახურება. იგი „მოდურობის“ (მიმბამველობის) პროდუქტიცაა და მწერლის ლექსიკის სიმწირის მაჩვენებელიც. სხვათა შორის, იდეური სიმწირისაც. ოღონდ, ხომ არ ვაჭარბებთ მის კრიტიკაში? საბჭოთა სამწერლო და ლექსიკოგრაფიული სივრცე სექსის ამსახველი ტერმინებისაგან ლამის მთლიანად იყო „განწმენდილი“ და უჩვევმა ყურმა იხამა ეს სიტყვები იქაც კი, სადაც ისინი არ არიან უადგილონი.

ძნელია ზუსტად განსაზღვრო, როდის, სად, რომელ ერთობასა (საზოგადოებასა) და რომელ ურთიერთობაში არის მათი ხმარების დრო და ადგილი, მაგრამ ტაბუ თუ არ ახსენი, ვაითუ სულხან-საბა ორბელიანიც ბილწსიტყვაობის მოყვარულთ მიაკუთვნო.

„სიტყვის კონას“ ხომ კონა იმიტომ ჰქვია, რომ მასში ყოველი საგნის ასახვა მოხდეს.

3. „დიდი ტალღა“

ქართული მწერლობის ბედზე საუბარი დღეს მართებული აღარაა გლობალიზაციის გვერდის ავლით.

გლობალურ სამყაროში ჩვენ ერთბაშად და მოულოდნელად შევრგეთ თავი, იქიდან კი, როგორც ზემოთაც ვნახეთ, მაღალ ფასეულობებზე მეტად ბევრი რამ მდაბიური და მანე მოგვასკდა ან განგებ შემოგვჩხირეს ცხვირში.

ეს რომ მხოლოდ ქართულ მწერლობას უქმნიდეს საფრთხეს, მაშინ უფრო დიდი იქნებოდა გადარჩენის იმედი. სინამდვილეში ყველაფერი ერთმანეთზე აკიდებული და უარყოფით სინერგიულ ეფექტს გვამლევს. ჩვენი ეკონომიკა, ჩვენი პოლიტიკა, მთლიანად ჩვენი კულტურა მზად არ აღმოჩნდა ახალ გარემოში იმგვარი ადაპტაციისათვის, რაგვარიც პერსპექტივაში თვითმყოფობას შეგვინარჩუნებს.

ქართული მწერლობისაგან ქართულად მწერი ნაწილის გაუცხოებაც ამის ერთ-ერთი შედეგია. ვინც არ „გაუცხოვდა“, ის დარჩა ზარალში, ისაა მღალადებელი უდაბნოსა შინა. ღიმილსაც იწვევს იმისას, ვინც „იუკადრისა თავგობა“ და ხედავს, რომ ფრთებიც ესხმება.

არწივის ფრთები გამოსხმოდეს! ამერიკელ, თუგინდ ბრაზილიერ მწერლად ქველიყოს! ესეც საამაყო იქნება ჩვენთვის.

ოღონდ, არა – ქართული მწერლობისთვის. მისი საქმე დამთავრდება, ყველა რომ ამ გზას გაუყვეს.

რისი ბრალი იქნება ეს? გლობალიზაციის?

არა! იმისი ბრალი იქნება, რომ ჩვენ ვერ მოვასწარით ან ვერ მოვახერხეთ გვეპასუხა მისი გამოწვევებისათვის.

გლობალიზაციას ნაგავი მოჰყვება, ოღონდ, თვითონ როდია ნაგავი! იგი განვითარებას აჩქარებს და მხოლოდ მაჩანჩალს ღუპავს. საოცრებათა გლობალურ სამყაროზე გამოჭრილი მელა ალისიას ნათქვამი: თუ გინდა, ადგილზე დარჩე, სწრაფად უნდა ირბინო!

ქართულ მწერლობას რაში არგია მისგან გაქცეულთა სირბილი. თვითონ უნდა გავიდეს „მერიდიანებზე“. იქ ჩნდება ყველაზე ნაყოფიერი „ზრდის წერტილები“, რომლებშიც კულტურები კვეთენ ერთმანეთს.

იქაა საძიებელი და მოსაპოვებელი უცხოელი მკითხველიც, რაკი მასზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი მწერლობის ბედი. მას ქართულ ძირზე მოსული ისეთი თხზულებები უნდა მივაწოდოთ – და ისე მივაწოდოთ, – რომ არათუ არ იუცხოოს ისინი, არამედ შეიგრძნოს მათთან საკუთარი ზოგადდამიანური სულის ნათესაობა და ამის მეშვეობით გააცნობიეროს ქართული საწყისის ღირებულება.

იქნებ, მისი უპირატესობაც დასავლურ ღირებულებებთან შედარებით.

ცხადია, ეს მხოლოდ პრინციპია, რომლის გამოყენებასაც ვცდილობ „მინდიაზე“ მუშაობისას და თუ მან მე არ გამიმართლა, იქნებ, სხვას წაადგეს. ამიტომ გამომაქვს სამსჯელოდ. უეჭველად კი მხოლოდ ის მიმაჩნია, რომ **დღევანდელი ყოფიდან გამოსავალი კულტურათა ურთიერთშეჭრის სფეროებშია საძიებელი.**

კულტურათა ურთიერთშეჭრა არ არის გლობალიზაციის პროდუქტი. პირიქით, გლობალიზაციაა იმის პროდუქტი, რომ კულტურათა, ცივილიზაციათა ურთიერთშეჭრას აქვს ამაჩქარებლის ჯადო-თვისება. ხოლო ყველაზე უფრო სასიკეთო ნაყოფს იგი მაშინ იძლევა, როდესაც მისგან შობილ პარადიგმებში ეროვნული საწყისი ინარჩუნებს ბატონობას.

განა რუსთაველი და შექსპირი არ არიან იმის სწორუპოვარი მაგალითები, თუ როგორ შეიძლება „ესე ამბავი სპარსული“ თუ იტალიური „ამბები“ საკუთარ ეროვნულ ქურაში გაატარო და კაცობრიულ სიმაღლეზე აიყვანო?

გლობალიზაცია მხოლოდ ამრავლებს კულტურათა შეხების წერტილებსა და ურთიერთშეჭრის შემთხვევებს.

ამით იგი მათი შეზრდა-შერწყმის საფრთხესაც შობს.

მხოლოდ საფრთხეს?

ან, რატომ არის იგი საფრთხე?

კულტურათა შერწყმასაც აქვს თავისი დადებითი ეფექტი: ორი ან მეტი კულტურისაგან შობილი ერთი მათზე უფრო მდიდარია და ძლიერი. ოღონდ, ეს ეფექტი ხანმოკლეა, რაკი შერწყმა ემტერება კაცობრიულ ღირებულებათაგან ერთ-ერთ უძვირფასესს – მრავალფეროვნებას. არადა, პოლიტიკა, რომელსაც ძლიერნი ამაქვეყნისანი ახორციელებენ, სწორედ აქეთ არის მიმართული. ძველად კულტურათა შერწყმა, ჩვეულებრივ, ერთი ხალხის მიერ მეორის დამონების შედეგად ხდებოდა. ფიზიკური ძალადობა დღეს ფინანსურსა და იდეოლოგიურს უთმობს ადგილს, ესენი კი საერთოადამიანურ იმპულსებზე, უწინარესად – მიმზამველობაზე თამაშობენ.

4. რუსთაველი თუ შექსპირი?

ფიქრადაც არა მაქვს, ამ ორი გენიოსის შედარებაში გავიყოლო მკითხველი. აქ ისინი მხოლოდ სიმბოლოებად მომყავს, ერთი – ქართული მწერლობისა, მეორე – ინგლისურისა... და მხოლოდ ინგლისურის კი არა, მსოფლიო მწერლობისაც, ისევე, როგორც დანტე, გოეთე და ა.შ. – თავთავიანთი ეროვნული და, ამავე დროს, მსოფლიო მწერლობისა.

... და მხოლოდ იმას ვიკითხავ, რატომ რუსთაველს არ ერგო ადგილი მსოფლიო მწერლობის სიმბოლოთა შორის?

რუსთაველზე არაა საუბარი: რატომ მოხდა, რომ ქართულმა მწერლობამ აქამდე ვერ მოიპოვა თავისი ღირსი საერთაშორისო აღიარება? (და რომ ვერ მოიპოვა, ამაზეც იყო საუბარი ბ-ნ ს. სიგუას მოხსენებაში).

რომ მოეპოვებინა, დღეს ეგებ არც მისგან გაქცევაზე სჭეროდათ თვალი ქართულად მწერთ.

მასასადამე, კითხვა შეიძლება ასეც დავსვათ: რატომ უცხოობს უცხოელი მკითხველი დიდ ქართულ მწერლობას და რატომ გაუზრბის დღეს ამ მწერლობას ქართველი მკითხველიც? (იმ მკითხველზე არ ვამბობ, რომელიც „სტუმარ-მასპინძელის“ მხატვრულ ღირებულებასა და თუნდაც მის ღრმა ფსიქოლოგიზმს უფრო მაღალ დონეზე აყენებს, ვიდრე თვით „რომეო და ჯულიეტასას“, ამინდს კი, სამწუხაროდ, ვეღარა ქმნის).

არაფერია იმაზე იოლი, რომ თითო მივაშვიროთ დიდი (დაწინაურებული) ერების დიდკაცურ დამოკიდებულებას „პატარა“ ერების კულტურის მიმართ. იიოლია ეს იმიტომ, რომ ძალის თავი მართლა აქა მარხია. ოღონდ, „ნამარხსაც“ ჩაუხედოთ, რომ შიშველი თითის მიშვრამ არ მიგვიყვანოს მცდარ და საზიანო დასკვნამდე.

იქნებ მწერლობაში – ჯერ არა, მაგრამ ზოგ სხვა სფეროში ეს უკვე იკვეთება. მეცნიერების ბევრ დარგში ხშირად გაიგონებ: „ვინ შეგიშვებს (წიგნის) ბაზარზე?“ „ვინ მიგიშვებს მკითხველთან?“ „ვინ დაგიგდებს ყურს?“ ამ ფონზე კი უფრო მეტად სწორედ იმათ იშოვებს დრო, ვინც მეცნიერება ხელოსნობად გაიხადა და არც ხელეწიფება სხვა არაფერი.

იქნებ მწერლობაში არა მეთქი, მაგრამ უიმედობიდან შემოქმედებით სიბერწემდე ყველგან ერთი ნაბოჯია.

წარსულის „ნამარხი“ ფურცლები კი ის არის, რომ შექსპირმა, დანტემ, გოეთემ, ჰომეროსმა, ბალზაკმა, დოსტოევსკიმ, ტოლსტოიმ „დაასწრეს“ „პატარა“ ერების დიდ მწერლებს სტერეოტიპების ჩამოყალიბება. ისინი გადაიქცნენ შემდგომი მსოფლიო მწერლობის ძირებად და მკითხველის მხატვრული აზროვნების მეტრად.

გადაიქცნენ დამატებით ფაქტორად, რომელიც შეეხიდა „დიდთა“ მიერ „პატარა“ კულტურების დიდკაცურ უგულვებლყოფას.

ვფიქრობ, სწორედ ამ ფონზე უცხოობს უცხოელი მკითხველი „ვეფხისტყაოსანსა“ და „გველის-მჭამელს“. ჩვენ კი უწინარესად მათზე ვართ აღზრდილნი, მათი გემო გვესმის და ისინი უფრო გვიყვარს კიდევ.

ოღონდ, ვინ – ჩვენ?!

როგორც კი „განიხვნა გზა“, ბევრმა ჩვენგანმა აქცია მათ ზურგი.

გასაკვირი არაა ამ უკიდურესობამდე გაპრაგმატებულ ცხოვრებაში. ოღონდ, პრაგმატიზმს ყოველთვის სიკეთე ხომ არ მოაქვს საზოგადოებისათვის...

5. „გველის-მჭამელი“ და „სტუმარ-მასპინძელი“

როკ-მუსიკის ტრფიალმა იქნებ წაუთვლიმოს კიდევ „ურმულს“ მოწყენისაგან. ვერც ცეკვა „ქართულის“ ეშხი შეიგრძნოს.

„კინტაურმა“ კი ხასიათზე მოიყვანოს.

საოცარი ცეკვაა „კინტაური“. წმინდა ქართული ცეკვაა, აზიურ-ქართული ხიბლით.

მეფე კი „ქართულია“.

აზიური არაფერი სცხია.

ის ბატონობს სხვა ქართულ ცეკვებზე, ბატონობს თვით ამ ცეკვებში, „კინტაურში“.

უცხოური შტრიხებით „ქართულის“ მორთვა შეუძლებელია, შეუძლებელის მცდელობა ანუ მისი სიწმინდის ხელყოფა – მკრეხელობა.

მის სიდიადეს უცხოელი მას შემდეგ თუ შეიგრძნობს, რაც სხვა ქართულ ცეკვებს შეიყვარებს. შეყვარებას ეგებ ამ სხვების მოდერნიზაციამაც შეუწყოს ხელი.

ეგებ – იმპროვიზაციამაც მათი და უცხოური ცეკვებისაგან „ჰიბრიდების“ გამოყვანის საქმეში, ოღონდ – თუ ეს ფრთხილად და გონივრულად მოხდა, თუ მან თვით ამ („სხვა“) ცეკვების, როგორც საწყისების, სიმინდევ შეინახა.

ეს პროცესი ჩვენს თვალწინ ხდება კიდევ, ხან ნიჭიერადა და ხანაც – უნიჭოდ. როცა – ნიჭიერად, მაშინ „ქართულიც“ განავრცობს თავისი ბატონობის სივრცეს.

„გველის-მჭამელი“ ისეთივე თვალშეუდგამი მწვერვალია, როგორც „ქართული“. განსხვავებას მხოლოდ იმაში ვხედავ, რომ

„ქართული“ ქართულ ცეკვებში ბატონობს, „გველის-მჭამელის“ საბრძანებელი კი უფრო ვიწროა: იგი ბატონობს მინდიას ქართული მოდელის (პარადიგმის) ფარგლებში ისევე, როგორც გოეთეს „ფაუსტი“ – დასავლური ფაუსტური პარადიგმის ფარგლებში.

სახელდობრ, „გველის-მჭამელის“ პარადიგმა იმორჩილებს მინდიას ხალხური თქმულებისას, გრიგოლ რობაქიძის „ლამარასას“ და კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდიასას“ ისევე, როგორც გოეთეს „ფაუსტის“ პარადიგმა – დასავლური ფაუსტური თქმულებისას („ხალხური წიგნისას“), თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსისას“ და სხვა დასავლური ფაუსტური თხზულებებისას.

„გველის-მჭამელს“ უცხოელი მკითხველი ვერ გაიხდის საკითხავ წიგნად, რადგან ეს მწვერვალი ამოზიდა მისთვის უცხო, მხოლოდ ქართული მიწით ნასაზრდოვებმა სულმა – განსაკუთრებულმა ქართულმა ცნობიერებამ. ან, იქნებ, გაიხდის მას შემდეგ, რაც შეიყვარებს აზიურ-ქართული თუ ევროპულ-ქართული ხიბლის მატარებელ სხვა მინდიას, რომელშიც იგი თავის მონათესავე სულს შეიგრძნობს.

ასეთი მინდია ჯერჯერობით არ არსებობს. რობაქიძემ და გამსახურდიამ მხოლოდ ცალკეული ევროპული შტრიხები შეჰმატეს მას, პარადიგმა კი ვაჟასეული დარჩა (საუბარია მინდიას სახეზე, თორემ რობაქიძის „ლამარას“ მიზანი და სტრუქტურა, ცხადია, სრულიად განსხვავებულია).

განა ფართო ქართველი მკითხველისათვის კი არის ქცეული „გველის-მჭამელი“ საკითხავ თხზულებად? რამდენი ძალისხმევა სჭირდება პედაგოგს მოსწავლის აზრისა და გულის „მოსანადირებლად“, რომ მას მინდიას სამყარო და სულიერი ტკივილი შეაგრძნობინოს?! მოსწავლეთა დიდი წილი ხომ თავიდან მზიას მხარეს იქერს – მისი (ცხოვრების) მოთხოვა უფრო ესმის.

ეს იმიტომ კი არ არის ძნელი, რომ მინდია ხეს არა ჭრის და ცხოველს არა კლავს, რომ მისი ცხოვრების წესი ჩვეულებრივისაგან განსხვავდება (არც თვით ვაჟას ცხოვრების წესი ჰგავდა მინდიასეულს), – არამედ იმიტომ, რომ განსხვავებულია ვაჟა-მინდიასეული მსოფლხედვა. ბუნების გასულიერება მხო-

ლოდ ხერხია, რომელიც ამ „სულიერის“ ენის მცოდნე, მისნად ქცეულ გმირს გამორჩეულად სასარგებლოსაცა ხდის სხვა ადამიანებისათვის და გაუგებარსა და უცხოსაც.

„გველის-მჭამელის“ ლაიტმოტივი სწორედ ეს არის – მას ემორჩილება „გლეხის გამეცნიერების“ საწყისი მოტივი. მას მიჰყავს გმირი ცოდნისა და უნარის დაკარგვამდე (მაშინ, როდესაც ხალხური მინდიას ერთ ვარიანტში იგი აქამდე მიჰყავს გაამპარტავნებას).

სწორედ ამიტომ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ფართო მკითხველის მონადირებას – სკოლაში თუ სხვაგან „გველის-მჭამელის“ სწავლებას: შემსწავლელს იგი ამდიდრებს თუნდაც იმის გაგებით, რომ სამყაროს საოცარი, სხვებისათვის ეგებ გაუგებარი აღქმის მატარებელ ადამიანებს მოფრთხილება სჭირდებათ.

მამასადამე, იგი ადამიანთა ურთიერთობის გაჯანსაღების პირობაცაა.

ოლონდ, „მონადირე“ (პედაგოგი, მშობელი, მეგობარი) თვითონ უნდა იყოს თხზულების სულისა და ხიბლის მცნობი.

ვისთვისაც „გველის-მჭამელი“ საკითხავ თხზულებად არის ქცეული, ეგებ არც იმას მოესურვოს ამ თხზულების თავიდან და თავიდან გადაკითხვა უფრო ხშირად, ვიდრე მისთვის საყვარელი სხვა თხზულებისა. მაგრამ, მეფე ხომ იმის მეფეა, რომელიც ყოველთვის „იგრძნობს“ იმის მიუხედავად, რამდენჯერ დაგვინახავს.

შეიძლება, ეს უფრო სუბიექტური, პიროვნული აღქმაა, რაკი „სტუმარ-მასპინლის“ გადაკითხვა უფრო მეხალისება, მინდიას თემა კი თანა მდევს. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ცნობილი მკვლევრის გრიგოლ კიკნაძის დაკვირვებით კი, პირიქითაა: „გველის-მჭამელს“ უფრო ხშირად კითხულობენ, მაგრამ „სტუმარ-მასპინძელზე“ უარესად იციან.

ავტორი დიდი სიფაქიზით განმარტავს: ეს იმიტომ არის ასე, რომ „გველის-მჭამელი“ ადამიანის ბუნებაში ღრმად მდებარე ინტიმური ვითარების გადაშლას ახდენს, რაც სიტყვას ყოველთვის არ ექვემდებარება, რაც ადამიანის ჩვეულებრივი მეტყველების ძალას აღემატება და მას გაურბის; „სტუმარ-მასპინძელი“ კი მეტ ხელმისაწვდომ ამბებს შლის, ამბებს,

რომელთაც ჩვეულებრივი ადამიანის ლექსი-კონი უფრო ერევა.

ავტორი დასკვნის, ამიტომაც, რომ „გველის-მჭამელის“ გათვალისწინება უფრო მეტად მის ხელახლა წაკითხვას მოითხოვს, ხოლო „სტუმარ-მასპინძლის“ გათვალისწინება შედარებით უფრო მეტადაა შესაძლებელი წაკითხულის მოგონებით (გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, გვ. 162).

მართლაც, ვაჟასეული მინდიას ბუნება იმდენად ღრმა და ფაქიზია, რომ სანამ მასზე საუბარს დაიწყებ, მისი ნიუანსები უნდა გაიხსენო. „სტუმარ-მასპინძლის“ მთავარი გმირი კი უბრალოდ გმირია, ვაჟაცაცა და მისი ბუნების წვდომა არავითარ საიდუმლოს გახსნას არ საჭიროებს. ღრმა ფსიქოლოგიზმით ამ პოემაში უფრო ჯოჯოლასა და აღაზას სახეებია აღბეჭდილი და ეს სახეები თხზულებაში, როგორც გრ. კიკნაძეც შენიშნავს, მომხდარი ამბების ფონზეა აღწერილი იმ დროს, როდესაც „გველის-მჭამელი“ ამბებით არ არის დატვირთული. ყოველი ამბავი, ყოველი პირის მოქმედება აქ მხოლოდ და მხოლოდ გარემოს უქმნის გმირს და მისი ბუნების გახსნას ემსახურება.

ამბებით „სტუმარ-მასპინძლის“ უფრო მეტი დატვირთვა სულაც არ აყენებს მას „გველის-მჭამელზე“ უკან. მხატვრულ ნაწარმოებს ხომ დასკვნამდე მკითხველი მიჰყავს უფრო მეტად ამბების თხრობით, იმ ხაზით, რომელიც მასში ტენდენციის სახით არის ჩადებული და განვითარებული.

ეს უთუოდ არის იმის ერთ-ერთი პირობა, რომ „სტუმარ-მასპინძელი“ უფრო მიიღო უცხოურმა აუდიტორიამ. მთავარი პირობა – მთავარი მიზეზი – კი ის არის, რომ მისი ეროვნული, ქართული „გარსი“ უფრო მეტად აჩენს საერთოკაცობრიულ პრობლემებს – ადამიანური ღირსების გრძნობისა თუ სქესთა დამოკიდებულების სიღრმისეულ შრეებს და სხვასა და სხვას, განსაკუთრებით კი, პიროვნების უფლებებთან, მათ შორის კერძო საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ პრობლემებს, რაზეც დღეს ყველასა და მათ შორის კაზმული სიტყვის ტრფიალს ყური აქვს დაცქვეტილი.

ჩვენ მივადექით მთავარ საკითხს, რომლითაც დავიწყეთ და რომელსაც აქამდე მხო-

ლოდ გარს ვუტრიალეთ: როგორ შეიძლება განახლდეს მინდიას მოდელი იმისათვის, რომ იგი უფრო მეტად მიესადაგოს დროის მოთხოვნებს.

6. საჭიროა თუ არა ახალი მოდელი?

გოეთე როკოკოა!..

ასეთი მკაცრი განაჩენი გამოუტანა გენიოსს საკუთარმა შვილმა.

გოეთე დღესაც გოეთედ, მიუწვდომელ მწვერვალად დარჩა, მაგრამ შვილის სიტყვებში მაინც არის ჭკმარტივება: აღარც არქიტექტორები მუშაობენ ძველი პროექტებით და აღარც – მწერლები ძველი პარადიგმებით.

გოეთე იმ დროს აღმოჩნდა ზენიტში, როდესაც მწერლობაში დრო ახალ მიმდინარეობებს ამწიფებდა და შობდა კიდევ.

ენა არ მომიბრუნდება ვაჟაზე იგივე ვთქვა. არ ვიცი, იმიტომ, რომ იგი უფრო გვიან გაჩნდა თუ იმიტომ, რომ დღეს მას იმდროინდელზე გაცილებით მეტი მკითხველი ჰყავს და რომ ვერც ბოლო მიმეც ოცნებულმა დააკლო რაიმე მის სახელს (ან, იქნება, ჩემში, უბრალოდ, მიკერძობამ იძალა?).

ოღონდ დიდებული „ალუდა ქეთელაური“ დღეს მას ეგებ მაინც სხვაგვარად დაეწერა, თუნდაც რომ სამოქმედო დრო და გარემო იგივე აეღო.

სხვაგვარად ვერ დაწერდა „გველის-მჭამელს!“ ამის საშუალებას არ მისცემდა პარადიგმა, რომლის ფარგლებში ვაჟა თავის სტიქიაშია. იგი ხომ ბუნების უბრალო მესაიდუმლე არ არის!

იგი ბუნების „ენის“ მცოდნეა.

ზვავად იგი „შვლის ნუკრის ნაამბობით“ მოვიდა ქართულ მწერლობაში და „გველის-მჭამელით“ დაადგა გვირგვინი ბუნებასთან თავის საუბარს – მინდიას პოეტური სახე შექმნა სახედ თვისად.

მაგრამ, მინდიას თემა ამოუწურავია და ამის მაგალითებია რობაქიძის „ლამარა“ და გამსახურდიას „ხოგაის მინდია“.

მოკლედ გავიმეორებ ზემოთ უკვე თქმულს: „გველის-მჭამელს“ გამგები და დამფასებელი მხოლოდ მოუმრავლდება მას შემდეგ, რაც შეიქმნება მინდიას ახალი, თანამედროვე მკითხველის სწრაფვებთან უფრო მიახლოებული მოდელი.

მას ვერ მივიღებთ ძველის უბრალო „გამდიდრების“ გზით: გზა მწვერვალს ზემოთ ვეღარ წავა.

კრიზისი, ჩვენს შემთხვევაში – მწერლობისა, სწორედ იქ იწყება, სადაც „ზემოთ“ მიმავალი გზა წყდება.

სადაც ძველის განმეორებაა შეუძლებელი და ამიტომ უაზროც.

საიდანაც ახალი მოდელის შეუქმნელად ვერ დაიბრუნები.

რობაქიძე და გამსახურდია მხოლოდ დაიბრუნენ ძველი მწვერვალიდან ახლისაკენ გზის საძიებლად.

მწვერვალების ხსენებას ქედმაღლობად ნუ ჩამომართმევ, მკითხველო! იმითაც ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ პარადიგმაზე ჩემი საუბარი და ჩემეული შტრიხები მიწიას რაიმეში წაადგება სამომავლო გზაზე.

პარადიგმა ხომ ჩარჩო-სტრუქტურაა მხოლოდ. მისი შეცვლის შესაძლებლობებიც უსასრულოა და შეცვლილი პარადიგმის გამოყენების შესაძლებლობებიც (თხზულებაზე მუშაობისას მე მის მხოლოდ ერთ კონსტრუქციას ვრანდავ და იმედი მაქვს, ამ პროცესში მომისწრებს მკითხველის აზრი).

საჭიროდ მიმაჩნია შევნიშნო: ქვემოთ განვავრცობ ზოგ ისეთ კონცეფციურ დებულებას, რომლის თანამოაზრენი და თანაავტორებიც არიან ჩემი „მინდიას“ წინათქმაში გადმოცემული საუბრის მონაწილეები.

7. მოდელის წარმომქმნელი ორი საწყისი

ფაუსტური თხზულებებისთვის საერთოა ორი არსებითი ნიშანი: ერთი – ის, რომ ისინი ეხებიან ადამიანის უმაღლესსა და საბოლოო დანიშნულებას – სამყაროს შემეცნებას, მაშასადამე, ადამიანის არსსაც, მეორე კი – ის, რომ გმირს ცოდნის ოკეანეთის დაუფლების ძალა ეძლევა გარედან და ეს ძალა სასწაულებრივად შემოიჭრება მის ცხოვრებაში. ეს ორი მომენტი არის ფაუსტური მოდელების ორი საწყისი. პირველი წარმოგვიდგება მოდელის არხედ – და იმ ნიადაგადა თუ იმ მდედრად, რომელიც განაყოფიერებას ელის, – მეორე კი განაყოფიერების მისიის მატარებელია.

ადამიანი გარდაქმნის ბუნებას ანუ განაყოფიერებელი მისია მას თვითონ აკისრია ბუნებასთან ურთიერთობაში, მაგრამ ჩვენს

შემთხვევაში ამ ურთიერთობას კი არ ეხება საქმე, არამედ სინამდვილის სხვა სფეროს – სხვა სიბრტყეს – აზროვნებას, შემეცნებას.

უფრო ზუსტად კი – ამ სფეროს უმაღლეს შრეს – შეუმეცნებელი სამყაროს მთლიანობით შემეცნებას.

რა გვიბიძგებს მისკენ? მომხმარებლური ინტერესი? აქ იგი ფერმკრთალდება, უკან იხევს (ვეღარ მნიშვნელობს), რაღაც ისეთ ძალას უთმობს ადგილს, რომელიც თვითონ უფრო მეტად არის შეუმეცნებელი: იგი ბუნებაშიცაა და მის მიღმაცა დგას.

აქამომდელი ფაუსტური თხზულებები ამ ორი უცნობის საკუთარ მოდელებს გვთავაზობენ.

მხოლოდ ამ ორი საწყისის ერთიანობა განასხვავებს ფაუსტურ ჟანრს სხვათაგან, თორემ, განა მათი ცალკეული ელემენტები გაბნეული არაა მთელ მხატვრულ ლიტერატურასა და მთელ ხელოვნებაში?

და ხელოვნება მთლიანად სინამდვილის შემეცნებას არ ემსახურება?

განა ეს მსახურება არ არის გამოკვეთით ასახული უკვე უძველესი, შუამდინარეული ლიტერატურული ძეგლის, „გილგამეშის ეპოსის“ საკუთარ სათაურში „რომელმან სიღრმე იხილა“?

ან, განა ელდარ შენგელიას ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ იუმორით გამსუბუქებული და ერთ ოპტიმისტურ წამზე გაწყვეტილი თხრობა არ არის შემოქმედის ტრაგედიისა?

ამიტომ უსასრულო იქნებოდა იმის კვლევა, რა შეიძლება აიღოს მინდიას ახალმა მოდელმა აქამომდელი ფაუსტური ხედვებისაგან. ცოტათი მაინც რომ გავიმარტივოთ საქმე, შემოვიფარგლოთ საკუთრივ ფაუსტური ორი მოდელით, რომლებიც სრულყოფამდე ვაჟამ და გოეთემ აიყვანეს.

განსხვავებულია ისინი ორივე საწყისის ხედვაში: პირველი, იმაში, რა ბუნებისაა ცოდნა და, მეორე, იმაში, რა ბუნებისაა გარე ძალა, რომელსაც გმირი ახალ სამყაროში გადაჰყავს, როგორ გადაჰყავს იგი იქ, რა ბედი ეწევა, შედეგად, ამ გმირსა და სხვა პერსონაჟებს და ა.შ.

მივადევნოთ თვალი განსხვავებებს ორი საწყისისა და მათი ერთიანობის გაგებაში. მათგან მთავარი (ცენტრალური) მეორეა, მაგ-

რამ ჯერჯერობით უფრო პირველზე ვისაუბრობ.

8. არხე

ადამიანის არსს ვერ შეცვლის ის, მოიაზრებს თუ არა იგი მასში შემეცნებისაკენ სწრაფვას ან რამდენი კაცი მოიაზრებს – ბევრი, ცოტა თუ სულაც არავინ.

ეს სწრაფვა უწინარესად ქვეცნობიერში ძეგს.

მას მუდამ ემსახურებოდა და ემსახურება გამრავლებისა და აღზრდის, შექმნილი ცოდნის გადაცემისა და – ზოგადად – მისი გაცემის ინსტინქტი.

ყოველი ადამიანი „წამსვლელია“, იგი წავა და სხვა მოვა სწორედ იმიტომ, რომ ცოდნის სტერეოტიპები ადრე თუ გვიან უუხეშებენ მას აზროვნებას, უქვეითებენ მას ძველ ცოდნასთან ახლის მიერთების, ძველზე ახლის „დაშენების“ უნარს და ზედმეტ ბარგად აქცევენ მას სამყაროს წვდომის გზაზე.

ვინ იცის, მკითხველო, მთლად ასეც არ არის.

აქ მე ჯერ მოდელზე კი არა, მოდელით გელაპარაკები. იმ მოდელით, რომელიც ყველაზე უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია.

იგი მხოლოდ გამოკვეთით, იქნებ – ჰიპერბოლიზებულიად, გვიჩვენებს შემეცნების მნიშვნელობას ადამიანისა და შემეცნების მიმართებაში, თორემ თვით მნიშვნელობას ვინ გახდის სადაოს?!

ეს მნიშვნელობა ადამიანმა ისტორიის რომელიდაც საფეხურზე გააცნობიერა და თქმულებაში ასახა.

გააცნობიერა ღმერთთან მოსაუბრე კაცმა.

ეს, ღმერთმა ჩადო ჩვენს არსებაში ცოდნისაკენ სწრაფვა და, ერთხელაც, ჩათვალა, რომ დროა ადამიანი ახალ საფეხურზე აიყვანოს – დროა ამ ადამიანმა გააცნობიეროს თავისი დანიშნულება.

უმისოდ ხალხი ვერც ამ თქმულებას შექმნიდა.

„კეკელა და მაროს“ თუ შესწავდებოდა.

(ნოდარ დუმბაძეს დავესესხე – იგიც მსგავს ვარაუდს გამოთქვამს).

მაღალი აღმოჩნდა ისტორიის კიბის ეს საფეხური: ცოტამ ააბიჯა მასზე, ზოგი ძლივს აფოფხდა, ბევრს კი მისთვის თვალი თუ

შეუვლია მხოლოდ, ქვემოდან, ერთიორჯერ, და – ჩვეულ ცხოვრებას დაჰბრუნებია.

ცოდნა კვლავაც ოდენ ცხოვრების მოწყობის საშუალება ჰგონებია – ცხოვრებით ტკბობის საშუალება. არც ჩაფიქრებულა მის თავისთავად ღირებულებაზე.

საშუალებაც არის. ჯერაც უფრო მეტად საშუალებად გვემსახურება და უწინ და უწინ ხომ ასე იყო და იყო. მაგრამ მიზანი და საშუალება ერთმანეთს ადგილს გამუდმებით უცვლიდნენ და უცვლიან.

მთავარი ის არის, რომელი ბატონობს „მიზან-საშუალების“ მოდელში.

მეცნიერება ამბობს, რომ უკვე დაგვიდგა ცოდნის ეპოქა – რომ უკვე ინფორმაციულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ.

მაშ, ინფორმაციით ვცოცხლობთ კიდევ.

ცოდნით ვტკბებით. და ჯერაც კარგად ვერ გაგვიცნობიერებია, რომ ეს ტკბობა ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი განცდაა. უმაღლესი ადამიანური განცდა!

ვინც „იმ“ საფეხურზე თამამად ააბიჯა, ეს განცდა ამჯობინა სიმდიდრეს, „შაჰის ტახტსა“ და, ზოგმა, სიცოცხლესაც კი.

მათი მაგალითებით მედროვეს ვერ შეაგრძნობინებ შემეცნებისა და ცოდნის ხიბლს – მის თავისთავად ღირებულებას. შენს ქადაგებას ის ბუნდად თუ გაიგებს, ხელს ჩაიქნევს და იტყვის, მე ხომ „ის“ არა ვარ, ყველას თავისი გზა აქვსო – და წავა იმავე გზით.

ქადაგებას ისეთმა თხოულებებმა უნდა გაუმაგრონ ზურგი, რომლებშიც მკითხველი თვითონ შეიგრძნობს ცოდნის, შემეცნების ხიბლს. შეიგრძნობს, რომ **ცოდნა ამჟამად და ამდღეს, უფრო ადამიანურს ხდის – „პურიტ“ ტკბობასა და თვით სიცოცხლის განცდას.**

ამ ხაზს „გველის-მჭამელში“ უფრო შეიგრძნობს მკითხველი, ვიდრე „ფაუსტში“. მინდია მხოლოდ კი არ ეუფლება ცოდნას, არამედ საკუთარ არსებობას განიცდის მის მიერ შეცნობილ ბუნებასთან ერთიანობაში. სწორედ ამიტომ გადაიქცევა მისთვის ტრაგედიადა ამ ცოდნის დაკარგვა.

ცოდნის განცდა მას მომავლის ადამიანად ხდის, რეალურ, ამ კუთხით – არამითიურ ადამიანად, რომლის მსგავსნი წარსულშიც მოიძევიან.

კიდევ უფრო მეტი სამომავლო მნიშვნელობა იმ პასაჟებს აქვს, სადაც „გველის-მჭამელის“ სხვა პერსონაჟებიც შეიგრძნობენ გმირის ცოდნის სიდიადესა და ხიზლს და, მასადამე, თვით გმირის ხიზლსაც. თუმცა სხვადასხვანაირად აფასებენ მათ.

ამ მხრივ ვაჟას გვერდით უდგანან რობაქიძე და გამსახურდია, რომლებმაც შეისისხლხორცეს, „გაითავისეს“ „გველის-მჭამელის“ იდეები.

ფაუსტიც აცხადებს, რომ შეიგრძნობს მის მიერ შეცნობილ საიდუმლოს. ყველაზე მეტად, ამას აკეთებს მონოლოგში, რომელსაც იგი ტყეში, გამოქვაბულში წარმოთქვამს. ოღონდ, დეკლარირებული შეგრძნება გარე მოტივად, უცხო სხეულად გამოიყურება სხვა ამბებითა და აზრებით – ჭეშმარიტად ბრძნული აზრებით – „დახუნძლულ“ თხზულებაში.

ასეთი შეგრძნება ვერ გადაეცემა სხვა პერსონაჟებს. მარგარიტა მხოლოდ აღტაცებაში მოჰყავს ფაუსტის ყოვლისმცოდნეობას, აღტაცება კი გარე განცდაა და არა – თანაზიარობა.

მსგავსი პასაჟები არც არის ფაუსტური ჟანრის კუთვნილება, ისინი ხშირია სხვა თხზულებებში (ჩეხოვთან, სტენდალთან...).

საჭიროა თუ არა თვით „მარგარიტა“ (გმირის არსების შემძვრელი სიყვარული) მინდიას ახალ პარადიგმაში?

9. სიცოცხლით ტკბობა და პარადიგმის ფარგლები

პარადიგმა ითხოვს, მის ჩარჩოში ჩასტიო თხზულება. გაცდები მას და – თხზულება გადატვირთული, ულოგიკო გამოვა.

გოეთესეული პარადიგმა ფართოა და მრავალ თემას იტევს, უპირველესად – გმირის სწრაფვას სიცოცხლით ტკბობისაკენ და მას უფრო მეტ ადგილსაც უთმობს, ვიდრე ცოდნისაკენ სწრაფვას.

ვაჟასეულ ჩარჩო-სტრუქტურაში მას ადგილი ვერ ექნება. მისი „ჩამატება“ მხოლოდ დაამძარბებდა პარადიგმას. გმირი აქ უწინარესად საკუთარ ოჯახთან, მის ცხოვრებისეულ საჭიროებებთან მოექცა წინააღმდეგობაში, ამით კი, ცხადია, სიცოცხლით ტკბობასთანაც, იგივე ცოდნის განცდას ამჯობინებდა „შაჰის ტახტს“.

რობაქიძემ და გამსახურდიამ შეძლეს პარადიგმის მცირეოდენი მოდიფიკაცია, მცირეოდენი გაფართოება – მინდიას ქისტი ქალი შეაყვარეს, ამით გაამძაფრეს სიუჟეტი, მაგრამ სიცოცხლით ტკბობა მაინც ვერ შეაწყვილეს ცოდნით ტკბობასთან როგორც მისი „სწორ-ფერი“, რადგან მოდელი ძირითადად მაინც ვაჟასეული დარჩა.

ცოდნისა და სიცოცხლით ტკბობის განცდები და მათკენ სწრაფვები წინააღმდეგოვან ერთიანობაში იმყოფებიან. მათი დაპირისპირება „ფაუსტში“ უკვე გმირის გამოჩენამდე ჩანს – პროლოგში – უფალსა და მეფის-ტოფელს შორის ცაში გამართული ბაასიდან, სადაც უფალი ფაუსტს, მისი სიცოცხლის ვადით, გამოსაცდელად თმობს იმ რწმენით, რომ საბოლოოდ იგი მაინც შედგება ჭეშმარიტ გზაზე. შემდეგ კი სიუჟეტის განვითარება მეტ-ნაკლებად აჩენს იმავე განცდებისა და სწრაფვების ერთიანობასაც – მათ ურთიერთგადასვლასა და მათ სინერგიულ ეფექტსაც, ტკბობისაკენ სწრაფვის მძლავრ უკუშემოქმედებას გმირის ცნობიერებაზე, თუმცა ეს სწრაფვა ვეღარა ზრდის მისი ცოდნის ფარგლებს, რაკი ცოდნას იგი, თხზულების მიხედვით, უკვე მთლიანად არის დაუფლებული.

მიზანთა უნივერსალურობა ართულებს „ფაუსტის“ სტრუქტურას. როცა გმირის მიერ სიკვდილის წინ წარმოთქმულ საოცარ სიტყვებს – „შეჩერდი, წამოს“ – კითხულობ და გაგახსენდება, რატომ ინატრა მან მეფისტოფელთან თავდაპირველი საუბრისას ამ სიტყვებით სიკვდილი, უთუოდ გაგიჭირდება, ისა და ეს ნატვრა დაუკავშირო ერთმანეთს ლოგიკური კავშირით – გაიაზრო, როგორ მოხდა გმირის ბუნების ტრანსფორმაცია.

„გველის-მჭამელის“ პარადიგმის უპირატესობაა, რომ ვაჟას მან საშუალება მისცა გამოხლოებული იდეა ამომწურავად განეცთარებინა. მეორე მხრივ, ამ მიზეზითაა იგი შედარებით შეზღუდული.

ერთი კუთხით დავაკონკრეტებ ორჯერ უკვე თქმულს: ვვიქრობ, „გველის-მჭამელს“ თანამედროვე ფართო მკითხველი საკითხავ წიგნად გაიხდის მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიიღებს ვაჟასეული იდეით ნასაზრდოვ, ოღონდ, უფრო ფართო მოდელზე აგებულ თხზულებას, რომელშიც სიცოცხლით ტკბო-

ბისა და ცოდნისაკენ სწრაფვები ერთიანობაში იქნება წარმოდგენილი.

ვგიქრობ, მან ისიც უნდა უჩვენოს მკითხველს, რომ ადამიანი სულაც არ მოდის ქვეყნად საკუთარი სიამოვნებისათვის, თუმცა სიამოვნება უთუოდ არის მიზანი – უნდა უჩვენოს ცოდნისაკენ სწრაფვის მაგალითზე, რაკი აქ უფრო ჩანს, რომ იგი, მთლიანობაში, საწვალელებელ-სატანჯველს უფრო უმრავლებს ადამიანს, ვიდრე სასიამოვნოს. უფრო ჩანს იმიტომ, რომ შედეგს ეს სწრაფვა და ეს წვალელება მოგვიანებით იძლევა, თუ საერთოდ მოგვცა.

სამაგიეროდ, თუ მოგვცა და თუ ეს შედეგი საცნაური გახდა ადამიანებისათვის, თავიანთ გმირს ისინი ისეთი შარავანდედით შემოსავენ, უმაღლესი ძალაუფლებისა და სიმდიდრის მფლობელთაც შემოურდებათ.

ცოდნის ეპოქა სულ უფრო ამრავლებს ბედის ამ ნებიერთ, თუმცა, ამრავლებს ბედისგან „დაბრეცვებულსაც“. მწერლობის ყურადღების ცენტრში ამან მოაქცია შემოქმედი. მეფის კარის ინტრიგებიდან, რომლებიც მასში ბოლო საუკუნეებამდე ბატონობდნენ, და შემდეგ კი – სიმდიდრისათვის გამართული უსასტიკესი ბრძოლებიდან, აქცენტები თანდათანობით გადადის შემოქმედი ადამიანის ბედზე.

ვგიქრობ, უფრო მეტადაც გადავა.

10. პარადიგმის ფარგლები: ცოდნის ბუნება და წარმომავლობა

გოეთეს შემოქმედებითი ცხოვრება ინდუსტრიული გადატრიალების ეპოქას დაემთხვა. პოეტი მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

მისი „ფაუსტი“ მისი შემოქმედების მწვერვალად იქცა, თვით იგი – გერმანული მწერლობის მწვერვალად, ხოლო გერმანია – მსოფლიო ლიდერად როგორც მწერლობის, ისე ფილოსოფიური და, საერთოდ, მეცნიერული აზრის სფეროში.

რუსეთმა საუკუნის შემდეგ დაიწყო კავის ეპოქიდან გამოსვლა და ინდუსტრიით სუნთქვა.

ცხადია, საქართველომაც.

მიწის, ტყის, პირუტყვის სუნს ინდუსტრიის „სურნელი“ ჯერ არ დაჰკარგავდა.

იმას როდი ვამბობ, რომ გარემომ განსაზღვრა პარადიგმების სხვაობა.

გავლენა კი იქნებ მოახდინა მასზე.

გოეთე თვითონ ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას და ცოდნისაკენ სწრაფვა იმთავითვე „ჩადო“ გმირის ბუნებაში.

მისი ფაუსტი იმთავითვეა მეცნიერი.

ვაჟას მინდია უბრალო გლეხია. იგი შემთხვევამ „გამეცნიერა“.

ვაჟასეულ მოდელში მინდიას ადრინდელი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ადგილი არ არის. ეს მოდელი უამისოდაც მხოლოდ მშვენიერი კი არა, ფილოსოფიურად უხინჯო მოდელია. იქნება სწორედ რომ უამისოდ.

ვცადოთ ახსნა.

თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე ადამიანი დღენიადაც უშუალოდ ბუნებას ესაუბრებოდა (ბუნება იყო მისი საქმიანობის ძირითადი საგანი), მისი ენის ჩაწვდომას ცდილობდა და ვერკი აღწევდა საწადელს. ისე წარმოდგინა, რომ ეს ენა, პირდაპირი გაგებით, აბსოლუტური ცოდნის თავი და ბოლო იყო. მიაჩნდა, რომ მისი წვდომა მხოლოდ ზეკაცს – ზებუნებრივთან ნაზიარებ კაცს – ძალუძდა. ამიტომ გამოიგონა მინდია.

სხვას ვის უნდა აეყვანა ეს თქმულება პოეტურ მწვერვალამდე, თუ არა ვაჟას.

როგორც ვთქვი, ამ პარადიგმის ჩარჩოში უფრო ძალა გზა ვერ წავა. გმირს აქ დაბადებიდან ვერ აღმოაჩნდება ბუნების სრულად შეცნობის წყურვილი, მაგრამ ეს წყურვილი უჩანს თქმულების შემთხვევებს, მასზე მეტად კი – ვაჟას, რომელმაც თავის გმირს ცოდნის განცდა დაანათლა.

სინამდვილეში, ბუნებას ისეთი ენა არა აქვს, როგორც მინდიამ იცის. ან, განა ვაჟას არ ესმის, რომ კაცი, თუნდ, ზეკაცი ასეთ ენას ვერ დაეუფლება? ეს მხოლოდ მითებით ნაკვები მშვენიერი ზღაპარია. მაგრამ სადღეისოდ დიდი ცოდნა დაგროვდა იმ თაობაზე, თუ რას „გვეუბნება“ ხე და ბალახი თავისი ფოთლით, ყვავილით, ფერით თუ სუნით, დელფინი – თავისი წრიპინით, ფრინველი და ცხოველი – თავისი ძახილითა თუ გმინვით.

ან, განა ოდენ ეს ხმები, ეს ფერები და ეს სურნელია ბუნების ენა? სად იყო უწინ ის ტექნიკა, რომლის მეშვეობითაც ადამიანისა და ცხოველის სხეული, ხე და ქვა, ეტრადი და

ვარსკვლავი გვეუბნება თავის მდგომარეობასა და ისტორიას, სხვასა და სხვას?

ამ ენას დაუფლება უნდა.

სასწაული მისი დაუფლებისათვისაც არის საჭირო, ოღონდ, არა ისეთი, როგორც თქმულებასა და „გველის-მჭამელში“ აღწერილი.

არა – ზღაპრული.

ვარიანტად ვიტყვი – ახალი მოდელი შეიძლება გამოვიდეს მითიურ-ზღაპრული სამყაროდან. ეს გააადვილებს იმ ბრალდების მოხსნასაც, თითქო მინდია კი არ „გამეცნიერდა“, არამედ მხოლოდ უნარი მიიღო ბუნებისაგან. მინდიას ცოდნა ინტუიციური ხასიათისაა და არა – ინტელექტუალურისა, მცენარეთა სამკურნალო თვისებებს ცხოველიცა სცნობსო ინსტინქტით, ეს უნარი ერთ დროს დაკარგული და აწ აღდგენილი ინსტინქტიაო, ასეთი აზრიც არის გრ. კიკნაძის წიგნში. ავტორი ცდილობს „შეარბილოს“ იგი, გაამართლოს მინდიას ცოდნის, როგორც ინტუიციურის, გაგება, გვიჩვენოს მისი მნიშვნელობა, მისი ამაღლება უბრალო ინსტინქტთან შედარებით, თუმცა ვეჭვობ, რომ წარმატებით ართმევდეს თავს ამ ამოცანას.

ხოლო ვაქას ასევე ცნობილი მკვლევარი თამაზ ჩხენკელი უბრალოდ ეთანხმება გრ. კიკნაძეს და თავის „ტრაგიკულ ნიღბებში“ (მშენიერი მძლევარი, თბ., 1989) რამდენჯერმე ახსენებს მინდიას ინსტინქტურ ცოდნას.

აქვე შევნიშნავ, რომ პოემის კონცეფციის თეოლოგიურსა და ფილოსოფიურ შრეებში თ. ჩხენკელი წინააღმდეგობების ძიებაში იმდენად ერთობა, რომ, არსებითად, გვთავაზობს მინდიას საკუთარ მოდელს, რომელიც, ვფიქრობ, თვითონ არ არის თავისუფალი წინააღმდეგობებისაგან. მოვლენების განვითარების ლოგიკურ ხარვეზებს მკვლევრები ადრეც ემბდნენ „გველის-მჭამელში“, მხედველობაში არ იღებდნენ მხოლოდ პოემაში დახატული ზღაპრული სამყაროს პირობითობას.

ამ ზღაპრულ სამყაროში ქრება ბრალდებაც მინდიას ცოდნის ინსტინქტურ-ინტუიციური ბუნების შესახებ. როგორ ქრება? ამ კითხვის ყველა ასპექტს ვერ ექნება მნიშვნელობა მინდიას ახალი მოდელის ძიებისათვის, ამიტომ აქ მხოლოდ ორ მომენტს შევეხები. პირველი: თუ მინდიას „ცა გაეხსნა“ – თუ

მისი ცოდნა კოსმოგონიური ბუნებისაა (რაზეც არის კიდევ საუბარი ჩხენკელის წიგნში), – მაშინ ეს ცოდნა ინსტინქტებში წვდომასაც მოიცავს და შლის ზღვარს ცნობიერსა და არაცნობიერს შორის; და მეორე: „ჩამოვიდეთ“ რეალურ სამყაროში: გაცნობიერებული ინსტინქტი უკვე ადამიანური, ამაღლებული ცოდნაა – ინტელექტუალური ხასიათისაა – ანუ მასში გადაგვაქვს ინსტინქტით ნაგრძნობი და მას ინსტინქტზე ვაგებთ. ამ პროცესის შესაძლებლობები კი უკიდევანოა და ჯერაც შეუსწავლელი: ჯერ არ ვიცით, რამდენად შევიცანით თვით ინსტინქტები, რომელთაც ვატარებთ და რომელთაგან ზოგს ვამჟღავნებთ და ზოგს – არა ან ზოგი ვამჟღავნებთ და ზოგიც – ვერა ან. ეგებ, ზოგი ვატარებთ და ზოგიც – არა.

არაინტელექტუალური მით უფრო ვერ იქნება სხვათა სასიკეთოდ მოხმარებული „ინსტინქტური“ ცოდნა. რაკი ადამიანს ცოდნის მოხმარებისათვის საჭირო ანუ მეორადი ცოდნა სჭირდება. რაც შეეხება ინტუიციას, იქნებ იგი არის კიდევ ინსტინქტური საწყისისა, ოღონდ, სწორედ ინტელექტი ამრავლებს მის შესაძლებლობებს უსაზღვროდ.

თუ მაინც არის რაიმე რაციონალური მინდიას ცოდნის ინტუიციურ-ინსტინქტურ ბუნებაზე საუბარში, იგი ისევ ამ ცოდნის კოსმოგონიურ ბუნებას უკავშირდება. ჩხენკელის დამსახურებაა ამ იდეის განვითარება (რასთანაც, ვფიქრობ, წინააღმდეგობაში მოდის მისი ზემოთ მოტანილი მსჯელობა). მას მოჰყავს მთელი ტექსტი რობაქიძის 1911 წლის წერილისა, რომელიც „გველის-მჭამელის“ პირველ სიღრმისეულ შეფასებას იძლევა და რომელშიც სწორედ ეს იდეა ბატონობს. უფრო მეტად კი იგი გამოკვეთილია ვასილ ბარნოვის 1927 წლის წერილში „გველისმჭამელი“ ვაჟა-ფშაველასი“ (ვასილ ბარნოვი. თხზულებანი. ათ ტომად. ტომი 10. თბ., 1964), საიდანაც მომყავს ამონარიდი.

„ყოველი არსი სამყაროში წარმოდინარეობს ერთისა და ამავე დასაბამიდან, რომელი არის მარადმქმედი ძალა მიუწითომელი... მთელი მსოფლიო და არსთა სავსება მასში იგივე შემოქმედი, მხოლოდ ცხადქმნილი თავის ქმნილებებში. აქედან: ყველა არსთა შორის

დამყარებულია ბუნებრივი კავშირი განუკვეთელი; ადამიანიც შედუღებულია ქმილებებთან... ადამიანის ქვეცნობიერება არის მთელი მსოფლიოს მარღვის ცემა, რომელი შიგადაშიგ გადმოიფინება ცნობიერებით გაშუქებულ არეში.

დასკვნა: სიყვარული ყოველი არის, მასთან... თანამშრომლობა...

ღირებულება პიროვნებისა... ფასდება პიროვნებისაგან მოტანილი საერთო კეთილი...

ამ მსოფლმხედველობაზე არის დამყარებული დედააზრი პოემისა: „გველის მჭამელი“.

...გველს სჭამდნენ ქაჯნი... ზიზღით შეჭამა და... გაუნათდა ჩაბნელებული მსოფლიოსთან ერთობა თვისი, ცხადად ექმნა ქმნილებათა ცხოვრების დენა, ყოველ არსების შეიგნონა“ (გვ. 154-156).

ჩინებული ანალიზია და ახალმა პარადიგმამაც, ვფიქრობ, უფრო უნდა გამოკვეთოს სამყაროსთან ადამიანის ერთობის იდეა. ოღონდ, ავტორი მიუთითებს აღმოსავლეთის სარწმუნოებაზე, რომელზეც, მისი აზრით, არის დამყარებული პოემის დედააზრი (შემდეგ კი მიიხსენიებს პიროვნული ტრადიციის ისევე დიდებულ ანალიზს გვამლევს).

აღმოსავლეთის სარწმუნოებაში იგი, ალბათ, გულისხმობს დაოსიზმს და კონფუციანელობას, რომლებიც ერთმანეთთან შერწყმულ მოძღვრებად იქცა და მთლიანობის შემეცნებისაკენ ისწრაფვის, ან, უფრო სავარაუდოა, ბუდიზმთან და ძველ იაპონურ რელიგიასთან _ სინტეზთან _ მათ შერწყმულ ვარიანტს. ეს რელიგია სულიერად წარმოგვიდგენს ყოველივე არსებულს, მთელ ბუნებას. პარალელები მართლაც იქნებოდა საინტერესო, ოღონდ, ვფიქრობ, „გველის-მჭამელის“ კონცეფცია განსხვავებულია. მასში გასულიერებულია ხე და ყვავილი, ხოლო ქვა უსულოა, თუმცა „ენა“ მასაც აქვს: რაც კი რამ დაუბადია უფალს სულიერ-უსულო, ყველასაც თურმენა აქვსო, ამბობს ვაჟა.

ეს კონცეფცია ბუნების ენის ისეთ გაგებას უფრო ესადაგება, რომელშიც მეცნიერება ვაჟას სიცოცხლეშივე დგამდა პირველ ნაბიჯებს და რომელზეც ვთქვი კიდეც, რომ ქვა და ეტრატი, ხე და ვარსკვლავი თვალისა და ყურისათვის მისაწვდომთან ერთად, მიუწვდომელ ინფორმაციასაც ასხივებენ გარემოში.

თუმცა, იქნებ, მათგან გაცემული ინფორმაცია არც ისე მიუწვდომელია ყველა თვალისა და ყურისათვის, როგორც შეიძლება გვეჩვენოს?

იქნებ, ეს ვარაუდი არც ისე ფანტასტიურია?..

„გველის-მჭამელში“ ბუნების მოდელი უკიდურესობამდეა პირობითი, განსხვავებულია თვით ვაჟას მიერ მანამდე გამოყენებული მოდელებისაგან. ბუნება აქ მხოლოდ კეთილია _ არ არის მქმნელი ავისა. აქ ჩხივიც კი არ არის, ნუკრისთვის თვალების ამოთხრის მოსურნე.

ბუნება აქ მხოლოდ კაცისაგან არის დაუცველი.

მოდელის პირობითობა არ უნდა დავივიწყოთ, როცა გვიჩნდება კითხვა, თუ ამასა შვრება მინდია, იმას რატომ არ შვრებაო.

...მსოფლიო ვაჟას სიკვდილიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ შემოა ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის გაცნობიერებამ. ეს საფრთხე წარმოადგენს დღეს კაცობრიობის ნომერ პირველ პრობლემას. უმაღლესმა სიმპოზიუმებმა და ბუნების ქომავთა კლუბებმა საქმეს ვერ უშველეს, ვერც _ კოსმეტიკურმა ზომებმა.

ბუნება ჰარმონიისკენ ისწრაფვის, ჩვენ მას ვურღვევთ ჰარმონიას.

საფრთხეს ჩვენი სიმრავლეც აძლიერებს. 1950-ში ყველანი ერთად 2 მილიარდი ვიყავით, 1980-ში _ უკვე 4. სულ რამდენიმე წელი გვიკვლია 8-მილიარდიან მსოფლიომდე. თუ ასე გაგრძელდა, ახლანდელი ახალგაზრდები უთუოდ იცხოვრებენ 16 და, იქნებ, 56-მილიარდიანშიც. იქნება, ერთმანეთს დააბიჯონ ფეხი, ბუნებას კი....!

მთავრობები ბევრს ლაპარაკობენ ეკოლოგიურ წონასწორობაზე და ვითომ იცავენ კიდეც მას, სინამდვილეში კი _ არღვევენ, პირველი (სუპერ) სახელმწიფოს მეთაურებით.

ადამიანი ჯერაც შერ-ხანის პრინციპით მოიხმარს ბუნებას _ გაუფრთხილებლად, დაუნანებლად _ აღდგენის უნარს უკარგავს მას (მკითხველს შევახსენებ: მტაცებლები „მაუგლიში“ ვეფხვს ემახიან მკვლელს, რაკი იგი კლავს მაშინაც, როცა საჭმელად არ სჭირდება).

რა უნდა იყოს დღევანდელი და ხვალისდელი მკითხველისათვის უფრო ახლობელი

და გასაგები, ვიდრე ადამიანი _ ზუნების პარა- მონიულობის თემა?

და რა უნდა იყოს უფრო მიმზიდველი, თუ ამ თემას ვაჟასეული შუქის თუნდ ერთი სხივი დაეფინა?

ეს ძნელია, რადგან „გველის-მჭამელის“ პარადიგმამ ამოწურა თავისი გამოხატვის რე-
ზერვები (მისი ხიბლის შესანარჩუნებლად
რობაქიძემ თვით ვაჟა შემოიყვანა თავისი
„ლამარას“ პერსონაჟად).

ძნელია, მაგრამ, იქნებ შესაძლებელია?

11. პარადიგმის ფარგლები: საიდან მოდის გმირი?

ქართული მითებისა და ზღაპრების დი-
დი ნაწილი გმირის დაბადებისა ან ბავშვობის
ამბით იწყება. იგივე დასაწყისი მწერლობი-
სათვისაცაა ნიშანდობლივი (თუნდ ჯავახი-
შვილისეული კვაჭის დაბადების სურათი რად
ღირს!).

გასაგებია, რატომ: გმირს იქიდან მოსდევს
ის განსაკუთრებული ნიშანი თუ თვისება,
რომელზეც აიგება სიუჟეტი.

ფაუსტური პარადიგმები ჯერჯერობით
ფაქტიურად გამორიცხავენ ასეთ დასაწყისს:
ნორმალური ბავშვი არც ქაჯის საჭმელს
გასინჯავს თავის მოსაკლავად და არც სულელებს
გამოიხმობს და ეშმაკს მიჰყიდის სულს ცოდ-
ნის დასაუფლებლად.

ცოდნის წყურვილი ბავშვში თავდაპირ-
ველად მხოლოდ ქვეცნობიერად არის მოცე-
მული, ოღონდ, მოცემულია მძლავრად და
შიშვლად. ბავშვი ენას ვერ ამოიდგამდა, თავში
რომ არ უტრიალებდეს „რატომ“ და „ესა რა
არის“, რომელთაც მერე პირზე დაიკერებს.
მისი ყველაზე დიდი სიხარული სიახლის
შეგრძნებაა, სიახლე კი სხვა რა არის, თუ არა -
ინფორმაცია, ცოდნა.

მერედამერე ცხოვრებისეული პრაგმა-
ტიზმი თრგუნავს ამ წყურვილს ადამიანთა
დიდ უმრავლესობაში და ჯერჯერობით მა-
ინცდამაინც არც ცოდნის ეპოქა ამცირებს უმ-
რავლესობის ხვედრით წონას.

დასავლურზე უფრო მინდიას მოდელი
შიდიძობა გაფართოვდეს ბავშვობისა და დაბა-
დებისაკენ, რადგან განსაცდელი უკვე იქ
შიდიძობა გამოსცადოს ადამიანმა. თუ როგორ
შეუძლია მას იმოქმედოს ადამიანის ხასიათსა

და ფსიქიკაზე, ეს ცნობილია და ამ ცოდნის
ფარგლებს მეცნიერება დღითიდღე აფართო-
ებს, ხოლო ხასიათი, ფსიქიკა განუყოფელ
ერთიანობაშია ნიჭსა და უნართან.

12. პარადიგმებისა და ცოდნის ფარგლები

გოეთემ თუ თავისი ეპოქის გერმანულ
პოეზიას დაადგა გვირგვინი, მისმა თანამედ-
როვე და თანამემამულე ჰეგელმა იგი დაადგა
მთელ მანამდელსა და მაშინდელ მსოფლიო
ფილოსოფიურ აზრს.

იქნება სწორედ საკუთარი გენიის განც-
დამ მიიყვანა იგი შეფარული იდეის მატა-
რებელ დასკვნამდე, თითქო თვითშემეცნე-
ბისაკენ მოძრაობას აბსოლუტური სული პრუ-
სიის სახელმწიფოში ამთავრებდა? იქნებ,
მიაჩნდა, რომ ამ მოძრაობის თავი და ბოლო
თვითონ ეპყრა ხელთ?

რალა გასაკვირია, თუ „ფაუსტშიც“ და
„გველის-მჭამელშიც“ გმირი აბსოლუტურ
ცოდნას ეუფლებს.

ლოგიკური თუ ვიქნებით, ზებუნებ-
რივთან ნაზიარევი კაცი ვერც დაეუფლება
ოდენ „ნაწილობრივ“ ცოდნას და, აბსო-
ლუტურის მფლობელი, ვედარც ამის იქით
გაზრდის მას. მხოლოდ უკეთ თუ გამოიყე-
ნებს. თუმცაღა, ამ ლოგიკაში ულოგიკობის
ნაღმიცა დევს: ცოდნის უკეთ გამოყენებაზე
ოცნებაც კი თავის თავში ახალი ცოდნისაკენ
სწრაფვას შეიცავს.

იქნებ, პარადიგმის ფარგლების „გაწელვა“
არც ამ მიმართულებითაა საჭირო? იგი
საჭიროა იმისათვის, რომ პარადიგმა
მიესადაგოს თანამედროვეობის მიღწევებს.
კერძოდ, თანამედროვე მეცნიერება ავითარებს
აზრს, რომ ყოველი ნაბიჯი ცოდნის
ჰორიზონტის გაფართოებისაკენ უფრო მეტად
ზრდის „ხილვადი“ არცოდნის ფარგლებს.

13. ცენტრალური პრობლემა

სასწაული, რომელიც ფაუსტურ გმირს ამ-
ლევს ცოდნის დაუფლების საშუალებას, ქვეს-
კნელს უკავშირდება. ქვესკნელის ბინადარია
ეშმა და ქაჯი. იქიდან მოდის გველიც.

დასავლური ფაუსტური თხზულებების
გმირი დემონურ ძალას შეეკვრება. მერელა იწ-
ყება მისი „ფართხალი“ ამ საშინალებისაგან
გასათავისუფლებლად.

გოეთეს ფაუსტი ებრძვის მეფისტოფელს და – როგორც კრიტიკა ამბობს – ამარცხებს კიდევ მას.

თუნდა ასე იყოს, მასთან შეკვრა ხომ მოხდა?!

მაგრამ, ამარცხებს კი? ფაუსტი, ხომ მკვლელად იქცა. მეფისტოფელის კარნახით მოკლა მან საკუთარი სატრფოს ერთადერთი, საყვარელი ძმა.

და, ვითომც არაფერი.

მან ხომ მარგარიტაც დალუპა.

კიდევ – არაფერი.

პირობა კი თითქო ის იყო, რომ მის სიცოცხლეში მეფისტოფელს უნდა ემსახურა მისთვის, სიკვდილის შემდეგ კი, ჯოჯოხეთში, მას – მეფისტოფელისთვის.

ქართველმა ხალხმა ვერ გაიმეტა თავისი გმირი ეშმასთან თანაზიარობისათვის. ეგებ, გუმანით მიხვდა, რომ ქვესკნელად სვლა მაინცდამაინც ბოროტთან სვლა არ არის.

იგი წიაღში სვლაა. ფათერაკითა და ავით სავსე, ოღონდ, არა – ავ, წიაღში.

ამიტომაცაა მინდია წმინდა ქართული ფენომენი.

ვაჟა ყოველნაირად ცდილობს აარიდოს გმირი ბოროტთან კავშირს. მისი მინდია – პოემის სათაურის მიუხედავად – გველის მჭამელიც კი არ არის. ქაჯებმა მას „სიბრძნე აჩვენეს გველად“.

ეს სიბრძნეც წიაღიდან მოდის, მაგრამ „ბოროტმა მის გულში ვერ მოიკიდა ფეხია, სხვა დანარჩენი ქაჯური ყველა ისწავლა ხერხია“.

ქაჯებთან მისი ყოფნაც უნებლიეა – ტყვედყოფნაა.

ქვესკნელი ბნელის საუფლოა, ბნელი კი – წიაღია, საიდანაც ნათელი იშვა და რომელსაც მისი ნაწილი მუდამ უბრუნდება, რათა ხელახლა იშვას. ნათელი ამაღლებულია ბნელზე, იმორჩილებს მას, მაგრამ სიღრმე თუ არ იხილე, დასაბამისეულ (კოსმოგონიურ) ცოდნას ვერ ჩასწვდები.

წიაღის თანაზიარობა არ ნიშნავს მაინცდამაინც ეშმას თანაზიარობას არც თვით ზღაპრებსა და თქმულებებში.

მინდიას ახალ პარადიგმაში არც უნდა ნიშნავდეს მას.

სხვათა შორის, თავის „ფაუსტურ პარადიგმებში“ მიხეილ კვესელავა აღნიშნავს, გოეთეს შემდეგ ფაუსტურ ნაწარმოებებში ეშმა უკან იხევსო და ვაჟაზეც მიუთითებს.

ქართული, „მინდიაური“ თხზულებებიდან ეშმა მხოლოდ გამსახურდიასულში შემოდის ოჩოპინტრეს (მოთხრობაში – ოჩონპინტეს) სახით. გმირი მას ფიცით შეეკვრება და ბრძანებათა უსიტყვო აღსრულებას აღუთქვამს. ამის მეოხებით ეუფლება ბუნების ენას.

ამის მეოხებით იძენს უხორცოს ნიშანსაც – კარგავს ლანდს.

მხატვრული კუთხით, დიდებულია ეს პასაჟი: ოჩონპინტემ მინდია გუგულებს მიუყვანა (პარალელისთვის, ფაუსტი მეფისტოფელმა – ქაჯებს). მათ წამალი – თეთრი გველების ნახარში – მისცეს. მეორე დილას გამოღვიძებულმა „შხეს თვალი მოასწრო, ცაზე ამავალს. ეუცნაურა ცაცა და მყარიც. მხარმარჯვნივ გაიხედა ხოგაის მინდია: ველარ ნახა საკუთარი ლანდი, ეხლა მხარმარცხნივ მიიხედა. ვერც მანდ ნახა საკუთარი ლანდი, უკან მიიხედა მინდია, არსად ჩანდა არც ნატამალი, წინ გაიხედა ხოგაის ძემ და წინ ეშმაკის სხეული ედგა“.

ოღონდ, ვერ ვიტყვი, რომ მინდიას სახისათვის იყოს შესაფერი ეშმასთან შეკვრა.

ეშმა ავტორმა, გოეთეს თაყვანისმცემელმა, უთუოდ მისი გავლენით შემოიყვანა, მასთან გმირის ჭიდილს კი მოთხრობაში ვერ ვხედავთ. ამ პასაჟის შემდეგ ეშმა უფუნქციოდ რჩება და ქრება. ასეთი საწყისი – ეშმა და ქაჯი – ვერ იქნება ვერც გამანაყოფიერებელი საწყისი აზროვნების სამყაროს შემეცნების გზაზე. სიბრძნე, რომელსაც ქაჯები საკვების მეშვეობით იღებდნენ, ვერ გადააქცევდა მათ ბრძენებად. ქაჯური ხერხ-ხრიკების საწვრთნელად კი დასჭირდებოდათ.

სჭირდება თუ არა ეშმა ახალ პარადიგმას?

რელიგიათა უმრავლესობაში, როგორც მ. კვესელავაც წერს („ფაუსტური პარადიგმები“ ტ.1, გვ. 162), ბოროტებას არა აქვს საკუთარი საწყისი. ის ნაწილია კეთილი საწყისისა, იმისი დაცემაა, რაც ერთ დროს ღვთაებრივი იყო.

კეთილისა და ბოროტის ბრძოლაა ადამიანის ცხოვრება.

ცოდვა თანამგზავრია ადამიანისა

(ილია II)

ეშმა იმისთვისაა საჭირო, რომ ეკამათო. იგი ჩვენი სულიდან პირობითად გარეთ გატანილი ბოროტია.

ბოროტთან კამათი უწინარესად საკუთარ სულში კამათია, მისი დამარცხების საშუალება კი – სიბრძნე. „პირსა მართლისასა გამოვადს სიბრძნე, ხოლო სიბრძნესა ვერსადა მძლავრობს ბოროტი“ (ბიბლია).

აქედანაც ჩანს, რომ **სიბრძნე არ არის ცოდნის უბრალო გროვა. იგი ცოდნის სისტემაა, რომელიც მოიცავს იმ ცოდნასაც, თუ როგორ და რისთვის (მხოლოდ საკუთარ თუ საზოგადოებისა და სამყაროს სარგოდ) გამოვიყენოთ ცოდნა. ანუ იგი ეთიკური პრინციპებით არის ამალღებული, გამთლიანებული და ბოროტისთვის შეუვალა.**

იგი ვერ ექნება ეშმას: „სულსა ბოროტსა შინა არა შევიდეს სიბრძნე“ (ბიბლია).

დაო მის მიხედვით კი, თუ სიბრძნით ვიმოქმედებთ (თუ დაოს მორჩილებით ვიხელმძღვანელებთო, ამბობს ჩინელი ბრძენი), „ავ სულეს არ ძალუძთ სასწაულთა ქმნა. არა თუ სასწაულთა ქმნა არ ძალუძთ, ვნებაც კი არ ძალუძთ“.

ილია ჭავჭავაძესაც მოვუსმინოთ. გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედართან წარმოთქმულ სიტყვაში იგი აცხადებდა: „მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, – საერო თუ სამღვდელი, – რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით... დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება... ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო... იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.

...ერთი ბრძენისა არ იყოს, „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე ვერ ირწმუნებ, და ზოგი კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთა-სწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად ორისაც გზით, და მით უფრო, რაც

ადამიანი თვალხილულია და გონებაგადვიძებული. ნება-უნებლიედ ამ ორს სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა, რომ იპოვოს ბინა...

ამ ორ სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში... ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვები მიხეობრი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი“ (ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 252-253).

ამრიგად: **სიბრძნე – ასე იშვიათი რამ ამ წუთისოფელში – წნავს შემაერთებელ ხიდს ცოდნასა და რწმენას შორის.**

რატომ ჰგონია ბევრს, რომ მეცნიერება და სარწმუნოება მოურიგებელნი არიან? იმიტომ, რომ მეცნიერების გზა დაეჭვებისა და ძიების გზაა, ბრმადმორწმუნეთათვის მიუღებელი გზა.

ჩინებული დასაწყისი აქვს როსტომ ჩხეიძის წიგნს „ამირანის თქმულება“ (ნაკადული, თბ., 1991).

„ეს ეჭვებით სავსე წიგნია, მკითხველო.

ანუ: გულწრფელი წიგნი.

...შინაგანად ეჭვებით სავსე უამრავი წიგნია, ერთი შეხედვით როგორი მტკიცე და დაბეჯითებულიც უნდა ჩანდეს მსჯელობის ლოგიკა და საბუთიანობა.

აქ ეს განცდა მხოლოდ ზედაპირზეა ამოტანილი.

ბოლოს და ბოლოს, რწმენის სიმტკიცესაც ხომ ეს ქმნის და ასულდგმულებს“.

გულწრფელობის გარეშე კი, თუ ისევ ვაჟას მივმართავთ, „შეიძლება მხოლოდ ფორმა შეათვისებინო ადამიანს, ფორმა სარწმუნოებისა“...

ასეთი რწმენისა და ასეთი ცოდნის, უფრო სწორად – ინფორმაციის მოუნელებელი გროვის, გაერთიანება სიბრძნედ ვერ იქცევა.

მაშ, ვერც ბოროტისთვის იქნება შეუვალა.



wil i naya ria - dasavl eTi

საქართველოს მიმართ აგრესიულ ქმედებები რუსეთის მხრიდან, საკმაოდ შორეული წარსულიდან იღებს სათავეს, თუმცა თანამედროვე რუსეთი ყველაზე მეტად, თითქმის საუკუნის წინ დაწყებული პოლიტიკის ერთ-გული რჩება.

დღეს საქართველო თავისი ბედრული ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პერიოდში იმყოფება. ერთი მხრივ, განხორციელდა ქართველი ერის სანუკვარი ოცნება – აღდგა ქვეყნის დამოუკიდებლობა, მეორე მხრივ, ვერ მოხერხდა ამ ფაქტის რეალური განხორციელება. რუსეთის საოკუპაციო ჯარის მიერ დროებით დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს იძულებით გადაადგილებულთა სიმრავლე.

დღევანდელი გადასახედიდან საქართველო მდებარეობს არა მხოლოდ გეოგრაფიულად – დედამიწის ოთხივე მხრის გზაჯვარედინზე – არამედ, გზაჯვარედინზე ქრონოლოგიური თვალთახედვითაც – ძველ ტოტალიტარულ და ახალ დემოკრატიულ სამყაროს შორის.

ორივე ეს გზაჯვარედინი ამავე დროს ერთმანეთთან არის გადახლართული: ამიერკავკასიის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით, ჯერ ისევ არიან ტოტალიტარული ქვეყნები, ხოლო დასავლეთით დემოკრატიულ გარდაქმნების გზაზე მდგომნი. სწორედ საქართველოს ოდინდელი მდგომარეობა იყო ძირითადი მიზეზი მასზე ბარბაროსული საზოგადოებიდან მომდინარე მუდმივი თავდასხმები.

დღეს პრორუსული გადახრა ფაქტიურად ნიშნავს საქართველოს ძველ ტოტალიტარულ სამყაროში უკან გამობრუნებას სახელმწიფოებრიობის შენების გზიდან აცდენას და რუსეთის მადადმრული „ხახის“ მიერ საბოლოო შთანთქმას, რაც რუსეთის პოლიტიკური წრეების საუკუნოვანი ზმანებაა.

რაც შეეხება გლობალიზაციის პროცესს, მასთან დაპირისპირება ქარის წისქვილთან ბრძოლას თუ შეედრება, რომელთა სასიკეთო დანიშნულებისამებრ გამოყენება აჯობებდა.

როგორც პროფესორი გიორგი ქავთარაძე აღნიშნავს: „გლობალიზაციური“ სახის პროცესმა – ელინიზმმა განაპირობა ამჟამად არსებული ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის დაჩქარება, ხოლო უმნიშვნელოვანესი მსოფლიო მოვლენის – ქრისტიანობის საქართველოში შემოსვლამ, ჩამოაყალიბა ქართული კულტურა, მენტალიტეტი და მნიშვნელოვნად განაპირობა ქვეყნის ისტორიული ბედი და მომავალი. ამავე დროს მრავალი ქვეყანა, ვინც ვერ შესძლო შეგუება დროის მოთხოვნებთან, „ალიგავა პირისაგან მიწისა“.

რუსეთს, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს ისეთივე არადემოკრატიული, კორუმპირებული და ოლიგარქული ნომენკლატურის მქონე გარემოს აღორძინება, როგორც თვით რუსეთში; ამისათვის რუსეთს წინაპირობად საქართველოს გარე სამყაროდან იზოლირება ესაჭიროება, ამიტომ მათი სპეცსამსახურები ცდილობენ გლობალიზაციის „მავნე“ პროცესებისაგან ჩვენს ერთადერთ გადამრჩენლად წარმოგვიდგენენ. თუ ჩვენ ყველა ფხიზლად არ ვიქნებით, ისეთივე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როგორც XX საუკუნის პირველ ნახევარში დაგვემართა, როდესაც ერი და ქვეყანა ხელიდან გვეცლებოდა, ქართველი სოციალისტები კი მსოფლიო რევოლუციის ბედზე ზრუნავდნენ.

მსოფლიო საზოგადოების თვალში საქართველოსთან ამჟამინდელი დაპირისპირება რუსეთისათვის წამგებიანია. ეს არ არის მხოლოდ დიდი და პატარა ქვეყნის კონფლიქტი. იგი სულ უფრო იღებს იმპერიული აზროვნების განხორციელების ხასიათს დემოკრატიული გარდაქმნების გზაზე მდგომი ქვეყნის წინააღმდეგ. ასეთი პოზიცია საქართველოსთვის საკმაოდ საშიშროა.

ველოს განუზომლად დიდ მორალურ უპირატესობას ანიჭებს და მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერას ჰპოვებს.

რუსეთს არა იმდენად აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის შთანთქმა და სრული გაკონტროლება ესაჭიროება, არამედ საქართველოს მსოფლიო თვალში როგორც არშემდგარ სახელმწიფოდ წარმოჩენა, თუ არა დასავლეთის, პირველ რიგში შეერთებული შტატების დახმარება, თბილისი უკვე დიდი ხანია იქნებოდა რუსეთის გენერალიტეტის მსხვერპლი.

პროფესორი გიორგი ქავთარაძე აღნიშნავს: გაკვირვების გარდა, არაფერს იწვევს ზოგიერთ ჩვენს ვითომ „პარტიულ“ წრეებში გავრცელებული გამოთქმა, რომ „ოსმანა და ალია, ორივე თათარია“, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ეროვნულობისა და თავისუფლების შესანარჩუნებლად, ორივემ რუსეთმაც და ამერიკამაც, თავი უნდა დაგვანებონ. თითქოს ამერიკაც რუსეთის მსგავსად შემოჭრილია ჩვენს ქვეყანაში, მოწყობილი აქვს სამხედრო ბაზები, სადაც განლაგებული ჰყავს ფაქტობრივად საოკუპაციო ჯარი, ხოლო „ჩვენგანვე მიტაცებული რეგიონები“ დაცული აქვს ვითომდა თავისი „მშვიდობისმყოფლებით“ და ამასთანავე ტოტალური ძირგამომთხრელი საქმიანობით დღენიადაგ ჩვენს დაქვევას და ამოძრკვას ცდილობს, თითქოს ჩვენ მათგან ორივესაგან (ოსმანასა და ალიასაგან) ჩვენი სამშობლო განთავისუფლებას უნდა ვესწრაფვოდეთ. რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, ეს გამოთქმა თითქმის ყოველთვის მხოლოდ ამერიკელების მიმართ არის ნათქვამი, როგორც ჩანს „მთქმელები“ იმედოვნებენ, რომ „ოსმანა“ (ანუ პირობითი ამერკა) წავა „თავის სახლში“ ანუ საბოლოოდ ზურგს შეგვაქცევს და ალიას (ანუ პირობითად რუსეთი) დარჩება „ბურთი და მოედანი“.

ეს გაკვეთილი „ნეიტრალიტეტობანას“ თამაში უკვე ჩავიტარეს 1920 წელს, როდესაც ე.წ. ინგლისელი იმპერიალისტები განვდექნეთ და ამის შემდეგ მხოლოდ ნახევარი წელი გავძელით, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ. ამის შემდეგ საქართველოში სისხლის გუბეები დადგა.

როგორც ჩანს, რუსეთის მმართველ წრეებს ჯერ ისევ ეიმედებათ საქართველოში მომხრეების გამოჩენა, მაგრამ „ორჯონიკიძის სინდრომი“ ქვეყანაში არსებითად დაძლეულია. დღეს პუტინის რუსეთის რეიტინგი

იმდენად დაბალია ჩვენში, რომ ძნელად თუ დავიჯერებდით რომელიმე მოღალატე გაბედავდა მისი მიმდევრისა და ამდენად საკუთარი ქვეყნის აშკარა მოღალატის იარაღით იაროს, თუმც თითო-ორ-ორი ხელაღებული მაინც მოიძებნა, რომელიც მუდმივად ეწევა თვითლუსტრაციას, რაც იმავე დროს, სამწუხაროდ, ლუსტრაციის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში.

აქვე გთავაზობთ შალვა ნუცუბიძის წარმოთქმულ სიტყვას დამფუძნებელ კრებაზე, გამოქვეყნებულს 1921 წლის 17 თებერვალს ჟურნალ „სახალხო საქმეში“. 1921 წლის 23 თებერვალს კი, რაც მოხდა, მკითხველმა თავად იცის.

„... დღეს უნდა ჩაიგოს ქარქაშში პარტიული ხმალი, ვინაიდან ამას გვაიძულებს მდგომარეობა... ისე, როგორც წარსულში, როდესაც საქართველოს საფრთხე დაუდგებოდა – საქართველოში არ არსებობს პარტიული სხვადასხვაობა, არ არსებობს პარტიული ბრძოლა, არც ერთი მეორეზე ხმლით მისვლა, საქართველოში არსებობს ერთი – საქართველოსთვის თავდადებულ მამულიშვილთა პარტია... როდესაც დავინახავთ ამ მთლიანობის სურვილს, მაშინ მთელ ჩვენ ენერგიას, უნარს, ფიზიკურს და გონებრივს, მივიტანთ სამშობლოს სამსხვერპლოზე. და თუ საქართველოს ხსნა უწერია – და ამაში დარწმუნებული ვართ, – ეს არის მხოლოდ ამ ერთ-სულოვნების გზით და ასეც მოხდება... რევოლუცია დღემდე ყველას ესმოდა ისე, რომ ეს იყო შინაურ ძალთა ჭიდილი, აჯანყება, აფეთქება, მაგრამ რევოლუცია, რომელიც გარეშე მოსულს შემოაქვს, შემოტანილი რევოლუცია - არასოდეს რევოლუცია არ არის - ის არის ყველგან და ყოველთვის დაპყრობა... პირწავარდნილი დაპყრობა სოციალისტურ ქურქში გახვეულ იმპერიალიზმისა... გარედან შემოსული ძალა ჩვენ ჩავგადებინებს ქარქაშში პარტიულ ხმალს და ამოგვადებინებს ქარქაშიდან თავდაცვის ხმალს... ჩვენ არ მოვწონვართ ორჯონიკიძეს და ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვრჩებით ძვირფას თვლად მთელ ამიერკავკასიაში...“

ჩვენს ისტორიულ ზედს ვერავინ შეცვლის, ისე როგორც მზის ამოსავლას აღმოსავლეთით, ვერავინ გააუქმებს იმ გარემოებას, რომ იალბუზის ყინვით ნაკვეთი თავი მომავალშიც მზის სხივებს გაღიმებული შეეგებება

და მისი ასხივოსნებული თავი, ჩვენი დიდების გვირგვინად გაშლილი არა ერთსა და ორს მოშურნე მტერს აუჭრელებს თვალს სიხარბით დამთვრალს, მის ფერდობზე და კალთებზე კი ქართველი ერი მომავალშიც განაგრძობს ეკონომიკურ და პოლიტიკურ შემოქმედებას.“

ლიტერატურა

1. ჟურნალი „სახალხო საქმე“, 17 თებერვალი, 1921
2. გ. ქავთარაძე, საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების საკითხები, თბ., 2006
3. კ. კუტუბიძე, გარდამავალი საზოგადოება, თბ., 2002
4. ი. ლომთაძე, ეროვნული პრობლემა ქართულ საზოგადოებრივ პოლიტიკურ აზროვნებაში, თბ., 2006

TAMAZ NUTSUBIDZE

GEORGIA ON THE CROSSROADS OF THE OLD TOTALITARIAN AND THE NEW DEMOCRATIC WORLDS

Summary

Georgia is in the hardest period of its ill-fated history. On one hand, the cherished dream of the Georgian nation has been achieved – the independence of the country has been regained, on the other, this fact could not have managed to be carried out really. The territorial integrity is temporarily destroyed by the Russian occupational troops. The situation is more aggravated by a great number of the internally displaced people.

At present pro-Russian direction actually means to return to the old totalitarian world, to turn from the way of building of statehood and to be devoured finally by the appetite-whetted “jaws” of Russia which is a centennial dream of Russian political circles.

The revival of the same environment having the non-democratic, corrupted and

oligarchic nomenclature as it is in Russia, of course, is the right thing for Russia; for this Russia needs the isolation of Georgia as a prerequisite, that is why its intelligence services are trying to pretend as the only saviour from “harmful” processes of globalization. If we are not sensible, we will appear in the same state as we were in the first half of the 20th century, when we were at the edge of losing the nation and the country, while the Georgian socialists were taking care of the fate of the world revolution.

Russia needs to reveal Georgia as a failed state in the eye of the world more than to swallow up Abkhazia and so-called South Ossetia and to control them fully.

If not the assistance of the West and especially the United States, Tbilisi would have been the victim of the Russian generals long time ago.

We cite the speech of Shalva Nutsubidze made at the incorporators meeting published on 17 February 1921 in the journal “Sakhalkho Sakme”, and what happened on 23 February 1921 the reader knows better.

“...Until nowadays everybody understood a revolution as it was a struggle, rebellion, burst of internal forces. But a revolution brought by a stranger is never a revolution – it is everywhere and always a conquest ... the very conquest of the imperialism wrapped in the coat of socialism... An external force will help us to sheathe the party sword and to unsheathe the defensive sword... Orjonikidze does not like us and the reason of which is that we remain as a precious stone in the Transcaucasia...”

Nobody can change our historical fate as sunrise from the east cannot be changed, nobody can alter the circumstance that the icy top of the Ialbuži will meet the sun rays with a smile even in future and its illuminated head as the crown of our fame will blind not only one or two jealous enemies, drunk with greed, and on its slopes the Georgian nation will continue economic and political creativity even in future”.



saqarTvel oSa da amerikiS SeerTebul i StatebiS
urTierTobebiS Zi ri Tadi aspeqtebi da probl ematika

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობებზე საუბრისას აუცილებელი ეს ურთიერთობები განვიხილოთ გლობალური პოლიტიკის წარმართვის კუთხიდან. დღევანდელ მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსები მსოფლიო პოლიტიკის ძირითად მოქმედ პირებად მიიჩნევენ არა მხოლოდ ერებსა და სახელმწიფოებს, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ე.წ. ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, მულტინაციონალურ ფირმებსა და ა.შ. შესაბამისად, უნდა გავითვალსწინოთ, რომ სახელმწიფოს პოლიტიკას წარმართავს არა მხოლოდ ეროვნული ინტერესები, არამედ - საერთაშორისო გარემოში არსებული კონცეფციები და პრობლემების აღქმის გზები. საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების განხილვისას კი აუცილებელია მხედველობის არეში მივიღოთ აგრეთვე გეოპოლიტიკური ასპექტები. მაშინ, როდესაც აშშ პოლიტიკურ, ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს, ჩნდება კითხვები: რატომ სჭირდება მსოფლიო პოლიტიკის ისეთ გიგანტს, როგორც აშშ-ია, საქართველოს გამო აუტკივარი თავის ატკივება? რამ განაპირობა უკანასკნელი წლების განმავლობაში სამხრეთ კავკასიის რეგიონში დასავლეთის, კერძოდ კი, აშშ-ს პოლიტიკის გააქტიურება? რას მოითხოვს დახმარების სანაცვლოდ ეს „მეგა-სახელმწიფო“? სადამდე შეიძლება დარჩეს აშშ საქართველოთი დაინტერესებული? ეს პოლიტიკური ხასიათის სტატია მიზნად ისახავს დღევანდელი საქართველოსა და აშშ-ს პოლიტიკური ურთიერთობების ანალიზს გეოპოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებით.

პირველ რიგში, აუცილებელია გავიგოთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოები მოქმედებენ ცივი გონებით და არა ემოციების საფუძველზე. დღევანდელი მსოფ-

ლიოს მრავალი ქვეყნის პოლიტიკას წარმართავს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტული შედეგის მიღწევაზე და მოქმედებს პრინციპით: „არ არსებობენ მუდმივი მტრები და მეგობრები, არსებობენ მხოლოდ მუდმივი ინტერესები“. შესაბამისად, ნებისმიერი სახელმწიფოს მოქმედების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი არის მათი ეროვნული ინტერესები. ვფიქრობთ, სამწუხაროდ, ჯერ არ განვითარებულა მსოფლიოს ღირებულებით აზროვნება იმ დონემდე, როდესაც სახელმწიფოები რეალურად იბრძობენ იდეალებისა და მორალისათვის. შესაბამისად, აშშ-ს ნებისმიერ ქმედებაში, რომელსაც ეს სახელმწიფო ახორციელებს საერთაშორისო არენაზე, უნდა ვეძიოთ ცივი პრაგმატიზმის ნიშნები და არა სენტიმენტალური და გრძნობებზე აგებული პოლიტიკა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღეს ამერიკის შეერთებული შტატები ეხმარება საქართველოს, იმიტომ, რომ ეს ისევ და ისევ მის ინტერესების სფეროშია. გავიხსენოთ საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოთა კავშირის დაშლის შესახებ არსებული პოლიტიკური განწყობა, რომელიც გამოიხატებოდა აშშ-ს პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის (უფროსის) სიტყვებში, რომ იგი არ უჭერდა მხარს სსრკ-ს დეკონსტრუქციას. ასეთივე განწყობა გამოიხატებოდა რიგი ამერიკელი პოლიტიკური მოაზროვნის ნაშრომებში, მაგალითად, ჯონ მერშაიმერი ნაშრომში „უკან მომავლისაკენ“ ნათლად გამოხატავს დადებით განწყობას ცივი ომის დროს არსებული პოლიტიკური, ბიპოლარული წესრიგის მიმართ. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: განა მართლა ხელს არ აძლევდა აშშ-ს საბჭოთა კავშირის დაშლა? და თუ ეს ასეა, მაშინ რატომ ეხმარება აშშ საქართველოს დღეს, როდესაც 1990-იანი წლების დასაწყისში მან არაფერი მოიმოქმედა სეპარატისტული მოძრაობების შესაჩერებლად? ნუთუ აშშ-ს პოლიტიკის შემქმნელებს

არ ეგონათ, რომ ოდესმე საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა?

მართლაც, ნათლად ჩანს, რომ აშშ საქართველოს სატრანზიტო პოტენციალით დაინტერესდა მას შემდეგ, რაც მთელი ამიერკავკასიაში ჩვენი ქვეყანა გახდა ერთადერთი პოლიტიკური ერთეული, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა კასპისპირა ნავთობის გადატანა ევროპის რიგ ქვეყანაში. საქართველომ მხოლოდ მაშინ მიიპყრო ამერიკის ყურადღება, როდესაც გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ მისი ტერიტორიის გავლით აზერბაიჯანული ნავთობის გადაზიდვა მომხდარიყო აღმოსავლეთ ევროპაში. გაიხსნა ნავთობსადენები და ერთ-ერთი უმთავრესი მათგანი იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომლის შედეგად აზერბაიჯანში არსებული ბუნებრივი რესურსების თურქეთში თავმოყრას იქნებოდა შესაძლებელი. აზერბაიჯანი იქნებოდა ევროპისათვის ენერგომომწოდებლის ალტერნატივა, ხოლო საქართველოს უნდა უზრუნველყო საკუთარ ტერიტორიაზე ნავთობის უსაფრთხო ტრანზიტის. საქართველო, სამხრეთ კავკასიაში არსებული ენერგო დერეფნის განუყოფელ ნაწილად იქცა, ვინაიდან, მისი თანამონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კასპისპირა ნავთობის ევროპაშიც გატანა. აშშ-ს საგარეო პოლიტიკისათვის აუცილებელია იყოს ევროპის თანხმობა და თანადგომა მსოფლიო არენაზე გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმისას. შესაბამისად, თუ იგი გარკვეულწილად საკუთარი გავლენის სფეროში მოაქცევს ევროპისათვის მნიშვნელოვანი ენერგორესურსების ალტერნატიულ მომწოდებლებს, იგი მოიპოვებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ გავლენას ევროპის ამა თუ იმ სახელმწიფოზე. როგორც ჟბიგნეე ბუჟინსკი მიიჩნევს, აშშ მსოფლიო არენას სწორედ „დიდ საჭადრაკო დაჯად“ აღიქვამს და კავკასიის რეგიონთან მიმართებაში ეს ასეც არის. სამხრეთ კავკასია-სთან დამოკიდებულება აშშ-ს ძალიან მარტივი არჩევანის წინაშე აყენებს: იგი უნდა დაეხმაროს აზერბაიჯანს საქართველოს გავლით კასპისპირა ნავთობის რეალიზებაში და უზრუნველყოს ამ ქვეყნების უსაფრთხოება ფინანსური სუბსიდირების სახით ან დაემშვიდობოს ევროპის სახელმწიფოებზე გავლენის მოხდენის ილუზიას და შეწყვიტოს სამხრეთ

კავკასიის რეგიონალურ განვითარებაზე ტვიინის ჭყლეტა. როგორც ჩანს, ამერიკელები ფსონს სწორედ კავკასიაზე დებენ და ცდილობენ მისი სახელმწიფოების პოლიტიკური კურსიც ამერიკისკენ იყოს მიმართული. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შედეგად საქართველოს სათავეში მოსული მთავრობის პროდასავლური კურსიც ორიენტირებულია აშშ-ს მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერის მიღებასა და ამ „ზესახელმწიფოს“ ინტერესების სფეროში დარჩენაზე.

ზემოთ განვიხილეთ აშშ-ს ეკონომიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს, როგორც სატრანზიტო სახელმწიფოს, მიმართ. თუმცა, ყოველთვის, როდესაც ამ თემაზე ვმსჯელობთ, უნდა დავფიქრდეთ: განა აშშ არ დაეხმარებოდა ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იქნებოდა?! არ შეიძლება იმ ილუზიით ვიცხოვროთ, რომ აშშ-ს ინტერესების სფეროში დიდი ადგილი უჭირავს ქართველების, როგორც ერის, ფენომენს. ვფიქრობთ, რომ პრაგმატული პოლიტიკოსები საქართველოს, პირველ რიგში, განიხილავენ, როგორც გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანეს ტერიტორიას და მხოლოდ შემდეგ, როგორც კონკრეტულ სახელმწიფოს.

თუმცა, არსებობს კიდევ ერთი, არანაკლებ საინტერესო ფაქტორი საქართველოს მდებარეობასთან დაკავშირებით. რატომ სურს აშშ-ს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებსა და ნატოში (ნატო - ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) ინტეგრაცია? ნატო, როგორც მოგეხსენებათ, წარმოადგენს უსაფრთხოების გარანტს საქართველოსათვის, მაგრამ რას წარმოადგენს საქართველო ნატოსათვის? ჩემი აზრით, აშშ გეოპოლიტიკურ ვითარებას სწორედ აფასებს, როდესაც მომავალში უფრო ღრმად იყურება, ვიდრე ევროკავშირის ზოგი სახელმწიფო და შესაძლო საფრთხის შემცველ სახელმწიფოდ აღიქვამს ირანს. საქართველოს ნატოში ინტეგრაცია გამოიწვევს მის ტერიტორიაზე ნატოს ეგიდით მოქმედი საბრძოლო ჯარების განლაგებას საჭიროების შემთხვევაში, რაც, ფაქტობრივად, ჩრდილოეთიდან გააუვნებელყოფს ირანს. ანუ, ნატო გაფართოვდება იმდენად, რომ მოიცავს სამხრეთ კავკასიის უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოს - საქართველოს, რომელიც დღეს როგორც რუსეთის, ისე

ირანის გეოპოლიტიკური აზროვნების არეალში ექცევა. მოკლედ რომ ვთქვათ, ამერიკა ცდილობს დაასწროს მეტოქეს და მოახდინოს სამხრეთ კავკასიის სტაბილიზაცია მისი საერთო უსაფრთხოების არეალში გაწვევრიანებით. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოსა და აშშ-ს ინტერესები თანხვედრაშია, რადგან დღეს საქართველოს მთავარი პოტენციური მეტოქე არა ირანი, არამედ - რუსეთია, რომლისგან თავის დასაცავად ნატოში ინტეგრაცია მოსახლეობის უმეტესობას საუკეთესო გამოსავლად მიაჩნია.

თუმცა, ყველაფერი არც თუ ისე იდეალურადაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. როგორც 2008 წლის აგვისტოში გამოჩნდა, საზოგადოების მოლოდინი აშშ-ს მიმართ გაცილებით აღემატება იმას, რისი მოცემაც აშშ-ს სურს. ხშირად როდი გაიგონებდით კითხვას: სად არის ამერიკის ჯარები? რატომ არ გვეხმარება აშშ სამხედრო ძალით, თუ იგი ჩვენი ნომერ პირველი მოკავშირეა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძალიან ადვილია: აშშ-ს ეროვნულ ინტერესებში არ შედის რუსეთთან სამხედრო დაპირისპირება და აშშ. არასდროს, არაფრის გულისთვის არ იმოქმედებს საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ. სამწუხაროდ, ეს ის მწარე სიმართლეა, რომელსაც შევეჩხეთ 2008 წელს და რომელიც, წესით, დღეს კარგად უნდა გვქონდეს გათვითცნობიერებული: აშშ დაეხმარება საქართველოს მანამ, სანამ საქართველო მისდევს აშშ-ს მიერ რეკომენდირებულ ან, თუნდაც, დეტალურად ნაკარნახევ პოლიტიკას მეზობლებთან და ეთნიკურ კონფლიქტებთან მიმართებაში. ანუ, საქართველოს მთავარ ამოცანად უკვე იქცა ის, რომ იგი დარჩეს აშშ-ს ინტერესთა სფეროს შიგნით. თუმცა, საქართველოს სხვა ეროვნული ინტერესებიც გააჩნია! პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერესი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა და აშშ-ს პარტნიორობაც სწორედ ამისათვის სჭირდება. მაშინ, როდესაც საქართ-

ველო ცდილობს დაიბრუნოს რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, აშშ ცდილობს საკუთარი ეკონომიკურ-პოლიტიკური გავლენის გაძლიერებას საქართველოს დახმარებით ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: ხომ არ მოითხოვს აშშ იმაზე მეტს, ვიდრე საქართველოს სურს გაცემა? არის თუ არა პროპორციული ის სიკეთეები, რასაც საქართველოს და აშშ იღებს ურთიერთპარტნიორობისაგან? ფაქტი ფაქტად რჩება: საქართველოსა და აშშ-ს ინტერესების თანხვედრა ვერ ხერხდება რუსეთთან მიმართებაში. აშშ, რომელსაც ყველა ეკონომიკური თუ პოლიტიკური ბერკეტი გააჩნია რუსეთზე ზეწოლისათვის, ამას არ აკეთებს, იმიტომ, რომ არ სურს უღალატოს იმ „გადატვირთვის“ პოლიტიკას, რომელიც ლოგიკურად განვითარდა აშშ-სა და რუსეთს შორის. ამის გამო საქართველოს მოლოდინს ვერ პასუხობს აშშ-ს პროტექციონალისტური პოლიტიკა. ვერც აშშ და რუსეთი თანხმდებიან საქართველოსთან მიმართებაში და შესაბამისად, საქართველოსა და რუსეთის უთანხმოების მთავარ საკითხს აშშ-სა და საქართველოს პარტნიორობა წარმოადგენს. რას მოუტანს ეს „საბედისწერო სამკუთხედი“ საქართველოს?! ამას, ალბათ, მხოლოდ დრო გვიჩვენებს.

და ბოლოს, საგარეო ურთიერთობები წარმოადგენს იმ კომპლექსურ და ჩახლართულ, მუდმივმოქმედ და ცვალებად პროცესს, რომელიც საჭიროებს მუდმივ დაკვირვებასა და დეტალურ ძიებას. ეს ნაშრომი მიზნად ისახავდა საქართველოსა და აშშ-ს ურთიერთობებში არსებული ძირითადი დადებითი პრინციპებისა და პრობლემეტიკის მოკლე მიმოხილვას, იმ კითხვების დასმას, რომელიც ჩნდება ქართულ საზოგადოებაში და, რა თქმა უნდა, ნაშრომი არ აცხადებს პრეტენზიას ამ კომპლექსური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთდამოკიდებულების დეტალურ ანალიზზე.



მინიატურული პროზის სათავეებთან

ქართულ მწერლობაში მცირე ფორმის მხატვრული ნაწარმოები – პროზაული მინიატურა XIX საუკუნის II ნახევრიდან იჩენს თავს. აღსანიშნავია, რომ მინიატურული პროზა იმ დროისთვის ევროპის რიგი ქვეყნების ლიტერატურაშიც გვხვდება.

საინტერესოა ფაქტი, რომ ეს ჟანრი ლიტერატურაში სწორედ იმ ეპოქაში გამოჩნდა, როდესაც მსოფლიო საზოგადოების ცნობიერების, მსოფლმხედველობის, შემეცნებითი თუ მხატვრული ხედვის გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობდა, წარმოიშობოდა სხვადასხვა ახალი ფილოსოფიური სისტემა, იცვლებდა საგანთა და მოვლენათა აღქმა-შეფასების კრიტერიუმები. ეს იყო ეპოქა, როდესაც ადამიანმა ყველაზე მეტად გაითავისა ეგოცენტრიზმი და სუბიექტური «მე» სამყაროს ცენტრში დააყენა. ეს იყო საზოგადოების მიერ ადამიანის არსებობის განსაზღვრისა და საკუთარი თავის ძიების ეპოქა, ადამიანი გაექცა ღმერთს და უკიდევანო სამყაროში ახლა პიროვნული «მე»-სთვის უნდა მიეჩინა ადგილი.

ადამიანი დაიქანცა და დაიბნა იმ ერთბაშად მოვარდნილ ინდუსტრიულ რევოლუციასა და იმპერიალისტურ მოძრაობას შორის და ქვეცნობიერად გამოსავლის ძიება დაიწყო. უჩვეულოდ დაჩქარდა ცივილიზაციის განვითარება, არნახული სისწრაფით წარიმართა ტექნიკური პროგრესი, რამაც ცხოვრების ტემპი დააჩქარა. ამან თავისებური, ღრმა დადი დასვა ადამიანის ცნობიერებას, ცხოვრების წესსა და, რა თქმა უნდა, შემოქმედებით პროცესს.

იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე ეს გარდატეხები ხელოვნების არც ერთ დარგში ისე მძაფრად და მტკივნეულად არ ასახულა, როგორც მწერლობაში და, კერძოდ, მხატვრულ ლიტერატურაში. ჩამოთვლილმა მოვლენებმა უპირობოდ განსაზღვრა ეპოქის თანამედროვე ხელოვნების წარმომადგენელთა სხვადასხვა მოდერნისტულ სკოლებად დაჯგუფება, მათ მიერ შემოქმედებითი მეთოდისა და ფორმირების ძიება.

პროზაული მინიატურის აღმოცენება და დამკვიდრებაც ამ ძიების შედეგი უნდა იყოს და მისი წარმოშობის სათავეებიც სწორედ აქ უნდა იმალებოდეს.

ისეთი ჟანრული თავისებურებების მქონე პროზაული ნაწარმოები, როგორიცაა მინიატურა, ფორმის სიმცირითა და შინაარსის ღრმა, მრავალფეროვანი გამოსახვის საშუალებით, ზედმიწევნით სხარტად პასუხობს იმ ეპოქაში მოდერნისტი მწერლის მიერ დანახულ და დასმულ პრობლემებს.

აღნიშნულმა საზოგადოებრივ-კულტურულმა მოვლენებმა და ტექნიკურმა პროგრესმა, ცხოვრების ტემპის დაჩქარებამ მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა, როგორც მსოფლმხედველობრივი, ისე ფორმის თვალსაზრისითაც.

წარმოიშვა ხელოვნების ისეთი მიმდინარეობები, ლიტერატურული დაჯგუფებები, რომლებმაც ტრადიციული ჩარჩოები გაარღვიეს და შემოქმედებითი მეთოდი თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას დაუკავშირეს, შუასაუკუნეების რენესანსული ხელოვნების გამოსახვის ფორმებსა და მსოფლმხედველობას უარი უთხრეს; უმთავრესი ამოცანა გახდა წმინდა ადამიანური, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის მარადიული საკითხის გადაჭრა და ზოგადსაკაცობრიო იდეები ერთი ადამიანის, კონკრეტული პიროვნების სუბიექტურ «მე»-მდე იქნა დაყვანილი. წინა პლანზე აღმოჩნდა სუბიექტივიზმი და რენესანსული მსოფლხედვისთვის დამახასიათებელმა ძირითადმა საპოლემიკო თემებმა - «სიყვარულმა», «კაცთმოყვარეობამ» და სხვამ, თავისთავად, უკანა პლანზე გადაიწია. ამიტომაც, აღნიშნული ლიტერატურული მიმდინარეობებისთვის დიდი ეპიკური ტილოები საჭირო აღარ გახდა, რადგან ავტორისეული სუბიექტური განცდა მცირე ფორმის ნაწარმოებშიც კარგად ეტყოდა. ამან განაპირობა XIX-XX საუკუნეების მიჯნის პროზაში ისეთი ლირიკულ-ეპიკური ფორმების გაბატონება, როგორიცაა ნოველა, ესსე, ეტიუდი, ესკიზი, მინიატურა და სხვ.

რაც შეეხება საკუთრივ მინიატურას, მისი აკვანი აღმოსავლეთში დაირწა. ამასთან დაკავშირებით სანდრო ცირეკიძე, თვის ესეში «მინიატურა», წერს: «მინიატურა ყველაზე უფრო მხატვრობაშია ცნობილი. დიდი ხანია ადიდებენ სპარსულ მინიატურისტებს. და სწორედ აღმოსავლეთში უნდა შობილიყო მინიატურის მიკროსკოპიზმი...» [1, 140].

გრაფიკული მინიატურის დანიშნულება იყო წიგნის, ტექსტის თავკიდური ასოების მხატვრული გაფორმება, არშიების მორთვა; სხვადასხვა ეპიკური თხზულების ილუსტრირება მინიატურული მხატვრობით ხდებოდა და ნაწარმოებში მოცემული სიუჟეტიდან ერთ სცენას ასახავდა. ეს ტენდენცია გავრცელებული იყო როგორც საერო, ისე სასულიერო მწერლობაში.

თუ ქანრული თვალსაზრისით ლიტერატურულ მინიატურას სახვითს დავუკავშირებთ, პროზაულ მინიატურასთან ყველაზე ახლო ნათესაობა აქვს მხატვრობის სწორედ ისეთ მცირე ფორმებს, რომლებიც ეპიკური თხზულებიდან, სიუჟეტიდან ერთ სცენას ასახვენ, ან სცენას ამა თუ იმ სოციალური წრის ყოვთი ცხოვრებიდან, რაც, ძირითადად, ძველადმოსავლური ფერწერისა და გრაფიკის მახასიათებელია.

თუ ასე ვიმსჯელებთ, მინიატურა ხელოვნებაში სოციალური ყოფის ასახვისა და მხატვრული ტექსტების ესთეტიკური გაფორმების საჭიროებას დაუმკვიდრებია.

«ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია მინიატურისა, არის ილუსტრირება, იგი ლიტერატურული კომპოზიციის ვიზუალური გამოსახულება იყო და მას უფრო აღქმადს, გასაგებსა და კითხვად ხდიდა. საერთოდ, ჩინური მხატვრობის ფორმები, ირანში მისმა მონღოლმა მმართველებმა დანერგეს, გადაასახლეს რა ირანში დიდი რაოდენობით ჩინელი ხელოსნები – მხატვარ-ოსტატები.

მინიატურული მხატვრობა ოდითგანვე ლიტერატურული პროდუქციით იკვებებოდა და მისი განვითარების გზას ფეხდაფეხ მისდევდა, მასთან ერთად იხვეწებოდა და რთულდებოდა ასახვის ფორმების მიხედვითაც.

თუ ზემოთ მოყვანილ ტექსტს კარგად დავუკვირდებით, ისიც უდავოდ წარმოჩნდება, რომ ადამიანის სუბიექტივიზაციისა და მისი სხვა ხილული სამყაროსგან მკვეთრი განცალკევების შესახებ ფიქრი კაცობრიობამ უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე იგი XIX საუკუნის მწერლობაში დადგებოდა, როგორც

ინდივიდუალიზმის პრობლემა. თუ ამ თვალსაზრისით დაგვანტერესებს აღმოსავლური მინიატურული მხატვრობა, საკმარისია გავცნოთ ოტომანთა იმპერიის მინიატურას და ასე თუ ისე, გაირკვევა თუ რატომ შეიძლებოდა, სხვა მრავალ გარემოებასთან ერთად, მოდურ ლიტერატურულ სკოლებს შეერჩიათ მცირე ფორმის ჟანრი, კერძოდ, მინიატურა გამოსახვის საშუალებად.

«მინიატურა გახლდათ ხელოვნების გავრცელებული ფორმა ოტომანთა იმპერიაში. იგი სცილდებოდა სპარსულ ტრადიციებსა და ჩინურ გავლენებს.

იგი შემადგენელი ნაწილი იყო ოტომანთა წიგნის კულტურისა, რომელიც შეიცავდა წიგნის ოქრო-ვერცხლით შემკობას, კალიგრაფიას, ქაღალდზე ფონის დამუშავებასა და წიგნის აკინძვას...

...მათს მინიატურებში მხატვრული პერსპექტივების გაგება განსხვავდებოდა ევროპული რენესანსის მხატვრობის ტრადიციებისაგან. მინიატურები მჭიდროდ უკავშირდებოდა წიგნის კონტექსტს და ძლიერ ჰგავდა თანამედროვე ფერად ილუსტრირებულ წიგნებს. ფერები იყო ძალზე მკაფიო. თბილისი გვერდით გამოიყენებოდა კონტრასტული ფერები, რაც, მათი შერჩევის პრინციპით, XX საუკუნის ავანგარდი მხატვრების მიდგომას მოგვაგონებს.

ევროპის რენესანსული მხატვრობისგან განსხვავდებოდა აგრეთვე ოტომანური მინიატურული მხატვრობის მსოფლმხედველობრივი ქვეტექსტი, მხატვრები რეალისტურად არ გამოხატავდნენ ადამიანებსა და სხვა სულიერ თუ უსულო საგნებს. ისინი უგულვებელყოფდნენ ბაძვას, რადგან სუფისტური მსოფლმხედველობის შესაბამისად, სამყაროული არსებები არ იყვნენ მუდმივნი და გადმერთების ღირსნი. ოტომანთა მხატვრები მიაწინებდნენ უსაზღვროებასა და ტრანსცენდენტალ რეალობაზე, რაც მათთვის, სოფუსტურ-პანთეისტური შეხედულების მიხედვით, ალლაჰია. ამიტომ ისინი ყველა არსებას სტილიზებულად და აბსტრაქტიზებულად გამოსახავდნენ» [2].

სწორედ აქ უნდა ვეძებოთ პროზაული მინიატურის ქანრული თავისებურებების ის ფესვები, რომლის მიხედვითაც მას ერთი პატარა მთელის ნაწილიდან, ფილოსოფიური განზოგადებით, უკიდევანო სამყაროს წარმოჩენა შეუძლია. ამ მინიატურებში ჩანს, რომ სამყაროში არსებული თითოეული საგანი ნაწილია მთელის ისევე, როგორც ეპოსში

მოცემული ილუსტრაცია წარმოადგენს ფაბულის მცირე სიუჟეტს.

შესაძლოა ამ და სხვა მსგავს გარემოებებსაც გამოეწვია ადამიანის დაფიქრება თავისი არსებობის შესახებ ამ დაუსაწყის და დაუსრულებელ სამყაროში.

ასე რომ, სანამ მინიატურა XIX-XX საუკუნეების მწერლობაში შევიდოდა როგორც ლიტერატურული ჟანრი, საკმაოდ დიდი ტრადიცია ჰქონდა ძველ აღმოსავლურ, ბიზანტიურ თუ ქართულ კულტურულ სინამდვილეში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბელეტრისტისთვის პროზაული მინიატურა საუკეთესო გზაა პიროვნული განცდის წარმოსაჩენად, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნის მოდერნისტმა მწერლებმა გამოსახვის საშუალებად მცირე ფორმის ნაწარმოები არჩიეს, რადგან ამ ჟანრმა, წმინდა ლირიკული განწყობილების ფონზე, მძაფრი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ხასიათი დაიტია. პროზაული მინიატურა ძლიერ ახლოსაა ლირიკული ჟანრის ლექსთან – რომ არა მწელად შესამჩნევი სიუჟეტური წნული, შესაძლოა წმინდა ლირიკულ გვარსაც მიკუთვნებოდა; სწორედ ამიტომაც შედის ლირიკულ-ეპიკური გვარის ჟანრებს შორის.

მინიატურის ზემოაღნიშნული გენეზისიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ჟანრი, როგორც გამოსახვის ფორმა, მოდერნისტულმა სკოლებმა, კერძოდ კი იმპრესიონისტულმა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ, მიზანმიმართულად აითვისა.

თუ იმპრესიონისტი მხატვრისთვის ან მწერლისთვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი, სირთულეებით აღსავსე დაუსაბამო და დაუსრულებელი ცხოვრებიდან ერთი ფრაგმენტის აღება-დამუშავება და შემოქმედებითი მეთოდის სპეციფიკურობით გადმოცემა – მოვლენის ან საგნის კონკრეტულ დროში ფიქსირდება, მინიატურაც სწორედ მისი უმთავრესი თავისებურებაც სწორედ ის არის, რომ მოვლენის ერთ ეპიზოდს წარმოადგენს და ამბავს სადაც იწყებს, ფაქტობრივად, იქვე ამთავრებს. იგი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ნაწარმოები რომანისთვის დამახასიათებელი არქიტექტონიკით ან ნოველის კომპოზიციით შეიკრას და გმირის მრავალპლანიანი ხასიათით ამოიწუროს, თუმცა მკვეთრად გამოხატულ განწყობას იძლევა, რითაც მოვლენისა და საგნის შესახებ სრულ წარმოდგენას ქმნის და ლირიკული გმირის

სულის მოძრაობას, მის ხასიათს მთლიანი სისრულით გვიჩვენებს.

საქართველოში პროზაული მინიატურა, უფრო ფართო გავრცელებას პოევს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. 900-იანი და 10-იანი წლებიდან იხვეწება მკაცრად განსაზღვრული ჟანრული სპეციფიკით და ლიტერატურაში იწყებს დამკვიდრებას, როგორც სხვა ლირიკულ-ეპიკური გვარის თხზულებებისაგან მკვეთრად გამიჯნული მხატვრული ასახვის ფორმა.

მართალია, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში მრავლად გვხვდება პროზაული მინიატურის ნიმუში, მაგრამ არა ისეთი დადგენილი ჟანრული თავისებურებებით, როგორც ევროპიდან სამშობლოში ახალდაბრუნებულ მწერლებთან წარმოჩნდა. ამავე დროს, საკუთრივ ქართული მოდერნისტული სკოლების წარმოშობა მხოლოდ ევროპულ ლიტერატურულ პროცესებს არ უკავშირდება. საქმე ის არის, რომ მათი შემოქმედებითი პროცესისთვის მახასიათებელია მწერლის სუბიექტური «მე»-ს ლირიკულ გმირთან შენივთება და, ამ გზით, იმ დროისათვის მწვავე საზოგადოებრივი, სოციალურ-პოლიტიკური საკითხების დასმა ან გადაჭრა. მათს შემოქმედებით ორიგინალობასაც სწორედ ის ფაქტორი განსაზღვრავს, რომ მხოლოდ ვიწრო პიროვნული, სულოვანი მდგომარეობიდან არ ამოდიოდნენ, მხოლოდ სუბიექტურ განცდებზე არ საუბრობდნენ. მათი შემოქმედებიდან მკვეთრად ჩანს, რომ ავტორის ლელვის საგანი და მიზეზი სამშობლოს ისტორიული ბედი და იმ დროის მძიმე სოციალური პრობლემებია. ამიტომ უნდა ითქვას, რომ 20-იანი წლების ქართველმა მოდერნისტმა ავტორებმა შემოქმედებითი მეთოდი ისტორიულ სინამდვილეს შეუნივთეს და ამ ნიადაგზე ორიგინალური ეროვნული მწერლობა შექმნეს.

ამ ადამიანებს საკმაოდ კარგად ჰქონდათ გაგებული სამშობლოში არსებული მრავალი მტკივნეული პრობლემა. ხელოვანისთვის, როგორც ერის მედრომისათვის, მრავალი გადასაწყვეტი საკითხი იდა, სათქმელიც მრავალი იყო და თემაც – ამოუწურავი.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში მწერლობას არასოდეს ქმნიდა უცხო ქვეყნის მოდური ლიტერატურული პროცესი თუ ესთეტიკურ-ფილოსოფიური ხედვა, რადგან მამულიშვილი ყოველთვის უფრო მტკივნეულად განიცდიდა ქვეყნის მთლიანობისა და ისტორიის მიერ მოტანილ საზოგადოების

ყოფის ავკარგინობის სხვა საკითხებს, ხოლო ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი, ან მოდური შემოქმედებითი მეთოდი თუ სხვა, მისი დამხმარე კომპონენტი იყო, რითაც ინდივიდუალური შემოქმედებითი პროცესი წარმართებოდა.

ამ ქვეყანაში არსებულმა საუკუნის დასაწყისის მრავალმა საზოგადოებრივმა პრობლემამ მოწინავე ინტელიგენციისგან სწრაფი, მოკლე და ამომწურავი პასუხები მოითხოვა. ალბათ, ამიტომაც ამგვობინა ზოგიერთმა მწერალმა პროზის ისეთი ჟანრული ფორმა, როგორცაა მინიატურა. ამასთან დაკავშირებით საკმაოდ მკაფიო მოსაზრება გამოთქვა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ: «მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალაუვნებურად შექმნა იმგვარი ლიტერატურული ატმოსფერო, რომ ვრცელი ეპიკური თხრობისთვის ნაკლებად ეცალა და პროზაულ ფორმათაგან მინიატურა ითხოვება, უფრო სწრაფად ეხმაურება საზოგადოებრივ მოვლენებს და, ამდენად, საკმაოდ მოქნილი, ქმედითი ფორმაა მწვავე ეროვნულ-პოლიტიკური სიტუაციისას» [3, 9-10].

ასეთი მსჯელობის შემდეგ აღარ უნდა გაგვივიკრიდეს, თუ რატომ მოიცვა იმდროინდელი ლიტერატურული პრესა მცირე ფორმის პოეტურმა თუ პროზაულმა ჟანრმა. კერძოდ, მინიატურამ, როგორც მხატვრული ასახვის საშუალებამ.

XIX საუკუნის საქართველო მეტად რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების წინაშე იდგა – რევოლუციის ფაქტონი აქაც ისეთივე ენერგიით დაგელავდა, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ მისი მსვლელობა და შედეგები პატარა ქვეყნისა და მცირერიცხოვანი ხალხისთვის ძალიან მძიმე გადასატანი აღმოჩნდა. დიდბუნებოვან, მაღალი ზნეობის მქონე, ამაყ და თავისუფალ ხალხს, რომელიც უსამართლობას, დამცირებასა და მათრახს ვერ ეგუებოდა, უსაზღვრო ცინიზმით, ხელჯობებით ციმბირის გზაზე, ან ეშაფოტისაკენ მიერეკებოდნენ. ეს იყო საქართველოში ცარისტული რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ხანა, ამიტომ ქართული საზოგადოება ხმალამოდებული იბრძოდა თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის.

1918 წელს მიღებული დამოუკიდებლობის აქტი ბოლშევიკურმა რუსეთმა არ გვაპატია – 1921 წელს მასობრივი სისხლისღვრით შემოიჭრა საქართველოში და თოფის წამალი და ჩაქურჩ-ნამგალი ერთდროულად ააგრიალ-აახხარუნა. დაიწყო სასულიერო წო-

დების დევნა, ნგრევა ეკლესიებისა. გაუგონარმა სისხლიანმა რეპრესიებმა, ძირითადად, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მხრებზე გადაიარა.

ქვეყანაში მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკური ცვლილებები (მით უმეტეს ისეთი მტკივნეული, როგორც საქართველოში წარმართებოდა), თავისთავად, ყველაზე მეტად საზოგადოების დაბალ ფენებზე ახდენდა გავლენას და უშუალოდ მის ყოფით ცხოვრებაზე, სოციალურ პირობებსა და სულიერ მდგომარეობაზე აღიბეჭდებდა.

როგორც ვხედავთ, ქვეყანაში დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდატეხები მიმდინარეობდა. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მცირე ფორმის თხზულებათა დიდი ნაკადი ქართულ მწერლობაში აღნიშნული ცვლილებების პერიოდში XIX-XX საუკუნეების მინაზე გაჩნდა. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდნენ მწერლები შიო არაგვის-პირელი, ჭოლა ლომთათიძე, ევ. გაბაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ეგნატე ნინოშვილი და სხვანი, რომლებიც უშუალოდ ეხმაურებოდნენ ხალხის იმ უკიდურესად აღელვებულ სოციალურ მდგომარეობას, რაც იმ დროის პოლიტიკურმა გარდაქმნებმა გამოიწვია.

ზემოთ მოყვანილ და მთელ რიგ სხვა პრობლემებს, მართალია, მცირე ფორმის ერთი პროზაული ნაწარმოები ვერ დაიტევს, იგი მხოლოდ საზოგადოების ერთ საფიქრალს გასცემს პასუხს, მაგრამ საგულისხმოა, რომ კონკრეტული ავტორის თხზულებათა ერთიანობას შეუძლია სრული წარმოდგენა შექმნას გარკვეული პერიოდის სინამდვილის შესახებ, ისაუბროს თანადროული ყველა მოვლენის გარშემო და მეტიც, ასახოს ეპოქა მთელი თავისი კატაკლიზმებით.

მცირე ფორმის თხზულებათა ზემოაღნიშნული თვისება, რა თქმა უნდა, მისი მთავარი ღირსება არ არის, რადგან ისტორიული ჩარხის ბრუნვას, ამა თუ იმ დროში დასმულ საზოგადოების სულიერ თუ სოციალურ მოთხოვნებს ისე ვერაფერს წარმოაჩენს, როგორც დიდი ეპიკური ნაწარმოები (რომანი, პოემა), რომელსაც მოქმედების დიდი მასშტაბით გაშლა და, რეალურად, ეპოქისათვის დამახასიათებელი ყველა გარდატეხის მოცვა შეუძლია.

საქმე მცირე ფორმის პროზაული ნაწარმოების ლირიკულ ხასიათს ეხება, რომლის ფონზე გმირის ფსიქოლოგიური ქმედება, მისი სულის მოძრაობა, რაც მძიმე სოციალური თუ სხვა ყოფით არის გამოწვეული, მკითხველს

მძაფრი შთაბეჭდილებით ავსებს და ამავე შთაბეჭდილებებით იმ დროის საზოგადოების პრობლემებში ღრმად ახედებს. მას შეუძლია, მკითხველი გმირის ფიქრის, მოქმედების, სულიერი წიაღისეულის უშუალო მონაწილე გახადოს, ამ გზით მკითხველს მოვლენის არსსა და პრობლემის სირთულეს ბოლომდე აზიაროს.

პროზაული მინიატურა საინტერესო ჟანრია არა მხოლოდ აღნიშნული თვისებების გამო, არამედ მისთვის დამახასიათებელი სხვა გარემოებებითაც.

XX საუკუნის 10-იან წლებში მინიატურული ჟანრის ქართულ ლიტერატურაში შემოჭრამ მწერალთა წრეებში მსუბუქი კამათი გამოიწვია. საზოგადოება, რომელსაც მიზნად დასახული ჰქონდა არა მარტო ლიტერატურის, არამედ მთელი კულტურისა და ხელოვნების განვითარება, განახლება და თანამედროვეობისადმი მორგება, ამ პატარა ფორმის მინიატურამ დააფიქრა როგორც ლიტერატურულმა ფაქტმა და მის გარშემო პოლემიკაც გაიმართა.

მინიატურული პროზის ჟანრს, რომელიც ეპიკური თხზულებისაგან განსხვავებით მომავალ მწერლობას ერთგვარ სიახლედ მოეწონა, ლიტერატურაში უკვე მკვიდრად ჰქონდა ფესვი გადგმული. იმ ტენდენციას, რომლის მიხედვითაც არა თუ რომანი, არამედ მცირე ფორმაც უარყოფილი იყო და მწერლობა მხოლოდ სათაურამდე უნდა დასულიყო, საზოგადოებას დიდფორმიანი თხზულების მწერლობიდან ამოვარდნის შიში გაუჩინა და ეს გარემოება აღინიშნა კიდევ. თუმცა კონსტანტინე გამსახურდია, რომელსაც მწერლისა და კრიტიკოსის უტყუარი ალლო გააჩნდა, მოვლენას სხვაგვარად განსჯიდა და ამბობდა: «...აშკარა გახდა, რომ ბალზაკის ვრცელი რომანები, შექსპირის დრამები და დანტეს კომედია გაცილებით მეტად იკითხება მთელს მსოფლიოში, ვიდრე მცირე ფორმის თხზულებები. ჩვენი ეპოქის მაჯის

ცემას ვინც დაჰკვირვებია, მისთვის ნათელია, რომ ლიტერატურა ეპიკური ჟანრებისაკენ იხრება» [4, 528]. მართალია, ეს წერილი ცოტა მოგვიანებით, 1945 წელს დაიბეჭდა, მაგრამ საუკუნის დასაწყისის მწერლობის შეხედულებას ეპიკური და ლირიკული პროზის შესახებ აბათილებს. მართლაც, 20-იანი წლებიდან იწყება თანამედროვე ქართული რომანის განვითარება, რაც დღემდე არ შენელებულა; ისე რომ მცირე ფორმის პროზაული მინიატურა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისს, აღარავის ახსოვს, და რამის არის, ლიტერატურის კრიტიკას მისი შესწავლა-დადგენის ვალდებულება სულაც გადაავიწდეს.

თემატურ-პრობლემატურ საკითხებს რომ თავის დავანებოთ, პროზაული მინიატურა, როგორც დამოუკიდებელი ჟანრი, უნდა გაიმიჯნოს სხვა მცირე ფორმის პროზაული ჟანრებისაგან და დადგინდეს მისი თავისებურებები, სხვანაირად, მისი შესწავლა მცდარი გზით წარიმართება და ლიტერატურის ისტორიაშიც გაჭირდება მისთვის სათანადო ადგილის მიჩენა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 96 ესსე, თბილისი, 1986, გამ-ბა «მერანი», გვ. 140.
2. http://www.worldlingo.com/ma/en/wiki/en/Ottoman_Empire
3. ქართული მინიატურული პროზა, თბ., 1992, გამ-ბა «ლომისი», გვ. 9-10.
4. კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. VI, გამ-ბა «საბჭოთა საქართველო», თბ., 1963, გვ. 528.



ტრადიციული ქართული დიპლომატია და ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ძირითადად, თავდაცვითი სვლებისა და გათვლების ხასიათს ატარებდა, რათა დამპყრობლის აგრესია მოეგერიებინა და თავისი თვითმყოფადობა შეენარჩუნებინა. თავისი ეკონომიკური თუ პოლიტიკური მნიშვნელობით საქართველო მუდამ იმპერიების უთანხმოებისა და დავის ობიექტს წარმოადგენდა. რთული და სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო საქართველოს დიპლომატიური ტრადიცია იყო ის, რომ სწორად განესაზღვრა, მოკავშირე ვინ იქნებოდა და მტრად ვის გადაიკიდებდა.

ძველად, ჯერ იყო ომები და შემდეგ მშვიდობიანი თანარსებობის საკითხის გადაწყვეტა მოლაპარაკებების გზით; დღეს კი, ჯერ მშვიდობიანი მოლაპარაკებები იწყება "სისხლიანი" შეტაკებების თავიდან აცილების მიზნით და საომარ მოქმედებებზე გადასვლა მხოლოდ მას შემდეგ იწყება, როცა მოლაპარაკებების გზით პრობლემის გადაჭრა ვეღარ ხერხდება.

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებს, გარდა ეკონომიკური კეთილდღეობისა და მტკიცედ ორგანიზებული ჯარისა, განაპირობებდა საქართველოს სამხრეთით მრავალი წვრილ-წვრილი და, ხშირად, ერთმანეთის მოქიშვე თურქული სამთავროების არსებობაც, რომლებსაც ცალ-ცალკე არ შეეძლოთ ქართული ჯარის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ სამთავროებმა თამარის მეფობაში ორჯერ მოახერხეს შეექმნათ მძლავრი სამხედრო კავშირი, რათა ერთად დაპირისპირებოდნენ საქართველოს მეფეს და სამეფოს. ამ ღონისძიებათა შედეგად საქართველოს ორჯერ დაემუქრა სერიოზული საფრთხე, რომლებიც თამარისა და მისი სარდლობის გაბედულმა მოქმედებებმა ქვეყანას თავიდან ააცილეს.

თამარის დროს საქართველომ თავისი პოლიტიკური სიძლიერით, ეკონომიკური წარმატებით და კულტურული დაწინაურებით ახლო აღმოსავლეთში ბიზანტიის როლი იკისრა. ამიერიდან საქართველო დასავლეთის კულტურის დამცველის როლში გამოდიოდა. თამარის მეფობის დასასრულს სხვადასხვა

პოლიტიკური ფორმით (ყმადნაფიცობით, მეხარკვობით, ქართულ სამეფოსთან უშუალო შეერთებით) საქართველოზე იყო დამოკიდებული აღმოსავლეთი ამიერკავკასია, ირანის აზერბაიჯანი, მთელი სომხეთი, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო.

1318 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა გიორგი ბრწყინვალე, საქართველომ დასრულდა "მრავალმეფიანობის" 20 წელი.

გიორგი V თავიდანვე მოვლენების წინასწარ განჭვრეტის და კარგი დიპლომატიისთვის დამახასიათებელ თვისებებს ავლენდა, ის გეზს მთავარ ემირთან-ჩოზან ნოინთან ურთიერთობაზე იღებდა. მასთან მეგობრობას საქართველოს მეფე მოხერხებულად იყენებდა და ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეებს მტრის ხელით, მოწინააღმდეგის გამოყენებით ახორციელებდა. ეს იყო შედეგი გიორგი ბრწყინვალის დიდი დიპლომატიისა და გონივრული პოლიტიკის განხორციელებისა.

ქვეყნის ხელახალი გაერთიანების შედეგად საქართველო თითქმის ძველ საზღვრებში აღდგა. გიორგის წინამძღოლობით ქართულ ჯარს დაულაშქრავს მოსაზღვრე მხარეები ჩრდილოეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით (ოსები, დურძუკები, ხუნძები, რანი, ყარაზაღი, შარვანი), იქიდან მონღოლები განუდევნია და ეს ქვეყნები მოხარკედ გაუხდია.

გიორგი V-მ წარმატებული დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა იმ დროის წამყვან სახელმწიფოებთან: ეგვიპტესთან, ბიზანტიასთან, ტრაპიზონის საკეისროსთან, რომის პაპთან. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას და მისი საერთაშორისო პრესტიჟის დადასტურებას წარმოადგენდა გიორგი V-ის ორი წარმატებული ელჩობა ეგვიპტის სულთანთან იერუსალიმში არსებული ქართული მონასტრების გამოსწისა და მათთვის ძველი უფლებების დაბრუნების მიზნით. პირველი ელჩობის დროს (ელჩებად იყვნენ პიპა ქსნის ერისთავი და დეკანოზი იოანე ბანდაისძე), ეგვიპტის სულთანი "ყოველი სათხოვარის" შესრულებას შეჰპირდა ქართველ მეფეს, სამაგიეროდ მისგან სამხედრო დახმარების პირობა მიიღო. ამ ელჩობათა შედეგად საქართველოს დაუბრუნდა ჯვრის

მონასტერი და "კლიტენი იერუსალიმისანი" (წმინდა საფლავის ტაძრის გასაღები).

ამრიგად, გიორგი ბრწყინვალემ მრავალი კავი საქმე გააკეთა ქვეყნის სასიკეთოდ, მისი აქტიური და მიზანმიმართული საგარეო პოლიტიკის შედეგი იყო იმ დროისათვის საქართველოსთვის მნიშვნელოვანი როლის მინიჭება საერთაშორისო ასპარეზზე. გიორგი V-ის მეფობა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი წარმატებული პერიოდია. ამიტომაც შეარქვა მას შთამომავლობამ "ბრწყინვალე".

1723-1735 წწ. აღმოსავლეთ საქართველოში თურქები ბატონობდნენ, შემდეგ კი ისინი გადდევნეს აღორძინებული ირანის ჯარებმა და ქვეყანაში თავისი მმართველობა დაამყარეს. ქართველები ებრძოდნენ როგორც თურქებს, ასევე ირანელებს, თუმცა განმათავისუფლებელ მოძრაობას ძალიან უშლიდა ხელს განუწყვეტელი ფეოდალური შინაომები, რომლებიც გარეშე მტერთან ბრძოლის პარალელურად მიმდინარეობდნენ. ინტენსიური სამხედრო მოქმედებების გამო ქვეყანა გაპარტახდა.

ოსმალურ-ირანული ოკუპაციისა და საშინაო აშლილობის ფონზე მეტად გაძლიერდა დაღესტნელთა რაზმების თავდასხმები აღმოსავლეთ საქართველოზე, რასაც მოსახლეობისათვის უდიდესი ზიანი მოჰქონდა. ქართველები იარაღით ხელში ებრძოდნენ ოსმალებს, ირანელებს, დაღესტნელებს. ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა კონსტანტინე II -ის უმცროსი ძმა თეიმურაზ II. ირანის მბრძანებელი ნადირ-შაჰი იძულებული გახდა აჯანყებული ქართველების წინაშე სერიოზულ დათმობებზე წასულიყო. 1744 წ. მან აღადგინა ქართლის და კახეთის სამეფოები, რომლებიც 1723 წლის შემდეგ, ფაქტობრივად, გაუქმებულნი იყვნენ. ქართლის მეფედ დამტკიცებულ იქნა თეიმურაზ II, ხოლო კახეთის მეფედ ამ უკანასკნელის ვაჟი ერეკლე II.

მამა და შვილი თავდაპირველად აღმოსავლეთ საქართველოს მართავდნენ როგორც ირანის ვასალები, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1747 წ. ნადირ-შაჰი მოკლული იქნა შეთქმულთა მიერ, ხოლო ირანი ანარქიამ მოიცვა, ქართლის და კახეთის სამეფოებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაიბრუნეს. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ერეკლე გაერთიანებული ქართლ-კახეთის ანუ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მეფე გახდა.

შედარებით გაუმჯობესდა მდგომარეობა იმერეთის სამეფოშიც. მისი მეფე სოლომონ 154

(1752-1784) ენერგიულად იბრძოდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების და თურქეთის ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის.

1768-1774 წლებში ერეკლე და სოლომონი რუსეთს ეხმარებოდნენ თურქეთის წინააღმდეგ ომში, მაგრამ მოუხედავად იმისა, რომ ერეკლემ დაამარცხა ახალციხის ვილაიეთის სამხედრო ძალები, ამიერკავკასიაში მოქმედი რუსი გენერლის დალატის გამო ვეღარ შესძლო წარმატების განვითარება. 1774 წ. თურქეთთან დადებული ზავით რუსეთმა სცნო ოსმალეთის სუვერენიტეტი დასავლეთ საქართველოზე, ოღონდ იმ პირობით თუ სულთანმა უარს იტყოდა იმერეთიდან ხარკის აღებაზე.

ერეკლე II ყველანაირად ცდილობდა საქართველო განვითარების ევროპულ გზაზე დაეყენებინა. მისი მმართველობის ხანაში ქართლ-კახეთის სამეფოში უკვე შეიმჩნევა ფეოდალური ურთიერთობების რღვევა: გლეხთა ნაწილი თავისუფლდება ბატონყმობის უღლისაგან და თავისუფალი მწარმოებელი ხდება, იზრდება მდიდარი თბილისელი ვაჭრების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დაბალი წრებიდან გამოსული ცალკეული პირები სახელმწიფო თანამდებობებზე წინაურდებიან.

80-იანი წლების დასაწყისიდან აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა კვლავ გაუარესდა. ამისი ერთ-ერთი მიზეზი იყო დაღესტნელთა განუწყვეტელი თავდასხმები. მოთარეშე მთიელები ძარცვავდნენ მოსახლეობას, იტაცებდნენ ტყვეებს, რომლებიც შემდეგ ოსმალეთისა და ჩრდილო კავკასიის მონათა ბაზრებზე ხვდებოდნენ. დაღესტნელთა თავდასხმებისაგან აღმოსავლეთ საქართველოში მთელი რაიონები დაცარიელდა.

ასეთ პირობებში ერეკლე II-მ გადაწყვიტა ისევ რუსეთთან დაახლოებით განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა. 1783 წ. რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში რუსეთის იმპერიისა და ქართლ-კახეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ტრაქტატს, რომლის ძალითაც აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა. ქართველები აღიარებდნენ რუსეთის იმპერატორის უზენაესობას და უარს ამბობდნენ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე. სამაგიეროდ, რუსეთი თავის თავზე იღებდა საქართველოს დაცვას გარეშე მტრებისაგან, რისთვისაც აქ უნდა მდგარიყო ორი რუსული ბატალიონი ორი ზარბაზნით. ამასთან რუსეთის მხარე პირობას დებდა, რომ არ ჩაერეოდა საქართველოს საში-

ნაო საქმეებში. სამწუხაროდ, რუსეთ-საქართველოს შორის დადებულ ამ ხელშეკრულებას კარგი არაფერი მოუტანია, ხოლო ცუდი შედეგები კი მოჰყვა. ერეკლეს დაუპირისპირდნენ ირანი და ოსმალეთი, გაძლიერდა დაღესტნელთა თავდასხმებიც. სწორედ ამ მწიბვდობის ჟამს, რუსეთის მთავრობამ საერთოდ გაიყვანა თავისი ძალები საქართველოდან და ერეკლე II ბედის ანაზარა დატოვა. ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. 1798 წ. გარდაიცვალა ერეკლე II და ტახტზე ავიდა მისი ვაჟი გიორგი XII (1798-1800), სუსტი და პასიური მმართველი. საქართველოს მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, პოლიტიკურად დაუძლიერებული საქართველოს მდგომარეობით რუსეთმა ისარგებლა და თავისი საგარეო პოლიტიკური სვლები დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიით.

აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონების შემდეგ მეფის რუსეთი შეუდგა ამიერკავკასიაში თავისი სამფლობელოების გაფართოვებას. ირანთან ორი ომის შედეგად რუსეთის ხელში გადავიდა ჩრდილო აზერბაიჯანი და აღმოსავლეთ სომხეთი. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, მისი შეერთება რუსეთმა განახორციელა ორ ეტაპად. საბოლოოდ, საქართველო მთლიანად აექსირებული აღმოჩნდა რუსეთის მიერ.

1917-1918 წწ. დამდეგს რუსეთის იმპერიაში განვითარებულმა მოვლენებმა ხელსაყრელი პირობა შექმნეს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენისთვის, მაგრამ, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულმა საქართველოს სუვერენულმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მხოლოდ სამი წელი იარსება მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აქტიურ დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწეოდა, 1919-1920 წლებში, არ მიეცათ საშუალება საქართველოს დამოუკიდებლობის საყოველთაო აღიარებისთვის მიეღწიათ საერთაშორისო არენაზე. შედეგად, საქართველო ბოლშევიკური რუსეთის აგრესიის წინაშე დაუცველი აღმოჩნდა.

საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა მხოლოდ ბოლო ათწლეულია შეუდგა თავისი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას და მათ შორის დიპლომატიური სამსახურის შექმნას.

სამწუხაროდ, ხელის შემშლელი ფაქტორების აღმოფხვრის მცდელობა კვალვაც რჩება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანად. 2008 წლის აგვისტოში

რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა აგრესიამ ბევრი პრობლემა წარმოშვა. მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობას მიეცა საშუალება დაენახა, საქართველოში მიმდინარე არა "შიდა კონფლიქტები", არამედ-რუსეთის ფედერაციის მიერ ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია და ანექსია. ევროსაბჭოს # 1633 (2008) რეზოლუციაში ნათლად დაფიქსირდა, რომ 2008 წლის აგვისტოში მოხდა "რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპირება, ისევე როგორც ქვეყნის ეკონომიკურ და სტრატეგიულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმა, რაც აღიქმება, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფა და შესაბამისად, ევროსაბჭოს სტატუსის დარღვევა, ან როგორც რუსეთის ფედერაციის მცდელობა, გაავრცელოს გავლენა "ახლო საზღვარგარეთზე".

2008 წლის 1 სექტემბერს ბრიუსელში საგანგებოდ შეიკრიბა ევროკავშირის მინისტრიალი, რომელმაც რუსეთის ქმედებებს დისპროპორციული უწოდა. მინისტრებმა დაამეს რუსეთის ცალმხრივი გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ და მოუწოდეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, არ ეცნოთ სეპარატისტული რეგიონები. ბრიუსელში მიღებულ დოკუმენტში დაფიქსირებულია საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემა. მინისტრიალმა რუსეთს მოუწოდა პრეზიდენტ სარკოზის 6-პუნქტიანი შეთანხმების შესრულებისა და ჯარების ომამდელი დისლოკაციის ადგილებში დაბრუნებისაკენ. დოკუმენტში გამოთქმულია იმედი, რომ რუსეთი არ აირჩევს იზოლაციის გზას.

2010 წლის 23 ნოემბერს ევროპარლამენტში, სტრასბურგში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სიტყვით გამოვიდა. მან განაცხადა, რომ "საქართველო არასოდეს გამოიყენებს ძალას თავისი ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის აღსადგენად, ის გამოიყენებს მხოლოდ მშვიდობიან საშუალებებს, მისი დეოკუპაციის და გაერთიანების განსხორციელებლად, მაშინც კი, თუ რუსეთი უარს იტყვის თავისი საოკუპაციო ჯარების გაყვანაზე, მაშინც კი, თუ მისი შეირადებული რაზმები გააორმაგებენ ადამიანების უფლების დარღვევას. პრეზიდენტმა პირობა დადო ძალის გამოუყენებ-

პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ ამ განცხადებას დიდი აღფრთოვანება მოჰყვა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, ამან კი საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან საქართველოს მხარდაჭერა კიდევ უფრო მეტად გააქტიურა.

საქართველოს საკითხი კვლავ რუსეთისა და აშშ-ს უთანხმოების მიზეზია. როგორც ორი ქვეყნის პრეზიდენტების დიმიტრი მედვედევისა და ბარაკ ობამას ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი, „აშშ-სა და რუსეთს შორის კვლავ არსებობს უთანხმოება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საქართველო“.

ვფიქრობ, ძალიან კარგი და მისასალმებელია, უფრო მეტიც, დიდი წარმატებაა, რომ დღეს, საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს სცნობს სუვერენულ სახელმწიფოდ, რომ დღეს საქართველოს იცნობს და მის მიმართ დიდი პატივისცემითაა განმსჭვალული მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა და რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ საქართველოს გამთლიანებას. საქართველო ცდილობს თავისი ადგილი დაიკავოს საერთაშორისო არენაზე, სადაც მეტად რთულია არსებობის შენარჩუნება ძლიერ და იმპერიულ სახელმწიფოებს შორის. სამწუხაროდ, რუსეთის სახით, გვყავს ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგე, რომლის წინაშე საერთაშორისო საზოგადოებაც კი უძლურია ხშირ შემთხვევაში. დღესდღეობით, რუსეთი ერთ-ერთ „სუპერ ძალას“ წარმოადგენს, რომელსაც ანგარიშს უწევს მსოფლიო საზოგადოების დიდი ნაწილი. ჩემი აზრით, პატარა საქართველოს გამო არცერთი დიდი და ძლიერი სახელმწიფო, თუნდაც სტრატეგიული მოკავშირე, თავს საფრთხეში არ ჩაიგდებს და მწვავედ არ დაუპირისპირდება რუსეთის დიდ „იმპერიას“.

პატარა და სუსტი ქვეყნის არჩევანი შეზღუდულია საგარეო პოლიტიკაში. მის მთავარ საზრუნავს თავდაცვა უნდა წარმოადგენდეს, რაც მაქსიმალურ პრაგმატულობას და მოქნილობას გულისხმობს. სუსტი ქვეყნისთვის, რომელიმე კავშირში გაერთიანება გადარჩენის ყველაზე საიმედო გზას წარმოადგენს, რომელსაც ჩვეულებრივ, მიმართავს პოტენციურად აგრესიული და ძლიერი სახელმწიფოს ახლოს განლაგებული და ძლიერი ქვეყნის გავლენის სფეროში მოხვედრილი სუსტი

ქვეყანა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მას „ჩაყლაპვა“ ან დანაწევრება ემუქრება. ასეთი გზით შექმნილ კავშირებს მეტსახელად „კატისა და თაგვების კავშირებს“ უწოდებენ.

მიუხედავად, საერთაშორისო თანამეგობრობის დიდი მხარდაჭერისა და რეგიონალური კავშირების მიერ საქართველოს სასარგებლოდ მიღებული „რეზოლუციებისა“, საქართველოს ბედის ბორბალი ჯერ-ჯერობით უკუღმა ტრიალებს. დღეს, საქართველო არ იმყოფება იმ მდგომარეობაში, რომ „თითი“ უქნიოს რუსეთს. არასწორია ყველა ის ქმედება, რაც რუსეთის გამოწვევას იგულისხმებს, რადგან დღევანდელ საქართველოს გამოწვევაზე პასუხის გასაცემად შესაბამისი ძალოვანი ბერკეტები არ გააჩნია. ამიტომ, ქართულმა დიპლომატიამ უნდა მონახოს ის წერტილი, რითაც შესაძლებელი იქნება დიდ მეზობელთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება.

მართალია, დღესდღეობით საქართველოში მოღვაწეობს არა ერთი დიპლომატი და საგარეო პოლიტიკის მართვის სპეციალისტი, რომელთა უმეტესობამ განათლება ძირითადად საზღვარგარეთ მიიღეს, მაგრამ ეროვნული კადრების აშკარა დეფიციტს მაინც განვიცდით. ვფიქრობ, ძველსა და ახალ ქართულ დიპლომატიას შორის ძირითადი განსხვავება ის არის, რომ დღეს ნაკლებობაა დიპლომატიური სკოლებისა და სახელმწიფო საგარეო უწყების კადრების მოსამზადებელი აკადემიებისა, მაშინ როდესაც ძველად, სპეციალური დიპლომატიური აკადემიები არსებობდა, სადაც პროფესიული კადრების მომზადება ხდებოდა მაღალ დონეზე. სწორედ, პროფესიონალების წყალობით და დიდი დიპლომატიური გათვლების შედეგია ის, რომ დღეს ჩვენ ვარსებობთ. მაგრამ ვფიქრობ, ქართული დიპლომატიის უდიდესი დამარცხებაა 2008 წელს მომხდარი საქართველო-რუსეთის ომი, რადგან სწორი დიპლომატიური გათვლების შემთხვევაში ამ ომის პრევენცია შესაძლებელი იქნებოდა.

მსოფლიო, სადაც ვცხოვრობთ დიდია და კომპლექსური. დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც ხდება ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგავლენის ზრდა - პატარა, მაგრამ დიდი კულტურისა და ისტორიის მქონე სახელმწიფოებს დიდი საფრთხე ექმნებათ. იმლება

ყოველგვარი ბარიერები-ენობრივი, კულტურული თუ ეკონომიკური. ქვეყნებს შორის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება მრავალი ფაქტორითაა გამოწვეული, მათ შორისაა გლობალური პრობლემების წარმოშობა. ამან კი, მსოფლიო სახელმწიფოების ძალისხმევას გაერთიანების აუცილებლობა განაპირობა. ამ ურთულეს პოლიტიკურ ორომტრიალში, სადაც სახელმწიფოები იდენტობას კარგავენ, ადგილი უნდა დავიმკვიდროთ, არა ისე, რომ თავსმოხვეული ფასეულობები, თანაც არასწორად გაგებული, გავიზიაროთ და დავივიწყოთ ჩვენი ტრადიციები, არამედ ეროვნული ცნობიერება, ერთიანი კულტურული შეგნება უნდა შევინარჩუნოთ და გლობალიზაციის შეუქცევად პროცესებს ამ ტემპით გავყვეთ. მართალია, დასავლური ორიენტაცია და დასავლეთის ქვეყნებთან ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს და უნდა მოხდეს ქართული საზოგადოების ინტეგრირება საერთაშორისო დონეზე, მაგრამ არა ეროვნული იდენტობის დაკარგვის ხარჯზე. ჩვენ არ გვაქვს უფლება ვუღალატოთ ჩვენ ფასეულობებს, ერს, ენას, სარწმუნოებას; იმას, რაც წინაპრებისგან მემკვიდრეობით გადმოგვეცა, რისი დაცვაც ქართველებს სისხლისფასად უჯდებოდათ.

გლობალურ პროცესებს გვერდს ვერ ავუვლით, მაგრამ ხომ შეიძლება დადებითი შედეგებით ვისარგებლოთ და არ გავხდეთ მისი უარყოფითი მახასიათებლების განმხორციელებლები. მსოფლიო საზოგადოება განიცდის ტრანსფორმაციას, ასევე საქართველოც, მაგრამ ჩვენ ევროპული და ამერიკული ფასეულობების "იმპორტი" სწორად უნდა მოვახდინოთ. ამერიკანიზაცია და ევროპიზაცია არ უნდა ნიშნავდეს გარყვნილებასა და აღვირახსნილობას. ხომ შეიძლება ის ფასეულობები შემოვიტანოთ და მოვარგოთ ჩვენს რეა-

ლობას, რაც ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთო შედეგებს გამოიღებს?! გავიზიაროთ ის, რაც არის ფასეული - მტკიცე სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი; მოწესრიგებულობა; სახელმწიფოებრივი აზროვნება, შეგნება და სხვა. ქართველმა ერმა უნდა შეინარჩუნოს ქართველობა (ეროვნული, თვითმყოფადი ტრადიციები), რათა მომავალშიც იარსებოს და შთამომავლობას "ქართული სახელმწიფო" დაუტოვოს.

ლიტერატურა:

1. ალ. რონდელი, "პატარა ქვეყნები საერთაშორისო სისტემაში" თბ. 2009
2. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, "ქართული დიპლომატიის ისტორია" თბ. 2003
3. ქართული დიპლომატიის წელიწდეული, ტ.VI. თბ. 1999
4. რ. ბახტაძე, გადაწყვეტილების მიღება სუსტ სახელმწიფოში. თბ. 2007
5. ელ. მამუკელაშვილი, გლობალიზაცია და 20 საუკუნის საქართველო. თბ. 2007
6. ი. ტაბაღუა, ქართული დიპლომატიის ისტორია. თბ. 1994

ინტერნეტ-რესურსები:

1. <http://netgazeti.ge/GE/35/News/3373/>
2. <http://24saati.ge/index.php/category/news/2010-10-12/10301>
3. <http://www.onlinenews.ge/index.php?id=4672&lang=geo>
4. <http://www.scribd.com/doc/17443523/-G-L-Kavtaradze-Georgia-and-the-Caucasus>
5. <http://ggdavid.tripod.com/georgia/history.htm>



დღეს ჩემმა მეგობრებმა მეტად საპატიო მისია დამაკისრეს, უნდა წარმოგიდგინოთ ჩემი სოფლის, მაწიმის ისტორია; იმ სოფლისა, რომლის სახელიც ძალიან ბევრჯერ შეგხვდებოდა ჰერეთის ისტორიის გაცნობისას. ამ ადგილას ადრე თავს იყრიდნენ ქართველი მეფენი, სადაც სამეფოს ლაშქარს წვრთნიდნენ, საქვეყნო საქმეებზე ბჭობდნენ და მეფეთა ქორწილს იხდიდნენ.

სოფელი **მაწიმი** მდინარე მაწიმისწყლის ულამაზეს ხეობაში მდებარეობს. თავისი მშვენიერი ბუნების, ჰავის, წყლისა და ნაყოფიერი მიწების წყალობით უძველეს დროშივე ყოფილა დასახლებული. ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით, არჩილ ქართლის მეფემ, VIII ს-ის დასაწყისში ილაშქრა ამ მხარეში, დაიმორჩილა ნუხპატის, ანუ მაწიმის ხეობაში მცხოვრები ნუხპატელები და ძალით გააქრისტიანა ისინი; აქვე, ორი ხვეის შესაყართან კი ააგო მეფეთა სასახლე. ამ სასახლემ შემდეგში ციხე-სიმაგრის მნიშვნელობაც შეიძინა და ორი სახელით შემორჩა ისტორიას – მაჭი და თოლა.

ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: „თოლა, სასახლე მეფეთა, ფრიად შუენიერი ზაფხულის, ამას ეწოდა მაჭი“ (ვახუშტი).

VIII საუკუნიდან მოყოლებული მაჭი ხდება ჰერეთის სამთავროში შემავალი ერთ-ერთი საერისთავოს, მაჭის ცენტრი და საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰერეთისა და კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თვით ტოპონიმი **მაჭი**, როგორც ფიქრობენ, უნდა მომდინარეობდეს ერისთავის, ვინმე მაჭის სახელიდან, რომელიც IX საუკუნეში მართავდა ამ საერისთავოს.

ერთიანი ქართული სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ (XI ს.) უქმდება მაჭის საერი-

სთავო და მაჭის ციხეც კარგავს ადმინისტრაციული ცენტრის სტატუსს. ის ხდება ქართველ მეფეთა რეზიდენცია. თვით სახელი მაჭის მაგვირად იხმარება თოლა. ამის შესახებ გვამცნობენ რუსული წყაროები. მათივე ცნობით, თოლა კახეთის მეფის ალექსანდრეს ჯარის თავმჯდომარის ადგილი იყო, სადაც ის ლაშქარს იწვევდა და წვრთნიდა.

აქვე ულამაზეს ხეობაში უნებებია ქორწილის გადახდა არჩილ II-ს. პოემაში „არჩილიანი“ იგი წერს: „თოლას ვადექით ოდეს ვქენ ქორწილი გამოჩინება“.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით კახეთის მეფის ალექსანდრეს შვილებს დავითსა და გიორგის შორის ტახტის დაკავებისათვის უთანხმოება ჩამოვარდნილა. დავითმა „მამინ შვიპყრა თავისი ძმა გიორგი და რამდენიცა იყვნენ კახნი შევი-ცულნი მის თანა... და წამოიყვანა ძმა თავისი და თოლას ციხეში პატიმარ ყო“.

დღესაც შეგვიძლიათ ვნახოთ აქ მიწისქვეშ არსებული ოთახები ძლიერი სვეტებით. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ისინი თავის დროზე დილეგის ან თავშესაფრის ფუნქციას ასრულებდნენ.

თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო თოლა ფეოდალურ ხანაში კახეთის სამეფოს მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრედ ქცეულა. დაღესტნიდან კახეთის სატახტო ქალაქ გრემისკენ მიმავალი გზა თოლაზე გადიოდა. თუ მტერი თოლას ხელში ჩაიგდებდა, კახეთის სატახტო ქალაქს უშუალო საფრთხე ელოდა, რადგან მათ შორის ასეთი ძლიერი გამაგრებული ციხე-სიმაგრე აღარ იყო.

თოლას ციხეზე მიუტანია იერიში ირანის შაჰ-აბას I-ს. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, „მოვიდა თუესა იანვარსა ხუთსა... და აღილო ციხე თოლასა შაჰ-აბას და გამოილო

ყოველივე საგანძური კახეთისა”. დღეს ციხესიმაგრის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. აქ ნახავთ სასახლის ნაშთებს, მიწისქვეშა ოთახებს, ჭას, ეკლესიას. სამწუხაროდ, მაჭის ციხე არქეოლოგიური თვალსაზრისით, სათანადოდ არ არის შესწავლილი. არადა აქ აღმოჩენილი ქვა, ასომთავრული წარწერებით, რომელიც XII საუკუნითაა დათარიღებული და იმავე პერიოდის მოჭიქული ჯამის ძირი ფრინველის გამოსახულებით, იმაზე მეტყველებს, რომ ეს ციხე კიდევ ბევრ საიდუმლოს უნდა ინახავდეს.

ციხის ქვემოთ, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, არსებობდა სოფელი თო-ღაც. დღეს იმ ადგილებში აღმოჩენილია აბანოსა და მარნის ნაშთები.

კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი ჩემი სოფლის ისტორიიდან. სხვადასხვა ისტორიულ ლიტერატურაში (ჭილაშვილი, მელითაური) ნახსენებია მაჭის ციხის მახლობლად, ხევის მარცხენა მხარეს მდებარე ბაზილიკური ტიპის VI ს-ის ეკლესია. ეს ეკლესია დღესაც არსებობს. მას მაწიმელები ძელი-ცხოველს უწოდებენ და ყოველი წლის 20 მაისს ძელიცხოველობას ზეიმობენ. ტრადიციად იყო ქცეული ამ დღეს ეკლესიის მოლოცვა და იქ სანთლების დანთება, მაგრამ რადგან ეს ეკლესია აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა და, თანაც საზღვარზე, რამდენიმე წელია სოფლის

მოსახლეობას პრობლემები ექმნება მასთან მისასვლელად.

მონღოლებისა და ყიზილბაშების შემოსევების შედეგად მაწიმის ხეობა მოსახლეობისაგან დაიცალა და გაუკაცრიელდა. საქართველოში რუსეთის ხელისუფლების დამყარების შემდეგ, XIX ს-ის ბოლოდან იწყება სოფლის ხელახალი დასახლება - ძირითადად აქ ჩამოსახლებული რუსებით. სწორედ მათ შეუცვალეს სახელი სოფელს და უწოდეს „ელიზავეტოვკა“. ერთ-ერთი გუბერნატორის ქალიშვილის პატივსაცემად.

1916 წლიდან მაწიმში უკვე სახლებიან კახეთის სოფლებიდან გამოხიზნული გლეხები – მატიაშვილები, მათიაშვილები, ყაჯრიშვილები და სხვები.

1918 წელს სოფელს უწოდეს „ცოდნა“. მხოლოდ 1992 წლისათვის დაუბრუნდა მას ძველი სახელი „მაწიმი“. ამჟამად აქ 300-ამდე ოჯახი ცხოვრობს. მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევს.

დღეს მაწიმი თავისი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის გამო ლაგოდების ტურისტული მარშრუტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს.

მჯერა, რომ ჩემი სოფელი კიდევ დიდხანს იარსებებს და თავის სიტყვას იტყვის ქართველი ერის ცხოვრებაში.



კ. ლეონტიევის წერილი ი. ფუდელს¹

(1888 წლის 6 ივნისი)

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლ ე ო ნ ტ ი ე ვ ი (1831-1891) – რუსი რელიგიური მოაზროვნე, სოციოლოგი და მწერალი, ე. წ. “იმედგაცრუებული ნეოსლავოფილებისა და იდეური კონსერვატიზმის” უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. მის კალამს ეკუთვნის დრამატული ნაწარმოებები, ლიტერატურულ-კრიტიკული ეტიუდები, მოთხრობები და რომანები. ლეონტიევის რელიგიურ-ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის სტატიები თავმოყრილია კრებულში “აღმოსავლეთი, რუსეთი და სლავობა” (1885-86). მკითხველს ვთავაზობთ ლეონტიევის პირად წერილს, რომელშიც კარგად ჩანს ავტორის კულტურულ-ისტორიოსოფიული თვალსაზრისი.

შენიშვნა: თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: «К. Леонтьев о В. Соловьеве и эстетике жизни», Москва, 1912, გვ., 31-40).

ჩემო ახალგაზრდა მეგობარო,

ნამდვილი კულტურულ-სლავური იდეალი უფრო *ესთეტიკური* ხასიათისაა, ვიდრე ზნეობრივი. რადგან საქმეს *რეალისტური* თვალსაზრისით თუ განვიხილავთ და რაც გულით გვსურს იმის განხორციელების გულუბრყვილო რწმენისაგან გავთავისუფლდებით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ცხოვრებაში ესთეტიკური მოთხოვნილებები მორალურზე მეტადაა განხორციელებადი. საკუთარი ხალხისთვისაც ისეთი რაიმეს მოლოდინი უნდა გვქონდეს, რისი მაგალითებიც აქამდე არსებულა და არა ისეთის, რაც არავის უნახავს. მაგალითად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ არსებობს სადმე ისეთი უჩვეულო ძუძუმწოვარი ცხოველი, რომელიც ჩვენთვის დღემდე ნაცნობ არც ერთ ცხოველს არ ჰგავს, მაგრამ განა შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ ამ ცხოველს არა აქვს ტვინი, ღვიძლი, გული და ა.შ.? არა - არ შეიძლება, ისევე როგორც არც იმის წარმოდგენა შეიძლება, რომ ჩვენი მომავალი *მხოლოდ მორალურად იქნება სრულყოფილი*, – მაგრამ თუ ვიტყვით – *ესთეტიკურად სრულყოფილი*, მაშინ ამით ყველაფერი იქნება ნათქვამი, თანაც, სიტყვა *მხოლოდ* აქ სავსებით უადგილოა.

დაახლოებით ასეთი სქემა შეიძლება შევადგინოთ:

¹ იოსებ ივანეს ძე ფუდელი (1864-1918) – სასულიერო პირი, პუბლიცისტი, კ. ლეონტიევის იდეების მიმდევარი.

<p>მისტიკა (განსაკუთრებით დადებითი რელიგია)</p>
<p>ეთიკა და პოლიტიკა</p>
<p>ბიოლოგია (ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების ფიზიოლოგია, მედიცინა და ა.შ.)</p>
<p>ფიზიკა (ანუ ქიმია, მექანიკა და ა.შ.) და ესთეტიკა</p>

მხოლოდ ერთმორწმუნეთათვის განკუთვნილი კრიტერიუმი; რადგან არ შეიძლება ქრისტიანი განვსაჯოთ და შევაფასოთ მუსლიმანური სწავლების მიხედვით, ან პირიქით.
მხოლოდ ადამიანისათვის განკუთვნილი კრიტერიუმი. მთელი ორგანული სამყაროსათვის განკუთვნილი კრიტერიუმი.
ყველაფრის კრიტერიუმი.

როგორ შეძლებთ, მაგალითად, თქვენთვის ნაცნობი თურქის ან ბუდისტის შეფასებას, თუნდაც ოპტინის² გადმოსახედიდან? რაც თქვენთვის ცოდვაა, ის მისთვის ცოდვად არ ითვლება და პირიქით. მხოლოდ ყველაზე ზოგად მსჯელობებში შეიძლება მივუდგეთ უცხო რელიგიებს საკუთარი რელიგიის საზომით; მაგალითად დავადგინოთ, თუ რამდენადაა უცხო რელიგიებში, რომლებიც ცრუ სწავლებებად უნდა მიმაჩნდეს (მაშინაც კი, როცა ისინი ობიექტურად მომწონს) იმის ნიშანწყალი, რაც ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიო (მუსლიმანობაში – მარადიული სიცოცხლე, ბუდიზმში – ასკეტიზმი და კეთილმოწყალება). მე ჩემს რელიგიაზე, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სულის გადარჩენის თვალსაზრისით ვფიქრობ და ეს ასეც უნდა იყოს (სხვა დანარჩენი, მათ შორის მოყვასისათვის ზრუნვაც «თავისთავად მოვა»); უცხო რელიგიის შესახებ, მხოლოდ ისტორიული, პოლიტიკური, მორალური და ესთეტიკური თვალსაზრისით შემიძლია ვიმსჯელო. მართალია, ვფიქრობ, რომ თურქი, ბუდისტი (ან თუნდაც ჩინელი) ვერ ჰპოვებს საუკუნო ნეტარებას, რომელიც მე, როგორც ქრისტიანს, მაქვს აღთქმული, მაინც წარმატებით შემიძლია გავარკვიო სხვა ყველაფერი, რაც ამ ადამიანებს უკავშირდება და შევაფასო მათი სწავლების განხორციელება ზნეობრივ, სახელმწიფოებრივ და ესთეტიკურ ცხოვრებაში.

მაგალითად, არ შეიძლება, თავი მოვიტყუოთ, რომ, თითქოს, ბულგარელი (განსაკუთრებით, *გაევროპელებული*), მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩვენი *ერთმორწმუნეა*, თურქზე მეტად პოეტური და ზნეობრივია. მსგავსი რამ ჩვენშიც უცდიათ, შედეგად კი საზარელი სიყალბე და უხეში ძალდატანება მიუღიათ, რის გამოც ზოგს იმედგაცრუება დაუფლება, ზოგს – სირცხვილი. არსებობს ისეთი რეალური ჭეშმარიტებები, რომლებსაც თვალთმაქცობით და პრაქტიკული გამოყენების გარეშე ზურგი არ უნდა შევაქციოთ, რაკი ისინი გონებისთვის ერთხელ უკვე საცნაურნი შეიქნენ. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მარადიულ ნეტარებას ყველაზე მომხიბლველი მუსლიმიც კი ვერ ჰპოვებს, ხოლო ყველაზე სამაგელ სერბს ან ბულგარელს, მონანიებითა და ლოცვით, შეუძლია მისი მიღება. რელიგიები სხვადასხვაგვარია, ამიტომ განსაკუთრებულიც. პრაქტიკული მორალი კი *ერთია* და ყველას მიესადაგება. ეს ყოველივე ოდნავაც ვერ შეარყევს ჩვენს *შინაგან* რწმენას, თუ ის მტკიცე და *ჭეშმარიტია*. ბუნებრივ (ანუ ღმერთის მიერ ბოძებულ) მორალს, რელიგიურ საიდუმლოებათა გარეშე, სულის გადარჩენა არ შეუძლია; ამგვარი მორალი ერთობ სასიამოვნოა ამქვეყნიური ურთიერთობებისას; ის ზოგჯერ ესთეტიკური, ხელსაყრელი და პატივსაცემიცაა; ზოგჯერ ის ცუდი ქრისტიანის *შესარცხვენადაც* შეიძლება გამოდგეს – მაგალითად, კეთილ თურქზე მინიშნებით და სხვა. მაგრამ ის თუ როგორ განსჯის ღმერთი არაქრისტიანს, *არ ვიცით*. ჩვენთვის, ერთმორწმუნეთათვის კი საერთო წესი მაინც არსებობს.

² ოპტინის უდაბნო – XIV საუკუნეში დაარსებული მამათა მონასტერი, რომელიც მდებარეობს ქალაქ კოზელსკიდან ორი კილომეტრის მოშორებით. XVIII-XIX საუკუნეებში ოპტინის სავანე რუსული მართმადიდებლური კულტურისა და სულიერების უმნიშვნელოვანეს კერად იქცა. კ. ლეონტიევმა სიცოცხლის უკანასკნელი წელი სწორედ აქ გაატარა.

ამგვარად მორალი მთელი კაცობრიობისთვის განკუთვნილი კრიტიკური უმია. იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფო საქმეებზე, *პოლიტიკაზე*. ესეც მთელი კაცობრიობისთვისაა განკუთვნილი. თქვენ, როგორც ქრისტიანს, შეგიძლიათ იცოდეთ, რომ მიტროპოლიტი ფილიპე³ გაცილებით უფრო წმინდაა, ვიდრე, თუნდაც, კეთილი ალექსეი მიხეილის ძე, ივანე მრისხანეზე რომ აღარაფერი ვთქვათ; მაგრამ განა შეგიძლიათ იყოთ ქრისტიანი და ამასთან იმის გარკვევას ცდილობდეთ, ვინ უფრო მისაღებია (ჩვენი) ღმერთისთვის ან ეშმაკისთვის, ბუდა თუ მუჰამედი? რა თქმა უნდა: არა. მაგრამ მათი მორალური და პოლიტიკური (ისტორიული) ღირებულების შეფასება თქვენ არ გეკრძალებათ.

კიდევ უფრო ფართოა *ბიოლოგია*. ბალახის ყოველი ღერო იკვებება (თავისებურად), სუნთქავს და იზრდება, ყოველგვარი ინფუზორია – კვდება; ყველაზე წმინდა ადამიანსაც ახასიათებს *მსგავსი ზოგადი პროცესები*. ეს ზოგადი ბიოლოგიური პროცესები უფალმა თვით საკუთარ თავსაც არგუნა წილად: მასაც სწყუროდა, ისიც იკვებებოდა, სუნთქავდა, იღლებოდა, ისვენებდა, იტანჯებოდა და ა. შ.

კიდევ უფრო ფართოა ბოლო ორი კრიტერიუმი – ზოგად-ფიზიკური და ესთეტიკური. ერთიც და მეორეც, მინერალიდან დაწყებული და უწმინდესი ადამიანიდან დამთავრებული, *ყველაფერს* მიესადაგება. მინერალი იწონება, იმსხვრევა, ლღვება, ნადგურდება და ა.შ. დიდ ადამიანსაც აქვს *წონა*, დაჯილდოვებულია მექანიკური ორგანოებით, არაორგანული ნივთიერებების მსგავსად, მის სხეულშიც მიმდინარეობს ქიმიური პროცესები. ეს ფიზიკაა. მეორე მხრივ, *ესთეტიკური* თვალსაზრისითაც იგივე ხდება: ნებისმიერი კრისტიალიც და ალექსანდრე მაკედონელიც, ხეც და მის ქვეშ მჯდომი ასკეტიც ერთნაირად ლამაზი, მშვენიერი და მიმზიდველი შეიძლება იყოს. ერთნაირად ყოვლისმომცველი ექსტენსიურობის მიუხედავად, ფიზიკასა და ესთეტიკას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ რა ბრძნული და განსაცვიფრებელიც არ უნდა გვეჩვენებოდეს ფიზიკის კანონები, ჩვენი გაგებით, ისინი არასოდეს სცილდებიან საკუთარ სფეროს და ჩვენს გონებაში მორალურ კანონებთან არასოდეს მოდიან წინააღმდეგობაში. სამყაროსეული ესთეტიკის მოვლენებში არის რაღაც ამოუცნობი, საიდუმლოებით მოცული და ამასთანავე სამწუხაროც; რადგან, ადამიანი, რომელსაც თავის მოტყუება არ სურს, ცხადად ამჩნევს, თუ რაოდენ ხშირად ექცევა ესთეტიკა ანტაგონიზმსა და ბრძოლაში მორალთან და თვალშისაცემ ცხოვრებისეულ სარგებლიანობასთან. ვინც ცდილობს საკუთარი თავი და სხვები იმაში დააჯეროს, რომ ყოველივე ამორალური ამავე დროს უსახურიცაა, ან პირიქით, რა თქმა უნდა, ზოგიერთი პიროვნებისათვის პედაგოგიური სარგებლობის მოტანას შეძლებს, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს მცდელობა დიდად სასარგებლო იყოს; რადგან, ვინც ამას დაიჯერებს, უმალ ისიც გაახსენდება, რომ იულიუს ცეზარი გაცილებით უზნეო იყო, ვიდრე აკაკი

³ მიტროპოლიტი ფილიპე (ერისკაცობაში თეოდორ სტეპანეს ძე კოლიჩევი) (1507-1569) – საჯაროდ დაგმო ივანე IV-ის სასტიკი მმართველობა. მეფის ბრძანებით, 1568 წელს პატივი აპყარეს. მოგვიანებით კი სიცოცხლეს გამოასალმეს.

აკაკის ძე⁴ და რომ სკობელევიც⁵ ბევრ ჩვენ თანამედროვე “პატიოსან მუშაკზე” გაცილებით გარყვნილი იყო; ადამიანს, რომელსაც ესთეტიკური გრძნობა გააჩნია, ამ ფაქტების გახსენებისას, სხვა აღარაფერი დარჩენია, გარდა იმის აღიარება, რომ ცეზარში და სკობელევიცში ათასჯერ უფრო მეტი პოეზიაა, ვიდრე აკაკი აკაკის ძეში და იმ კეთილ და პატიოსან სოფლის მასწავლებლებში, თქვენს ბროშურაში⁶ რომ უწევთ რეკომენდაციას. როგორ მოვიქცეთ? შევიძულოთ ესთეტიკა? ზნეობრივი მოტივებიდან გამომდინარე ვითვალთმაქცოთ, რომ თითქოს, ვერ ვამჩნევთ მას? შევიძულოთ მორალი? ერთიც, მეორეც და მესამეც შეუძლებელია... სწორედ აქ, დადებითი რელიგია კიდევ ერთხელ ახდენს საკუთარი ძლევამოსილების დემონსტრირებას, რადგან ის არ საჭიროებს სიყალბესა და ფარისევლობას; “დიახ, ეს ლამაზია, ძლიერია, ესთეტიკურია, მაგრამ ეს არ არის სულის საცხონებელი”. რაინდთა დუელი კეთილშობილურია, ესთეტიკურია, მაგრამ ის არ არის სულის საცხონებელი. ადამიანი, რომელიც, როგორც ჩანს, არა ღვთისადმი შიშით, არამედ სხეულებრივი შიშით (ვგულისხმობ, რომ ვიცით მისი ხასიათი და საქმის ვითარება), უარს ამბობს დუელში გამოწვევაზე, ჩვენზე ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ჩვენივე გულკეთილობით, გვებრალება კიდევ მისთვის დამამცირებელი მდგომარეობის გამო. მეორე მხრივ, მეჩვენება, რომ ძნელია წარმოვიდგინოთ უფრო ამაღლებული და ამაღელვებელი რამ, ვიდრე მსგავს ვითარებაში იმ ადამიანის ბრძოლა, რომელიც მამაცი, თავმოყვარე და ამასთანავე რელიგიურია. თუ “ღმერთის საამოდ მოქმედების” სურვილი სძლევს ღირსების გრძნობას, თუ ეკლესიისადმი მორჩილება გადასძალავს ადამიანურ ქედმაღლობას, თუ “წმინდა” და “სულის საცხონებელი” მასში კეთილშობილურსა და ესთეტიკურს დაიქვემდებარებს და უშიშრად იტყვის უარს დუელზე, მაშინ ის უკვე ქრისტიანობის ნამდვილი გმირია. ასეთი ვინმე ჯერ ნამდვილად არ მინახავს, მაგრამ შემძლია წარმოვიდგინო. რა თქმა უნდა, ძველი დროის დასავლეთში, ასეთი ადამიანები რეალურად არსებობდნენ. მაგრამ როცა (სამოციანი წლების) ნიჰილისტი პომიალოვსკის⁷ ერთ-ერთ ულაზათო და უხეირო მოთხრობაში მისი უხეშად სერიოზული გმირი, მოლოტოვი ამბობს (ალბათ, დვრინავს): “თუ ვინმე დამარტყამს, დუელში კი არ გამოვიწვევ – პოლიციაში მივაბრძანებ!” მაშინ გულწრფელად ვაღიარებ, რომ მხოლოდ ის მსურს, პოლიციაშიც მოისაზროს ვინმემ და დაუსისხლიანოს მას უტილიტარული და პრაქტიკულ-მორალური ცხვირ-პირი. (ცოდვილი ვარ – ვინაიანებ; მაგრამ იმასაც ვაღიარებ, რომ მსგავსი ადამიანებისადმი ამგვარი დამოკიდებულება დიდ ცოდვად არ მიმაჩნია).

როცა მგზნებარე ესთეტიკას შინაგანი (მისტიკური) გრძნობა სძლევს, მე მოკრძალება მიჩნდება, ქედს ვიხრი, პატივს მივაგებ და მიყვარს; მაგრამ როცა

⁴ აკაკი აკაკის ძე ბაშმაჩკინი – ნ. გოგოლის ცნობილი მოთხრობის, “შინელის” პერსონაჟი.

⁵ მიხეილ დიმიტრის ძე სკობელევი (1843-1882) – რუსეთის არმიის ინჟანტერიის გენერალი, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე.

⁶ იგულისხმება ი. ფუდელის წიგნი “წერილები თანამედროვე ახალგაზრდობის შესახებ”, მოსკოვი, 1888 წ.

⁷ ნიკოლოზ გერასიმეს ძე პომიალოვსკი (1835-1863) – რუსი პროზაიკოსი, ავტორი თავის დროზე გახმაურებული დილოგისა, “მეშანური ბედნიერება” (1860) და “მოლოტოვი” (1861).

ამ იდუმალ, ცხოვრების განვითარების სისრულისათვის აუცილებელ პოეზიაზე უტილიტარული ეთიკა იმარჯვებს, მე აღშფოთება მეუფლება და უკვე აღარაფერს ველი იმ საზოგადოებისაგან, რომელშიც მსგავსი რამ მეტისმეტად ხშირია.

ესთეტიკა, როგორც კრიტერიუმი, მინერალიდან დაწყებული და ადამიანით დამთავრებული ყველაფერს მიესადაგება. ამიტომ მისი გამოყენება შეიძლება როგორც ადამიანთა ცალკეულ საზოგადოებებთან, ასევე სოციოლოგიურ, ისტორიულ ამოცანებთან მიმართებაშიც. სადაც ბევრია პოეზია, იქ აუცილებლად უხვად იქნება რწმენაც, რელიგიურობაც და ცოცხალი მორალიც. ამიტომ უნდა ველოდოთ, რომ მომავლის რუსეთში (და მთელს სლავურ სამყაროში) სჭარბობდეს პოეზია, არა იმ აზრით, რომ კარგი ლექსები და რომანები შეიქმნას, არამედ იმ აზრით, რომ თავად ცხოვრება იყოს რიგიანად ასახვის ღირსი. ცხოვრების ესთეტიკა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელოვნების მიერ ასახული ესთეტიკა. წარმოვიდგინოთ, ერთი მხრივ, თუნდაც, გრაფი ვრონსკი ან ევგენი ონეგინი, ხოლო, მეორე მხრივ, კარატაევი ("ომი და მშვიდობა") ან პიტერშიკი (პისემსკის მოთხრობიდან)⁸; ლექსებს და რომანებს არცერთი მათგანი არ წერს. ვრონსკი ხატვას ცდილობს, თუმცაღა, წარუმატებლად. მაინც თითოეულ მათგანში პიროვნული, ობიექტური (გვერდიდან თუ შევხედავთ) პოეზია გაცილებით მეტია, ვიდრე ჭლექიან ებრაელ ნადსონში⁹ და (ალბათ) იმ უბედურ გარშინში¹⁰, რომელიც ასე სულელურად გადაეშვა კიბიდან და რომელმაც არცთუ ურიგო, მაგრამ მაინც დიდად არაფრით გამორჩეული რამდენიმე მოთხრობა დაწერა. როცა ცხოვრება ესთეტიკური თვალსაზრისით მდიდარი გახდება, ღვთიურ (რელიგიურ) და მგზნებარე-ესთეტიკურ (დემონურ) ძალებს შორის ბრძოლითაც მდიდარი და მრავალფეროვანი იქნება და ხელოვნებაშიც გაჩნდება გენიალური ასახვები. თუ ცხოვრებაში ყოველგვარი მისტიკური ძალის, როგორც ღვთიურის, ასევე სატანურის, დონე შესუსტდება, მაშინ ასახვის მხატვრული ღირებულებაც დაქვეითდება, რაზეც ჩვენს დროში ძალიან ბევრს მსჯელობენ (გაცილებით მეტს, ვიდრე თავად ცხოვრებაზე). საფრანგეთი ამის საუკეთესო მაგალითია; თვით ჩვენ თვალწინ (იმ ადამიანების თვალწინ, ვინც ჩემსავით, უკვე ახალგაზრდები აღარ არიან) ყველაფერი გაუფერულდა ამ ქვეყნის ცხოვრებაში. რელიგიას დევნიან, აბუჩად იგდებენ და მორწმუნეთაც აღარ შესწევთ ძალა იმისა, რომ რწმენის დასაცავად თუნდაც სისხლიანი აჯანყება მოაწყონ. ნამდვილი, არისტოკრატიული ბრწყინვალება აღარ არსებობს; მხოლოდ ბატონკაცობის კაპიტალისტური ფალსიფიკაციაღაა. მყარი, სერიოზული მონარქია, სიყვარულსა და მორჩილებას რომ მოითხოვს, აწ უკვე განუხორციელებელი რამაა.

⁸ ალექსეი თეოფილაქტეს ძე პისემსკი (1821-1881) – პროზაიკოსი, დრამატურგი, რუსული ლიტერატურის ე.წ. "ნატურალური სკოლის" წარმომადგენელი. ლეონტიევის მიერ ნახსენები პიტერშიკი პისემსკის ამავე სახელწოდების მქონე მოთხრობის პერსონაჟია.

⁹ სემიონ იაკობის ძე ნადსონი (1862-1887) – ებრაული წარმოშობის რუსულენოვანი პოეტი და კრიტიკოსი. დაავადებული იყო ტუბერკულოზით. ერთხანს ცხოვრობდა თბილისში.

¹⁰ ვსევოლოდ მიხეილის ძე გარშინი (1855-1888) – პროზაიკოსი და კრიტიკოსი. დაავადებული იყო მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზით. სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

და მიუხედავად იმისა, რომ მე ვაღიარებ ზოლას და დოდეს დიდ ტალანტს, მაინც *ცხოვრებას* ველარ აჰყავს მათი ნიჭი იმ სიმაღლემდე, საფრანგეთის უწინდელმა ცხოვრებამ რომ აიყვანა ჟ. სანდის, ვ. ჰიუგოს, ბალზაკის, ბერანჟეს, შატობრიანის, ა. დე მიუსეს და სხვათა სული. ამ ყოველივეს თავისი სულიერი, მისტიკური ახსნა მოეძებნება. ერთხელ ერთ საკმაოდ წიგნიერ მოძღვარს ასეთი რამ ვკითხე: “რა არის იმის მიზეზი, რომ კოლისეუმის, მეფეთა მკვლელობების, თვითმკვლელობების საშინელებათა და წმინდად სატანური სქესობრივი გარყვნილების მიუხედავად, რომი სახელმწიფოებრივ-რელიგიური დაცემის ხანაშიც კი აღსავსე იყო წარმტაცი პოეზიით, ხოლო თანამედროვე ევროპის დემოკრატიული დაშლა ასეთი უშნო, მშრალი და პროზაულია?” არასოდეს დამავიწყდება თუ როგორ მომხიბლა და განმაცვიფრა მან თავისი პასუხით: “ღმერთი სულიერი და სხეულებრივი *სინათლეა* – უწმინდესი და ენით აღუწერელი სინათლე. მოჩვენებითი, ყალბი სინათლეც არსებობს: სინათლე დემონებისა, ანუ იმ არსებებისა, რომლებიც ასევე ღმერთმა შექმნა. მაგრამ, როგორც იცით, ისინი განუდგნენ შემოქმედს. ანტიკური სამყარო დაცემის ხანაში წარმართულ ღვთაებათა ყალბ სინათლეს მაინც სცემდა თავყვანს; მართალია ყალბს, მაგრამ *მაინც სინათლეს*... ხოლო თანამედროვე ევროპა დემონებსაც კი არ სცნობს და ამიტომ მისი ცხოვრება ყალბი სინათლითაც კი არ არის განათებული!” – აი, რა მითხრა ამ წიგნიერმა და მოაზროვნე ბერმა. (თქვენ ალბათ იცით, მაგრამ რაკი სიტყვამ მოიტანა, შეგახსენებთ, რომ წმინდა მამათა ქრისტიანული სწავლება წარმართულ ღვთაებათა *რეალურ არსებობას აღიარებს*; ის მიიჩნევს მათ *დემონებად*, რომლებიც მუდმივად ცდილობენ კაცობრიობას გზა-კვალი აუბნიონ. ღმერთო, რამდენად სრულყოფილი, რამდენად ცხადი, რამდენად გონივრული, იდეალური და ამავე დროს პრაქტიკულია ეს სწავლება! რაც უფრო მეტად ეცნობი მას, მით მეტად იხიბლები!)

ამგვარად, სამშობლოსთვის მხოლოდ მშვიდობიანი, მორალურად სასარგებლო და საშუალო-უტილიტარული არსებობა ისურვო, ეს იმას ნიშნავს, ჯერ საზიზღარი პროზა, შემდეგ “სინათლის”, სულის, პოეზიის დაკლება, ბოლოს კი, ნგრევა ისურვო. გასურდეს პოეზია სამშობლოსთვის, ეძიებდე მისთვის, თუნდაც, გარდაუვალი მანკიერებებით, ტანჯვით, ნებსითი ან უნებლიე ცოდვებით აღსავსე ესთეტიკურ იდეალს, ეს იმას ნიშნავს, რომ გასურდეს არა მხოლოდ უფრო მეტად ამაღლებული და მყარი რამ (ვიდრე უტილიტარულ-მორალური იდეალია), არამედ უფრო მეტად *სულის სახცონებელიც*. რადგან, თუ ერთხელ მაინც ამ ზოგად წესს კონკრეტულად, ვთქვათ, რუსეთს მიუყენებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარი კულტურულ-ესთეტიკური იდეალის მისაღწევად აუცილებელია იმ *მისტიკური* გრძნობის მნიშვნელოვნად გაძლიერება, რომელიც ჩვენს კულტურულ ტიპს ბუნებრივ-ისტორიულად ახასიათებს – ანუ აუცილებელია *მართლმადიდებლობის გაძლიერება*. თუ, ამასთანავე, ჩვენი ცოდვილი არასრულყოფილების გამო არაერთი გამოკვეთილი მანკიერება და შესაძლოა,

არაერთი სექტაც გაჩნდება, მაშინ ამას არა მხოლოდ პოეზია და ნაციონალური გრძნობა, არამედ, გარკვეულ წილად, რელიგიური გრძნობაც შეურიგდება. მორწმუნე ადამიანი თუ ვარ, ვეცდები თავად ვიცხოვრო უმანკოდ და მწამდეს რაც შეიძლება მართებულად. მაგრამ, ჯერ ერთი, მე არ ავჩქარებოდი და მეტი სმეტად მკაცრად არ განვსჯიდი იმ თანამემამულეებს, რომლებიც არ უარყოფენ ღმერთს და ეკლესიას, მაგრამ მაინც ვნებებს არიან აყოლილნი - ვინ მრუშობას, ვინ პატივმოყვარეობას, ვინ კიდევ საკუთარი არსებობისათვის და გამდიდრებისათვის დაუნდობელ ბრძოლას... რადგან მეც კარგად ვუწყვი, რომ ხვალ, შესაძლოა, თავად უფრო უარესად და მიუტევებლად ავიწყვიტო და ისინი კი, შეიძლება, უცაბედად გამოსწორდნენ; მეორეც ის, რომ ნაკლებად ვიდარდებდი მართმადიდებლურ სამშობლოზე, თუ მასში ისეთი, გარკვეული აზრით (და არა ყოველმხრივ) უზნეო ადამიანები იცხოვრებენ, როგორც სკობელევი, ლერმონტოვი, პოტიომკინ-თავრიზელი¹¹ არიან - ვიდრე, ალბათ, უფრო ზნეობრივი ადამიანები, როგორც სადი-კარნო¹², აკაკი აკაკის ძე ან თუნდაც მაქსიმ მაქსიმის ძეა ("ჩვენი დროის გმირში"). ასევეა სექტებიც: უმჯობესია ბრძოლა შეუპოვარ და აღორძინებად მისტიკურ სექტებთან (როგორცაა სკოპცები¹³, ხლისტები¹⁴, მემონიტები¹⁵, სპირიტები¹⁶), ვიდრე ნაკლებად მორწმუნე, მაგრამ საკმარისად პატიოსან მოქალაქეთა გარეგნულად მშვიდობიანი (ვინ იცის, დიდი ხნით?) თანაცხოვრება სხვა, ასევე მორალურად ასატან, მაგრამ უკვე სრულიად ურწმუნო ადამიანებთან. წარმოვიდგინოთ ჩვენი დროის შვეიცარია და ერთი ან ორი რუსული გუბერნია, თუნდაც კალუგის და ტულის ერთად აღებული. ამ ორ რუსულ გუბერნიაში ჯერ კიდევ, ჩვენს დროშიც შესაძლებელია ცხოვრობდნენ, მამა ამბროსი ოპტინელი¹⁷ და რომელიმე ბრწყინვალე მეომარიც, თუნდაც სკობელევის მსგავსი, ან ისეთი

¹¹ გრიგორი ალექსანდრეს ძე პოტიომკინი (1739-1791) - რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, 1762 წლის სამეფო კარის გადატრიალების მონაწილე, იმპერატორ ეკატერინე II-ის ფავორიტი.

¹² მარი ფრანსუა სადი-კარნო (1837-1894) - ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე.

¹³ სკოპცები ("საჭურისები") - ურჯულებული რელიგიური სექტა, XVIII საუკუნის რუსეთში გამოიყო ხლისტების რელიგიურ ჯგუფს. სექტის დამაარსებელი იყო კონდრატე სელივანოვი, რომელიც სულის გადარჩენისათვის ხორციელი სიამოვნების უარყოფასა და ასკეტიზმს ქადაგებდა. მისი მიმდევრები ნებაყოფლობით ისაჭურისებდნენ თავს. რუსეთის იმპერიაში სკოპცებს სასტიკად დევნიდნენ.

¹⁴ ხლისტები ("სულით ქრისტიანები") - რელიგიური სექტა, რომელიც რუსეთში, XVII ს. და XVIII ს.-ის მიჯნაზე გაჩნდა. სექტის მიმდევრებს შესაძლებლად მიაჩნდათ პირდაპირი კავშირი სულიწმინდასთან, უფლის განსხეულება სექტის ერთგულ მიმდევრებში. ხლისტებისთვის დამახასიათებელია რელიგიური ფანატიზმით გამოწვეული თვითგვემა.

¹⁵ მემონიტები (მომნათველელთა სექტა) - ანაბატისტების მშვიდობიანი სექტა, რომელიც პროტესტანტიზმის წიაღში ჩამოყალიბდა, 1524-1525 წლების გლეხთა ომის შემდეგ. მისი დამაარსებელი იყო ჰოლანდიელი მღვდელი მენნო სიმონსი (1492-1559). სექტის მიმდევრები უარყოფენ ადრეულ ასაკში ნათლობას, საეკლესიო იერარქიას, თემობას, სწამთ მეორედ მოსვლა და იესოს ათასწლოვანი მეუფება. რუსეთის იმპერიაში ეს სექტა XVIII ს.-ში გამოჩნდა.

¹⁶ სპირიტები - ისინი ვისაც სწამთ გარდაცვლილთა სულებთან უშუალო კონტაქტის შესაძლებლობა.

სპირიტოზმი ამერიკაში, XIX ს.-ის შუა პერიოდში წარმოიშვა. მოგვიანებით გავრცელდა ევროპაშიც.

¹⁷ მამა ამბროსი ოპტინელი (ერისკაცობაში ალექსანდრე მიხეილის ძე გრენკოვი) (1812-1891) - ოპტინის უდაბნოში მოღვაწე ბერი, კ. ლეონტიევის მოძღვარი.

რომანისტი, როგორც ლევ ტოლსტოია; მანკიერებანიც და ვნებებიც უხვადაა ყველა კლასში. გლეხკაცობა ძალიან გარყვნილია, თუმცა რელიგიური. შვეიცარიაში კი თითქმის იმავე რაოდენობის მოსახლეობაზე საშუალო მორალი ალბათ უფრო მეტია, მაგრამ სამაგიეროდ მამა ამბროსის, სკობელევის და ტოლსტოის მსგავსი ადამიანების არსებობა უკვე შეუძლებელია...

დანილევსკის¹⁸ "რუსეთისა და ევროპის" მესამე შევსებულ გამოცემაში არის ერთი შესანიშნავი და ღრმა შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ "მშვენიერება არის მატერიის სულიერი მხარე." წაიკითხეთ! "კულტურაც" და "სახელმწიფოც", თუმცა, განყენებული ცნებებია, სინამდვილეში ამ განზოგადებებს მაინც შეესაბამება, ჩვენი გრძნობებისათვის ხელმისაწვდომი, სრულიად რეალური მოვლენების გარკვეული სიმრავლე: ადამიანების ძალიან დიდი საზოგადოება, ქალაქები, სოფლები, შენობები, საოჯახო სურათები, სამეფო კარის ჩვეულებები, ღვთისმსახურება, უთანხმოებანი, ომები, ლიტერატურული ნაწარმოებები, სამოსი, გამონათქვამები, შესანიშნავი ადამიანური ხასიათები, გმირობები, ტანჯვა, სათნოება, ბიწიერება და ა. შ. ყველა ეს მოვლენა მეტნაკლებად *საგნობრივია* და კულტურაც მაშინ არის მაღალი და გავლენიანი, როცა ჩვენ წინაშე გადაშლილ ამ ისტორიულ სურათში უხვადაა *მშვენიერება* და *პოეზია*. როგორც ცნობილია, მშვენიერების უმთავრესი ზოგადი კანონი *მრავალფეროვნების ერთიანობაში არსებობას* გულისხმობს (ნებაყოფლობითი იქნება ერთიანობა თუ მეტ-ნაკლებად იძულებითი ხასიათის – ეს მეორეხარისხოვანი საკითხია); მრავალფეროვნება თუ იქნება, *მორალიც* იქნება; რა თქმა უნდა, არა ყოვლის მომცველი, როგორც ახლა სურთ წარმოადგინონ, არამედ *შემავსებელი*, კორექტივების შემტანი და არა საყოველთაო, რადგან ეს შეუძლებელიცაა. საყოველთაო თანასწორუფლებიანი და თანაბარი კეთილდღეობა, მცირე ხნით მაინც რომ განხორციელებულიყო, ყოველგვარ მორალს ჩაკლავდა. გულმოწყალება, სიკეთე, სამართლიანობა, თავგანწირვა, ეს ყოველივე მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოიმყვანდეს, როცა არის მწუხარება, უთანასწორობა, წყენები, სისასტიკე და ა. შ.

თარგმნა გიორგი ხეოშვილმა



¹⁸ ნიკოლოზ იაკობის ძე დანილევსკი (1822-1885) – სოციოლოგი, პუბლიცისტი, პანსლავიზმის იდეოლოგი, "კულტურულ-ისტორიული ტიპების" თეორიის ავტორი. მისი წიგნი "რუსეთი და ევროპა" პირველად 1869 წელს გამოიცა.



qarTul i Tavadaznaurul i gvarebi vaxuSti batoni Svi I i s mi xedvi T

ამ რუბრიკით ჟურნალი გათავაზობთ ვახუშტი ბატონიშვილის მონაცემებზე დაყრდნობით) თავადაზნაურული (ისტორიული და დღეს არსებული) ქართული გვარსახელების ნუსხას, რომელსაც შერჩევით, შემდგომ ნომრებში, დაერთვება ამა თუ იმ გვარის ან საგვარეულოს მოკლე მიმოხილვა, ასევე გვარის ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ძიება გენეალოგიური ხის ჩვენებით. სათანადო გვართ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ რედაქციას.

რუბრიკას უძღვება ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფ. **ბადრი ცხადაძე**.

ქართული გვარების რიცხოვნება **28 ათასს** აღემატება. ზუსტად მისი დადგენა თითქმის შეუძლებელია. საყურადღებოა, რომ ქართული გვარები ოდენობით რამდენჯერმე სჭარბობს მაგ., მილიარდნახევრიანი ჩინელების გვარსახელებს.

შენიშვნა: წარმოვადგენთ ისტორიულად ყველაზე ცნობილი გვარების ერთი ნაწილის შემოკლებებს:

1. **თ.** თავადი
2. **მ.** მთავარი
3. **ე.** ერისთავი

დანარჩენი გვარსახელები აზნაურულია, ფრჩხილებში ჩასმული კი ფრჩხილების წინ მოხსენიებული გვარის შტო-გვარებია (ბ. ცხ.).

ა

- აბაზაშვილი...
- აბაზაძე (აბაზასძე)
- აბაზაზძე

- თ. აბამელიქი
- თ. აბამელიქი (ლაზარევი)...
- თ. აბაშია...
- აბაშისპირელი...
- თ. აბაშისშვილი (აბაშიშვილი) [იხ. ბართაშვილი, დავითისშვილი]...
- თ. აბაშიძე...
- აბდუშელიშვილი (აბდუშერისშვილი)
- აბდუშელაშვილი...
- აბელაშვილი...
- აბელიშვილი (კავკასიძე)....
- აბრამიშვილი...
- აბულაღი...
- აბულასანი...
- აბულაშვილი...
- აბულაძე...
- თ. აბულეთისძე (აბულეთისძენი)...
- აბულვარდიშვილი...
- აბულფათიშვილი...
- აბულფათიშვილი...
- თ. აბუსერიძე...
- თ. აგათოშვილი (იხ. ვაჩნაძე)...
- თ. აგლაშვილი...
- ადამია
- მ. ადარნასე (ადარნერსე)

ადარნასიანი...
ადიბეგაშვილი...
ადულაშვილი...
ავალიანი...
თავალიშვილი...
ავადამაშვილი...
ავთანდილაშვილი (იხ. მელიქიშვილი,
ლორის მელიქიშვილი)..
მ. ავიზაია (აჩიზაია)...
ავლადასშვილი...
აზაურაშვილი...
აზარიშვილი (იხ. ენაკოლოფაშვილი)...
აღაბეგი...
ალაიბეგისშვილი (ალიბეგაშვილი)...
ალერწიანი...
ალექსიშვილი...
ალექსიძე...
ალექსიძე (მესხიშვილი)...
ალიყულაშვილი...
ალიხანასშვილი (ალხანაშვილი)...
ალხაზიშვილი...
ალავიძე...
ალშიზაია...
მ. ამანელისძე...
თ. ამატაკისშვილი...
ამაშუკელი...
ამალობელი...
თ. ამბერსაძეები...
თ. ამენაილისძე (ემენელისძე)
ამუნასკირი...
თ. ამილახვარი...
ამირანაშვილი (იხ. ფიცხელაური)...
თ. ამირეჯიბი (რევაზიშვილი, ბეჟანი-
შვილი, საბელიძე)...
ანანიაშვილი...
თ. ანდრონიკაშვილები...
ანთაძე
თ. ანჩაბაძე...
არაგვის ერისთავები...
არახჩიაშვილი...
არდიშვილი...

არდაშელისშვილი...
არეშაშვილი (არეშიშვილი)...
არეშიძე (იხ. არეშიშვილი)...
ართმელაზე ... (ნაკაშიძეებთან)
არიშიანი...
თ. არსენიძე...
თ. არლუთაშვილი (მხარგრძელი)...
არჯევანიძე...
თ. ასათიანი...
მ. ასათისძე...
ასლამაზაშვილი (ასლამაზიშვილი)...
ასლანიშვილი...
ასპანიშვილი (ამირეჯიბი)...
თ. ასპანისძე (ასპანისძენი) [იხ. ციციშ-
ვილი]...
აფაქიძე...
თ. აფხაზიშვილი...
აღაშვილი...
აღვსეზაძე (აღსაბაძე)...
აღნიაშვილი...
მ. ახალციხელი (ახალციხელები)...
თ. ახვლედიანი...
აჯიაშვილი...

ბ

ბაადურიშვილი
თ. ბადიშვილი (ბაბადიშვილი)
ბაგრატიონი...
ბაბუაძე...
ბაბუნაშვილი...
ბაგრატიშვილი...
ბადრიაშვილი...
ბადურაშვილი (ბადურიშვილი)...
ბაზლიაძე...
ბაზურაშვილი...
ბათიაშვილი (ბათისშვილი)...
ბაინდურაშვილი (ბეჟანიშვილი)...
მ. ბაკურიანი...

მ. ბაკურციხელი...
 ბანძაშვილი...
 ბანცისშვილი...
 ბანცურიშვილი...
 თ. ბარათაშვილი (იხ. შტო-გვარები: აბაშისვილი, ავთანდილიშვილი, ასან-ბეგიშვილი, ასლამაზიშვილი, ასლანი-შვილი, გერმანოზიშვილი, გიორგიშვი-ლი, გოსტაბაშვილი, დავითისშვილი, (იხ. აბაშიშვილები), ვირშელიშვილი, ზაალიშვილი, ზაზუნაშვილი, ზურაბი-შვილი, თამაზისშვილი, თაყაშვილი, თურქისტანიშვილი, იარალიშვილი, იესესვილი, იოვანეშვილი, იოთამიშ-ვილი, იონათამიშვილი, მერაბიშვილი, ნამანგლელევიშვილი, ორბელიშვილი, ორბელიძე, ორბელიანი, ოსეშვილი, პატასშვილი, პატასშვილი, რევაზიშვი-ლი, სამიშვილი, საჩინიშვილი, ფალა-ვანხოსროშვილი, ქავთარიშვილი, ქაი-ხოსროშვილი, ქაჩანაძე (ქაჩანაძე), ყაფ-ლანიშვილი, უსუბეგიშვილი, შიოშის-შვილი, ხოსიაშვილი; ჯამბაკურ-ორბე-ლიანი. განშტოებანი: დიმიტრისშვი-ლები, ვახტანგისშვილები.
 ბასილაშვილი (ბასილიშვილი)...
 თ. ბატონიშვილი (ბატონიშვილები)...
 თ. ბაქარ-ვარაზი (ვარაზბაკური)...
 ბაქრაძე (ბაქრაძეშვილი)...
 ბალაშვილი...
 მ. ბაღვაშები...
 ბახუტაშვილი...
 მ. ბაჰდაუნდები...
 თ. ბებუთაშვილი...
 ბებურიშვილი...
 ბეგაშვილი...
 თ. ბეგთაბეგიშვილი...
 ბეგიაშვილი...
 ბეგიშვილი...
 ბედისმწერლიშვილი...
 ბეენაშვილი...

ბეჟანიშვილი (იხ. ფიცხელაური, ბაინ-დურაშვილი, ამილახორები...
 ბეჟანიძე... (მესხეთის თავადები))
 ბეჟიტაშვილი...
 ბეჟუაშვილი...
 ბერიშვილი (იხ. ფალავანდიშვილები, ფიცხელაური, თუხარელი, წერეთლე-ბი...)
 თ. ბერეჟიანი...
 თ. ბერიძე...
 ბერძენიშვილი (ბერძნიშვილი)...
 ბელელაშვილი (იხ. მაჩაბლები)...
 თ. ბეციაშვილი (იხ. შალიკაშვილები, თარხნიშვილი)...
 თ. ბიბილური (ქვენიფნეველი)...
 ბირთველიშვილი (იხ. თაქთაქიშვი-ლი)...
 ბლორძელი...
 ბოლქვაძე...
 ბორდიშვილი (იხ. მაჩაბლები)...
 ბოსტაშვილი...
 თ. ბოცოსძენი...
 ბოჭორიშვილი...
 ბოჭორიძე...
 ბოქაულთხუციშვილი (იხ. ფიცხელაუ-რი)...
 ბუდეტაური...
 ბუმბულისძენი...
 ბუნიათიშვილი...
 ბუჟღულაშვილი...
 ბურდიაშვილი...
 ბულაშვილი...
 ბუჭყიაშვილი (ბუჭქიაშვილი)...

ბ

გაბაშვილი...
 გაბაშისშვილი (იხ. ვეზირისშვილი)...
 გაბეხაძე (ჩხეიძე აზნ.)
 გაბილაშვილი...
 გაბირეხაშვილი...
 გაბრიელაშვილი (გაბრიელიშვილი. იხ. მაღალაშვილი, ყორღანაშვილი)...
 გაბუნია...

თ. გაგელები...
 გალატოზიშვილი (კალატოზიშვილი)...
 გამგებელი...
 მ. გამრეკელი...
 გამსახურდია...
 თ. გამყრელიძე (იხ. შანშიაშვილი)...
 გამცემლიძე...
 განძიელი...
 გარაყანიძე (გარეყანიძე)...
 თ. გარდაფხაძე...
 თ. გარსევანიშვილი(გარსეყანიშვილი.
 იხ. ჭავჭავაძე)...
 გეგელაშვილი...
 გეგელია...
 გეგეჭკორი...
 გეგიძე...
 გედევანიშვილი (გედევანიშვილები //
 ელიოზისძე), გედევანიძე (იხ. გედეო-
 ნიშვილი; ელიოზიშვილი)...
 გეთასანაშვილი...
 თ. გელოვანი (გელოვანები)...
 გელხვატაძე...
 თ. გერმანოზიშვილი...
 გველესიანი...
 გვერდწითელი...
 გიგინეიშვილი...
 გიგაშვილი...
 გივისშვილი (იხ. ავალიშვილი, ჩოლო-
 ყაშვილი, წერეთელი)...
 გილაქიშვილი...
 გილდაშვილი...
 გილდაშვილი...
 გინდაშვილი (იხ. გილდაშვილი)...
 გიორგასშვილი (გიორგისშვილი) (იხ.
 გურამიშვილი, ბარათაშვილები, ვაჩნა-
 ძე, შანშიაშვილი (გამყრელიძე), მალა-
 ლაშვილი, მაჩაბლები, ციციშვილები,
 ჩერქეზიშვილი, ხერხეულიძე, ჯორ-
 ჟაძე...)
 გიორგობიანი...
 გიჟიმყრელი (გიჯიმყრელი)...
 მ. გიშელები...
 გლახასშვილი (იხ. თასრხნიშვილი,
 ფალავანდიშვილი, ციციშვილები, ჭავ-
 ჭავაძე)...
 გლონისთავისძე...
 გლურჯიძე...
 გობირახისძე (გობირეხვასშვილი)...
 გობიტაშვილი...
 გობრონი...
 გოდაბრელიძე...
 გოგიაშვილი (იხ. ავალიშვილი)...
 გოგობაშვილი...
 გოგობაშვილი (სიმენტაშვილი)...
 გოგობედაშვილი...
 გოგობერიძე
 გოგილაშვილი...
 გოგიტიძე
 გოგიჩაძე (გოგიჩიძე)...
 გოგიჯანაშვილი...
 გოგინაშვილი...
 გოგოლიშვილი...
 გოგორიშვილი... (იხ. ჩიჯავაძე)...
 გოგოძე...
 გოდაბრელიძე...
 გოთუა
 გომართელი...
 გომელისშვილი...
 გოსტამისშვილი (გოსთამიშვილი)...
 თ. გოსტაშვილი...
 თ. გოშაძე...
 გომჰარიშვილი (იხ. მაცაშვილები)...
 გომქოთელიანი...
 თ. გოჩაშვილი...
 გოცირიძე...
 გრიგოლ (იხ. გრიგორი)...
 გრიგოლაშვილი (იხ. ჯორჯაძე)...
 გრიგოლია...
 მ. გრიგოლისძე (გრიგოლისძენი)...
 გურამისძე (გვრამაძე)
 გვარამიძე...
 გუგუაშვილი...
 თ. გუგუნავა (გუგუნავები)...
 გულაბერისძე...
 გულაძე...
 გულბადაშვილი...
 გუნცაძე...
 თ. გურამისშვილი...
 გურგენიშვილი (იხ. ენაკოლოფაშვი-
 ლი)...

თ. გურგენიძე (გურგენიძეები)...
თ. გურიელები...

დ

თ. დადიანი
თ. დადუშქელიანი (დადიშქელიანი)...
დავითაშვილი... (წერეთ. აზნ.)...
თ. დავითიშვილი (დავითიშვილები,
იხ. ამირეჯიბი, ანდრონიკაშვილი, გუ-
რამიშვილი, ზეგთაბეგიშვილი, მაღა-
ლაშვილი, ყორღანაშვილი, ხერხეული-
ძე, ჯორჯაძე, ქობულაშვილი)...
თ. დავითისშვილი (ბაგრატიონი)...
დათონაშვილი...
დათუნაიშვილები...; (ნაკაშ. აზნ.)
დალაშვილი (დალალიშვილი)...
დალაქიშვილი...
დანდალაშვილი (დანდლისშვილი)...
დარახველიძე (დოლბ. აზნ.)
დაფანჩული...
დაფქვიაშვილი...
დამნიანი (დოლბ. აზნ.)...
დედანაშვილი...
დეკანოზიშვილი...
დვალი...
თ. დიარაშვილი...
დიასამიზე...
დიდებულიძე...
დიდიძე... (ჯიხაიში, ჩხეიძეთა აზნა-
ური, ნიჟარაძეთა აზნაური)
დიენაშვილი...
დივნიშვილი (იხ. ზეგთაბეგიშვილი)...
დიმიტრიშვილი (იხ. ანდრონიკაშვი-
ლები, გარაყანიძე, ჩოლოყაშვილი, ჯა-
ვახიშვილი, ჯამბაკურიანი)...
დოერეთაშვილი (დორათაშვილი)...
თ. დოლენჯაშვილი (დოლენჯიშვილი /
თვაური / ჯაჯანაშვილი)...
დოლმაზაშვილი (მანშიაშვილი)
გლახაშვილი...
მ. დონაური...
დონდარაშვილი...
დუდუჩავა...
დუმბაძე...

დურმიშხანისშვილი (იხ. ჩოლოყაშვი-
ლი)...
დუშიაშვილი...
დოჭიძე...

ე

ებრალიძე...
ეგაძე...
ეგნატეშვილი (იხ. თაქთაქიშვილი)...
ეგრისელაშვილი...
ედიშერაშვილი...
ევგენიშვილი (იხ. აბაშიძეები)...
ელერაშვილი...
ელიაშვილი...
ელიზბარისშვილი (იხ. დავითისშვი-
ლი, თაქთაქიშვილი)...
ელიოზიშვილი (იხ. გედეონისშვილი /
გედევანისშვილი)...
ელისაშვილი...
ენაკოლოფაშვილი...
ერასტიშვილი (იხ. ანდრონიკაშვილები,
ჩოლოყაშვილები)...
ერგემლიძე...
თ. ერისთავისშვილი (ერისთავი)...
თ. ერისთავი (ერისთავები) [გურია]...
თ. ერისთავისშვილები (იხ. ქსნის
ერისთავები)...
ერისტაშვილი...
ესტატეშვილი (წერეთლ. აზნ.)...
ეფრემაშვილი (იხ. გურამიშვილები)...
ეშადაშვილი (იაშადაშვილი)...

ვ

ვარაზ-ვარდი...
ვარაზიშვილი...
მ. ვარდანისძენი...
ვარქსენი (პიტიახში)...
თ. ვარსქენელის ძე...
ვასილიშვილი (იხ. ჭილაძე)...
ვაშალომიძეები (იხ. ნაკაშ. აზნ.)...
ვაშაძე... (წერეთლ. აზნ.)...
ვაჩიანიძე...

თ. ვაჩნაძე (ვაჩნაძეშვილი, ვაჩნაძეები)...
 ვახვახიშვილი (ვახვახაშვილი)...
 ვახტანგიშვილი (იხ. ჯამბაკურიანი)...
 ვახუშტიშვილი (იხ. ჯავახიშვილი)...
 ველუაშვილი...
 ვიზლიანი...
 თ. ვეზირიშვილი (ვეზირაშვილი)...
 ზ
 თ. ზაალიშვილი (ზაალიშვილები; იხ. გურამიშვილი, დავითიშვილი, ბაგრატიონები, მაჩაბლები, ანდრონიკაშვილები, ფალავანდიშვილები, ჯამბაკურიანი, ჯანდიერისშვილი/ ჯანდიერი)...
 ზავარაშვილი...
 ზავრატაშვილი...
 ზაზაშვილი (იხ. ამირეჯიბი, ბარათაშვილები, თარხნიშვილი, მაჩაბლები, სოლოდაშვილები, ციციშვილები)...
 ზაზუნაშვილი...
 ზალდასტანიშვილი...
 ზანდუკელი...
 ზარდიაშვილი...
 ზაქარიასშვილი (იხ. ციციშვილები, ხერხეულიძეები)...
 თ. ზედგენიძე / ზევდგენიძე (იხ. ამილახვრები)...
 ზრგოგიაშვილი (იხ. ლორისმელიქიშვილი)
 თ. ზუბალაშვილი...
 ზუბაშვილი...
 ზუმბულიძე...
 თ. ზურაბიშვილი (იხ. ანდრონიკაშვილები, ბარათაშვილები, გარაყანიძეები, მაცაშვილები, ფალავანდიშვილები, ჯორჯაძეები, შალიკაშვილები, საგინაშვილი, ხიდაშელი)...

თ

თავართქილაძე...
 თავდგირიძე...
 თავზარაშვილი...
 თაზიშვილი...
 თათეიშვილი (ნიქარაძ. აზნ.)...

თამაზიშვილი (იხ. ანდრონიკაშვილები, ბარათაშვილები, ჯორჯაძე / ჯორჯაძეშვილები)...
 თამარიშვილი (იხ. ვაჩნაძე)...
 თანიშვილი...
 თ. თარხნიშვილი / თარხნიშვილები (იხ. ჯანდიერისშვილი, ზაზასშვილი, ბეციაშვილი, გლახასშვილი, სააკაძეები, მოურავისშვილები...
 თ. თაქთაქიშვილი...
 თ. თაყაშვილი (იხ. ბარათაშვილები, მხარგრძელები)...
 თავყელიშვილი (თავხელიშვილი)...
 თ. თარხან-მოურავები...
 თაყაიშვილი...
 თევდორაშვილი...
 თ. თეიმურაზიშვილი (იხ. მელიქიშვილი, ფათვლენიშვილი, ჯავახიშვილი)...
 თ. თექთუმანიშვილი (იხ. ფიცხელაური)...
 თ. თექთუმანიძე...
 თიკანაძეები (ნაკაშ. აზნ.)...
 მ. თმოგველი (თმოგველები)...
 თოდაძე...
 თოლობელისძე...
 თომაშვილი (იხ. სუმბათაშვილი)...
 მ. თორელი / თორელები...
 თორთლაძე...
 თოფურია...
 თოფურიძე...
 თულაშვილი...
 თ. თუმანიშვილი / თუმანიშვილები...
 თურმანიძე...
 თ. თურქისტანიშვილი / თურქესტანიშვილი...
 თუშმალიშვილი...
 თუხარელი

ო

იაგანაშვილი...
 იაგულაშვილი / იეგულაშვილი...
 იელღუზაშვილი...
 თ. იარალიშვილი...

თ. იაშვილი / იაშვილები...
 იახთუნაშვილი...
 იევანგულაშვილი...
 იესესვილი (იხ. ბარათაშვილი, სოლო-
 ღაშვილი)...
 ივანესვილი (იხ. აბაშიძე, ანდრონი-
 კაშვილები, მაღალაშვილი, მუხრან-
 ბატონი, თაქთაქიშვილი, ფავლენიშვი-
 ლი, ფიცხელაური, ჭავჭავაძე, ჭილაძე,
 შარვაშიძე)...
 თ. იმერეტინსკი (იხ. ბაგრატიონები,
 მუხრან-ბატონები)...
 ინაკავაძე...
 ინალიშვილი...
 თ. ინასარიძე...
 ინდოშვილი (იხ. საგინაშვილი)...
 ინწკირველი...
 იონაშვილი (იხ. სუმბათაშვილი, ქობუ-
 ლაშვილი, ჯორჯაძე)...
 იობაშვილი (თავ. აზნ.)...
 თ. იოთამიშვილი (იხ. ბარათაშვი-
 ლები)...
 იორამიშვილი...
 იორაიშვილი...
 იოსებისშვილი (იხ. ბებუთაშვილები,
 მაღალაშვილები, მაყაშვილები,
 ჯავახიშვილი)...
 იოსელიანი...
 ირაკლიშვილი (იხ. ლიონისძე / ლეო-
 ნიძე)...
 მ. ირუფაქისძე (იხ. რობაქიძე, ჩოლო-
 ყაშვილი / მაყაშვილი)...
 ისარლიშვილი (იხ. ხურსიძე / ხურცი-
 ძეები)...
 ისაშვილი...
 ისუაშვილი...
 იშანიკი...
 იშხნელი / იშხნელისშვილი...

კ

კავკასიძე...
 კალატოზიშვილი / გალატოზიშვილი
 (იხ. გალატოზიშვილი)...
 მ. კლამახელიძე...

კალოიანი...
 კანდელაკი...
 კანჭაშვილი...
 კარგარეთელი...
 კარიჭიძე...
 კაჭკაჭიშვილი...
 მ. კახაბერიძე / კახცაბერისძენი...
 კახიშვილი (იხ. ვახვახიშვილი)...
 კახიძე...
 კეღია / კეირდია (კეღია)...
 კეზელი...
 კეჟერაძე...
 კეცხოველი...
 კვალაშვილი // კაკიაშვილი...
 კვანჭახაძე...
 კვამალი...
 კვერნაძე...
 თ. კვერდელიძე...
 კვიტაშვილი...
 კვიციანი...
 კიკიანი (ქუთაისოვი) გრიგოლაშვი-
 ლი...
 კიკნაძე (იხ. შაქარაშვილი, ხახუ-
 ლაშვილი, ხოსიაშვილი, ბიჭიაშვილი,
 ბედელაშვილი)...
 კიკოშვილი...
 თ. კილახლიშვილი (იხ. შალიკაშვილი)
 კირმალაძე (ვარიაც. ყირმალაძე)...
 კლდიაშვილი / შალიკაშვილი (იხ. შა-
 ლიკაშვილი)
 კლიმიაშვილი...
 თ. კობალაძე...
 კობახისშვილი / კობახიძე...
 კობიაშვილი...
 მ. კოლონკელისძენი...
 კომახიძე...
 კონსტანტინესშვილები... (იხ. თ. მუხ-
 რან-ბატონი, აზნ. გობიტაშვილი)...
 კონტარია / კონჯარია...
 კოპასძე...
 კორინთელი...
 კორძია...
 კოდოშვილი (გამსახ. აზნ.)...
 კოტეტიშვილი...
 კოჭიბროლაშვილი...

კუპატაძე...
კურცხალია (წერეთლ. აზნ.)...
თ. კუჭაიძე / კუჭაისძე...
კუჭუხიძე...
კუხი...

ლ

ლალიხანისშვილი (იხ. არაგვის ერის-
თავეები)...
ლამაზისშვილი / ლამაზაშვილი...
ლაპინაშვილი / ლაპიაშვილი...
ლარაძე...
ლარაძე / პაატაშვილი...
ლასხიშვილი...
ლაშატისშვილი...
ლამისშვილი / ლაშასშვილი...
ლაშხი / ლაშხისშვილი...
ლაღიძე...
თ. ლიონიძე / ლეონიძე...
ლეონისშვილი (იხ. დავითისშვილი)...
ლეყავა (ღულბ. აზნ.)...
ლიპარიტეთი / ლიპარეტის ძე...
ლიპარიშვილი (ნაკაშ. აზნ.)...
ლიპარტისშვილი...
ლიპარტიანი...
ლოლაძე...
ლოლუა...
ლომაძე...
ლომიძე...
ლომინაძე...
ლონგულაშვილი...
ლორაძე...
თ. ლორთქიფანიძე / ლორთქიფანიძეე-
ბი...
თ. ლორის-მელიქიშვილი...
ლუარსაბიშვილი (იხ. მაყაშვილები,
ვაჩნაძეები)...

მ

მაგანისძე...
მათადაშვილი...
მათაშვილი (იხ. არღუთაშვილი)...

მაკარიძე (ჩიჯავაძე)...
მალაქიასშვილი (იხ. შარვაშიძე)...
მამაცაშვილი (წეთლ. აზნ.)...
მამუკაშვილი (ნაკაშ. აზნ.)...
მამულაშვილი...
მამულაიშვილი (ნაკაშ. აზნ.)...
მამუჩაშვილი (იხ. ჭავჭავაძე)...
მანგლელი / ჯავახიშვილი...
მანელიშვილი...
მანესიშვილი...
მანველიშვილი...
მანთაშაშვილი / მენტეშაშვილი...
მანუჩარაშვილი / მანურიდისშვილი
(იხ. თუმანიშვილები, სუმბათიშვი-
ლი...)
მარგველაშვილი...
მართველი... (წერეთლ. აზნ.)...
მარკოზაშვილი (იხ. არღუთაშვილი,
მხარგრძელები)...
თ. მარტიროზაშვილები...
თ. მარუშიანი...
მარჯანიშვილი...
მასხულია...
მაქსიმენიშვილი...
თ. მაღალაშვილი...
მაღალაძე / მაღალაძეები...
მაღრანელი...
მაღრაძე...
თ. მაყაშვილი / მაყაშვილები...
თ. მაჩაბელი / მაჩაბლები...
მაჭავარიანი (იხ. რევაზიშვილი)...
თ. მაჭუტაძე / მაჭიტაძეები...
თ. მაჭუტაძე...
მახარაძე...
მახატელი / მახატლისძენი...
მახვილაძე...
მახუნჯავისძე / გურკელელი...
მახუჯავიანი / მახუნჯავისძე...
მგალობლიშვილი...
მგელაძე (თავდგირ. აზნ.)...

მდივანი / მდივნიშვილი (იხ. ქობულა-
შვილი)...

მდივნიშვილი (ღოღობ. აზნ.)...

თ. მდივანბეგიშვილი (იხ. არაგვის
ერისთავები, ციციშვილები, ანდრონი-
კაშვილები, კვინიხიძეები)...

მეითრიშვილი (იხ. ავალიშვილი, სუმ-
ბათიშვილი)...

მეიფარიანი...

თ. მელიქიშვილი...

მელიქჯანაშვილი (იხ. ლორისმელიქი-
შვილი)...

მელქისადეგისაშვილი (იხ. ჭავჭავაძე)...

თ. მენგრელსკები...

მერაბისშვილი...

მესხი...

მესხიშვილი...

მელვინეთუხუცესი / მელვინეთუხუცე-
სისშვილი...

მემმარიაშვილი...

მ. მექაბუკიშვილი (იხ. ანდრონიკაშ-
ვილი)...

მილახრიშვილი (იხ. გურამიშვილი)...

მკალავიშვილი (იხ. ქალანთარიშვი-
ლი)...

მინაზე...

მირზაშვილი...

მიქაბაძე... (ჩხეიძ. აზნ.)...

მიქაძე...

მიქელაშვილი...

თ. მიქელაძე / მიქელაძეები...

მიწობლიძე / მიწობლიძეები...

მკერვალიშვილი / კერვალიშვილი...

მომცელიძე (იხ. ღოღობ. აზნ.)...

მომცემლიძე...

მონავარაშვილი...

მორთულაძე...

მოსიძე...

თ. მოურავისშვილი (იხ. ციციშვილე-
ბი)...

მრეკლიშვილი / მრულიშვილი...

მურადაშვილი (იხ. მურაჩაშვილი / მუ-
რაჩატაშვილი)...

მურაჩაშვილი / მურაჩატაშვილი...

მურვანიშვილი / მურმანიშვილი...

მურვანიძე (იხ. მურვანიშვილი)...

მუსხალაშვილი / მუსხელიშვილი...

მუმრიბიშვილი (იხ. ლორისმელიქი-
შვილი)...

მუქერიძე...

მუჩაიძე...

თ. მუხრან-ბატონი / მუხრან-ბატონები
(ბატონიშვილები)...

მწყერაძე...

მ. მხარგრძელი / მხარგრძელები...

თ. მხეციძე (იხ. მხეიძე)...

ნ

ნაბიჭვრიშვილი...

ნაგლაძე...

ნაზარიშვილი / ნაზირაშვილი (იხ.
ჭავჭავაძე, შანშიაშვილი / გამყრელიძე)..

ნათაშვილი / ნათისშვილი...

ნაკაიძე...

თ. ნაკაშიძე...

ნამანგლელევიშვილი...

ნამორაძე...

ნამჭევაძე / გრუზინოვი...

ნანაშვილი...

ნანეიშვილი...

ნასიძე...

ნაცვლიშვილი...

ნახუცრიშვილი...

ნემსაძე...

ნერსე / ნერსიანი...

ნექისძე...

ნიკოდა...

თ. ნიკოლაოზისშვილი (იხ. აბაშიძეები,
თუმანისშვილები, მაღალაშვილი, ჩერ-
ქეზისშვილი, ჯანდიერიშვილი)...

ნიკოლაძე...

ნინიაშვილი...

თ. ნიჟარაძე...

ნიშნიანიძე...

ნოდარიშვილი (იხ. ჯორჯაძე)...

ნუქვიშვილი / ნუქვიშვილი...

ო

ობლიძე / ობოლაძე...
 ოზიაშვილი...
 ოთანაშვილი...
 ომანისშვილი (იხ. ვაჩნაძე, ჯანდიერი-
 შვილი, ონანაშვილი)...
 ონაშვილი (იხ. ვაჩნაძე)...
 თ. ორბელაშვილი / ორბელიშვილი / თ.
 ორბელისძე / ორბელიანი (იხ. არება-
 შვილი)...
 თ. ორბელი / ორბელები...
 თ. ორბელიანები...
 ორჯონიკიძე...
 ოსეფაშვილი (იხ. ყორღანაშვილი)...
 ოსიტაშვილი...
 ოქრომჭედლიშვილი...
 ოცხელი...
 ოლთაელი / ოლამელი / ოლრაელი...

პ

თ. პაატასშვილი (იხ. ციციშვილი,
 ბარათაშვილები, სუმბათისშვილი)...
 პავლიაშვილი...
 პაიჭაძე...
 პაკელიანი...
 პაპუაშვილი (იხ. ანდრონიკაშვილები)...
 პარკაძე...
 პატისშვილი...
 პეტრიაშვილი...
 პეტრესშვილი (იხ. ავალიშვილი, ანდ-
 რონიკაშვილი)...
 პოპიაშვილი...

ჟ

ჟვანია... (ჩიჯავაძის აზნ.)...
 ჟორდანია...
 ჟურული...
 ჟღენტა ჯღენტა...
 ჟღერია...

რ

თ. რამაზაშვილი / რამაზიშვილი (იხ.
 ბაგრატიონები, ჩერქეზიშვილი)...
 რამინიშვილი (იხ. ფიცხელაური)...
 რატიანი...
 თ. რატიშვილი...
 რატიძე... (ჩიჯავ.)...
 თ. რევაზაშვილი / რევაზიშვილი (იხ.
 ბარათაშვილები, მაჩაბლები, მაჭავარია-
 ნი)...
 რევია...
 რევიშვილი...
 რიკაძე...
 რიჩგვიანი...
 თ. რობიტაშვილი...
 როინიშვილი...
 როსტომაშვილი (იხ. ფალავანდიშვი-
 ლები)...
 როჭიკაშვილი (იხ. შალიკაშვილი,
 კლდიაშვილი, კილახლისშვილი, ბეცი-
 აშვილი, ზურაბიშვილი, ანდრიაშვილი,
 ვარაზიშვილი)...
 თ. რუსასშვილი / რუსიშვილი...
 რჩეულაძე / რჩეულაშვილი / რჩეული-
 შვილი (იხ. მაჩაბლები)...
 რცხილაძე...

ს

თ. სააკაძე / სააკაძეები (თარხნი-
 შვილები, მოურავისშვილები)...
 თ. სამი[ს]შვილი / სამისშვილი (იხ.
 ფიცხელაური)...
 საბაშვილი... (ნაკაშ. აზნ.)...
 საბატისშვილი...
 თ. საგინაშვილი
 სადარიძე / სადარიძეები...
 თ. სადუნიშვილი / მანკაბერტელი...
 სავანელი...
 სავარსამიძე...
 სამარღანისშვილი...
 მ. სამძივრები...

სანადირაძე (ჩიჯავაძის აზნ.)...
 სანთლიკუდაშვილი...
 სანიკიძე...
 სარაჯიშვილი...
 სარიდანისშვილი (იხ. არაგვის ერისთავები)...
 საფარაშვილი...
 საჩინოშვილი (იხ. ბარათაშვილები)...
 საყვარელიძე...
 სალარისძე...
 სელეპანისშვილი / ფარემუზასშვილი...
 სესიტაშვილი...
 სვანიძე (დოლბ. აზნ.)...
 თ. სვიმონისშვილი (იხ. მუხრან-ბატონები, აბაშიძეები, მაღალაშვილი, მაცაშვილები, ივ. აბაშიძის (კახეთი) ჩამომავლები)...
 თ. სიდამონისშვილი / სიდამონიძე...
 სიმონიშვილი / სვიმონიშვილი (იხ. მუხრან-ბატონები, აბაშიძეები, თუხარელი)...
 სისუაშვილი (იხ. მხარგრძელები)...
 სოლომონისშვილი (იხ. ანდრონიკაშვილი, ლიონისძე, ლეონიძე, შანშიაშვილი / გამყრელიძე)...
 თ. სოლოღაშვილი / სოლაღაშვილი...
 სონღულისძე...
 სპირიდონაშვილი (იხ. გარაყანიძე)...
 სრესელი...
 სტელიშვილი / ტერიშვილი...
 სელიმანაშვილი / სულიმანიშვილი...
 სულხანიშვილები...
 სულხანიშვილი (იხ. თუმანიშვილები, ბეგთაბეგიშვილი)...
 თ. სუმბათაშვილი / სუმბატისშვილი...
 მ. სურამელი / სურამელები...

ტ

ტარიელაშვილი...
 ტარჭაისაშვილი...
 ტატიშვილი / ტატიაშვილი (ფეიქრიშვილი)
 მ. ტბელი // ტბელები...
 ტერიშვილი (სტელიშვილი)...

ტერტერაშვილი...
 ტეტიაშვილი...
 ტინტიკაშვილი...
 ტოლოშელიძე / ტოლოშელიძეები...
 ტურიშვილი...
 თ. ტუსიშვილი (იხ. ზედგინიძე)...
 ტუსკია...

უ

უგანაძე...
 უგრეხელიძე (დოლბ. აზნ.)...
 უზნაძე...
 უთნელიშვილი...
 უთნელიძე...
 ურატაძე (თავდგირ. აზნ.)...
 უთრუთაშვილი...
 ურქმაზაშვილი...
 უჯმაჯურიძე..

ფ

თ. ფავნევიშვილი / ფავლენიშვილი...
 თ. ფავნელები...
 თ. ფალავანდიშვილი...
 ფანისშვილი / ფანიაშვილი...
 ფანჩულიძე / ფანჩულიძეები...
 ფარაჯანიანი...
 ფარემუზაშვილი (საგინაშვილი, ჩიჯავაძეების აზნ.)...
 ფარესაშვილი...
 ფარიამანისშვილი...
 ფარულავა...
 ფასეიშვილები (იხ. ნაკაშიძეთა აზნ.)...
 ფასტაშვილი / ფასიტაშვილი...
 ფატრელიშვილი...
 თ. ფაღავა...
 ფირალიშვილი...
 ფისაძე...
 ფიცხელაური...
 ფრიდონაშვილი... (იხ. ჯანდიერიშვილი)...
 ფურცელაძე...
 მ. ფხვენელი / ფხვენელნი / ფხუნელნი...

ქ

ქადაგისშვილი...
ქავთარ ბარამისძე...
ქავთარაშვილი / ქავთარიშვილი...
ქავთარაძე / ქავთარაძეები...
ქაიხოსროშვილი (იხ. აბაშიძეები, ჯავახიშვილები, ჩოლოყაშვილები, ბარათაშვილი, ჯოხაძეები, ტუშიშვილი)...
ქალანთარიშვილი / კალანტარიშვილი / ქალანთარი...
ქანანაშვილი / სარნოშვილი...
ქაოზისძე / ქაროზისძე...
ქარელი...
ქართველაზე...
ქართველიშვილი...
ქარუმიძე...
ქარსიძე...
ქარცივაძე (სტატ. ნაკაშიძეები)...
ქაჯაია...
ქელბაქიანი...
ქვარიანი...
თ. ქობულაშვილი...
თ. ქობულიძე...
თ. ქორთოძე...
ქორთუა...
ქორქაშვილი...
ქოჩაკიძე / ქოჩაქიძე...
ქოჩეცვილი...
ქრისტესიაშვილი...
ქუაბალისძე...
ქუთათელიაძე...

ლ

ლაზნელი / ლაზნელიშვილი...
ლვინეფაძე...
ლონტი...
ლონენაშვილი...
თ. ლოლობერიძე...
ლრეული...
ლუდუშაური...

ყ

ყავრიშვილი / ყავრისაშვილი...
ყაითმაზაშვილი...
ყანჩიელი / ყანჩელი / ყანჩაველი...
ყარაასანაშვილი...
ყარაბუდახაშვილი / ყარაბუდახისშვილი...
ყარაგოზაშვილი / ყარანგოზიშვილები...
თ. ყარალაშვილი...
ყარაშვილი...
ყარახანაშვილი...
ყარჩიხაშვილი...
თ. ყაფლანიშვილი...
ყაპასშვილი (იხ. ვაჩნაძე)...
ყენია...
ყიასაშვილი...
ყიფიანი...
ყოდალაშვილი...
ყოვარიშვილი / ყრუაშვილი...
ყორღანაშვილი...
ყორღიბაშიშვილი (იხ. ვახვახიშვილი)...
ყულარაღასისშვილი (იხ. ქსნის ერისთავები)...
ყულიაშვილი...
ყრუაშვილი...

შ

ე. შაბურისძე / შაბურიშვილი...
შავდიაშვილი...
შავერტაშვილი...
მ. შაველიანი...
შათირიშვილი (ჩიჯავაძე)...
შალვასშვილი (იხ. რატისშვილი)...
შალიბასშვილი...
შალილაშვილი (იხ. შალიკაშვილი)...
თ. შალიკაშვილი (იხ. როჭიკაშვილი, კლდიაშვილი, კილახლისშვილი, ბეციაშვილი, ზურაბიშვილი, ანდრიაშვილი, ვარაზიშვილი)...

შალამზერძე...
შანაშვილი...
შანშესშვილი (იხ. დავითიშვილი)...
შანშიაშვილი (დოღმაზაშვილი, გლაზა-
შვილი, მარტულილოზაშვილი)...
შარაშენიძე...
შარაშიძე...
შ/თ შარვაშიძე...
შარუაშვილი (იხ. შალიდაშვილი)...
შატბერაშვილი...
შახოვი...
შელია...
შევარდნაძე...
შემაზაშვილი...
შერგილაშვილი...
შერმადინაშვილი...
შიოშვილი (იხ. ფავლენიშვილი)...
შიომიშვილი (იხ. ტუსიშვილი)...
შიხაიდრიშვილი / შიხეიდრისძე...
თ. შოთაძე ართავაჩისძისა...
შოთა კუპრი...
შოთაძე...

ჩ

ჩაკოშვილი / ჩოკაშვილი / ჩოკოშვილი
(იხ. ჯანდიერისშვილი)...
ჩასექიშვილი...
ჩარკვიანი...
ჩაჩიბაია...
ჩაჩიკაშვილი / ჩიჩიკაშვილი...
ჩახუნაშვილი (ჩიჯავაძე)...
ჩახრუხაძე...
ჩელია...
თ. ჩერქეზიშვილი / ჩერქეზი...
ჩიაშვილი...
ჩივაძე...
ჩიკვაძე / ჩიკოიძე...
ჩინჩალაძე...
ჩიქვილაძე (ჩიკვილაძე)...
თ. ჩიქოვანი (ჩიქვანი)...
თ. ჩიჩუა...
თ. ჩიჯავაძე...

თ. ჩოლოყაშვილი (იხ. ირუფაქისძე,
მაყაშვილი)...
მ. ჩორჩანელი / ჩორჩანელები...
ჩოფიკაშვილი...
ჩრდილელი...
ჩიბინაშვილი...
ჩხატარაიშვილი...
თ. ჩხეიძე...
თ. ჩხეტიძე (ჩხეიძეთა თავდაპირველი
გვარსახელი)
ჩხიკვიშვილი...
თ. ჩხოტუა...

ძ

ძამელაშვილი...
ძიძიშვილი...

ც

ცალქალამანიძე...
ცეროდენასშვილი...
ციმაკურიძე...
ცირლილაძე...
თ. ციციშვილი...
თ. ციხისჯვარელები...
ცქიტიშვილი...
ცხადიაშვილი / ცხოდიაშვილი...

წ

თ. წერეთელი / წერეთლები...
წვიმეტაძე...
წითელაშვილი...
წითლიძე...
წინამძღვრიშვილი...
წიწინაძე...
წულუკია...
თ. წულუკიძე...

ჭ

ჭაბუასშვილი (იხ. თუხარელი)...

თ. ჭავჭავაძე...
 ჭარაშვილი...
 ჭარელიძე / ჭარელიძეები...
 ჭარმაული / ჭაჭნიაშვილი...
 ჭარუაშვილი...
 ჭაშიტაშვილი...
 ჭაჭიაშვილი...
 ჭილაშვილი...
 თ. ჭილაძე / ჭილაძეები...
 თ. ჭიჭინაძე (ლოლბ. აზნ.)...
 ჭოლოშვილი...
 ჭუმბურიძე...
 ჭყონია (ნიჟარაძ. აზნ.)...

ბ

ხაიდრავა...
 ხანდამაშვილი...
 ხანდამისშვილი / ხანისშვილი...
 ხარაბაძე...
 ხატელიშვილი (წერეთლ. აზნ.)...
 ხაშანაძე...
 ხელთუფლიშვილი...
 თ. ხერხეულიძე / ხერხეულიძეები...
 ხეცურიანი...
 ხვადაძე...
 თ. ხიდირბეგიშვილი
 თ. ხიმშიაშვილი...
 ხირსელი / ხირსელაშვილი...
 ხმალაძე / კოპტონაშვილი...
 ხომასურიძე...
 ხორბალაძე...
 ხოსონაშვილი / ხერხეულიძე...
 ხოსროხანაშვილი / ხოსრიხანიშვილი...

ხომტარია...
 ხოჯაშვილი / ხოჯივანაშვილი...
 მ. ხურსიძე / ხურციძე...
 ხუტულაიშვილი...
 ხუციაშვილი...
 ხუციშვილი...
 ხუციშვილი / ბაქრაძე...
 ჯ
 ე. ჯავანშერიანი / ჯუანსერიანი...
 ჯავარაშვილი...
 თ. ჯავახიშვილი...
 თ. ჯაიანი...
 ჯამასპიშვილი (იხ. ხერხეულიძე, ჩოლოყაშვილი)...
 თ. ჯამბაკურ-ორბელიანი...
 ჯანასლანიშვილი (იხ. ჩერქეზიშვილი)...
 თ. ჯანდიერისშვილი / ჯანდიერი...
 ჯანიშვილი...
 ჯარდანიშვილი (იხ. ჩოლოყაშვილი)...
 ჯაფარიძე...
 ჯაყელი...
 ჯაჯანაშვილი...
 ჯიმშერიშვილი (იხ. ჩოლოყაშვილი)...
 ჯიმშედაშვილი...
 ჯიღაური...
 ჯოლია / ჯოლიაშვილი...
 ჯომარჯიძე / ჯომარდიძე (იხ. მეღვი-ნეთხუციშვილი)...
 თ. ჯორჯაძეშვილი / ჯორჯაძე...
 ჯოხტაბერიძე / ჯოხთაბერიძე...
 (წერეთლ. აზნ.)...
 ჯღერიაშვილი (იხ. ჟღერია)...

შენიშვნა 1: აქ წარმოდგენილ ზოგიერთ თავადაზნაურულ გვარსახელს (დაახლ. ოცამდე: ბერიძე, გეგიძე, გიგინეიშვილი, შევარდნაძე, ჩხატარაიშვილი, კომახიძე, უჯმაჯურიძე და სხვ.) ვიმოწმებთ ქ. ჩხატარაიშვილისა და ზ. ჭუმბურიძის რედაქციით ფოტოტიპურად გამოცემული წიგნიდან „გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, თბ., „მეცნიერება“, 1983). საყოველთაოდ ცნობილია მე-19 საუკუნის საქართველოში აზნაურობის მეძიებელთა და გააზნაურებულთა, ე. წ. „ამორდიას აზნაურთა“ სია. ამის შესახებ მეცნიერულ ინფორმაციას შემდეგ ნომერში მოგაწვდით.

შენიშვნა 2: ზემოთ ჩამოთვლილი გვარები თავადაზნაურთა ვახუშტისეული არასრული სიაა, თუკი ვინმე გვაცნობებს რომელიმე თავადაზნაურული გვარსახელის შესახებ, შეთავაზებას დიდი სიამოვნებით მივიღებთ. გარდა ამისა, დაინტერესების შემთხვევაში, მოგაწვდით სათანადო გვარსახელის „გენეალოგიურ ხეს“ და ლინგვისტურ-ეტიმოლოგიურ ახსნასაც (წყაროთა გათვალისწინებით). საილუსტრაციოდ და სანიმუშოდ წარმოგიდგინეთ ერთ-ერთ ფეოდალურ გვარსახელს **ზედგინძეს**.

ბ) ლინგვისტური ხე

ამილახვარი // ზევდგინძესძე // ზევდგინძესძე-ამილახვრისშვილი
/ / / / | | | \

ზევდგინძესძე ზედგინძესძე ზედგინძესძე ზედგინძესშვილი ზევდგინძესძე ზედგინძესძე
ზედგინძესშვილი

ბ) ამილახვარი // ამილახორი // ამილახვრისშვილი // ამილახორისშვილი // ამილახვარიანნი


გ) გენეალოგიური ხე

ზედგინძესძე (მესხეთი) → ამილახვარი // ამილახორი (ქართლი)

/ / | | |

გურამისშვილი ხიდირბეგისშვილი ტუსისშვილი მაჩხანელი მეყანწისშვილი...

შენიშვნა: ამ გვარსახელის წარმომავლობის შესახებ სპეციალურ სამეცნიერო სტატიაში სხვა დროს გვექნება მსჯელობა.



ლიტერატურული მოზაიკა



საქართველოში ბევრი ჟურნალი, წიგნი, გამოკვლევა ქვეყნდება, თვალის მიდევნება და გაცნობა არც ისე ადვილია. შეიძლება ყველამ არ იცოდეს და არც წაეკითხოს ქართულენოვანი ჟურნალი **მითი და ტრადიცია MYTH AND TRADITION**. ამ ჟურნალის მხოლოდ რამდენიმე ნომერია გამოსული (რედაქტორი **ზალათერ არაბული**). ჟურნალი დაარსებულია ეროვნულ ტრადიციათა დაცვის ცენტრის მიერ (მწერალთა გაერთიანება «ბახტრიონი»). ამ ჟურნალის ერთ-ერთ, კერძოდ, მესამე ნომერში (წიგნი III, თბ., 2008), გამორჩეული ადგილი ეთმობა, თუ რა საიდუმლოს ინახავს ხევსურული ეთნოკულტურული წარსულის ამსახველი წარწერები („მინაწერები“), რას ფიქრობენ უცხოელი სპეციალისტები იბერიის ცივილიზაციაზე, ქართველთა კოდის არსებობაზე ევროპის კონტინენტზე; აქვე, შერჩევით, თარგმნილია უცხოელი მკვლევრების ნაშრომები ძველი სამყაროს, კერძოდ, იბერიულ-კავკასიური ერთობის ამსახველ ისტორიულ ყოფაზე და სხვ. სანიმუშოდ დავასახელებთ ჟურნალის (resp. მესამე წიგნის), მეხუთე გვერდს, სადაც ვკითხულობთ:

ოქსფორდის უნივერსიტეტის ადამიანის გენეტიკის სპეციალისტებმა, რომლებსაც პროფესორი **ზრაიან საიკსი** ხელმძღვანელობს, აღმოაჩინეს, რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან არიან წამოსულნი. როგორც ფიქრობენ, მიტოქონდრიული გენი მართავს ადამიანის გენეტიკას დედის – ქალის მხრივ და როგორც აღმოჩნდა – უკიდურესად მდგრადია: მისი ცვლილება-მუტაცია მხოლოდ ერთხელ ხდება 10 ათას წელიწადში!.. უცხოელი მეცნიერების ვარაუდით, ე. წ. «ევროპელი შვიდი დის» კლანებიდან უმკველესია და უდიდესი სწორედ **ქსენია/ზენას**, ანუ ქართული მითოლოგიით – **«დალის»** კლანი. მათივე ფიქრით, ეს კლანი ჩამოყალიბდა კავკასიაში ამ 25 ათასი წლის წინ და ბოლო დიდ მსოფლიო გამყივარებამდე გავრცელდა მთელს ევროპაში. ყველაზე სენსაციურად კი იმას მიიჩნევენ, რომ **ქსენია/დალის** გენები დადასტურდა ჩრდილო ამერიკის ზოგიერთი ინდიელი ტომის წარმომადგენელთა შორისაც, რაც იმას ამტკიცებს, რომ **ქსენია/ზენა/დალის კლანი**, ევროპის ათვისების შემდეგ, მსოფლიოს დიდი გამყინვარების დროს, ყინულთა გადაფარული ოკეანით ჩრდილო ამერიკაშიც გადასულა და იქაც დაფუძნებულა!.. თანამედროვე უცხოელი მეცნიერები იმასაც ამტკიცებენ, რომ კავკასია მსოფლიოში ადამიანის მოდგმის გაჩენის და გავრცელების უმნიშვნელოვანესი კვანძი იყო – თანამედროვე თეთრი, ანუ ევროპოიდული რასა (ანუ «Caucasian Race») მუტაციის გზით სწორედ კავკასიაში ჩამოყალიბდა და აქედან გავრცელდა შემდგომ მთელ ევროპაში. ჩვენი ფილოლოგიურ-ჰუმანიტარული და ლინგვოკულტურული განათლება, მართალია, შორს დგას გენეტიკის სპეციალობისაგან, მაგრამ კავკასია და, კერძოდ, საქართველო რომ ძველი ცივილიზაციის სათავეებთან და ევროპა-აზიის გზაგასაყართან იდგა (რაშიც ქართველი არქეოლოგები გვარწმუნებენ) და ახლაც დგას, აშკარაა. ასეთი „ქართველური“ ინფორმაციით

დახუნძლულია ჟურნალის ნომრები. გირჩევთ, ეს და სხვა წერილი, პოპულარულად მოწოდებული, წაკითხოთ.



2011 წელი *საიუბილეო თარიღია* ჟურნალ „საისტორიო ვერტიკალებისთვის“. იგი 1991 წელს დაარსდა (მთავარი რედაქტორი, პროფ. **იგორ კვესელავა**), აღდგა 2002 წელს. **სტუ**ში დაარსებული, ჰუმანიტარულ ტექნიკური ფაკულტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტის სამეცნიერო ჟურნალი ოცზე მეტ ქვეყანაში ვრცელდება. მისი სამეცნიერო თვალსაწიერი მოიცავს საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებს, როგორცაა: არქეოლოგია, ეთნოგრაფია-ეთნოლოგია, ისტორია, პოლიტოლოგია, ფსიქოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, ქართველური ტოპონიმია, ტექნიკური ტერმინოლოგია და ტერმინების ისტორია, ლინგვოგეოგრაფია, ფოლკლორი და ფოლკლორისტიკა, ეკონომიკა და მართვა, კონფლიქტოლოგია, დიპლომატია და სხვ., გამორჩეული ადგილი ეთმობა საარქივო და ახალი დოკუმენტების გამოქვეყნებას; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის შექმნილია სპეციალური ნიშა რუბრიკის სახით. აქ თავიანთ ძალებს, სამეცნიერო პოტენციალს ცდიან ქართველი და უცხოელი მეცნიერები, თითქმის ყოველწლიურად იმართება სამეცნიერო კონფერენციები კარდინალურ საკითხებზე („კავკასია და გლობალიზაცია“, „ნატო და კავკასია“ და მისთ.).

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

PARALLELI

literary-scientific Journal

მთავარი რედაქტორი:

რევაზ მიშველადზე

სარედაქციო კოლეგია:

მერაბ ახოზაძე

ჯემალ გახოკიძე

ვახტანგ დავითაია

ივანე თვალავაძე

იგორ კვესელავა

ილია კილაძე

შალვა ნაჭყებია

ვაჟა პაპასკირი

გიორგი სალუქვაძე

სოსო სიგუა

რედაქტორის მოადგილე

არჩილ ფრანგიშვილი

ქეთევან ჟორაშვილი

რუსუდან ჟუთათელაძე

ბადრი ცხადაძე

პასუხისმგებელი მდივანი

თემურ ჯაგოდნიშვილი

EDITOR:

REVAZ MISHVELADZE

EDITOR STAFF:

MERAB AKHOBADZE

JEMAL GAKHOKIDZE

VAKHTANG DAVITAIA

IVANE TVALAVADZE

IGOR KVESELAVA

ILIA KILADZE

SHALVA NACHKEBIA

VAJA PAPASKIRI

GIORGI SALUQVADZE

SOSO SIGUA

DEPUTY EDITOR

ARCHIL FRANGISHVILI

QETEVAN QOQRASHVILI

RUSUDAN QUTATELADZE

BADRI TSKHADADZE

EXECUTIVE SECRETARY

TEMUR JAGODNISHVILI

LITERARY-SCIENTIFIC MAGAZINE OF THE BUSINESS-ENGINEERING FACULTY

ყდის დიზაინის ავტორი: ვახტანგ დავითაია

ტექნიკური და კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნონა ცაბაძე

ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ.

გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

დაარსდა 1984 წელს, 2000 წლამდე გამოდიოდა წყვეტილად,

აღდგა 2011 წელს.

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603^ა

Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

Tbilisi, kostava 77